



მეზღვაურთა სართაშორისო დღისადმი მიძღვნილი

V (საიუბილეო) სართაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**„თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები,
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“**

სართაშორისო კონფერენციის ურომების კრებული

**Vth (Anniversary) International Scientific Conference Dedicated
to the International Day of the Seafarers**

**«Modern Maritime Technologies, Problems of
Social-Economic Development and Ways for Solving Them»**

Proceedings of the International Scientific Conference

საქართველო, ბათუმი, 24 ივნისი, 2019

Georgia, Batumi, 24 June, 2019

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი



**მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი
V (საიუბილეო) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

**„თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები,
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“**

საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული

**Vth (Anniversary) International Scientific Conference Dedicated
to the International Day of the Seafarers**

**«Modern Maritime Technologies, Problems of
Social-Economic Development and Ways for Solving Them»**

Proceedings of the International Scientific Conference

საქართველო, ბათუმი, 24 ივნისი, 2019

Georgia, Batumi, 24 June, 2019

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ლალი ხვედელიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი,	საქართველო
ბადრი გეჩბაია	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი, საქართველო	საქართველო
გელა გვარიშვილი	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ნათია მიქელთაძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ქეთევან გოლეთიანი	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ეკატერინე მუსხაჯბა	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ელიდა ხვედელიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ნაირა ტაბიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ნინო ბერიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ვასტანგ თავბერიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
როლანდ რიჩკოვი	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ზურაბ მუშკუდიანი	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
ნინო ჭილია	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
გიორგი ბაბადავა	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველო
გელა მამულაძე	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი	საქართველო
პაატა აროშიძე	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი	საქართველო
გივი ბაქრაძე	ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი	საქართველო
ნინო ჩუბინიძე	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საქართველო
მარინა გაღვეანიშვილი	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საქართველო
გალინა კუზმენკო	ცენტრალური უკრაინის ტექნიკური უნივერსიტეტი	უკრაინა
ოლგა რუდენკო	ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	უკრაინა
გალინა ლოპუშინაჰ	კიევის ვადიმ გეტმანის სახელობის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტი	უკრაინა
გალინა ფილიუკ	კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი	უკრაინა
ნატალია უშენკო	კიევის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი	უკრაინა
ვიტალი სერჟანოვი	უჟგოროდის ეროვნული უნივერსიტეტი	უკრაინა

ORGANIZING COMMITTEE OF INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

LALI KHVEDELIDZE,	Batumi Navigation Teaching University	Georgia
BADRI GECHBAIA,	Batumi Shota Rustaveli State University, National Institute of Economic Research	Georgia
GELA GVARISHVILI	Batumi Navigation Teaching University	Georgia
NATIA MIKELTADZE	Batumi Navigation Teaching University	Georgia
KETEVAN GOLETIANI	Batumi Navigation Teaching University	Georgia
EKATERINE MUSKHAJBA	Batumi Navigation Teaching University	Georgia
ELIDA KHVEDELIDZE	Batumi Navigation Teaching University	Georgia
NAIRA TABIDZE	Batumi Navigation Teaching University	Georgia

NINO BERIDZE	Batumi Navigation Teaching University	Georgia
VAKHTANG TAVBERIDZE	Batumi Navigation Teaching University	Georgia
ROLAND RICHKOV	Batumi Navigation Teaching University	Georgia
ZURAB MUSHKUDIANI	Batumi Navigation Teaching University	Georgia
NINO TCHILAIA	Batumi Navigation Teaching University	Georgia
GEORGE GABEDAVA	Batumi Navigation Teaching University	Georgia
GELA MAMULADZE	Batumi Shota Rustaveli State University, National Institute of Economic Research	Georgia
PAATA AROSHIDZE	Batumi Shota Rustaveli State University, National Institute of Economic Research	Georgia
GIVI BAQRADZE	National Institute of Economic Research	Georgia
NINO CHUBINIDZE	Caucasus International University	Georgia
MARINA GEDEVANISHVILI	Caucasus International University	Georgia
HALYNA KUZMENKO	Central Ukrainian National Technical University	Ukraine
OLGA RUDENKO	Chernihiv national university of technology	Ukraine
GALYNA LOPUSHNYAK	Kyiv National Economic University named after Vadym Hetman	Ukraine
HALYNA FYLIUK	Taras Shevchenko National University of Kyiv	Ukraine
NATALYA USHENKO	National Aviation University	Ukraine
VITALY SERZHANOV	Uzhhorod National University	Ukraine

კონფერენციის დროითი გრაფიკი

კონფერენციის მუშაობის გრაფიკი, მასალების მომზადება და ორგანიზება:

იანვარი 2019 - მაისი 2019.

კონფერენცია: 24 ივნისი, 2019 წ.

TIME SCHEDULE OF THE CONFERENCE

reparation of the proceedings and organization: January 2019 – May 2019

Conference: 24 June 2019

მთავარი რედაქტორი: **ბადრი ბაჩხაია**, ასოცირებული პროფესორი, საქართველო

სარედაქციო საბჭო

პარმენ სვიდელიძე	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ავთანდილ სილაგაძე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი,	საქართველო
ანზორ აბრალავა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,	საქართველო
ევგენი ბარათაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,	საქართველო
რუსუდან ქუთათელაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,	საქართველო
მანანა მოისინაფიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,	საქართველო
ეთერ ხარაიშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
თეიმურაზ შინგალია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ელგუჯა მაქვაბიშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ელენე ხარაბაძე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
გულნაზ ერქომაიშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	საქართველო
ნინო ფარესაშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	საქართველო
ეკატერინე გვარიშვილი	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი. საქართველო	საქართველო
თენგიზ აფხაზავა	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო

ლაბარა ქოქიაური	ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი	საქართველო
ნიკოლოზ ჩიხლაძე	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ვლადიმერ ღლონტი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ნათია ნიკლაშვილი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
ნანული ქიმცაიშვილი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	საქართველო
ირმა მახარაშვილი	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	საქართველო
ანზორ დევაძე	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
გივი გადინაშვილი	ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი	საქართველო
თეიმურაზ გაბუნაშვილი	საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, პროფესორი	საქართველო
ოლგა პროკოპენკო	ტექნიკურ-ჰუმანიტარული აკადემია, პროფესორი	პოლონეთი
მარინა პეტროვა	წმინდა კირილისა და წმინდა მეტოდიას უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი	ბულგარეთი
ანგეჟა ბენაროვიჩ	კრაკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი	პოლონეთი
სარგაი შპარლატი	ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პროფესორი	უკრაინა
ევგენი ტრუშლიაკოვი	ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი, პროფესორი	უკრაინა
დიმიტრი ლუკინენკო	კიევის ვადიმ გეტმანის სახელობის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტი, პროფესორი	უკრაინა
ვიქტორ ჩუჟიკოვი	კიევის ვადიმ გეტმანის სახელობის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტი, პროფესორი	უკრაინა
ნატალია ვდოვანკო	უკრაინის ბიორესურსებისა და გარემოსდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი	უკრაინა
ვიქტორ კოვალ	კიევის ვაჭრობისა და ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტის ოდესის ვაჭრობისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი	უკრაინა
სარგაი მიღალსკი	მენჯემენტის რეგიონული აკადემია, პროფესორი	ყაზახეთი

ავტორები პასუხისმგებელი არიან ნაშრომების შინაარსზე და ენის სისწორეზე.

The authors are responsible for the content and language of their papers.

Editor – in-chief: BADRI GECHBAIA, Assoc. Professor. Georgia

EDITORIAL BOARD

PARMENT KHVEDELIDZE	Batumi Navigation Teaching University, Professor, Rector	Georgia
AVTANDIL SILAGADZE	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor.	Georgia
ANZOR ABRALAVA	Georgian Technical University, Professor	Georgia
EVGENI BARATASHVILI	Georgian Technical University, Professor	Georgia
RUSUDAN QUTATELADZE	Georgian Technical University, Professor	Georgia
MANANA MOISTSGRAPHISHVILI	Georgian Technical University, Professor	Georgia
ETER KHARAISHVILI	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor	Georgia
TEIMURAZ SHENGELIA	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor	Georgia
ELGUJA MEQVABISHVILI	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor	Georgia
ELENE KHARABADZE	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor	Georgia
GULNAZ ERQOMAISHVILI	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assoc. Professor	Georgia
NINO PHARESASHVILI	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assoc. Professor	Georgia
EKATERINE GVARISHVILI	Batumi Navigation Teaching University, Assoc. Professor	Georgia
TENGIZ APHKHAZAVA	Batumi Navigation Teaching University, Professor	Georgia
LAMARA QOQIAURI	Natiolan Institute of Economic Research, Professor	Georgia
NIKOLOZ CHIKHLADZE	Akaki Tsereteli State University, Professor	Georgia
VLADIMER GLONTI	Batimi Shota Rustaveli State University, Professor	Georgia
NATIA TSIKLASHVILI	Batimi Shota Rustaveli State University, Professor	Georgia
NANULI DZIMTCEISHVILI	Sokhumi State University, Assoc. Professor	Georgia
IRMA MAKHARASHVILI	Caucasus International University, Assoc. Professor	Georgia
ANZOR DEVADZE	Batimi Shota Rustaveli State University, Professor	Georgia
GIVI BEDIANASHVILI	European University, Professor	Georgia
TEIMURAZ BABUNASHVILI	Georgian Business Academy of Sciences. Professor	Georgia
OLHA PROKOPENKO	University of Bielsko-Biala, Professor	Poland
MARIANA PETROVA	St.Cyril and St.Methodius University of Veliko Tarnovo, Professor	Bulgaria
AGNIESZKA GENEROWICZ	Doctor Habilitated of of Engineering, Professor, Professor of Institute of Water Supply and Environmental Protection, Cracow University of Technology	Poland
SERHII SHKARLET	Chernihiv National University of Technology	Ukraine
EVGENIY TRUSHLIAKOV	Admiral Makarov National University of Shipbuilding, professor	Ukraine
DMYTRO LUKIANENKO	Kyiv National Economic University Named After Vadim Hetman Professor	Ukraine
VIKTOR CHUZHZYKOV	Kyiv National Economic University Named After Vadim Hetman, Professor	Ukraine
NATALIIA VDOVENKO	National University of Life and Environmental Sciences of Ukraine, Professor	Ukraine
VIKTOR KOVAL	Odessa Institute of Trade and Economics of Kyiv National University of Trade and Economics, Professor	Ukraine
SERGEI MIDELSKI	Regional Academy of Management, Professor	Kazakhstan

სარჩევი CONTENTS

პარმენ ხვედელიძე ელექტრონულ საინფორმაციო სისტემათა როლი ნავიგაციის საშუალებათა განვითარებაში	14
Parmen Khvedelidze THE ROLE OF ELECTRONIC INFORMATION SYSTEMS IN THE DEVELOPMENT OF NAVIGATION MEANS	14
ბადრი ბერიძე, ანზორ შარაშიძე ტროპიკული ციკლონებისათვის გვირდის აქცევის მეთოდები	21
Badri Beridze, Anzor Sharashidze BYPASSING METHODS FOR TROPICAL CICLONES	21
ვალერიან იმნაიშვილი, გიორგი კიკვიძე რეისში ელექტრონული სანავიგაციო რუკების კორექტურის თავისებურებები	26
Valerian Imnaishvili, Giorgi Kikvidze THE PECULIARITIES OF CORRECTNESS OF ELECTRONIC NAVIGATION MAPS DURING VOYAGE.....	26
ვახტანგ თავბერიძე, დურსუნ ცინცაძე გემის გამგანვა პაკეტირებული ტვირთების დატვირთვის ხერხის სრულყოფა	31
Vakhtang Tavbridze, Dursun Tsintsadze IMPROVEMENT OF CARGO HANDLING METHODS ON SHIP'S DECK	31
Анна Сандюк, Олег Дубинский, Олег Бобина ОРГАНИЗАЦИЯ НАУЧНОЙ РАБОТЫ СТУДЕНТОВ.....	37
Hanna Sandiuk, Oleg Dubinskiy, Oleg Bobina ORGANIZATION OF THE STUDENTS' SCIENTIFIC WORK	37
ნინო ბერიძე ხილვადობა შავ ზღვაზე	43
Nino Beridze VISIBILITY ON THE BLACK SEA	43
Инна Иртышчева, Юлия Варбанова, Олена Ишченко THE DEVELOPMENT OF UKRAINE'S TRANSPORT AND LOGISTICS SYSTEMS UNDER GLOBALIZATION CONDITIONS.....	48
Наталья Ушенко, Светлана Петровская РАЗВИТИЕ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА: ВЫЗОВЫ ДЛЯ НАЦИОНАЛЬНЫХ ЭКОНОМИК В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ.....	50
Natalia Ushenko, Svitlana Petrovska DEVELOPMENT OF HUMAN CAPITAL: CHALLENGES FOR NATIONAL ECONOMIES IN GLOBALIZATION CONDITIONS.....	51
Ганна Ифимова, Андрей Лабарткава, Олесь Пашченко EVALUATION OF THE ENTERPRISE ACTIVITY IMPACT ON THE REGION DEVELOPMENT	59
მანანა მჭედლიშვილი, ნაირა ტაბატაძე მოსახლეობის დემოგრაფიული დაზარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები	65
Manana Mchedlishvili, Naira Tabatadze SOCIO-ECONOMIC ASPECTS OF DEMOGRAPHIC AGING POPULATION	65
Viktor Koval , Oksana Redkva STATE POLICY IN THE FIELD OF PORT ECONOMY	69

Галина Лопушняк, Галина Кузьменко, Галина Филюк	
КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ В УСЛОВИЯХ РАЗВИТИЯ ЦИФРОВОЙ ЭКОНОМИКИ.....	75
Halyna Fyliuk, Taras Shevchenko, Halyna Kuzmenko , Galyna Lopushnyak	
COMPETITIVENESS OF HIGHER EDUCATION IN THE ONDITIONS OF THE DIGITAL ECONOMY DEVELOPMENT	76
Gocha Aashidze, Paata Beridze	
GEORGIA FOLLOWING TO THE PENSION REFORMS	85
Татiana Костышина	
СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ СОЦИАЛЬНО-ТРУДОВЫХ ОТНОШЕНИЙ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ.....	89
Tetiana Kostyshyna	
DEVELOPMENT STRATEGY OF SOCIAL-LABOR RELATIONS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION	89
Natalia Tchkonია	
RELATIONSHIP BETWEEN THE PHILOSOPHY OF EDUCATION AND PEDAGOGY EXPERIENCE AND EDUCATION.....	96
ოლგა პროკოპენკო, ვიტალი ომელიანენკო, ანზორ დევაძე, ბადრი გეჩბაია	
ეროვნული ინოვაციური პრიორიტეტების განვითარების ინსტიტუციონალური სტრატეგია.....	100
Olha Prokopenko, Vitaliy Omelyanenko, Anzor Devadze, Badri Gechbaia	
INSTITUTIONAL STRATEGY FRAMEWORK FOR NATIONAL INNOVATION PRIORITIES DEVELOPMENT	100
Tamar Diasamidze	
SOCIAL HIERARCHY IN ETIQUETTE FORMULAE DURING THE PROCESS OF INTERCULTURAL COMMUNICATION.....	108
თამარ დიასამიძე	
სოციალური იერარქია ეტიკეტურ ფორმულაში კულტურათმშორის კომუნიკაციის პროცესში.....	109
Евгений Гайданка	
ЧЕШСКИЙ ОПЫТ ФИСКАЛЬНОЙ ДЕЦЕНТРАЛИЗАЦИИ	114
Yevheniy Haydanka	
CZECH EXPERIENCE OF FISCAL DECENTRALIZATION.....	114
Vyacheslav Ivata, Valerii Komyshnyk	
REALIZATION OF THE QUALITY MANAGEMENT SYSTEM IN ACCORDANCE WITH THE REQUIREMENTS OF THE IINTERNATIONAL STANDARD ISO 9001: 2015 IN THE UNIVERSITIES OF UKRAINE	120
Gela Gvarishvili	
ANAKLIA PORT: DEVELOPMENT AND PERSPECTIVES.....	124
გელა გვარიშვილი	
ანაკლიის პორტი: განვითარება და პერსპექტივები	124
თამაზ გამსახურდია, თეიმურაზ ფესტვენიძე	
მენეჯმენტის როლი ჯანდაცვაში ფინანსური რესურსების ეფექტურად განკარგვაში.....	128
Tamaz Gamsakhurdia, Teimuraz Pestvenidze	
THE MANAGEMENT ROLE IN EFFECTIVE DISPOSAL OF FINANCIAL RESOURCES IN HEALTH CARE..	129
კონსტანტინე თელია, ქეთევან თელია	
პარსონალის ადმინისტრირების სოციალურ-ფსიქოლოგიური ტენდენციები.....	135

Konstantine Telia	
SOCIAL-PSYCHOLOGICAL TENDENCIES OF PERSONNEL ADMINISTRATION	136
გუგული ყურაშვილი, ბელა გოდერძიშვილი	
ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენებითი მნიშვნელობა	140
Guguli Kurashvili, Bella Goderdzishvili	
THE USE OF ADMINISTRATIVE MANAGEMENT	140
Ekaterine Gvarishvili, Elida Khvedelidze, Mamuka Nakashidze	
CURRENT ASPECTS OF INTERNATIONAL MARITIME LAW ON HUMAN LIFE PROTECTION AND PRIMARY CARE.....	144
ეკატერინე გვარიშვილი, ელიდა ხვედელიძე, მამუკა ნაკაშიძე	
ადამიანის სიცოცხლის დაცვის და პირველადი სამედიცინო დახმარების აქტუალური ასპექტები საერთაშორისო საზღვაო სამართალში.....	144
George Gbedava	
TRANSIT CORRIDORS ANALYSIS AND OF GEORGIA’S POSITIONING AMONG THEM	150
გიორგი გაბედავა	
სატრანზიტო დერაჟების ანალიზი და საქართველოს ადგილი მათში	150
ევგენი ბარათაშვილი, თამარ ლაგვილავა	
ცვლილებების მენეჯმენტი სტაიკჰოლდერების კონტექსტში	156
Eevgeni Baratashvili, Tamar Lagvilava	
CHANGES MANAGEMENT IN THE CONTEXT OF STAKEHOLDERS.....	156
ზურაბ მუშკუდიანი, ციცილო ძონენიძე	
თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფორმირების ტენდენციები	160
Zurab Mushkudiani, Tsitsino Dzotsenidze	
MODERN HUMAN RESOURCE MANAGEMENT TRENDS	160
თენგიზ აფხაზავა, ქეთევან გოლეტიანი	
რეგიონალური (ტერიტორიული) სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტირები, ევროპული პრაქტიკა და ქართული ორიენტირები.....	166
Tengiz Apkhazava, Ketevan Goletiani	
REGIONAL (TERRITORIAL) TRANSPORT-LOGISTICS CLUSTER, EUROPEAN PRACTICE AND GEORGIAN ORIENTING POINTS	166
თამარ დუდაური, ნინო სამჭკუაშვილი	
კომპანიის უცხოურ ბაზრებზე შესვლის სტრატეგია	176
Tamar Dudauri , Nino Samchkuashvili	
THE STRATEGY OF ENTERING THE COMPANY’S FOREIGN MARKETS	176
ია თეთუაშვილი, მაია თეთრუაშვილი	
განათლება და ეკონომიკა.....	181
Ia Tetrushvili, Maia Tetrushvili	
EDUCATION AND ECONOMICS.....	181
Irine Tsintsadze	
ELECTIONS AND POLITICAL ADVERTISING IN GEORGIA.....	185
ირინე ცინცაძე	
არჩევნები და პოლიტიკური რეკლამა საქართველოში	185
ლამარა ქოქიაური	
თანამედროვე ფინანსების ახალი მდგენელები.....	188

Lamara Qoqiauri	
NEW COMPILERS OF MODERN FINANCE	188
ლამარა ქოქიაური, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ნინო ქოქიაური	
მომავლის განაწილების ესტონური მოდელის დანერგვის შესახებ საქართველოში	208
Lamara Qoqiauri, Nikoloz Chikhladze, Nino Qoqiauri	
ABOUT INCULCATION OF ESTONIAN MODEL OF PROFIT DISTRIBUTION IN GEORGIA	208
Nikita Sinkevics, Mariana Petrova	
DIRECTIVE 2014/92/EU AND PROVIDING OF AFFORDABLE FINANCIAL SERVICES IN LATVIA	226
მიხეილ კოტიშაძე	
ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები და საქართველოში	
გამონევაები	236
Mikheil Kotishadze	
INNOVATIVE TECHNOLOGIES DEVELOPMENT TRENDS AND CHALLENGES OF GEORGIA	236
ნინო აბესაძე, ოთარ აბესაძე, ნატალია რობიტაშვილი	
გენდერული თანასწორობის პრობლემები საქართველოში	242
Nino Abesadze, Otar Abesadze, Natalia Robitashvili	
GENDER EQUALITY IS A TOPICAL AND ONE OF THE MOST SERIOUS PROBLEMS FOR MODERN	
GEORGIA	242
ნინო ფარესაშვილი, რუსუდან ქინქლაძე, ქეთევან ჩიტალაძე	
საქართველოში უმუშევრობის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების	
შესაძლებლობები	248
Nino Paresashvili, Rusudan Kinkladze, Ketevan Chitaladze	
THE CURRENT SITUATION OF UNEMPLOYMENT AND ITS IMPROVEMENT OPPORTUNITIES	
IN GEORGIA	248
ნანული მახარაძე	
თანამედროვე მარკეტინგული მიდგომების გამოყენების აუცილებლობა ქართულ	
კომპანიებში	258
Nanuli Makharadze	
THE NEED FOR MODERN MARKETING APPROACHES IN GEORGIAN COMPANIES	258
ირმა მახარაშვილი	
მასშტაბური მიდგომა მენეჯმენტში ანუ კლასტრული ანალიზის სპეციფიკაციები	263
Irma Makharashvili	
A LARGE-SCALE APPROACH TO THE MANAGEMENT AS A SPECIFICATION OF THE CLUSTER	
ANALYSIS	263
მაია თეთრუაშვილი, გელა წიკლაური	
უმუშევრობის პრობლემა საქართველოში	268
Maia Tetrushvili; Gela Tsiklauri	
UNEMPLOYMENT PROBLEM IN GEORGIA	268
ნანა ახალაია, ნინო ხშიადაშვილი	
ანაკლიის პროექტი - საზღვაო ქვეყნის განვითარებისათვის	272
Nana Akhalaia	
THE PROJECT OF ANAKLIA - DEVELOPMENT OF THE MARINE COUNTRY	272
ნინო ჭილაია	
საქართველო, როგორც ტრანსკავკასიური დერეფანი	276

Nino Tchilaia	
GEORGIA, AS A TRANSCAUCASIAN CORRIDOR	276
ნათელა ნიკლაშვილი, თამილა თურმანიძე, ნატალია რობიტაშვილი	
მიგრაციის გენდერული ასპექტები საქართველოში	281
Natela Tsiklashvili, Tamila Turmanidze, Natalia Robitashvili	
GENDER ASPECTS OF MIGRATION IN GEORGIA.....	282
ელენე ხარაბაძე, მუხრან ქამადაძე	
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის	
თავისებურებები	288
Elene kharabadze, Mukhran Kamadadze	
INCOME FROM THE RATE CHANGES AND FEATURES OF EXPENSE ACCOUNTING.....	288
ავთანდილ ოქროცვარიძე, ლალი ოქროცვარიძე, ჯემალ სოლოღაშვილი	
აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები სხალტბის მაგალითზე.....	293
Avtandil Okrotsvaridze, Lali Okrotsvaridze, Jemal Sologashvili	
PERSPECTIVES DEVELOPMENT OF AGRITOURISM ON THE EXAMPLE OF SKHALTBA	
(MTSKHETA MUNICIPALITY).....	293

საქართველოს საზღვაო ინდუსტრია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და მის ქმედითობაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება.

მოგეხსენებათ, საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველო მოაქცია მსოფლიოს გეოსტრატეგიულ ინტერესთა სფეროში. ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ფორმების წარმოქმნა ახალ მოთხოვნებს უყენებს ქვეყნის სატრანსპორტო სისტემას. აქტუალობას იძენს სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა: ქვეყნის ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაში, მისი განვითარების უზრუნველყოფი, ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნის, ფორმირებისა და შემდგომი განვითარების პროცესთა მართვის სისტემის ჩამოყალიბება. ცხადია, აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზღვაო ტრანსპორტის სფეროში წარმოქმნილი საკითხების გადაჭრა, როგორც საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკასთან საქართველოს უფრო მეტი ინტეგრაციის განმსაზღვრელი არსებითი ფაქტორი.

შესაბამისად, საზღვაო დარგის პოლიტიკის, ტენდენციებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მეხუთე (საიუბილეო) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ხელს შეუწყობს ახალი, პროგრესული იდეების ფორმირებას და საქართველოს საზღვაო დარგის შემდგომ განვითარებას. აღნიშნული დარგის განვითარება და მისი მუშაობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მეგობარი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ექსპერტებს, მეცნიერებს, ჩვენთვის ასეთ მნიშვნელოვან კონფერენციაში მონაწილეობისა და განუყოფელი დახმარებისათვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის ნავიგაციის საწვავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და ჩვენი უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებს კონფერენციის ორგანიზებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელობას კონფერენციის მხარდაჭერისათვის. გვჯერა, რომ პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში საზღვაო დარგის განვითარებას და მის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის ამაღლებას, მომავალშიც მოიპოვებს გამოხმაურებასა და თანადგომას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა მეზღვაურს ვულოცავ მეზღვაურთა საერთაშორისო დღეს. ზურგის ქარსა და ახალი მიღწევებისაკენ დაუღალავ სვლას ვუსურვებ მათ!

პარმენ ხვედელიძე,
ბათუმის ნავიგაციის საწვავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
შორეული ნაოსნობის კაპიტანი

The maritime industry of Georgia plays a crucial role in the international economic relations of the country and its effectiveness largely depends on the development of the Europe-Asia Transport Corridor, which runs through Georgia.

As you know, Georgia's geographical location has turned Georgia into a geostrategic interest in the world. Creation of the new forms of economic relations create new requirements for the country's transport system. The task of the state importance is getting actual: in the new political, social and economic situation of the country, creation and formation of an efficient transport system, ensuring its development and establishment of management system further development process. Obviously, here it is of particular importance to solve the issues arising in the field of maritime transport, as the essential factor in the development of foreign trade-economic relations and significant factor of greater integration of Georgia into the world economy.

Accordingly, the fifth (anniversary) international scientific conference on maritime sector policy, trends and modern challenges dedicated to seafarers day will facilitate the formation of new, progressive ideas and further development of the marine sector. Development of this sector and creating an appropriate environment for its work is an integral part of the country's sustainable economic development.

I would like to express my gratitude to the higher education institutions and experts, scientists, to participate in such an important conference and for our support and assistance.

Also, I would like to thank the staff of the Batumi Navigation University and the partner universities of our University for organizing the conference.

Special thanks to the leadership of the Maritime Transport Agency for supporting the conference. We believe that projects that will facilitate the development of the marine sector in Georgia and increase its competitiveness and awareness, will also be responded and supported in the future.

I take the opportunity and congratulate to all seafarers on International Day of the Seafarer.

I wish them a safe navigation and tireless move to new achievements!

PARMEN KHVEDELIDZE,
Rector of Batumi Navigation Teaching University, Professor
Captain

ელექტრონულ საინფორმაციო სისტემათა როლი ნავიგაციის საშუალებათა განვითარებაში

პარმენ ხვედელიძე¹, ტრანსპორტის დოქტორი, პროფესორი.

შორეული ნაოსნობის კაპიტანი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: სტატიის მიზანია გაანალიზოს ელექტრონულ-კარტოგრაფიული საინფორმაციო-საინფორმაციო სისტემა (ეკნის) - ელექტრონული საინფორმაციო სისტემა ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნებს, ასევე ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმ პარამეტრებზე, რომ უზრუნველყოფს ნაოსნობის უსაფრთხოებას და იქცევა ტრადიციული ქალაქის რუკების ინიციატივად. კომპიუტერული სისტემა ასახავს ინფორმაციას ელექტრონული საინფორმაციო რუკებიდან, ახდენს მის ინტეგრირებას გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) მონაცემებთან, რადარების, გემების ავტომატური იდენტიფიკაციის (გაი) სისტემათა მონაცემებთან.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, ინფორმაცია, კარტოგრაფიული სისტემა, ნავიგაცია, ტექნოლოგიები.

THE ROLE OF ELECTRONIC INFORMATION SYSTEMS IN THE DEVELOPMENT OF NAVIGATION MEANS

Parmen Khvedelidze, Doctor of Transport, professor. master mariner
Batumi Navigation Teaching University

Abstract: The purpose of the paper is to analyze the electronic-cartographic navigation system (ECDS) -electronic navigation system based on information, which is in compliances with the International Maritime Organization, also the main focus is on those parameters that guarantee safety navigation and becomes a traditional paper charts initiative. The computer system reflects information from electronic navigation maps, makes its integration with the Global Positioning System (GPS) data, radars, ships with automatic data identification (AIS) systems.

Key words: Safety, information, cartography system, navigation, technologies.

თანამედროვე გემთნამყვანობას გააჩნია გემის მართვის პროცესის ავტომატიზაციის მაღალი დონე. ნავიგაციაში ახალი ტექნოლოგიების შექმნის სტიმულად იქცა, ერთი მხრივ, ელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის სწრაფი განვითარება, ხოლო მეორე მხრივ - ნაოსნობის უსაფრთხოების დონის გაზრდის, ადამიანთა სიცოცხლის, ძვირადღირებული ტვირთების, გარემოს დაცვის სასიცოცხლო აუცილებლობა. ქალაქის საზღვაო საინფორმაციო რუკა, შტურმანის ფარგალი, ტრანსპორტირი, პარალელური სახაზავი გადადიან ძირითადის კატეგორიიდან მეორეხარისხოვანში, სათადარიგოში.

თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების მთავარი მიღწევა გახდა თანამედროვე გემის ელექტრონული ცნობარის - ელექტრონულ-კარტოგრაფიული საინფორმაციო საინფორმაციო სისტემის ეკნის-ის შექმნა (ECDIS – Electronic Chart Display and Information System). ეკნის

¹ rector@bntu.edu.ge

ახორციელებს რუკებისა და გემის ადგილის ასახვას, იძლევა მოძრაობის ტრასის გავლებისა და დასახული მარშრუტიდან გადახრების კონტროლის საშუალებას, ახორციელებს უსაფრთხო კურსების გამოთვლას, გემთმესაჭის გაფრთხილებას საფრთხის შესახებ, გემის ჟურნალის წარმართვას, ავტომესაჭის მართვას და ა.შ.

გემთნამყვანობა ავტომატიზაციის პროცესის დასაწყისი გახდა ანალოგური ავტომატიზებული სისტემების შექმნა, რომელთა დიდი ზომები ართულებდა მათ ექსპლუატაციას, და მაშასადამე, აქვეითებდა გემთმესაჭის მუშაობის ეფექტიანობას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მოხდა უზარმაზარი ცვლილებები ავტომატიზაციის სისტემათა შექმნისადმი მიდგომაში, შემუშავდა პრინციპულად ახალი ტექნოლოგიის ელექტრონული საინფორმაციო სისტემები, რომლებიც საშუალებას იძლევა, მკვეთრად შემცირდეს აღჭურვილობის დამზადების შრომატევადობა, მნიშვნელოვნად შემცირდეს მისი ღირებულება, მოხმარებული ენერჯია და გაბარიტები. გარდა ამისა, საგრძნობლად მცირდება სისტემათა ექსპლუატაცია და იზრდება მათი საიმედოობა.

ამგვარი ელექტრონული საინფორმაციო სისტემის მაგალითი არის ECDIS – ელექტრონული კარტოგრაფიული სანავიგაციო საინფორმაციო სისტემები.

ეკნის არის ნავიგაციაში ინფორმაციის მეტად ეფექტიანი საშუალება, რომელიც საგრძნობლად ამცირებს დატვირთვას ვახტის თანამემწეზე და საშუალებას იძლევა, დროის მაქსიმუმი დაეთმოს გარე ვითარებაზე დაკვირვებასა და გემის მართვის დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებას.


მიღებულია არსებულ კარტოგრაფიულ სისტემათა მთელი მრავალფეროვნების დაყოფა სამ ჯგუფად:

ECDIS – ელექტრონული კარტოგრაფიული სანავიგაციო საინფორმაციო სისტემები;

ECS – ელექტრონული კარტოგრაფიული სისტემები;

RCDS – რასტრული კარტოგრაფიული დისპლეინი სისტემები.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია ოფიციალურად ცნობს მხოლოდ ECDIS-ს.



ნახ. 1. ელექტრონული კარტოგრაფიული სანავიგაციო საინფორმაციო სისტემა (ECDIS)

იგულისხმება, რომ იურიდიული თვალსაზრისით ECDIS არის თანამედროვე ქალაქის სანავიგაციო რუკების ეკვივალენტი SOLAS კონვენციის V/20 წესის მოთხოვნათა ფარგლებში.

ECDIS-ის საინფორმაციო ხასიათი ნიშნავს მის უნარს, წარმოუდგინოს გემთმესაჭის მისი მოთხოვნისამებრ მახასიათებლებსა და პარამეტრებს კარტოგრაფიული ობიექტების თაობაზე, როგორი-

ცაა ორიენტირები, საფრთხეები, საშიში იზობატები, ნაოსნობისათვის აკრძალული და შეზღუდული რაიონები, აგრეთვე მონაცემებს გემის მოძრაობის მთელ მარშრუტზე ნაოსნობის პირობების შესახებ და ა.შ.

სანავიგაციო ხასიათი განისაზღვრება როგორც ECDIS-ის ტრადიციული ამოცანებით (წინასწარი და აღსასრულებელი გავლება, მიმდინარე ადგილის კორექცია), ისე ახალი ამოცანებით - ნაოსნობის სანავიგაციო უსაფრთხოების შემოწმება, ელექტრონული რუკების კორექტურა, წინასწარი სიგნალიზაციის მიწოდების ორგანიზება და ა.შ.

ECDIS დისპლეის ეკრანზე ასახავს საზღვაო რუკის ზუსტ კარტოგრაფიულ მონაცემებს რეალურ დროში, ე.ი. შ, შ-ისაგან მიღებულ გემის მიმდინარე ადგილთან შეხამებაში. სისტემა ამუშავებს და წარმოადგენს ინფორმაციას სხვა სანავიგაციო გადამწოდებისგანაც, მაგალითად, გიროკომპასის, ლაგის, ექოლოტის, რადიოლოკაციური სადგურის (რლს), ავტომატიზებული რადიოლოკაციური გავლების სისტემის (არგს) მეშვეობით.

ელექტრონული კარტოგრაფიული სანავიგაციო საინფორმაციო სისტემები განკუთვნილია შემდეგი სანავიგაციო ამოცანების გადასაჭრელად:

- მონაცემთა გამოყვანა გემის ადგილმდებარეობის მიმღები ინდიკატორებიდან, აგრეთვე ლაგიდან და გიროკომპასიდან ელექტრონულ რუკაზე და აღსასრულებელი გავლების განუწყვეტელი წარმოება;
- გავლილი გზის ტრაექტორიის ჩანერა;
- გემის ელექტრონული ჟურნალის წარმოება და მის მონაცემთა გამოყვანა ამოსაბეჭდად;
- გემის სვლის ტრაექტორიის გამოსახულებისა და ნებისმიერი რეისის გემის ჟურნალის ჩანაწერების აღდგენა;
- მომავალი რეისის წინასწარი ელექტრონული გავლების შედგენა სიჩქარის, მანძილების, ნაოსნობის დროის გაანგარიშების ჩატარებით;
- ასახული კარტოგრაფიული ინფორმაციის შემადგენლობის შერჩევითი მართვა;
- თვალის დევნება აღსასრულებელ ელექტრონული გავლებისა და მარშრუტზე გემის მოძრაობის პარამეტრებისათვის;
- რუკის ნებისმიერი ობიექტების გეოგრაფიული კოორდინატების, დისტანციებისა და პელენგების გაზომვა;
- სიგნალიზაცია სვლის მოსაზრუნებელ წერტილთან მიახლოების, გემის მოძრაობის დადგენილი პარამეტრებიდან გადახრისა და თავად სისტემის გაუმართავობის შესახებ;
- რუკის ასახვა მოხერხებულ მასშტაბში (მასშტაბირება) და ელექტრონული რუკის ჩასმა;
- ელექტრონული რუკის ასახვა „ჩრდილოეთი ზევით“ და „კურსი ზევით“ ორიენტაციის რეჟიმებში;
- დამატებითი საცნობარო ინფორმაციის მიღება კარტოგრაფიულ ობიექტებზე, სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებებზე, აგრეთვე ჰიდროგრაფიული და სხვა ცნობების მიღება ელექტრონული რუკის მონაცემთა ბაზიდან;
- საკუთარი გემის მოძრაობის მიმართ დაჭერილი უძრავი ობიექტების ადგილმდებარეობის ცვლილებაზე თვალის დევნების საშუალება;
- ეკრანზე რუკების გამოსახულების გამოყვანა სხვადასხვა ფორმატებში, მათ შორის ECDIS ფორმატში, რომელიც დამტკიცებულია საზღვაო საერთაშორისო ორგანიზაციის IMO (International Maritime Organization)-ის მიერ;
- ელექტრონული რუკების ავტომატური, ნახევრავტომატური და ხელით კორექტურა;
- ეკრანის ფერის შერჩევა კაპიტნის ჯიხურის სათავსის განათების მიხედვით;

- გემის ადგილმდებარეობის მყისიერი ჩანერა (ადამიანი ზღვაში);
- არგს/რლს-ზე დაჭერილი მიზნების ასახვა ელექტრონულ რუკაზე;
- მიზნების ტრეკტორიების ჩანერა (არქივაცია) დისკზე და მათი ასახვის შესაძლებლობა საკუთარი გემის შესაბამის ტრეკტორიასთან და გემის ჟურნალის ჩანანერებთან ერთად.

ECDIS-ის უნიკალური ფუნქცია, რომელიც არ გააჩნია არც ქალაქის რუკებს, არც ნავიგაციის რომელიმე სხვა ტექნიკურ საშუალებას, მდგომარეობს გემთმესაჭის ავტომატურ გაფრთხილებაში საშიში კურსის შესახებ და უსაფრთხო საკურსო სექტორების გამოთვლაში ვექტორული ელექტრონული რუკების მონაცემთა ბაზის მუდმივი დამუშავების საფუძველზე.

რედაქტირებული მარშრუტის შექმნისა და დისკზე შენახვის შემდეგ სასურველია მისი შემოწმება შეცდომათა დაშვების შესაძლებლობაზე კარტოგრაფიული სისტემის საშუალებებით.

ამგვარი პროცედურა დასაშვებია მხოლოდ ვექტორული რუკებისათვის, რომლებიც წარმოადგენს მონაცემთა ელექტრონულ ბაზას, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლია შემოწმების ჩაშენებულ რედაქტორს.

ძირითადი შემოწმება ხორციელდება საფრთხეების მოსაძებნად წინასწარ დაფიქსირებულ უსაფრთხო დერეფანში, ამიტომ ამ დერეფნის სიგანის განსაზღვრა მარშრუტის ყველა „მხარზე“ არის მნიშვნელოვანი პროცედურა.

მარშრუტის შემოწმებისას გემთმესაჭე უნდა დარწმუნდეს, რომ კარტოგრაფიული რედაქტორის მიერ დაფიქსირებული შესაძლო შეცდომები სინამდვილეში არ წარმოადგენს საფრთხეს.

რედაქტორმა შეიძლება გაფრთხილება მისცეს ყველა შესაძლო საფრთხეზე, საღუზე სადგომების ზონების გადაკვეთის, პორტის საზღვრების გადაკვეთის ხაზების და ა.შ. ჩათვლით, რომლებიც შეიძლება აღიქმებოდეს ნაოსნობისათვის საფრთხის შემცველად, და შესაბამისად, მხოლოდ გაანალიზდეს და ცნობად იქნას მიღებული.

ამ დროს ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს საშიში სიღრმეების, ცალკე განლაგებული საფრთხეებისა და საშიში იზობატების შესაძლო გამოტოვებას, რომელთა მნიშვნელობებიც წარმოდგენილია წინასწარ.

ზოგიერთი კარტოგრაფიული სისტემა იძლევა უსაფრთხოებაზე მარშრუტის შემოწმების საშუალებას მისი გავლების პროცესში.

ნაოსნობის უსაფრთხოების დონის, გემთმძღოლობის ეფექტიანობის ასამაღლებლად თანამედროვე გემის სანავიგაციო კომპლექსში ჩართულია ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა (აის), რომელიც გამოიყენება გემების, მათი გაბარიტების, კურსისა და სხვა მონაცემთა საიდენტიფიკაციოდ უმტ დიაპაზონის რადიოტალღების მეშვეობით.

ბოლო ხანს თავი იჩინა ტენდენციამ, აის განიმარტოს როგორც ავტომატური საინფორმაციო სისტემა, რაც დაკავშირებულია სისტემის ფუნქციურობის გაფართოებასთან გემთა იდენტიფიკაციის ორდინარულ ამოცანასთან შედარებით.

SOLAS კონვენციის 74/88-ის შესაბამისად აის სავალდებულოა 300 რეგისტრულ ტონაზე მეტი წყალწყვის გემებისათვის, რომლებიც ასრულებს საერთაშორისო რეისებს, 500 რეგისტრულ ტონაზე მეტი წყალწყვის გემებისათვის, რომლებიც არ ასრულებს საერთაშორისო რეისებს, და ყველა სამგზავრო გემისათვის. ნაკლები წყალწყვის გემები და იახტები შეიძლება აღიჭურვოს B კლასის ხელსაწყოთი.

დანიშნულება:

- როგორც „გემი-გემის“ რეჟიმში შეჯახებათა პრევენციის საშუალება;
- როგორც კომპეტენტური საზღვაო სამსახურების მიერ გემისა და ტვირთის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება;

- როგორც გემების მოძრაობის მართვის ცენტრის ინსტრუმენტი „გემი-ნაპირის“ რეჟიმში გემების მოძრაობის სამართავად;
- როგორც გემების მონიტორინგისა და თვალის დევნების საშუალება, აგრეთვე სამძებრო-სამაშველო ოპერაციებში (SAR).

აის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- უმტ გადამცემი;
- ერთი-ორი უმტ მიმღები;
- გლობალური თანამგზავრული ნავიგაციის მიმღები (მაგალითად, GPS, „გლონასი“), რუსეთისათვის „გლონასის“ მოდული აის ხელსაწყოში არის მკაცრად სავალდებულო, კოორდინატთა ძირითადი წყარო, GPS დამხმარეა და შეიძლება აღებული იქნას GPS მიმღებიდან NMEA პროტოკოლით;
- მოდულატორი/დემოდულატორი (ანალოგურ მონაცემთა ციფრულად და პირიქით გარდამქმნელი);
- კონტროლერი მიკროპროცესორის საფუძველზე;
- მართვის ელემენტებზე ინფორმაციის შეყვანა-გამოყვანის აღჭურვილობა.

აის მოქმედება დაფუძნებულია უმტ ტალღებით შეტყობინებათა მიღება-გადაცემაზე. აის გადამცემი მუშაობს უფრო გრძელ ტალღებზე, ვიდრე რადარები, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა არა მხოლოდ პირდაპირ მანძილებზე, არამედ ისეთ მიდამოშიც, სადაც არის დაბრკოლებები არცთუ დიდი ზომის ობიექტების სახით, აგრეთვე ცუდი ამინდის პირობებში. თუმცა საკმარისია ერთი რადიოარხი, ზოგიერთი ზოგიერთი აის გადასცემს და მიიღებს ორი არხით იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ინტერფერენციის პრობლემები და არ დაარღვიოს სხვა ობიექტთა კომუნიკაცია. აის შეტყობინებები შეიძლება შეიცავდეს:

- საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ობიექტის შესახებ;
- ინფორმაციას ობიექტის შესახებ, რომელიც მიიღება ავტომატურად ობიექტის მართვის ელემენტებიდან (მათ შორის ზოგიერთი ელექტრორადიოსანავიგაციო ხელსაწყოდან);
- ინფორმაციას გეოგრაფიული და დროითი კოორდინატების შესახებ, რომლებსაც აის იღებს გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემიდან;
- ინფორმაციას, რომელიც ხელით შეჰყავს ობიექტის მომსახურე პერსონალს (დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან).

გათვალისწინებულია დამატებითი ტექსტური ინფორმაციის გადაცემა აის ტერმინალებს შორის (ფეიჯინგი). ამგვარი ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია როგორც მოქმედების რადიუსში ყველა ტერმინალის მისამართით, ისე ერთ განსაზღვრულ ტერმინალზე.

აის უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად რადიოკავშირგაბმულობის საერთაშორისო რეგლამენტში აის მიზნებისათვის გამოსაყენებლად მიმაგრებულია ორი არხი: AIS-1 (87B – 161,975 მჰც) და AIS-2 (88B – 162,025 მჰც), რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ყველგან, გარდა განსაკუთრებული სიხშირული რეგულირების მქონე რეგიონებისა.

აის არხში ციფრული ინფორმაციის გადაცემის სიჩქარედ არჩეულია 9600 ბიტ/წმ.

აის ყოველი სადგურის (მობილურისა თუ საბაზოსი) მუშაობა მკაცრად სინქრონიზებულია UTC დროით არაუმეტეს 10 მკნმ ცდომილებით გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემის ჩაშენებული მიმღებიდან (რფ-ში გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემის „გლონას“/GPS-ის კომბინირებული მიმღების სიგნალით). ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება 1 ნთ ხანგრძლივობის უწყვეტად გამეორებადი კადრები, რომლებიც იძლევა 26,67 მწმ ხანგრძლივობის 2250 სლოტად (დროით ინტერვალად).

ტექსტისათვის გამოიყენება 6-ბიტისანი კოდები ASCII.

გარემო ვითარების შესახებ ინფორმაციის ასახვა თანამედროვე აის-ებში შესაძლებელია 2 რეჟიმში: როგორც ტექსტურში ცხრილის სახით, გვერდიგვერდ განლაგებული გემებისა და მათ მონაცემთა ჩამონათვალით, ისე გამარტივებული სქემატური რუკის სახით, გემების ურთიერთგანლაგებისა და მათამდე მანძილების გამოსახვით (გაანგარიშდება ავტომატურად მათ მიერ გადაცემული გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით). აის შედის იმ აღჭურვილობის ჩამონათვალში, რომელიც სავალდებულო წესით უზრუნველყოფილია აკუმულატორებიდან უწყვეტი კვებით.

სტატიკური ინფორმაცია:

- MMSI ნომერი;
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ნომერი;
- მოცურავე საშუალების რადიოსადახისი და სახელწოდება;
- გაბარიტები;
- მოცურავე საშუალების ტიპი;
- მონაცემები ანტენის ადგილის შესახებ (გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემის „გლონას“-ის ან GPS-ისაგან);
- მონაცემები გადაიცემა ყოველ 6 წუთს.

დინამიკური ინფორმაცია:

- ადგილმდებარეობა (განედი და გრძედი);
- დრო (UTC);
- ინფორმაციის ხანდაზმულობა (რამდენად დიდი ხნის წინ განახლდა);
- ჭეშმარიტი კურსი (გრუნტის მიმართ), კურსის კუთხე;
- ჭეშმარიტი სიჩქარე;
- დაგვერდების, დიფერენტის კუთხე;
- სიგრძივი რყევის კუთხე;
- შებრუნების კუთხური სიჩქარე;
- სანავიგაციო სტატუსი (მაგალითად: „მოკლებული ვარ მართვის შესაძლებლობას“ ანდა „შეზღუდული ვარ მანევრის შესაძლებლობაში“)

და სხვა ინფორმაცია ელექტრორადიოსანავიგაციო ხელსაწყოებისა და სისტემების რეპიტერებიდან და გადამწოდებიდან.

სარეისო ინფორმაცია:

- დანიშნულების პუნქტი;
- ჩასვლის დრო (ETA);
- გემის წყალშიგი;
- ინფორმაცია ტვირთის შესახებ (ტვირთის კლასი/კატეგორია);
- გემზე ადამიანთა რაოდენობა;
- შეტყობინებები ტვირთგადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რისკის პრევენციისათვის.

თითოეული არხის გამტარუნარიანობა - წუთში 2000 შეტყობინებამდე.

გემების ნავიგაცია როგორც გემთმძღოლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი რეგულირდება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის IMO-ს მიერ გამოშვებული დოკუმენტებით და სანაოსნოს საზღვაო ადმინისტრაციის გამოცემული წესებით. მრეწველობის მიერ გამოშვებული ნავიგაციის ძირითადი ტექნიკური საშუალებები სერტიფიცირებული უნდა იყოს შესაბამისობაზე IMO-ს მიერ

მონონებული საექსპლუატაციო სტანდარტებისადმი და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) მიერ შემუშავებული ტექნიკური სტანდარტებისადმი. კონტროლი საერთაშორისო და ეროვნული წესების დაცვაზე, გემის კომპლექტაციის ჩათვლით, ხორციელდება პორტების საზღვაო ადმინისტრაციათა მიერ. საერთაშორისო საორგანიზაციო და საკანონმდებლო მხარდაჭერა არის ნაოსნობის თანამედროვე ტექნოლოგიის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის მიზანიც ზედმინვენით მკაფიოდ არის ასახული მისი ფუძემდებლური დოკუმენტის სახელწოდებაში - კონვენცია SOLAS (Safety Of Life At Sea).

ამრიგად, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები სრულად შეესაბამება ნაოსნობის უსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნებს და არის ნავიგაციაში ინფორმაციის მეტად ეფექტიანი საშუალება, რომელიც საგრძნობლად ამცირებს დატვირთვას ვახტის თანაშემწეზე და იძლევა საშუალებას, მაქსიმალური დრო დაეთმოს გარემო ვითარებაზე დაკვირვებასა და გემის სამართავად ეფექტიანი გადაწყვეტილებების შემუშავებას.

ბიბლიოგრაფია

1. **Вагущенко, Л.Л.** Судовые навигационно-информационные системы / Л.Л. Вагущенко. – Одесса: Феникс, 2004. – 302 с.
2. **Вагущенко, Л.П.,** Электронные системы отображения навигационных карт / Л.П. Вагущенко, В.А. Данцевич, А.А. Кошевой. – Одесса: ОГМА, 1997. – 49 с.
3. **Гагарский, Д.А.** Электронная картография: Краткий курс лекций / Д.А. Гагарский. – СПб.: ГМА им. адм. С.О. Макарова, 2003. – 48 с.
4. **Каретников, В.В.** Автоматизация судовождения / В.В. Каретников, В.Д. Ракитин, А.А. Сикарев – СПб.: СПГУВК, 2007. – 265 с.
5. **Коростелев, И.Ф.** Электронная картографическая навигационная система: учеб. пособие / И.Ф. Коростелев. – Владивосток: Дальрыбвтуз, 2000. – 122 с.
6. **Лобастов, В.М.** Использование электронных картографических систем в судовождении: учеб. пособие / В.М. Лобастов. – Владивосток: ДВГМА, 1999. – 78 с.
7. **Родионов, А.И.** Автоматизация судовождения / А.И. Родионов, А.Е. Сазонов. – М.: Транспорт, 1992. – 192 с.
8. **Солодянкин, А.Н.** dKart Navigator: структура и эксплуатация / А.Н. Солодянкин. – Владивосток: Дальрыбвтуз, 2007. – 72 с.
9. **dKart Navigator.** Руководство пользователя. – СПб.: ООО «Моринтех», 2003. – 227 с.

ტროპიკული ციკლონებისათვის გვერდის აქცევის მეთოდები

ბადრი ბერიძე, ასოცირებული პროფესორი; **ანზორ შარაშიძე**, ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

აბსტრაქტი. თანამედროვე ზღვაოსნობაში, კომპიუტერიზაციისა და ნაოსნობის უსაფრთხოების ინფორმაციის მაქსიმალურად მიღებისა და გამოყენების მიუხედავად, მეზღვაურები ხშირად უგულვებელყოფენ საზღვაო პრაქტიკის წესებს, კერძოდ, საზღვაო მარშრუტზე აღმოცენებული ციკლონების თავიდან აცილების გზებსა და მეთოდებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტროპიკული ციკლონებისათვის გვერდის აქცევის მეთოდი და აუცილებლობა. თემის აქტუალობას განაპირობებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის აუცილებლობა ტროპიკული ციკლონების მეოთხედებში. ჩვენი მიზანია, უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, გავამახვილოთ ყურადღება ციკლონების მიერ შექმნილ საშიშროებებზე, რომლებსაც, ხშირად, ფატალურ შედეგებამდე მივყავართ.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფერული წნევა, ქარი, ტროპიკული ციკლონი, ტალღა, მანევრირება.

BYPASSING METHODS FOR TROPICAL CICLONES

Badri Beridze, Associate professor; **Anzor Sharashidze**, Assistant professor
Batumi high maritime engineering school Anri

Abstract. In modern maritime, despite of computerization and navigational safety information, the sailors often ignore marine practice rules, for example methods to avoid cyclones emerging on the maritime route. In this article there is discussed Bypassing methods for tropical cyclones The relevance of the topic is to ensure safe navigation in the tropical cyclones quarters. Our goal is to increase the safety level, focusing on the threats created by cyclones, which often lead to fatal outcomes.

Key words: Atmosphere pressure, wind, tropical cyclones, wave , maneuver

თანამედროვე ზღვაოსნობაში, კომპიუტერიზაციისა და ნაოსნობის უსაფრთხოების ინფორმაციის მაქსიმალურად მიღებისა და გამოყენების მიუხედავად, მეზღვაურები ხშირად უგულვებელყოფენ საზღვაო პრაქტიკის წესებს, კერძოდ, საზღვაო მარშრუტზე აღმოცენებული ციკლონების თავიდან აცილების გზებსა და მეთოდებს.

საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის მიხედვით, ქარი ეწოდება ჰაერის მოძრაობას მაღალი წნევის რაიონიდან დაბალი წნევის რაიონში. ქარის სიჩქარე იზომება ატმოსფერული წნევების სხვაობით. ქარის ზემოქმედება მუდმივად უნდა გავითვალისწინოთ, რადგან, ის იწვევს გემის დრეიფს, შტორმულ ტალღებს და ა.შ.

იმის გამო, რომ დედამიწის ზედაპირი თბება არათანაბრად, არსებობს ატმოსფერული დინებების სისტემა პლანეტარული მასშტაბით (ატმოსფეროს საერთო ცირკულაცია). ჰაერის მასები შედგება ცალკეული ქარბორბალებისაგან არათანაბრად გადაადგილებად სივრცეებში, ამიტომ, ქარის სიჩქარე გაზომილი ნებისმიერ წერტილში მუდმივად იცვლება დროში. ქარის სიჩქარის ყველაზე დიდი რყევა ხდება წყლის ზედაპირზე. განსაზღვრულია ქარის საშუალო სტანდარტული სიმაღლე - 10 მ. წყლის ზედაპირიდან. ქარის სიჩქარე გამოისახება მ/წმ-ში, ხოლო ძალა - ბალებში. მათი ურთიერთ-

მიმართება ისაღვრება ბოფორტის ცხრილით. ამ ცხრილში მოცემულია ქარის სიჩქარე და ზღვის მდგომარეობა 0 მ/წმ-დან 32,7 მ/წმ-დე (ქარიშხალამდე) ასევე განსაზღვრულია ქარის მოქმედება და ზღვის მდგომარეობა.

ციკლონი არის ატმოსფერული ქარბორბალა დიდი (ასიდან რამოდენიმე ათას კილომეტრამდე) დიამეტრით, ცენტრში დაბალი ატმოსფერული წნევით. ციკლონში ჰაერი ცირკულირებს საათის ისრის საწინააღმდეგოდ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და საათის ისრის მიმართულებით სამხრეთ ნახევარსფეროში.



განასხვავებენ ციკლონების ორ ტიპს - არატროპიკულებს და ტროპიკულებს, პირველი ყალიბდება პოლარულ და შუალედურ განედებში; მისი დიამეტრი განვითარების პროცესში იწყება 1000 კმ-დან და აღწევს რამოდენიმე ათას კილომეტრს ეგრეთწოდებულ ცენტრალურ ციკლონად ჩამოყალიბებამდე.

ტროპიკული ციკლონი წარმოიქმნება ტროპიკულ განედებში, ეს არის ატმოსფერული ქარბორბალა ცენტრში დაბალი ატმოსფერული წნევით და შტორმული ქარებით. ჩამოყალიბებული ტროპიკული ციკლონი მოძრაობს ჰაერის მასებთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ამასთან, ის თანდათან გადაიხრება მაღალი განედებისაკენ. ასეთი ციკლონებისათვის დამახასიათებელია ეგრეთწოდებული „ციკლონის თვალი“ - ცენტრალური ნაწილი დიამეტრით 20-30 კმ., უღრუბლო და უქარო ამონდით. მსოფლიოში ყოველწლიურად, მიახლოებით, 80-მდე ტროპიკული ციკლონი წარმოიქმნება.

შორეულ აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტროპიკულ ციკლონებს ტაიფუნს ეძახიან (ჩინურიდან „ტაი ფინ“ - დიდი ქარი), ხოლო ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში ურაგანს (ესპანურიდან „ჰურაგან“ ინდური ქარის ღმერთი). მიღებულია, რომ შტორმი გადადის ურაგანში როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 120 კმ/სთ, როცა მისი სიჩქარე აღემატება 180 კმ/სთ-ში, მას ეწოდება ძლიერი ურაგანი.

ზღვის ზედაპირი იშვიათადაა წყნარი, ის, უმეტეს წილად, დაფარულია ტალღებით, ტალღების წარმოქმნის ძირითადი მიზეზია ქარი. ტალღები ხასიათდება ფორმით, ზომით, პერიოდული რყევებით და გავრცელების სიჩქარით.

ოკეანეებში ქარიდან წარმოქმნილი ტალღები საშუალოდ აღწევს 150 მ.-მდე სიგრძეს და 7-8 მ.-მდე სიმაღლეს პერიოდულობით 8-10 წმ. მაქსიმალური საოკეანო ტალღები აღწევს 18-25 მ. სიმაღლეს, ხოლო სიგრძე - 400 მ.

ტროპიკული ციკლონის მოძრაობის გზაზე აღმოჩენისას, გემმა უნდა განახორციელოს სვლა ციკლონის ცენტრიდან და მისი საშიში მეოთხედიდან რაც შეიძლება დიდ მანძილზე.

ჩრდილო ნახევარსფეროში ყველაზე საშიშად ითვლება მარჯვენა წინა მეოთხედი ტროპიკული ციკლონისა, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში - მარცხენა წინა მეოთხედი, იმიტომ რომ ამ მეოთხედებში ქარი ადრეიფებს გემს ტროპიკული ციკლონის ცენტრისაკენ და მისი გადაადგილების მიმართულებით.


არსებობს ტროპიკული ციკლონის ცენტრის მდებარეობის, მიმართულების, მისი მოძრაობისა და მეოთხედის გამოცნობის შემდეგი წესები:

1. ქარისაკენ ზურგით დადგომის შემთხვევაში, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ტროპიკული ციკლონის ცენტრი იქნება მიახლოებით 60 გრადუსით მარცხნივ, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში - მარჯვნივ იმ მიმართულებით, საითაც უბერავს ქარი. ციკლონის ცენტრთან მიახლოებისას ეს კუთხე იზრდება 90 გრადუსამდე და მეტად.
2. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გემი იმყოფება ყველაზე საშიშ მეოთხედში, როდესაც ატმოსფერული წნევის დაცემისას ქარი იცვლის მიმართულებას საათის ისრის მიმართულებით. სამხრეთ ნახევარსფეროში გემი იმყოფება საშიშ მეოთხედში, თუ წნევის დაცემის შემთხვევაში, ქარი იცვლის მიმართულებას საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.
3. თუ ქარის მიმართულება არ იცვლება, ხოლო სიმძლავრე იზრდება, ეს ნიშნავს რომ, გემი მიემართება მოახლოებული ტროპიკული ციკლონის ცენტრისკენ.
4. თუ ატმოსფერული წნევა იწევს ზემოთ, ეს ნიშნავს რომ ციკლონის ცენტრმა გადაიარა. თუკი, ამასთან ერთად, ქარი იცვლის მიმართულებას საათის ისრის მიმართულებით, მაშინ ჩრდილო ნახევარსფეროში გემი იმყოფება მარჯვენა, ხოლო სამხრეთში - მარცხენა უკანა მეოთხედებში. თუ ქარი იცვლის მიმართულებას საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გემი იმყოფება მარცხენა, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში - მარჯვენა უკანა მეოთხედში.

ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან, ტროპიკულ ციკლონებში ჰიდრომეტეოროლოგიური ელემენტების მონაცემების გაზომვები და მათი ცვლილებების დაკვირვებები გაძნელებულია, ამიტომ, თუკი არ ხერხდება მეოთხედის დადგენა, რომელშიც იმყოფება გემი, მაშინ უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ გემი იმყოფება საშიშ მეოთხედში. ამ შემთხვევაში, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში რეკომენდებულია შევცვალოთ კურსი ისე, რომ ქარი უბერავდეს ცხვირის კურსებიდან მარჯვენა ბორტით, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში - მარცხენა ბორტით. თუკი შემდგომი დაზუსტებები აჩვენებს, რომ გემი იმყოფება ციკლონის მარცხენა წინა ნაწილში, მაშინ საკურსო ქარის კუთხეები უნდა გავზარდოთ კიჩოს მიმართულებით. ჩვეულებრივ, ინფორმაცია ციკლონის წარმოქმნასა და მოძრაობაზე სისტემატურად გადმოიცემა რადიოთი. ასეთი ცნობების გადმოცემისას, სასურველია, ცვლილებებსა და გადაადგილების ტრაექტორიას დავაკვირდეთ რუკის გამოყენებით.


რუკაზე რეკომენდებულია ავლნიშნოთ ციკლონის ცენტრი და სექტორი, რომლის მიმართულებითაც გადაადგილდება ციკლონი. ასეთი სექტორის აგებისათვის ციკლონის ცენტრიდან უნდა გავავლოთ 40 გრადუსიანი ხაზი მისი მოძრაობის მიმართულებით. მიმართულების ყოველ კუთხეს ამ მიმართულებისაგან ეს ხაზები უნდა იყოს სიგრძით ტოლი სავარაუდო გავლილ მანძილის 24საათის განმავლობაში და უნდა ველოდოთ რომ 24საათის განმავლობაში ტროპიკული ციკლონის ცენტრი მოხდება მოცემული სექტორის ფარგლებში.

თუკი, გარკვეული დროის განმავლობაში, მოგვანვდიან ინფორმაციას ციკლონის ცენტრის ახალ ადგილმდებარეობის შესახებ, აუცილებელია, თავიდან ავაგოთ სექტორი, შევიყვანოთ ცვლილებები და მივიღოთ შესაბამისი ზომები.



გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ციკლონის ცენტრთან მიმართებაში

ციკლონის ცენტრის მოძრაობის მიმართულება განისაზღვრება მონაკვეთის მიხედვით, რომელიც აერთებს ცენტრს ბოლო უკანასკნელ სექტორთან, აუცილებელია ციკლონის ცვლილებებისა და ტრექტორიის კონტროლი იმ შემთხვევებში, როდესაც გემი იმყოფება ციკლონის მიმართულების რაიონში (როდესაც ციკლონი იცვლის კურსს). ქვემოთ ნახაზზე მოყვანილია მანევრირების სქემა გემისათვის ტროპიკულ ციკლონთან ახლოს, ჩრდილოეთ ნახევარ სფეროში.



შემთხვევა 1.

Executing the analysis of all aspects of the considered question, the leadership of the Admiral Makarov National University of Shipbuilding in the beginning of 2013year began the activity concerning the implementation of the own system of the educational services quality management ,in accordance with the requirements of the international standard ISO 9001: 2008 and the national standard SSTC ISO 9001:2009.The result of the realization of the created program of the quality standard NUS «System of the quality management.», Instruction on the quality, and other standards approval. The next stage of the realization of the quality management systems became the procedure of the certification, taking into account the shipbuilding specific of NUS activity. The choice has been made and it was the world leader of the certification authorities «Bureau Veritas Certification».In Decemner, 2014 the certification audit of NUS has been executed by this company. The result of it became the allowance to NUS two certificates, of the state and the international samples for the accordance with the requirements of ISO 9001:2008 and SSTC ISO 9001:2009 of the system of the university quality management. In the end of 2015 and 2016 the reviewing audit have been passed successfully. It allowed NUS to complete successfully the first stage of the certification of the quality management systems. In 2017 the university has passed successfully the certification audit

for accordance with the requirements of the new edition of the standard ISO 9001: 2015. In 2018 the university has passed successfully the first reviewing audit. The validation of the certificates has been prolonged.

Taking into account the four-year experience of the authors in the development of the system of the universities quality management in accordance with the requirements of the international standard ISO 9001, we can introduce the specified criterion of the assessment of the implemented system on the scheme «the advantages - the peculiarities – the disadvantages».

1. The advantages of the quality management systems built in accordance with the requirements of the standards ISO 9001:2015 and SSTC ISO 9001:2015:
 - the used and efficient method of the implementation of the quality management systems has been tested by time and the world experience;
 - the use of the quality management systems in the university, the specified requirements will provide the compliance of the educational legislative (it is not clear that the criterion of the assessment of the system of NAHEQA use will be different from SSTC);
 - the accordance to the European and national standards of quality of the higher education (the creation of the good conditions for entering into the world market of the educational and scientific services);
 - the support of the autonomy of the university, which is responsible for the support of the quality of the educational activity and the quality of the higher education;
 - the creation of the system approach , which identifies the management of quality at all stages of the educational process, the coordination of the efforts of all subdivisions for the achievement of the specified purpose, the improvement of the management due to the use of the process approach with the delegation of some part of functions of control to the university subdivision;
 - to invite the students , the employers and other interested sides to the process of the quality support and the openness of the information at all stages of it support.
2. Among the peculiarities we should mark the procedure of the certification. It can be executed in accordance with the requirements of ISO 9001:2015. The process is difficult, financial cost (we remind that today it is not compulsory), but it is clear that the procedure of the certification has great advantages , specified above.
3. The most difficult part of the implementation of the quality management systems into action, can be determined as its main disadvantage – it is resource cost (especially financial, that is very important in the modern conditions), the efficiency can not always be introduced in the view of the concrete, measured result (the economical efficiency, see point «the advantages»), the system is difficult and its implementation requires the great time and the understanding of the staff and its appropriate training. That's why at the initial stages of the implementation it is required the special attention of the leadership of the university.

The best experience of the leading world enterprises shows that during design and implementation of QMS, quality management systems appear many different problems, which in the most cases are just psychological , because they appear mainly during work with the employees. These problems of QMS ,quality management systems implementation should be considered in the order of their appearance at the main stages of the system formation , i.e. during design of QMS, quality management systems, during preparation of the documentation and at the process of the implementation of the system in the process of production.

Besides, many employees of the establishment and the university can be disaffected by the implementation process because their additional retraining can be at this time. It is not good for many employees because the additional efforts and time should be applied by them without salary. Many employees consider the training on the standards ISO like usual formality and it leads to the insignificance.

One more problem is that the employees think that all responsibility for the implementation of QMS ,quality management system and its functioning should execute the quality control service which works at the company or another subdivision with such functions. That's why the developers have the problem of pessimism and misunderstanding of the staff , which appear at this stage and due to it the staff wishes don't execute the work. Among the problems of QMS, quality management systems functioning in the universities of Ukraine , we should mark the frequent changes in the legislation in the sphere of the education, concerning the rules of the licensing and the training of the foreign citizens. It increases greatly the risks and to make more difficult procedures on their processing and also reduces the possibilities of the Ukrainian universities at the global market of the educational services.

Conclusions, proposals, recommendations

Taking into account all introduced aspects, the authors of the article insist on the use in the universities of Ukraine the system of the internal support of the quality of the educational activity in accordance with the requirements of ISO 9001:2015 more efficiently, than the development of the own system , because at the saving of all specified and considered disadvantages of the process and its peculiarities the received advantages are reducing greatly, but in any case , the solution and the responsibility for this is in the competence of the leadership of the university. Among main problems of the functioning of QMS, quality management systems in the universities of Ukraine, the authors consider the frequent changes of the legislation in the sphere of the education ,in the part of the licensing and the training of the foreign citizens and the persons without citizenship.

BIBLIOGRAPHY

1. **N.Belousova** «Qualitative changes : readily and satisfyingly»// Management of the staff development 03(07)2006
2. **V. Bulachov** «Professional approach to the creation of the quality management system» // Management today 05(47)2008
3. **A. Gorbunov** «Practical management of quality» // Management today 05(41)2007
4. **Y. Moiseeva** «System of the quality management : main provosions» // Management today 01(31)2006
5. <http://zakon5.rada.gov.ua/laws/show/1556-18>
6. <http://www.iso.org/iso/ru/home/standards.htm>

ANAKLIA PORT: DEVELOPMENT AND PERSPECTIVES

Gela Gvarishvili ¹, Doctor of Political Sciences, Professor
Batumi Navigation Teaching University

Abstract: The existence of the transport corridor providing transport routes to Europe, the Caucasus and Asia, passing through the territory of Georgia is one of the largest projects of vital importance for Georgia and for geopolitical situation in the Caucasus. The development of such a corridor gives Georgia a real chance to become a strategically important state in the Eurasian space and effectively contributes to the successful social-economic development of the country.

Today, one of the major and significant projects in the framework of the development of the Georgian transport system is the construction of a deep-water port in Anaklia. The article describes the background, the main stages of development and prospects of this project.

Key words: Anaklia, Strategic highways, Transport logistics corridors, Silk Road.

ანაკლიის პორტი: განვითარება და პერსპექტივები

გელა გვარიშვილი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. ერთ-ერთი უმსხვილეს პროექტს, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია როგორც საქართველოსათვის, ისე კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის, წარმოადგენს სატრანსპორტო კორიდორი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ევროპის, კავკასიისა და აზიის სატრანსპორტო მაგისტრალებს. ამგვარი კორიდორის განვითარება აძლევს საქართველოს რეალურ შანსს, გადაიქცეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახელმწიფოდ ევრაზიულ სივრცეში და არსებითად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დღეისათვის, საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების ფარგლებში, ერთ-ერთ უმსხვილეს და უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის მშენებლობა. ნაშრომში განხილულია აღნიშნული მშენებლობის წანამძღვრები, განვითარების ძირითადი ეტაპები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ანაკლია, სტრატეგიული მაგისტრალები, სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კორიდორები, აბრეშუმის გზა.

ერთ-ერთი უმსხვილეს პროექტს, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია როგორც საქართველოსათვის, ისე კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის, წარმოადგენს სატრანსპორტო კორიდორი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ევროპის, კავკასიისა და აზიის სატრანსპორტო მაგისტრალებს. ამგვარი კორიდორის განვითარება, აძლევს საქართველოს რეალურ შანსს, გადაიქცეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახელმწიფოდ ევრაზიულ სივრცეში და არსებითად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ პრო-

¹ g.gvarishvili@bntu.edu.ge

ექტის რეალიზაციის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად იქცა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეთავაზება TRACECA-s (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც 1993 წელს ბრიუსელის კონფერენციაზე გაჟღერდა. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს სატრანსპორტო სისტემის, საკომუნიკაციო ქსელების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინტეგრირებას ანალოგიურ საერთაშორისო სისტემებში, ქართული და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემების ფიზიკური შესაძლებლობების ჰარმონიზაციას, სატრანსპორტო სექტორის საკანონმდებლო და საკონსტიტუციო სისტემების დახვეწას, კადრების მომზადებას, სატრანსპორტო ბიზნესისა და ინსტიტუციური მენეჯმენტის სრულყოფას.

აღნიშნული პროექტის რეალიზაციის ფარგლებში, ევროკომისიისა და TRACECA-ს პროექტში მონაწილე ქვეყნების აქტიური ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, დღეისათვის, განხორციელებულია მხარდაჭერის 64 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 115,8 მილიონ ევროს აღემატება.

TRACECA-სათან ერთად, საქართველო აქტიურად მონაწილეობს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ პროექტებში ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში (CAREC - Central Asia Regional Economic Cooperation), რომელსაც ის 2016 წლიდან შეუერთდა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC - Black Sea Economic Cooperation) პროექტებში.

ამჟამად, საქართველოში ხორციელდება რამდენიმე მსხვილი სატრანსპორტო პროექტი, ისეთი, როგორცაა საავტომობილო გზა „აღმოსავლეთი-დასავლეთი“, რომელიც დღე-ღამეში 50 ათას მანქანას მოემსახურება; რკინიგზის მოდერნიზება, რაც წლიურ გამტარიანობას არსებული 28 მილიონი ტონიდან ჯერ 48, ხოლო შემდგომ ეტაპებზე - 100 მილიონ ტონამდე გაზრდის; ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობას ქუთაისსა და თბილისში.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების ფარგლებში, ერთ-ერთ უმსხვილეს და უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომლის პროექტსაც 2016 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობამ და სპეციალურადაც ამ მიზნით შექმნილმა ქართულ-ამერიკულმა კომპანია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“.

დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაზე, საქართველოს იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მშენებლობას „საუკუნის პროექტი“ უწოდა. „ანაკლიის პორტის სტრატეგიული მდებარეობა, გამტარიანობა, განვითარებისა და გაფართოების პერსპექტივები შექმნიან რეალურ საფუძველს იმისთვის, რომ საქართველომ შეასრულოს თავისი ისტორიული მისია „ახალი აბრეშუმის გზის“ კორიდორში... ანაკლიის პორტი გადაიქცევა საქართველოს ახალ საზღვაო კარიბჭედ და რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად“, - დასძინა მან.

ანაკლიის პორტის მშენებლობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომლებიც, თავის მხრივ, 9 ფაზად იყოფა. უკვე მშენებლობის პირველ ფაზაში, კონსორციუმის მიერ გაღებული ინვესტიცია 580 მილიონ დოლარს შეადგენს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, მთლიანად, პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტის ღირებულება 2.5 მილიარდი დოლარია.

ახალი ღრმანწყლოვანი საზღვაო პორტი ტვირთის 7 მილიონი ტონის გამტარიანობით ამოქმედდება არაუგვიანეს 3 წლის ვადაში, მისი ინფრასტრუქტურა განლაგდება დაახლოებით 400 ჰექტარზე, ხოლო თავად პორტის სიღრმე 20,5 მეტრს შეადგენს. პროექტი ითვალისწინებს 12,3 ათას მეტრზე 32 ნავმისადგომის გამართვას. არსებული მონაცემებით, ანაკლიის პორტში 50-დან 150 ათასამდე ტონის ტვირთბიდვის გემები შეძლებენ შესვლას.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ - ანაკლიის პორტის მშენებელი კომპანიის მიერ წარდგენილი გენერალური გეგმა გათვლილია 50 წელზე და პორტის ეტაპობრივ განვითარებას გულისხმობს. პირველი ეტაპი 2020 წელს უნდა დასრულდეს.

პირველი ფაზა გულისხმობს კონტეინერების მიმღები ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და პორტისა და სანაპირო ზოლის კეთილმოწყობას. ამასთანავე, პარალელურად, დაგეგმილია საავტომობილო გზის, რკინიგზის ხაზისა და პორტის თანამშრომელთა საცხოვრებლის მოწყობა.

პირველი ფაზის განსახორციელებლად გამოყოფილი ინვესტიცია შეადგენს 568 მილიონ დოლარს. ამოქმედებული პორტის მუშაობის პირველ ეტაპზე დაგეგმილია ტვირთბრუნვის გაორმაგება, ხოლო სამი ეტაპის რეალიზების შემდეგ - ტვირთების დამუშავების სიდიდე წელიწადში 20 მილიონ ტონას მიაღწევს.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ უმნიშვნელოვანესი გადამწყვეტილება მიიღო ევროკავშირმა. ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ „ტრანს-ევროპული სატრანსპორტო კავშირის“ შესახებ დოკუმენტში, ანაკლიის პორტის განვითარების მეორე ეტაპის დაფინანსებისათვის მითითებულია თანხა 233 მილიონი ევროს ოდენობით. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ანაკლიის პორტამდე ავტო- და სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობა, რომელზედაც 100 მილიონი ევრო დაიხარჯება.

საკრედიტო ფინანსირება განხორციელდება ევროკავშირის ახალი პროექტის - „ტრანს-ევროპული სატრანსპორტო კავშირის“ ფარგლებში, რომელიც დააფინანსებს აღმოსავლეთ რეგიონის 6 ქვეყნის - უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავარ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ევროკომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ საინვესტიციო პაკეტში შედის:

- 4800 კმ. სიგრძის საგზაო მაგისტრალის მშენებლობა;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- 6 პორტის განვითარების პროექტის შექმნა;
- 11 ლოგისტიკური ცენტრის შექმნა.

პროექტი ორ ფაზას მოიცავს, მისი ერთი ნაწილი 2020 წლისათვის უნდა დასრულდეს, ხოლო მეორე - 2030 წელს. „ტრანს-ევროპული სატრანსპორტო კავშირის“ ფარგლებში საქართველოში დაგეგმილია 10-ზე მეტი პროექტის განხორციელება. მათი ერთი ნაწილი, ამჟამად, დაპროექტებისა და დაფინანსების დაგეგმარების სტადიაში იმყოფება.

რაც შეეხება ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის მშენებლობის მეორე ფაზას, მასზე გამოყოფილი თანხები შემდგენიარად ნაწილდება:

- სარკინიგზო მაგისტრალი ანაკლიის პორტამდე - 100 მლნ ევრო;
- ჩუმათელეთი-არგვეთის მაგისტრალის მშენებლობა - 1 მლრდ ევრო;
- გრიგოლეთი-ფოთის ხიდის მშენებლობა - 25 მლნ ევრო;
- გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალის მშენებლობა - 101 მლნ ევრო;
- ბათუმის შემოვლითი გზა - 115 მლნ ევრო;
- ქუთაისი აეროპორტის სატვირთო ტერმინალის მშენებლობა - 61 მლნ ევრო;
- რუსთავი-წითელი ხიდის მაგისტრალის მშენებლობა - 115 მლნ ევრო;
- ალგეთი-სადახლოს პროექტი - 90 მლნ ევრო;
- სადახლოს „მეგობრობის ხიდის“ მშენებლობა - 6 მლნ ევრო.

საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული პროექტები შემუშავებულ იქნა აღმოსავლეთ-პარტნიორობის ქვეყნებთან ერთად და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით.

სხენებული ინვესტიციები გულისხმობს როგორც ხანმოკლე, 2020 წლისათვის დასასრულებელი, ისე ხანგრძლივი, 2030 წლამდე განერილი პროექტების განხორციელებას.

ევროკომისიარის იოჰანეს ჰანის განაცხადებით, ტრანს-ევროპული სატრანსპორტო სისტემის საინვესტიციო სამოქმედო გეგმის დასრულება არის ერთობლივი ვალდებულება, რომელიც რეალურ შედეგს მოუტანს რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას.

ხაზგასასმელია, რომ ანაკლიის პორტის ფინანსირების პროცესში უკვე ჩართულია საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank for reconstruction and Development), გერმანიის ინვესტიციების კორპორაცია (DEG - Deutsche Investitions und Entwicklungsgesellschaft), ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია (FMO - Netherlands Development Finance Company), აზიის განვითარების ბანკი (ADB - Asian Development Bank) და სხვანი, რომელთა წარმომადგენლებიც, სამუშაო შეხვედრების მსვლელობაში იკვლევენ ახალ შესაძლებლობებსა და აზუსტებენ ამ პროექტში მონაწილეობის პირობებს.

დასკვნის სახით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლიის პორტს გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისა და უსაფრთხოებისათვის: ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის, დაბალი ბეგარის, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და საქართველოში ბიზნესის განხორციელებისათვის არსებული განსაკუთრებული გარემოს გათვალისწინებით, ის გადაიქცევა უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების კონტექსტში, წარმოქმნის სამუშაო ადგილების დიდ რაოდენობას, გაამყარებს საქართველოს როლს „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტში, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს უსაფრთხოების გაზრდისა და გამყარების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. «Грузия и Европа: Развитие связей грузинского государства с европейскими странами и международными организациями» Гела Гваришвили Дипломатическая академия МИД РФ, 1999 г.
2. About the Anaklia deep sea port project <http://anakliadevelopment.com/>
3. The Importance of the Anaklia Deep Sea Port to Georgia's Future <http://georgiatoday.ge/news/14521/The-Importance-of-the-Anaklia-Deep-Sea-Port-to-Georgia%E2%80%99s-Future>
4. Азиатский банк развития поможет Грузии изучить возможности проекта Анаклиа <https://regnum.ru/news/2482304.html>
5. Евросоюз принял решение о финансировании порта Анаклиа на сумму €233 млн <http://forbes.ge/news/5537/%D0%95v-rosojuz-prinjal-reshenie-o-finansirovanii-porta-%D0%90naklija-na-summu-v-%E2%82%AC233-mln>
6. Премьер Грузии: порт Анаклиа станет частью Шелкового пути <https://sputnik-georgia.ru/economy/20170420/235680800/Premier-Gruzii-port-Anaklija-stanet-chastju-Shelkovogo-puti.html>
7. EU Committed to Finance the Construction of Anaklia Port http://www.messenger.com.ge/issues/4313_january_17_2019/4313_econ_anaklia.html
8. Shrinking the Black Sea <https://www.economist.com/europe/2019/02/16/shrinking-the-black-sea>
9. Georgia seeks to become a sustainable maritime hub <https://emerging-europe.com/business/georgia-seeks-to-become-a-sustainable-maritime-hub/>

მენეჯმენტის როლი ჯანდაცვაში ფინანსური რესურსების ეფექტურად განკარგვაში

თამაზ გამსახურდია, ასოცირებული პროფესორი;
თეიმურაზ ფესტვენიძე¹, ასოცირებული პროფესორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მხრიდან მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. რაც უფრო ეფექტური იქნება ადამიანის ჯანმრთელობაზე გატარებული ღონისძიებები, მით უფრო მაღალი იქნება მათი სიცოცხლისუნარიანობა და მწარმოებლურობა.

აღნიშნულია, რომ პირველი ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის შესახებ ადრეული ხანიდან მოგვეპოვება. ბერძნულ-რომაული წყაროები და მდიდარი არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო თერაპიული და ქირურგიული დახმარების სხვადასხვა ხერხი.

ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის მიზანმიმართულად და ყაირათიანად ხარჯვაზე. ფულის არასწორად და არამიზნობრივად ხარჯვის საშუალებას სახელმწიფო არავის არ უნდა აძლევდეს. საჭიროა მეტი მონიტორინგის ჩატარება და შესაბამისი კონტროლის გამკაცრება.

დღევანდელ ეტაპზე ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის კრიზისულ მდგომარეობაში უხდება ცხოვრება, როცა კვების პროდუქტებზე საგრძნობლად გაიზარდა ფასები და ამას ემატება მედიკამენტების კოლოსალურად მაღალი ფასები, რაც მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაში ყოფნას იწვევს. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიხსოს ბერკეტები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გაჩნდეს უფსკრული. ფაქტია, რომ ხელისუფლება ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით დიდხალ თანხებს ხარჯავს. 2012 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი 347 405 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს კი 894 მილიონი ლარი გახდა, ანუ გაიზარდა 2,6-ჯერ. როგორც ვხედავთ ბიუჯეტი წლითი-წლობით იზრდება.

გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ხელისუფლება დიდ ფინანსურ რესურსებს გამოყოფს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისთვის ან რეაბილიტაციისთვის, მაგრამ არასწორი და მიკერძოებული მენეჯმენტის პირობებში ისინი არა დანიშნულებით იხარჯება. სახელმწიფო პაციენტის მკურნალობას უნდა აფინანსებდეს და არა საავადმყოფოების მოგებას, ანუ გათვლილი უნდა იყოს საბოლოო შედეგებზე. ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ეფექტური უზრუნველყოფა სწორ მეცნიერულ მენეჯმენტის განხორციელებას მოითხოვს. ამისათვის ხელმძღვანელ-მენეჯერად შერჩეული უნდა იქნას მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნება, კვალიფიციური, გამოცდილი და პროგნოზირებადი ადამიანი, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბიუჯეტში არსებულ ფინანსურ რესურსებს და მიუკერძოებლობას გამოიჩინოს ორგანიზაციის საშინაო და საგარეო საკითხების სწორად გადაწყვეტაში.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, მენეჯმენტი, ფინანსები, ბიუჯეტი, რესურსები.

¹ t_pestvenidze@mail.ru

THE MANAGEMENT ROLE IN EFFECTIVE DISPOSAL OF FINANCIAL RESOURCES IN HEALTH CARE

Tamaz Gamsakhurdia, Teimuraz Pestvenidze, Associate Professors.

Doctor of Economics, Doctor of Engineering

Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi

Abstract: The article reviews the health care issue of the working class which is carried out by the government. The more effective the health care is, the higher will be their vitality and productivity.

It should be mentioned that the first notes about health care organizations in Georgian territory date back from the ancient time. There are evidences from Greek and Roman resources and rich archeological items that prove that there were different ways of therapeutic and surgical aids.

The main focus is on the way of spending money properly and wisely that is allocated by the government. The government shouldn't allow anyone to misuse and waste money. It's necessary to provide more monitoring and tighten the appropriate control.

Nowadays, the vast majority of Georgian population has to live in crisis conditions, when the prices for food products have significantly increased. Furthermore, the highest drug prices are leading to hard living conditions for people. The government should find ways to improve the circumstances, otherwise, this can cause a gap between the government and the population. It's clear that the government spends a great amount of money for the purpose of improving healthcare service. In 2012 the health care budget was about 347 405 000 Gel, but in 2017 it became 894 million. It means that it increased 2,6 times. It's evident that the budget is increasing year by year.

There's an assumption that the government allocates a great amount of assets in order to defend working class health conditions or their rehabilitation. But under circumstances of wrong and biased management the money is not spent wisely. The government should raise finance for the patient's health service but not for the hospital benefits. It means that it should calculate the final consequences.

The effectiveness of the ongoing universal healthcare program in our country requires the right scientific management. A highly qualified, skilled and predictable person with advanced intellectual abilities should be designated as a head manager, who will wisely deal with the budget allocation and reveal impartial attitude to domestic and foreign affairs of the company.

Keywords: health, management, finance, budget, resources.

შესავალი

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მუდმივი და უწყვეტი პროცესია, რაც უფრო ეფექტური იქნება ადამიანის ჯანმრთელობაზე გატარებული ღონისძიებები, მით უფრო მაღალი იქნება ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა და მწარმოებლურობა. ამიტომ მასზე ზრუნვა არა მარტო თვითოეული ინდივიდის საქმეა, არამედ სახელმწიფოს ინტერესებშიც შედის, რადგან ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ამ მიმართულებით ტარდება ქვეყანაში რეფორმები და იხარჯება ათეული მილიონი ფინანსური რესურსი. რაც თავის მხრივ საჭიროებს ეფექტური და გააზრებული გეგმებისა და სამუშაოების შესრულებას, რათა ჯანდაცვის ორგანიზაციაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსი ეფექტურად გადანაწილდეს როგორც პერსონალის მოტივაციაზე, ასევე აისახოს მკურნალობის ხარისხობრივ მაჩვენებლების ამაღლებაზე. აქედან გამომდინარე აღნიშნული თემის კვლევა აქტუალურად მიგვაჩნია.

პირველი ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის შესახებ ადრეული ხანიდან იწყება. ბერძნულ-რომაული წყაროები და მდიდარი არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ საქართველოში უძველესი დროიდანავე ცნობილი იყო თერაპიული და ქირურგიული დახმარების სხვადასხვა ხერხი. თავის ქალის ტრეპანაცია, მოტეხილობის მკურნალობა, სამკურნალო ბალახების გამოყენება და სხვა. არსებობდა სანიტარულ-ჰიგიენური ნაგებობანი. წყალსადენის სისტემა, აბანოები და სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ მინერალურ წყლებს. ჯერ კიდევ VI საუკუნეში არსებობდა დავრდომილთა თავშესაფრები და სამკურნალო დაწესებულებები. ქირურგიული დახმარების ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების გარდა, ცნობილი იყო კასტრაცია, სიმსივნისა და ჭრილობების მოწვა-დამუშავება, სისხლის გამოშვება და სხვა. ხალხის თავშეყრის ადგილებზე (ბაზრები, აბანოები და სხვა) გაჩნდა სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობის პირველი ჩანასახები. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ხალხური მედიცინა, მონასტრებთან არსებობდა სამკურნალოები, საექიმო დახმარებას უწევდნენ ბინაზედაც. ამუშავებდნენ და მკურნალობდნენ ჭრილობებს, კვეთდნენ ჩირქგროვებს, მოტეხილობების მკურნალობას სპეციალური მალამოებითა და ორთოპედიული საშუალებებით, აკეთებდნენ კიდურების ამპუტაციას. ამ პერიოდის სამედიცინო ძეგლებში ლაპარაკია მუცლის ღრუს გაკვეთაზე. საინტერესოა ის მდგომარეობა, როცა ასეთ რთულ და მძიმე ხანაში სამედიცინო ტექნიკის არმქონე პირობებში წარმატებით აღწევდნენ ადამიანის სხეულში შესვლას და განკურნებასაც კი.

განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში (XI-XIII სს) საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ზრდამ ხელი შეუწყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მედიცინის შემდგომ აღმავლობას. ამ პერიოდშია შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელნაწერი ნიგნები. კანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „ნიგნი საექიმო“, რომლებშიც აღწერილია არამართო მრავალი დაავადების დამახასიათებელი სიმპტომები და მკურნალობის წესები, არამედ მოცემულია საინტერესო ცნობები მათი პროფილაქტიკის, სამკურნალო, კვების, ჰიგიენის, ანალიზისა და ფიზიოლოგიის შესახებ. სამედიცინო განათლების ცენტრებად იქცა გელათის, იყალთოსა და გრემიის აკადემიები. კერძო საექიმო სკოლებში ამზადებდნენ მკურნალებს. გაჩნდნენ ვიწრო სპეციალობის მკურნალები: „დასტაქარი“, „ჯარა ექიმი“, „ტრამვატოლოგი“, „მეშირმე“, უროლოგიური დაავადებათა მკურნალი, „ოსტატი დედაკაცი“ და სხვა. XIII-XIV საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შემდეგ საქართველოში არსებითად შენედა მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება. მაშინდელ ხელისუფლებას დროებითი ძალაუფლების დაკარგვის მიუხედავად არ შეუწყობია ზრუნვა ჯანმრთელობის შემდგომ განვითარებაზე, რაც ნათლად გამოჩნდა მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ საქართველოში კვლავ დაიწყო სამედიცინო საქმიანობის განხორციელება. ამას მოწმობს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო ნიგნი კარაბადინი“ და დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“. ამ თხზულებებში მალალ დონეზეა განხილული დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები, დაავადებათა პროფილაქტიკის, წამალმცოდნეობის ტოქსიკოლოგიის, კვების ჰიგიენისა და დიეტის საკითხები. ადგილობრივ ხალხურ მკურნალობასთან ერთად მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევდნენ იტალიელი მისიონერებიც.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801წ) მოვიდნენ უმაღლესი განათლების მქონე ექიმები. ნელ-ნელა იკრებდა ძალას ჯანდაცვა, რომ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო და რადიკალური ღონისძიებები გაეტარებინა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1868 წელს თბილისში მიხაილოვის საავადმყოფოს გახსნა. 1868-1921 წწ საქართველოში გაიხსნა 45 საავადმყოფო და რამდენიმე ამბულატორია, სადაც ქალაქის მოსახლეობას სამედიცინო დახმარების მიღება შეეძლო. უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო სოფლის მოსახლეობის სამედიცინო დახმარე-

ბის ორნაგინიზაცია, მაგრამ ნელ-ნელა ჩაეყარა საფუძველი სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას. აშენდა ამბულატორიები, საავადმყოფოები. ერთი სიტყვით, დაიწყო აღორძინება და კიდევაც დაეტყო გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ხალხის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას.

სამედიცინო თეორიულ და პრაქტიკულ განვითარებას ხელი შეუწყო კავკასიის ექიმთა საზოგადოების დაარსებამ (1864წ). საზოგადოება სწავლობდა პათოლოგიურ საკითხებს, ნერგავდა მედიცინის ახალ-ახალ მიღწევებს, იბრძოდა საქართველოში სანიტარული მდგომარეობისა და მოსახლეობაში სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებისათვის. მის საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არაერთი გამოჩენილი ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი მეცნიერის სახელი. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ეყრებოდა საფუძველი ჯანდაცვის განვითარებას, სწორედ მისი ძირითადი პრინციპები იყო მეცნიერული ხასიათი, უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომი კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.

გულხელდაკრეფილები არ იყვნენ ხელისუფალნი. ოპონენტს ჰგონია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის პერიოდში არაფერი კეთდებოდა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. მართალია მათ არ გააჩნდათ ეფექტური მენეჯმენტის გამოყენების სწორი ხედვა, მაგრამ განუხრელად ზრუნავდნენ მშრომელთა ჯანმრთელობაზე და წლით-წლობით იზრდებოდა ამ მიმართულებით (ფიზკულტურისა და სპორტის ჩათვლით) ფინანსური რესურსები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაინგრა და გაპარტახდა ჯანმრთელობის კერები და შენელდა ჯანმრთელობის სამსახურზე ფიქრი და ზრუნვა. ამის დასტურია დემოგრაფი ანზორ თოთაძის მიერ გამოთქმული მეტად დამაფიქრებელი მოსაზრება: „საქართველოში დღეს მოსახლეობის 19%-ია დაბერებული და დაბერებას შობადობის მაღალი დონეც უნდა ახლდეს“. სამწუხაროდ, დღეს შობადობა მცირეა (მაგალითად თუ 1994 წელს ადამიანების პოპულაციის ბუნებრივი მატება იყო 6, 985 მილიონი, 2018 წლისთვის ეს რიცხვი 4614 მილიონამდე, ანუ 33, 9%-ით შემცირდა). ჩვენ უკვე კატასტროფის ზღვარზე ვართ.

წინა ხელისუფლებამ თითქმის გაასხვისა (პრივატიზირებული) სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი პოლიკლინიკა-საავადმყოფოები და სოფლად განთავსებული სამედიცინო ამბოლატორიები. მართალია საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით უნდა განვითარდეს ქვეყანა, მაგრამ მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხი სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა და პრეროგატივაა, ამიტომ უნდა არსებობდეს მის საკუთრებაში მყოფი ჯანმრთელობის კერები, ანუ მუნიციპალური საავადმყოფოები თანამედროვე მეცნიერული მენეჯმენტით. რაც, ჩვენი აზრით, მეტი ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე დღევანდელ პირობებში მყოფი ჯანდაცვა. ბევრს ჰგონია, ვითომ კერძო მესაკუთრე უკეთ განაგებს და ემსახურება ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას. კერძო საკუთრებაში მყოფი ობიექტები დაბალი და ნაკლებად ეფექტური მენეჯმენტით ახორციელებენ საქმის გაძლოლას. მაგალითად, ქუთაისის რესპუბლიკური საავადმყოფო საუკუნის უნიკალურ შენობათა ნუსხაში შედიოდა, ხელისუფლების ხელმძღვანელობამ დაუფიქრებლად გადაწყვიტა რეორგანიზაცია-რეკონსტრუქციის ჩატარება, ანუ შეუცვალეს პროფილი. უნიკალურ შენობაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შეასახლეს, ხოლო საავადმყოფოს ტერიტორიაზე ააშენეს საავადმყოფოს უსახური შენობა. აღნიშნულ ყოფილ შენობას ამშვენებდა მწვანე საფარი და ლამაზი ეზო, რომელიც ავადმყოფების სარეაბილიტაციო და დასასვენებელ ადგილად იყო მიჩნეული. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ლალატის ტოლფასია. უნდა აღნიშნოს, რომ ბევრი სასიკეთო ღონისძიებები ტარდება სოფლისა და სოფლის მოსახლეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მაგრამ ჯანმრთელობის კერების მხრივ თითქმის არაფერი კეთდება. თუ წინა პერიოდში სოფლის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო სამედიცინო ამბოლა-

ტორიები, დღევანდელ პირობებში, გამონაკლისის გარდა, ამბოლატორიისა და სააფთიაქო ქსელების ნასახიცი არ არის, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ისედაც ღარიბ მოსახლეობას.

მიუხედავად სირთულეებისა, ახალმა ხელისუფლებამ ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ქვეყნის მოსახლეობას, კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საეტაპო პროექტი - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც 2013 წლის თებერვლიდან ამოქმედდა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად არის აღიარებული. ფაქტია, რომ ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 4068612 შემთხვევა დაფინანსდა, გადარჩა ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 48-დან 12-მდე ყოველ ათას ცოცხლადშობილზე. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მენეჯმენტი არაეფექტურია. რა უნდა გააკეთოს ხელმძღვანელ-მენეჯერმა, რომ კმაყოფილი იყოს მედპერსონალი და პაციენტები? ჯერ ერთი, მენეჯერი ბევრს ფიქრობდეს, ნყვეტდეს ცივი გონებითა და ასრულებდეს სუფთა ხელებით. ცხადია, რომ სახელმწიფოს მხრიდან და კერძო პირებიდან საავადმყოფოს ანგარიშზე შემოდის სოლიდური თანხა. პირველ რიგში, სხვა საქმეებთან ერთად, მოტივირებული უნდა იყოს ნამყვანი და დამხმარე პერსონალი. მათ შორის რანჟირება უნდა მოახდინოს, რათა ადგილი არ ჰქონდეს კომფლიქტურ სიტუაციას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ საავადმყოფოში მაღალკვალიფიციური ექიმის ხვედრითი წილი მაღალია მეორე საავადმყოფოსთან შედარებით. რა არის ამის მიზეზი? ერთ-ერთი მაღალი მოტივაცია და მეორე ის, რომ ნაკლებკვალიფიციური ექიმები ეძებენ სამუშაოს დაბალ კონკურენტუნარიან საავადმყოფოებში. დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ექთნები ვერ ასწრებენ პალატებში პაციენტებთან დროზე მისვლასა და მის მომსახურებას, იმის გამო, რომ მომსახურების ნორმატივი დიდია და ასევე შრომის დაბალი ანაზღაურება. მენეჯერები ვერ ელევან ფინანსური რესურსებს. ესეც დაბალი მომსახურების მნიშვნელოვანი მიზეზია, რადგან დამხმარე პერსონალის დაბალი ანაზღაურებების პირობებში ახორციელებენ რთულ და მძიმე სამუშაოს, ამიტომ ხშირად ეს არის დამხმარე პერსონალისა და პაციენტებს შრომის კომფლიქტის მიზეზი. მენეჯერი დღენიადაგ იმის ზრუნვაში უნდა იყოს, რომ ორგანიზაციაში შემოიტანოს ახალ-ახალი ინოვაციები, რომელიც ინვესტს პერსონალისა და პაციენტის კმაყოფილებას. კერძოდ მედპერსონალის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით შემოიღონ სხვადასხვა ნახალისებები, პრემიები, დაბადების დღის აღსანიშნავად სამახსოვრო საჩუქრები, ესკურსიებისა და ლაშქრობების მოწყობები და ა. შ. პაციენტებისთვის შემოიღონ მსუბუქი სადილები (ყველა საავადმყოფოს აქვს იმის ფინანსური რესურსი, რომ განახორციელოს ეს ღონისძიებები). ქამრებს მოუჭირონ და მეტი იფიქრონ იმისთვის, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეფექტურად გამოიყენონ პაციენტების გამოჯანმრთელებისათვის. პაციენტებს ნუ აიძულებენ დროზე ადრე სახლში წასვლას. ანდა როცა ავადმყოფს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნევა და შეჰყავთ ინტენსიური პალატაში, ე. წ ხელოვნური სუნთქვის პულტზე ჩართავენ არა მკურნალობის მიზნით, არამედ რაც შეიძლება მეტი თანხა ჩამოირიცხოს საყოველთაო სადაზღვევო ფონდიდან. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა მიზანმიმართულად და ყაირათიანად უნდა იხარჯებოდეს სწორად დასმული დიაგნოზის მკურნალობისთვის. ფულის არასწორად და არამიზნობრივად ხარჯვის საშუალებას სახელმწიფო არავის არ უნდა აძლევდეს. საჭიროა მეტი მონიტორინგის ჩატარება და შესაბამისი კონტროლის გამკაცრება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საართველოში განხორციელებული რეფორმებიდან, მსოფლიოში უპრეცედენტოდ შეიძლება ჩაითვალოს ჩ პეპატივის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობის უდიდესი ძალისხმევით ხორციელდება. იმავდროულად აღსანიშნავია აშშ-ს მთავრობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. პროექტმა საერთაშორისო ექსპერტთა დიდი მონაწილეობა დაიმსახურა. შუალედური შედეგებით შეგვიძია ვთქვათ, რომ იგი წარმატებით მიმდინარეობს აღნიშ-

ნა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ. პროექტის დაწყებიდან დღემდე პროგრამაში დარეგისტრირებულია 41 000-ზე ბენეფიციარი. მათ შორის სამკურნალო სერვისებით ისარგებლა 40 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა, განკურნების მაჩვენებელია 98%. როგორც ჩანს აღნიშნული პროგრამა ეფექტურად მუშაობს, განკურნებული ბენეფიციარები ხელისუფლების მხრიდან განეული დახმარების პასუხად თავის აქტიურ წვლილს შეიტანენ ქვეყნის აღმშენებლობაში.

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ძუძუს კიბოს ადრეული აგრესიული ღ-2 რეცეპტორდადებით დიაგნოზის მქონე პირების ძვირადღირებული მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებისთვის სახელმწიფო აფინანსებს მედიკამენტების ღირებულების 80%-ს. აღნიშნული ღონისძიება გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქალთა სიცოცხლის გახანგრძლივებაში.

დიდ მიღწევად შეძლება ჩაითვალოს ქვეყანაში „სოლიდარობის ფონდი“-ს შექმნა, რომელმაც სიმსივნით დაავადებული 275 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა. ფონდის ამოქმედების შემდეგ უსახსრობის გამო საქართველოში სისმსივნით არცერთი ბავშვი არ გარდაცვლილა. ასეთი პროექტი მანამდე ჩვენს ქვეყანაში არ განხორციელებულა. მადლობა იმ ფონდის დამფუძნებლებს, რომლებმაც პატარებს სიცოცხლე აჩუქეს და მისცეს ის ასპარეზი, რომ ჩამოყალიბდნენ კარგ ადამიანებად, მომავალში იყვნენ ღირსეული მამულიშვილები და თავიანთი შემოქმედებითი უნარი მოახმარონ ქვეყნის აღმშენებლობას.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შედეგად დღეს ყველა სოფელს ყავს ექიმი, 30%-ით გაიზარდა სოფლის ექიმისა და ექთნის ხელფასი; მაღალმთიან სოფლებში მომუშავე ექიმებს 2016 წლიდან დაენიშნათ ხელფასზე დანამატი სახელმწიფო პენსიის ორმაგი, ხოლო ექთნებს ერთმაგი ოდენობით, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების, ადამიანური რესურსების ადგილზე დამაგრებასა და დასაქმებაში. სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აშენდა და აღიჭურვა 82 ამბულატორია ქვეყნის ყველა რეგიონში, მათ შორის სოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე სამედიცინო ცენტრები აშენდა ხარაგაულში, გუდაურში, რუხში, დედოფლისწყაროში, ლენტეხში და სხვა. მოსალოდნელია, რომ სოფელ რუხის სამედიცინო სერვისით ისარგებლებენ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა. ჯერ ერთი ტერიტორიულად ახლოს არიან და მეორე აფხაზეთიდან ჩამოსული ბენეფიციარებს ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოემსახურებიან ქართველი მედიკოსები, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეტსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის პროცესს.

დღევანდელ ეტაპზე ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის კრიზისულ მდგომარეობაში უხდება ცხოვრება, როცა კვების პროდუქტებზე საგრძნობლად გაიზარდა ფასები და ამას დამატებული მედიკამენტების კოლოსალურად მაღალი ფასები, რაც მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაში ყოფნას იწვევს. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამონახოს ბერკეტები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გაჩნდეს უფსკრული. შეიძლება ეს ხელოვნურად იყოს გამოწვეული. ქართველი მეცნიერი და ჰომეოპატი, ექიმი კახა საბახტარაშვილი აღნიშნავს, რომ ბევრმა არ იცის რომ თითოეულ ქიმიურ პრეპარატებს თავისი მცენარეული ანალოგი გააჩნია, რომელიც სრულიად უსაფრთხო და უვნებელია. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ფარმაცევტული კომპანიები დღეს ადამიანებს სთავაზობენ უამრავ ძვირადღირებულ საშუალებას, რომელიც 10-ჯერ ან 20-ჯერ ძვირია და არავითარი განსაკუთრებული და უკეთესი ეფექტი არ გააჩნია. მაგალითად, მუკალტინი, რომელიც ხველების წამალია. მის ნაცვლად სთავაზობენ ბრომჰექსინს, მუსკოტინს, სიცხის დასაწვევად ხშირად გამოიყენებენ პანადოლს რომელიც სხვა არაფერია თუ არა პარაცეტამოლი, რომელიც 10-ჯერ იაფია! იშვიათია ადამიანი,

რომელსაც კალიუმითა და მაგნიუმით მდიდარი პანანგინი არ მიეღოს არითმიულობისა და ინფაქტის დროს, იგი შეუცვლელია, მაგრამ ბევრმა არ იცის რომ პანანგინი იგივე ასპარკამია, რომელიც 12-ჯერ უფრო იაფი პრეპარატია და ზუსტად იგივე თვისებებით ხასიათდება. ასევე ტკივილგამაყუჩებელი ნუროფენი იგივე იგუპროფენია, თანაც ექვსჯერ უფრო იაფი. იმუნიტეტის ასამაღლებლად ხშირად იყენებენ იმუნალს, რომელიც ექინაცინას ექსტრაქტის სიროფზე ოცჯერ ძვირი ღირს და არავითარი უკეთესი ეფექტი არ გააჩნია. ცხადია, რომ არასდროს უიაფესი და ძალზე ეფექტური პრეპარატები, რეტილონი, ლევორინი, ტკივილგამაყუჩებელი ბუტადიონი, სიცხის დამწევი პირამიდონი, ციტრამონი, ნორსულფაზოლი და ბავშვების წამალი კალცექსი, რომლებიც შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას და ასევე სხვა მრავალი პრეპარატები. რატომ უნდა იხდიდნენ ძვირს, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, როცა ზემოთხსენებული უიაფესი და მაღალეფექტური პრეპარატები არსებობს ბუნებაში? ასევე ისმის კითხვა, რატომ ღირს ასე უსაშველოდ ძვირი პრეპარატი სარელოტო, რომელსაც პაციენტს დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე უნიშნავენ და ყოველთვიური ნორმა 240 ლარი ღირს, ხოლო პენსიის რაოდენობა 200 ლარს არ აღემატება. პრეპარატის მაღალი საცალო ფასები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. მაშინ, როცა მეზობელ თურქეთში სამკურნალო საშუალებლების სარეალიზაციო ფასები საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტრომ გადაუდებელი და პრიორიტეტული გახადოს ფასწარმოქმნისა და ფასების რეგულაციის მწვავე პრობლემების მოგვარება. დაკვირვებამ დაგვანახა, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის მწვავე საკითხებზე არავინ არ ფიქრობს. ფარმაცევტული კომპანიები დაინტერესებულები არიან გაყიდონ მაინცდამაინც ძვირი წამლები, რათა მოგება იყოს შესამჩნევად მაღალი.

ფაქტია, რომ ხელისუფლება მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით დიდძალ თანხებს ხარჯავს. 2012 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი 347 405 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს კი 894 მილიონი ლარი გახდა, ანუ გაიზარდა 2,6-ჯერ. როგორც ვხედავთ წლითი-წლობით იზრდება დაფინანსება. ეს ნიშნავს, რომ გახანგრძლივდეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდები იმის შესახებ, რომ ხელისუფლება დიდ ფინანსურ რესურსებს გამოყოფს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისთვის ან რეაბილიტაციისთვის. ბევრია შემთხვევები, როცა პაციენტი ბოლომდე არ არის განკურნებული და ჭირისუფალს ეუბნებიან, რომ უნდა გავწეროთო, როცა პაციენტი სანახევროდაა განკურნებული და მისი მკურნალობის გაგრძელება ჭირისუფალს უნდა ანდონ, რისი საშუალება ოჯახს არ გააჩნია. მაშინ, როცა დახარჯული ათასობით თანხა რეაბილიტაციისათვის არის გათვალისწინებული. ეს ხომ წყალში გადაყრილი ფულია და სიცოცხლის ხელყოფაა. სახელმწიფო პაციენტის მკურნალობას უნდა აფინანსებდეს და არა საავადმყოფოების მოგებას, ანუ გათვლილი უნდა იყოს საბოლოო შედეგებზე.

ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ეფექტური უზრუნველყოფა სწორ მეცნიერულ მენეჯმენტის განხორციელებას მოითხოვს. ამისათვის ხელმძღვანელ-მენეჯერად შერჩეული უნდა იქნას მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნება, კვალიფიციური, გამოცდილი და პროგნოზირებადი ადამიანი, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბიუჯეტში არსებულ ფინანსურ რესურსებს და მიუკერძოებლობას გამოიჩინოს ორგანიზაციის საშინაო და საგარეო საკითხების სწორად განწყვეტაში.

პერსონალის ადმინისტრირების სოციალურ-ფსიქოლოგიური ტენდენციები

კონსტანტინე თელია, დოქტორანტი;
ქეთევან თელია¹, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ოცდამეერთე საუკუნე საკვება ახალი გამოწვევებითა და მოთხოვნებით, რომლისთვის ფეხის აწყობაც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი საწარმოსა თუ კომპანიისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა 1970 წლებიდან მნიშვნელოვანი გახდა ამერიკისა და ევროპისთვის, ჩვენი ყურადღებაც თანდათან გადადის ამ საკითხზე, რომელიც ტრაქტიკულად ადმინისტრაციული მენეჯმენტის ნაწილია.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერი საწარმო თუ ფორმა დგას მის თანამშრომლებზე ანუ - მათი სწორი განაწილება და დატრენინგება მნიშვნელოვანია ფირმის წარმატებისათვის.

ჩვენი მიმდინარე სტატია შეეხება დღეისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც უფრო და უფრო აქტუალური ხდება. სტატია მკითხველს აძლევს საშუალებას გააანალიზოს მიმდინარე საკითხები და შეეცადოს გამოიყენოს ისინი პრაქტიკაში.

ადამიანური რესურსების მართვა - გულისხმობს ხუთი ძირითადი ფუნქციის ერთობლიობას. ესენია - ორგანიზება, დაგეგმვა, ორგანიზაციაში არსებული პერსონალის მართვა, სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზაციიდან კადრების გადინების რეგულირება. თითოეული ფუნქცია მოიცავს ქვეფუნქციებს და წარმოდგენილია შესაბამისი კონკრეტული პროგრამების სახით.

საჯარო სამსახურში შემავალი დანესებულებები, ფირმები და საწარმოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ადამიანური რესურსების მართვის კუთხით განხორციელებული კონკრეტული პროგრამების მრავალფეროვნებით, მაგრამ ეს განსხვავება მისაღებია, თუკი იგი მოქცეულია ღირებულებათა სისტემის ერთიან ჩარჩოში.

ღირებულებათა სისტემის ჩარჩო მოიცავს: დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას - გადანაცვების მიღება ხდება თანამშრომლების კომპეტენციაზე დაყრდნობით და ორგანიზაციის წინაშე მათი დამსახურების გათვალისწინებით; სამართლიანობა - გადანაცვლება მიღებული უნდა იყოს სამართლიანობის გათვალისწინებით.

თანამშრომელთა შემადგენლობა მრავალფეროვანია და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სოციუმის მრავალფეროვნება. ესენია: სოციალური, რელიგიური, გენდერული, ეთნიკური და სხვა ფაქტორები.

საჭიროა ასევე მიზანშეწონილობა - ორგანიზაციის წინაშე არსებული ალტერნატივებიდან სწორი გადანაცვლების მიღება ფინანსური და სხვა რაციონალური ნიშნით.

აღსანიშნავია, გამჭვირვალობა - იგი მოიცავს ღია და საჯარო მიდგომების გამოყენებას ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პერსონალის მართვის პროცედურები განვიხილავთ ღიად და მისი შესრულების მონიტორინგი შეუძლია შესაბამისი უფლების მქონე ნებისმიერ პირს, იქნება ეს მენეჯერი თუ კადრების უფროსი.

საჯარო ინტერესების უზენაესობა - ნებისმიერი გადანაცვლება და პროცესი ორგანიზაციაში მიმართულია მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე. პროცესების ორგანიზება ხდება იმგვარად, რომ პროდუქტიულად მოხდეს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვა (ბზიშვილი, თ. (2015, დეკემბერი).

¹ qetitelia@gmail.com

ადამიანთა უმეტესობა განსხვავდება ერთმანეთისაგან - ისინი ერთნაირ გარემოში განსხვავებულად რეაგირებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კოლექტივის სწორი შერჩევა და კადრების მათი კომპეტენციებით განაწილება. როცა საუბარია ინდივიდზე - ხდება სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტექნიკებისა თუ ტესტების გამოყენება, რათა შეირჩეს კონკრეტული ვაკანსიისთვის შესაფერისი კადრი. როცა საუბარია კოლექტივზე - აქ უკვე ერთვება ჯგუფის სწორად ფორმირების პრინციპები, რაც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს. ერთია, როცა კონკრეტულ პოზიციაზე ეძებ კადრს და სულ სხვაა როცა ადამიანთა ჯგუფს აკომპლექტებ, სადაც თითოეული პიროვნება ინდივიდია და განსხვავებული ფსიქოლოგიური მახასიათებლები გააჩნია.

ორგანიზაციაში კადრების შერჩევისას კლასიკური პრობლემა არის, ინდივიდისა და სამუშაოს კარგი შეთავსება და ურთიერთქმედება არსებობს ადამიანებისა და სამუშაოს შეწყობის ორი გზა: შერჩევა და განაწილება.

პერსონალის მუშაობის თანამედროვე მოთხოვნები ითვალისწინებს პერსონალის მომსახურების როლს თითოეული თანამშრომლის პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენებისას. აქედან გამომდინარე, ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულებების განვითარება - პერსონალის მენეჯმენტის საფუძველი პერსონალის ოპტიმალური გამოყენების პრობლემების მოგვარებისკენ არის მიმართული.

კადრების მენეჯმენტის, როგორც ადამიანური რესურსების მართვის როლი უდავოდ დიდია თანამედროვე ბიზნესში.

მსოფლიო აქტიურად არის ჩაბმული ადამიანების საჭიროებებისა და მისთვის სამუშაოს მორგების პროცესში, შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და მრავალმხრივი განხრავად ადმინისტრირებასა და ფსიქოლოგიაში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ადმინისტრირება, ფსიქოლოგია, ორგანიზაციული ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსები

SOCIAL-PSYCHOLOGICAL TENDENCIES OF PERSONNEL ADMINISTRATION

Konstantine Telia, Doctoral student; **Ketevan Telia**, PhD of Social Sciences

Abstract: Twenty-first century is full of new challenges and demands for which it is very important for any enterprise or company. Since human resources management has become important for the United States and Europe in the 1970s, our attention is gradually move on to this issue, which is a part of administrative management.

It is important to note that any enterprise or form is for its employees, hence, their proper distribution and training are important for the company's success.

Our current article concerns important issues that are becoming more and more relevant today. The article gives readers the opportunity to analyze current issues and try to use them in practice.

Human Resources Management - involves the combination of five main functions. These include - organizing, planning, personnel management in the organization, planning work and regulating staff. Each function consists of subfunctions and is presented as appropriate concrete programs.

Institutions, firms and enterprises within public service differ significantly from the specific programs implemented in human resources management, but this difference is acceptable if it is in the uniform framework of the system of values.

The value system system includes: a merit-based approach - making decisions based on the competence of employees and taking into account their merits before the organization; Fairness - Decision should be taken into account in the light of justice.

The composition of staff is diverse and the diversity of the community should be taken into consideration. These are: social, religious, gender, ethnic and other factors.

It is also necessary to take the right decision from the existing alternatives to the financial and other rational signs.

It should be noted that transparency - includes the use of open and public approaches to planning and implementing human resource management functions.

Personnel management procedures are open and any person can be able to monitor its performance – will it be a manager or the HR.

The Rule of Public Interest - Any decision and process is directed to the organization of high quality services. The process of organizing this is to ensure that public finances are consumed (Basishvili, T. (2015, December).

Most people differ from each other - they react differently in the same environment. Correspondingly, it is important to correctly collect the collective and distribute the staff to their competencies. When talking about the individual - it is used to use different psychological techniques or tests to select a suitable job for a specific job. When it comes to the collective - here already the principles of correct formation of the group, which is socio-psychological character. One thing when looking at a particular position is quite different and when a group of people is composed, each person is individual and has different psychological characteristics.

There is a classical problem in selection of staff in the organization, good combination and interaction of the individual and work. There are two ways: selection and distribution.

Modern requirements of personnel work involve the role of personnel in the use of each person's creative potential. Consequently, the development of new scientific and practical directions - the basis for staff management is to address the problems of optimal use of personnel.

Personnel management as a human resource management role is undoubtedly great in modern business.

The world is actively involved in needs and needs of people involved in the work process, accordingly human resources management is one of the most demanded and versatile ways in administration and psychology.

Keywords: Business, Administration, Psychology, Organizational Psychology, Human Resources

ოცდამეერთე საუკუნე სავესტა ახალი გამონგვევებითა და მოთხოვნებით, რომლისთვის ფეხის აწყობაც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი საწარმოსა თუ კომპანიისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა 1970 წლებიდან მნიშვნელოვანი გახდა ამერიკისა და ევროპისთვის, ჩვენი ყურადღებაც თანდათან გადადის ამ საკითხზე, რომელიც ტრაქტიკულად ადმინისტრაციული მენეჯმენტის ნაწილია.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერი საწარმო თუ ფორმა დგას მის თანამშრომლებზე ანუ მათი სწორი განაწილება და დატრენინგება მნიშვნელოვანია ფირმის წარმატებისთვის.

ჩვენი მიმდინარე სტატია ეცდება დღეისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ლუსტრაცია მოახდინოს; მისცეს მკითხველს საშუალება გააანალიზოს მიმდინარე საკითხები და შეეცადოს მათ პრაქტიკაში გამოყენებას.

ადამიანური რესურსების მართვა - გულისხმობს ხუთი ძირითადი ფუნქციის ერთობლიობას. ესენია - ორგანიზება, დაგეგმვა, ორგანიზაციაში არსებული პერსონალის მართვა, სამუშაოს დაგეგმვა

და კურირება და ორგანიზაციიდან კადრების გადინების რეგულირება. თითოეული ფუნქცია მოიცავს ქვეფუნქციებს და წარმოდგენილია შესაბამისი კონკრეტული პროგრამების სახით.

საჯარო სამსახურში შემავალი დაწესებულებები, ფირმები და სანარმოები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ადამიანური რესურსების მართვის კუთხით განხორციელებული კონკრეტული პროგრამების მრავალფეროვნებით, მაგრამ ეს განსხვავება მისაღებია, თუკი იგი მოქცეულია ღირებულებათა სისტემის ერთიან ჩარჩოში.

ღირებულებათა სისტემის ჩარჩო მოიცავს: დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას - გადანაცვებების მიღება ხდება თანამშრომლების კომპეტენციაზე დაყრდნობით და ორგანიზაციის წინაშე მათი დამსახურებების გათვალისწინებით; სამართლიანობა - გადანაცვებები მიღებული უნდა იყოს სამართლიანობის გათვალისწინებით.

თანამშრომელთა შემადგენლობა მრავალფეროვანია და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური მრავალფეროვნება. ესენია: სოციალური, რელიგიური, გენდერული, ეთნიკური და სხვა ფაქტორები.

საჭიროა ასევე მიზანშეწონილობა - ორგანიზაციის წინაშე არსებული ალტერნატივებიდან სწორი გადანაცვებების მიღება ფინანსური და სხვა რაციონალური ნიშნით.

აღსანიშნავია, გამჭვირვალობა - იგი მოიცავს ღია და საჯარო მიდგომების გამოყენებას ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პერსონალის მართვის პროცედურები განერილია ღიად და მისი შესრულების მონიტორინგი შეუძლია შესაბამისი უფლების მქონე ნებისმიერ პირს, იქნება ეს მენეჯერი თუ კადრების უფროსი.

საჯარო ინტერესების უზენაესობა - ნებისმიერი გადანაცვებები და პროცესი ორგანიზაციაში მიმართულია მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე. პროცესების ორგანიზება ხდება იმგვარად, რომ პროდუქტიულად მოხდეს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვა (ბზიშვილი, თ. (2015, დეკემბერი).

ადამიანთა უმეტესობა განსხვავდება ერთმანეთისაგან - ისინი ერთნაირ გარემოში განსხვავებულად რეაგირებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კოლექტივის სწორი შერჩევა და კადრების მათი კომპეტენციებით განაწილება. როცა საუბარია ინდივიდზე - ხდება სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტექნიკებისა თუ ტესტების გამოყენება, რათა შეირჩეს კონკრეტული ვაკანსიისთვის შესაფერისი კადრი. როცა საუბარია კოლექტივზე - აქ უკვე ერთგვარად ჯგუფის სწორად ფორმირების პრინციპები, რაც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს. ერთია, როცა კონკრეტულ პოზიციაზე ეძებ კადრს და სულ სხვაა როცა ადამიანთა ჯგუფს აკომპლექტებ, სადაც თითოეული პიროვნება ინდივიდი და განსხვავებული ფსიქოლოგიური მახასიათებლები გააჩნია.

ორგანიზაციაში კადრების შერჩევისას კლასიკური პრობლემა არის, ინდივიდისა და სამუშაოს კარგი შეთავსება და ურთიერთქმედება არსებობს ადამიანებისა და სამუშაოს შეწყობის ორი გზა: შერჩევა და განაწილება.

შერჩევისას მნიშვნელოვანია სამუშაო მოთხოვნები. მათი წარმოდგენა და სწორად ფორმულირება ძალიან მნიშვნელოვანია. კადრის ძიების დაწყებამდე უნდა მოხდეს მოთხოვნების და უფლება-მოვალეობების სწორი განაწილება და აღწერა. იმის ილუზია, რომ ვინმე იქნება იმდენად კარგი, რომ ნებისმიერ პოზიციას მოერგება - აბსურდია. თითოეულ ადამიანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, რაშიც მას კარგი შედეგები აქვს. ამიტომაც კადრის სწორი შერჩევა საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია.

არსებობს შერჩევის კონცეპტუალური ბაზა, რომელიც მოიცავს შრომით ისტორიას, ტესტურ მონაცემებს, ინფორმაციას კადრზე, რომელსაც ინახავს ჩვენი ბაზა.

რაც შეეხება პერსონალის შერჩევის მეთოდებს, ისინი მრავალფეროვანია. ჩვენს ხელთ არის:

- სააპლიკაციო ბლანკი
- კითხვარი
- ბიოგრაფიული სააპლიკაციო ბლანკი
- ინტერვიუ
- ტესტები

ლოგიკა, საკითხის გამჭვირვალობა და მოცემული სამუშაოს ცოდნა გვაძლევს საშუალებას, რომ გვეკონდეს კარგი შედეგი. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი სანარმოს მუშაობა ორიენტირებულია უკეთეს შედეგზე.

დირექტორთა საბჭო ვალდებულია გამოყოს და დააფინანსოს თავისი კადრები შესაბამისი კანონით გათვალისწინებული პირობებით, რაც გარდა იმისა რომ ევალება საქართველოს კანონმდებლობით ნებისმიერ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურას, არამედ კადრებში ფირმის მიმართ სანდოობასაც გაზრდის.

როცა ვსაუბრობთ კადრების შრომისუნარიანობაზე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დასჯა-ნაზღაურების მექანიზმი აპრობირებული და ცნობილი მეთოდია, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება.

ფსიქოლოგების აზრით, პოზიტიური სახის რეაგირება უფრო კარგად აღიქმება ადამიანის მიერ, ვიდრე ნეგატიური, შესაბამისად - ნაზღაურება უფრო უპრიანია გამოვიყენოთ კადრებთან მიმართებაში, ვიდრე დასჯა.

ნაზღაურების ნათელი მაგალითია - ბონუსების დანიშვნა კარგად განეული სამსახურის შემთხვევაში. რაიმე დამატებითი ნამაზღაურებელი ღონისძიება - გამორჩეული ადგილი მანქანის დასაყენებელ სტადიონზე ან ფასდაკლებით სარგებლობა ფირმის კაფეტერიაში. ნებისმიერი სახის ნაზღაურება პოზიტიურად აისახება თანამშრომლის საქმიანობაზე, რაც თავის მხრივ გაზრდის შრომისუნარიანობას.

დასჯის მაგალითია - როდესაც სამსახურში დაგვიანების დროს გვიქვითავენ ხელფასის ნაწილს ანდაც გარკვეული სახის სამსახურის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვიღებთ ჯარიმას.

მსოფლიო აქტიურად არის ჩაბმული ადამიანების საჭიროებებისა და მისთვის სამუშაოს მორგების პროცესში, შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და მრავალმხრივი განხრაა ადმინისტრირებასა და ფსიქოლოგიაში.

ბიბლიოგრაფია

1. **ა. აფციაური** (მთარგმნელი) - დიდი წიგნი ბიზნესზე. გამომცემლობა: პალიტრა 2017
2. **ე. ბარათაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ნ. ბაკაშვილი, ბ. გეჩბაია, დ. მესხიშვილი** - თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011
3. **თ. შენგელია** - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბილისი, 2008
4. **Stanislav Shekshnia, Alexey Ulanovsky, Veronika Zagieva** - Athletic Ceos: Leadership in Turbulent Times. Publisher: Anthem Press (January 26, 2018)
5. **Рэй Далио** - Принципы. Жизнь и работа. Издательство, Манн, Иванов и Фербер, 2018
6. **Владимир Моженков, Владимир Моженков** - Ген директора. 17 правил позитивного Менеджмента. Издательство Манн, Иванов и Фербер, 2017

ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენებითი მნიშვნელობა

გუგული ყურაშვილი, ასოცირებული პროფესორი;
ბელა გოდერძიშვილი¹, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ სწორედ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა ათავისუფლებს ორგანიზაციას ადმინისტრირებისაგან. ადმინისტრაციული მენეჯმენტით უზრუნველყოფილი პრაქტიკული აგებულება და გამოყენებითი მოხმარება პროცედურებისა და სტრუქტურებისა ორგანიზაციის ფუნქციონირებაში იძენს სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც თან ახლავს ორგანიზაციას მთელი ცხოვრების მანძილზე. უპირველესად იგი ვლინდება ორგანიზაციის პროექტირების, გაფორმების და ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის, ფორმულირების, დამფუძნებლებთან შეთანხმების, მიღებული დოკუმენტების პაკეტის რეგისტრაციის, შრომითი კონტრაქტების დადების და პერსონალის კომპლექტაციის დროს.

ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყოფა ცოდნის დამოუკიდებელ არედ და სასწავლო დისციპლინად იქცა არა მხოლოდ კონსტრუქციულ საფუძვლად, არამედ აუცილებელ პირობითი სისტემებისა და პროცესების მთელი ერთობლიობის პროფესიულ დონეზე მართვის პრაქტიკული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შედეგად ხელმძღვანელის საქმიანობა გახდა უფრო ეფექტური და შედეგიანი, რადგან მისი ადმინისტრაციის ესა თუ ის ფორმები პროფესიულად უზრუნველყოფდნენ, თან ახლდნენ და აფასებდნენ მის მიერ დაყენებულ და მიღწეულ ორგანიზაციის მიზნებს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-გეგმა, ორგანიზაცია, ადმინისტრაციული მენეჯმენტი, პასუხისმგებლობა.

THE USE OF ADMINISTRATIVE MANAGEMENT

Guguli Kurashvili , Associate Professor; Bella Goderdzishvili , Assistant Professor
Georgian Technical University

Abstract: Quite often, a liberal market economy frees an organization from management. Practical structure and management of applications with administrative management Procedures and structures operate within the framework of the function of the organization, which is of particular importance for the organization throughout life. First of all, this is manifested in the organization of the organization's proposal, the conclusion and the business plan, the formulation, coordination with the founders, the registration of the packages received, the employment contracts and staffing. and to ensure the practical operation of the management of the entire system of mandatory systems and processes at the professional level. As a result, management became more efficient and effective as the formalities of his administration were professionally collected, evaluated and assessed in accordance with the goals set and achieved by the organization.

Keywords: Business Plan, Organization, Administrative Management, Responsibility.

¹ b.goderdzishvili@gtu.ge

ძირითადი ტექსტი

ბევრი თვლის, რომ ინიციატივისა და თავიანობის საყოველთაო განთავისუფლების საფუძველზე ეკონომიკისა და მართვის საბაზრო მექანიზმებში იმთავითვე უარყოფენ ადმინისტრირების რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულია აზრი, განსაკუთრებით დილექტანტებს შორის, რომ სწორედ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა ათავისუფლებს ორგანიზაციას ადმინისტრირებისაგან. ამასთან სავსებით დასაბუთებულად დგება ექვქვემ არამხოლოდ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების მთელი პაკეტის უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის ობიექტური აუცილებლობა, არამედ მთლიანად ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ადმინისტრაციული მენეჯმენტით უზრუნველყოფილი პრაქტიკული აგებულება და გამოყენებითი მოხმარება პროცედურებისა და სტრუქტურების ორგანიზაციის ფუნქციონირებაში იძენს სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც თან ახლავს ორგანიზაციის მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი ვლინდება დიდი ხნით ადრე ორგანიზაციის დაარსებამდე და მით უფრო ფუნქციონირების დაწყებამდე და ხშირად გამოიყენება იმის შემდეგაც, რაც ორგანიზაცია ფაქტობრივად ლიკვიდირებულია. ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენებითი მნიშვნელობის უწყვეტობისა და მიდმივობის გამოვლინების ეს თავისებურება განაპირობებს მისი რესურსების პერმანენტულ პრაქტიკულ მოთხოვნადობას.

უპირველესად იგი ვლინდება ორგანიზაციის პროექტირების, გაფორმების და ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის, ფორმულირების, დამფუძნებლებთან შეთანხმების, მიღებული დოკუმენტების პაკეტის რეგისტრაციის, შრომითი კონტრაქტების დადების და პერსონალის კომპლექტაციის დროს. უშუალოდ ორგანიზაციას ეგზავნება არსებითად მეტი, ვიდრე ცენტრალიზებულ სისტემაში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ფუნქციების რაოდენობა. ამასთან ის აერთიანებს და აკონკრეტებს უფლებამოსილებებს, რომლებიც ცენტრალურ სახელმწიფო სისტემაში წარმოდგენილია სპეციალური ორგანოებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რიცხვით.

ასეთ უფლებამოსილებებს მიეკუთვნებიან: რეგისტრაციის, დაყენების, გაფორმების, პასუხისმგებლობების გამიჯვნის კონკრეტული ოპერაციების კომპლექსი. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ საბაზრო პირობებში გამოყენებითი შინაარსობრივი ადაპტაცია და პრაქტიკული განხორციელება ამ და ბევრი სხვა ოპერაციების, არა მხოლოდ მიეწოდება, თან ახლავს კიდევ ორგანიზაციას მუდმივად. ეს განაპირობებს ადმინისტრაციული მენეჯმენტის მუდმივად მზარდ ორგანიზაციულ-მეთოდურ მნიშვნელობას საბაზრო ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და განვითარების ეფექტური პროცესის აგებისათვის.

მისაღები გადანყვეტილების შინაარსის დამუშავება ჩამოყალიბებისათვის ადმინისტრაციული სისტემა მობილიზებას უკეთებს და აერთიანებს პროფესიული რესურსების მთელ კომპლექსს, რათა გარდაქმნას ისინი მზა მმართველობის პროდუქტად.

ამის კვალდაკვალ ადმინისტრირება ორგანიზაციას უკეთებს, აფორმებს და თან ახლავს მიღებული გადანყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციას. მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს გადანყვეტილების შესრულების თანამედროვე კონტროლს, შეფასებასა და ანგარიშგებას. გამომუშავების, გადანყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის სწორედ ასეთი მიზანმიმართული, თანმიმდევრული და კომპლექსური თანხლება საკმაოდ სრულად განსაზღვრავს ორგანიზაციაში ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენებით მნიშვნელობას.

ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყოფა ცოდნის დამოუკიდებელ არედ და სასწავლო დისციპლინად იქცა არა მხოლოდ კონსტრუქციულ საფუძველად, არამედ აუცილებელ პირობითი სისტემებ-

ისა და პროცესების მთელი ერთობლიობის პროფესიულ დონეზე მართვის პრაქტიკული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შედეგად ხელმძღვანელის საქმიანობა გახდა უფრო ეფექტური და შედეგად, რადგან მისი ადმინისტრაციის ესა თუ ის ფორმები პროფესიულად უზრუნველყოფდნენ, თანახმდნენ და აფასებდნენ მის მიერ დაყენებულ და მიღწეულ ორგანიზაციის მიზნებს. პრაქტიკაში იგი უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის პერსონალის სპეციალიზაციით ადმინისტრირების ძირითადი ფორმების აგებასა და რეაილზაციაში.

ამან განაპირობა პროფესიული მიდგომის გამოყენება, ორგანიზაციის ეფექტური მართვის ფუნქციონალურად აუცილებელი ადმინისტრაციული პაკეტის გამოყოფა, ფორმირება და განხორციელება. თავდაპირველად მოცემულ საფუძველზე ჩამოყალიბდა ხელმძღვანელის სტატუსის უზრუნველყოფის ორგანიზაციის სტრუქტურების აგების, ორგანიზაციის პერსონალის შრომის კოოპერაციის, ფუნქციონირების პროცესების თანხლების, აღმასრულებელი დისციპლინის დაცვის, დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ანგარიშგების გაფორმების პროგრამები. უნებრევია, რომ, როგორც შემადგენლობა ისე შინაარსი ამ პროგრამებისა მუდმივად ვითარდება და იხვეწება, რითაც უქრუნველყოფს ახალი ამოცანების გადაჭრას ხელმძღვანელის პრაქტიკულ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ რეალურ პირობებში, ადმინისტრაციული მენეჯმენტის პრაქტიკული რესურსების მობილიზებისა და გამოყენების ასეთი პროგრამები ახასიათებენ არა მხოლოდ შემადგენლობას და შინაარსს, არამედ ადმინისტრაციის მართველობითი მოღვაწეობის აგების ლოგიკას. შნორედ ის უზრუნველყოფს თანმიმდევრობითობას და მემკვიდრეობას ორგანიზაციის მართვის სისტემის კომპლექსური გამოყენებითი ადაპტაციის საფუძველზე პროგრამების აგება-განხორციელებაში. ამასთან ერთად ისინი განსაზღვრავენ ადმინისტრირების ძირითად მიმართულებებს, აკომპლექტებენ მის პალიტრას ხელმძღვანელის მოღვაწეობის უზრუნველყოფი სხვადასხვა ფუნქციონალური შემადგენლობის კომპლექსით.

ამ პროცესის პრაქტიკული აგების ფორმა და შინაარსი ისტორიულად ყალიბდებოდა, ვითარდებოდა და ეგუებოდა კონკრეტული ორგანიზაციების პირობებს, მათი ადმინისტრირების ნაირსახეობებს. ამასთან მენეჯმენტის უქრუნველყოფისადმი ადმინისტრაციული მიდგომის არსი განსაზღვრავდა მის, როგორც მენეჯერის მიერ ორგანიზაციის მიზნების დაყენებისა და მიღწევის განხორციელების პროცესის ორგანიზაციულ-მეთოდურ თანხლებას. მართლაც, რეალურ ორგანიზაციაში სნორედ ადმინისტრირება უზრუნველყოფს მენეჯმენტის, როგორც მოღვაწეობის დამოუკიდებელი სახის პრაქტიკულ ჩამოყალიბებას.

ადმინისტრაციული მენეჯმენტის დამუშავებისას აღწერილი იქნა ხელმძღვანელის სტატუსის გამოყოფა ორგანიზაციის მმართველი პერსონალიდან, განსაზღვრა მათ შორის იერარქია, დადგინდა და დამკვიდრდა უფლებამოსილებათა განაწილება. ადმინისტრაციული მენეჯმენტი სტრუქტურულად, პროცესულურად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ხელმძღვანელის იმიჯის ჩამოყალიბებას, განსაზღვრავს თვით მენეჯერს, როგორც პროფესიონალურად მოქმედ ორგანიზაციის ხელმძღვანელად. ამიტომ შეგვიძლია გამოვყოთ მენეჯმენტის პრაქტიკული მნიშვნელობის სამი ძირითადი გამოვლინება:

ორგანიზაციული პოზიციებიდან: ორგანიზაციაში ხელქვეითების უშუალო მართვის პროცესის ოპერატიულ-მარეგულირებელი თანხლება.

მეთოდურ ჭრილში: ადაპტირებული აგებისა და ადექვატური გამოყენებისა ორგანიზაციის მართვის მექანიზმების კონსტრუქციული საფუძველების განსაზღვრა.

მთლიანობაში სისტემურ-სტრუქტურული მიდგომის პოზიციებიდან: ორგანიზაციაში მართვისა და ხელმძღვანელობის მთლიანი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ხელქვეითები იღებენ და გამოიყენებენ ორგანიზაციის ადმინისტრირების რესურსებს საკუთარი სტატუსით განპირობებული ფუნქციონალური პოზიციებიდან. ადმინისტრირება ორგანიზაციაში მთლიანობაში განსაზღვრავს პოზიციონირების კონტრუქციული სისტემის აგება-გამოყენებასა და ხელქვეითის ფუნქციონალურ ურთიერთობას.

განსაკუთრებულად გამოსაყოფია ადმინისტრირების პრაქტიკული მნიშვნელობა ძალოვანი სტრუქტურებისათვის, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების ინტერესებს. იგი გამოვლინდება კანონით დადგენილი სრული ფინანსური და სხვა ანგარიშგების დროული წარმოდგენის უზრუნველყოფით. მეთოდურად თან ახლავს ორგანიზაციის შინაარსის საჭირო ინფორმაციული წარმოდგენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. მთლიანობაში კი ორგანიზაციის ადმინისტრირება შესაძლებელს ხდის უზრუნველყოს აგების სტაბილურობა და ზოგად დადგენილ მოთხოვნათა დაცვის სისტემის მოქმედების ეფექტურობა.

ადმინისტრაციული რესურსების პრაქტიკული გამოყენების ყველაზე რთულ სეგმენტს წარმოადგენს ორგანიზაციის ურთიერთობა მუდმივ და დროებით გარეშე კონტრაგენტებთან (ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარესთან) ეს დაკავშირებულია მათ ადმინისტრაციულ განკერძოებულებასთან. მეთოდურ ქრილში ადმინისტრირება ამ სეგმენტში უზრუნველყოფს ორგანიზაციებისა და კონტრაგენტების ურთიერთობის ინსტრუმენტების ადაპტაციას, როგორც მდგრადი ურთიერთობების სისტემის ფორმირების შედეგს .

საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, როგორც ოფიციალური ორგანოები, ისე თვით ორგანიზაციაც ფართოდ და აქტიურად მიმართავს გამოკვლევებს, ანალიზს, შეფასებებს და ექსპერტ-სპეციალისტების რეკომენდაციებს. რაც აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული მენეჯმენტის მიერ ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი და სპეციფიკური პარამეტრების კომპლექსური შეფასების აუცილებელ საშუალებაზე. ეს პროცესი თავის მხრივ, ორგანიზაციაში მოქმედ მექანიზმების პროცედურული გამოყენების და მეთოდური აგებულებების გამჭვირვალობის უქრუნველყოფას უნდა ეყრდნობოდეს.

ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი შინაარსი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბოლოოდ პრიორიტეტულად ორიენტირებულია მის ნამდვილ და პოტენციურ კლიენტებზე. ასეთი მიზანმიმართული ორიენტაცია გამოისახება მოდელის ჩამოყალიბების ადმინისტრაციულ უზრუნველყოფაში და ორგანიზაციასთან კონსტრუქციულ ურთიერთობაში. მთლიანობაში ეს ყველაფერი მიმართულია ორგანიზაციისა და კლიენტს შორის ურთიერთსასარგებლო ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბებისკენ.

ადმინისტრაციული მენეჯმენტის გამოყენების უმთავრესი ტენდენციების ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვყოს მისი ძირითადი პრიორიტეტები და პრაქტიკული მნიშვნელობა. მეტად თვალსაჩინოა მათი პოზიციონირება ორგანიზაციის მთავარ სუბიექტებთან ურთიერთობის მხრივ, რადგან სწორედ მათი უშუალო მოთხოვნით გამოიყენება ადმინისტრირების კონსტრუქციული პოტენციალი. ამასთან ადმინისტრაციული მენეჯმენტის პრაქტიკული მნიშვნელობა მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ საორგანიზაციო, მეთოდურ და სისტემურ ასპექტებში, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკონკრეტოთ სუბიექტურ-ფუნქციონალური შეფასება.

ბიბლიოგრაფია

1. Эндрю Холмс, Менеджмент персонала, М., ЭКСМО, 2007.
2. Балдин К.В. Воробьев, С. Н. Управление менеджмента, М., Юнит – 2005.
3. WWW. Management.com.

CURRENT ASPECTS OF INTERNATIONAL MARITIME LAW ON HUMAN LIFE PROTECTION AND PRIMARY CARE

Ekaterine Gvarishvili¹, Associate Professor; **Elida Khvedelidze**², Associate Professor;
Mamuka Nakashidze, Doctor of Medical Sciences
Batumi Navigation Teaching University

Abstract. The article concludes an analysis of the UN Convention at the basis of Maritime Law, The International Convention on Standards of Training, Certification and Watch keeping, Maritime Labour Convention 2006, The International Guide on Medical Assistance. Also the legal problems of organizing medical assistance issues are considered. Conclusions on primary health care assistance based on the research we have conducted can be applied to further improvement of national legislation.

Keywords: Medical Assistance on a ship, International Regulation, Convention, Medical Responsibility on aboard.

ადამიანის სიცოცხლის დაცვის და პირველადი სამედიცინო დახმარების აქტუალური ასპექტები საერთაშორისო საზღვაო სამართალში

ეკატერინე გვარიშვილი, ასოცირებული პროფესორი; ელიდა ხვედელიძე, ასოცირებული პროფესორი; მამუკა ნაკაშიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. სტატიაში მოცემულია გაეროს კონვენციის ანალიზი საზღვაო სამართლის ქრილში, მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის განევის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, 2006 წლის საზღვაო გადაზიდვების კონვენციის, გემზე სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სახელმძღვანელოს საფუძველზე, განხილულია გემზე სამედიცინო დახმარების ორგანიზების სამართლებრივი რეგულაციების აქტუალური პრობლემები. ჩვენ მიერ ჩატარებული იმოხილვითი კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთილია დასკვნები პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებში, რომლებიც ნაციონალური კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო დახმარება გემზე, საერთაშორისო რეგლამენტაცია, კონვენცია, სამედიცინო პასუხისმგებლობა გემზე.

შესავალი.

თანამედროვე საზღვაო ფლოტის მასშტაბები შთამბეჭდავია. სტატისტიკური მონაცემები მონიშნავს, რომ 90% ყველაფერი იმისა, რაც ჩვენს ირგვლივაა, საზღვაო გზითაა გადაზიდული. მსოფლიოში 50000-ზე მეტი სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების გემია. ეს კოლოსალური ფლოტი დარეგისტრირებულია მსოფლიო 150 ქვეყანაში. მას ემსახურება მილიონზე მეტი სხვადასხვა ეროვნების


¹ e.gvarishvili@bntu.edu.ge

² e.khvedelidze@bntu.edu.ge


მეზღვაური, ეს მაჩვენებელი იმაზე მეტია, ვიდრე ისეთი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა, როგორებიცაა, მაგალითად, ფიჯი ან ბაჰრეინი.

სამწუხაროდ, არსებობს სხვა სატატისტიკური მონაცემებიც: ყოველწლიურად მსოფლიო წყლებში კატასტროფას განიცდის რამოდენიმე ათასი გემი და მათგან 200 მეტი - დიდი წყალწვის გემებია, რომელთა საერთო ტონაჟობა 1 500 000-ია. ყოველწლიურად ზღვაზე იღუპება 2000 ადამიანი, იკარგება მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ზღვებსა და ოკეანეებში იღვრება დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტები და სხვა გერემოსათვის საფრთხის შემცველი ნივთიერება. ამიტომ, საზღვაო გადაზიდვების დროს, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, გადამეტების გარეშე ითვლება ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხად.

დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.



BIMCO-ს 2015 წლის მონაცემებით, წლინადში ზღვაზე დასაქმებულ მეზღვაურთა რაოდენობა 1 647 500-ს აღწევს, ამათგან 774 000 ოფიცერია, ხოლო 873 500 - რიგითი. დიაგრამა 1 გვაჩვენებს, რომ ამჟამად, საშუალოდ, წელიწადში, დასაქმებულ მეზღვაურთა საერთო რაოდენობის 0.12% იღუპება საზღვაო კატასტროფებში. დიაგრამა 2 ცხადყოფს, რომ მსოფლიო ფლოტის საერთო ტონაჟი შეადგენს 1.9 მილიარდ ტონას, ყოველწლიურად საზღვაო კატასტროფები აზიანებს 1 500 000 ტონაჟის მოცულობის გემებსა და მათ ტვირთებს, რაც 0.08% შეადგენს. მაჩვენებელი, ერთი შეხედვით, მცირეა. თუმცა, თუკი ვსაუბრობთ ადამიანების სიცოცხლესა და ფლოტის, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და გადამზიდავი საშუალების სიცოცხლისუნარიანობაზე, გასაგები ხდება, რომ აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ზომების მიღება.

წყალზე ნებისმიერი კატასტროფისათვის დამახასიათებელია ადამიანების იზოლაცია გარკვეულ სივრცეში, სამაშველო საშუალებების და დროული სამედიცინო დახმარების დეფიციტი, პანიკის წარმოშობის ალბათობა. განსაკურებით საშიშია ღია ზღვაში გემზე გადაუდებელი სიტუაციები.

ზღვაში კატასტროფის მასშტაბები საზღვაო ტრანსპორტზე დამოკიდებულია მოვლენების განვითარებასა და ეკიპაჟის კვალიფიციურ და პროფესიონალურ ქმედებებზე.

საზღვაო ფლოტის მეზღვაურებს მუშაობა ხშირად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში უხდებათ, რაც დაკავშირებულია ყოველდღიურ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვასთან. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია ხანგრძლივად და ეფექტიანად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, რაც პირდაპირ აისახება უსაფრთხო ნაოსნობაზე.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა სამედიცინო დახმარების ახალი სტანდარტების შემუშავების საშუალება მოგვცა, ამიტომ, გემზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უნდა ეთმობოდეს განსაკუთრებული ყურადღება.

თანამედროვე შეხედულებით, პირველადი დახმარება წარმოადგენს მკურნალობის კურსს, რომელიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სიკვდილიანობის თავიდან აცილებაზე. ეკიპაჟის ყველა წევრი ვალდებულია გაიაროს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსები. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის მნიშვნელობას ნათლად ასახავს გემზე სამედიცინო დახმარების სტანდარტების ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები და, პირველ რიგში, საერთაშორისო კონვენციები. საზღვაო სამართლის კონვენცია UNCLOS 82 (მ.3.4, გვ.94), ავალდებულებს დროშის მფლობელ ყველა სახელმწიფოს, მიიღოს გადაუდებელი ზომები ზღვაზე უსაფრთხო ნაოსნობისთვის. ის, უნინარეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ კაპიტანი, ოფიცრები და საჭიროების მიხედვით - ეკიპაჟის ყველა წევრი ზედმინევენით უნდა ფლობდეს ყველა იმ საერთაშორისო ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლის დაცვას ზღვაზე.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული კონვენცია (გვ. 98) ადგენს, რომ ყველა სახელმწიფო, და შესაბამისად, მისი დროშის ქვეშ მცურავი ყველა გემის კაპიტანი ვალდებულია, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, თავისი ეკიპაჟისა და მეზღვაურები საფრთხეში ჩაგდების გარეშე, აღმოუჩინოს დახმარება ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც ემუქრება საფრთხე ზღვაზე, ხოლო შეტაკების შემთხვევაში - აღმოუჩინოს დახმარება სხვა გემს, მის ეკიპაჟსა და მგზავრებს. ამ რეგულაციის განსახორციელებლად, ყველა საზღვაო სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს სამაშველო ღონისძიებების ორგანიზაციულ, ქმედით და ეფექტიან უზრუნველყოფას; ასევე, თუ ამას ითხოვს გარემოება, ითანამშრომლოს რეგიონალური და ინტერნაციონალური შეთანხმების ფარგლებში.

საზღვაო სამართლის კონვენციაში UNCLOS 82 საუბარია სამაშველო ღონისძიებებზე ფართო გაგებით, ჩვენი მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ უშუალოდ სამედიცინო დახმარებაზე. ავარ-

იულ მდგომარეობებს ზღვაზე მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ისეთი ინციდენტები, რომლებიც არ-
ღვევს ჩვეულ რიტმს გემზე და მის ბორტს მიღმა მოძრაობისას თუ საპორტო წყლებში დგომის დროს,
რომელთა შედეგადაც, შესაძლებელია, დადგეს პიროვნული ან მატერიალური ზიანის ფაქტი.

როგორია გადარჩენის შანსები ღია ზღვაში უმწეო მდგომარეობაში? რამდენი ხანი შეიძლება გა-
ძლოს ადამიანმა, იმ იმედით, რომ მას გადაარჩენენ?

ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. უდავო მხოლოდ ერთია - უბედური შემთხვევის დროს
მთავარია ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრების უსაფრთხოება. ხშირად შეიძლება მოისმინოთ საო-
ცარი ისტორიები გემზე უბედური შემთხვევების შესახებ, როცა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა
შესაძლებელი გახდა ყოფილი საგნების ან შემთხვევითი მოვლენების მეშვეობით, მაგრამ ეს, როგორც
წესი გამონაკლი შემთხვევებია. სამწუხაროდ საზღვაო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ „მარტოხელებზე“
ღია ზღვაში ვრცელდება ე.წ. „სამის წესი“ - ადამიანი ცოცხალბობს მხოლოდ:

- სამი საათი საყრდენის გარეშე,
- სამი დღე წყლის გარეშე
- სამი კვირა საკვების გარეშე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავს სიტუაციებში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის და ჯან-
მრთელობის დაზიანების ალბათობა ძალიან მაღალია, ამიტომაც, მსხვერპლის გადასარჩენად საჭ-
იროა გამოზნული და ქმედითი ღონისძიებების გატარება. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ
მეზღვაურები არ არიან მედიცინის სპეციალისტები, აუცილებელია ესეთ სიტუაციებში სამედიცინო
დახმარების ალგორითმების ნორმატიული რეგლამენტაცია. ამან ხელი უნდა შეუწყოს გემზე ადამი-
ანის სიცოცხლის დაცვას.

მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის განევის შესახებ საერთაშორისო კონ-
ვენციის მიღებამ არსებითად შეუწყო ხელი მართვის რგოლის საზღვაო ოფიცრების (კაპიტანი, კა-
პიტანის უფროსი თანაშემწე, უფროსი მექანიკოსი და მეორე მექანიკოსი) და ექსპლუატაციის დონ-
ის მეზღვაურების (ვახტის თანაშემწე და ვახტის მექანიკოსი) შესაბამის მომზადებას. ამასთანავე,
STCW 78 კონვენციის თანდართული ფორმის წესის II/2, პუნქტი 13-ის მიხედვით, განსაზღვრულია
სამედიცინო მომზადების მინიმალური მოთხოვნები, რომელიც აუცილებელია 200 ტონიანი და მეტი
ტევადობის გემების კაპიტანებისა და პირველი თანაშემწეების დიპლომების მისაღებად. კერძოდ,
სავალდებულო თეორიული ცოდნა პრაქტიკული ჩვევებით საერთაშორისო სამედიცინო სახელმძ-
ღვანელოს მიხედვით გემებისა და ნაციონალური პროტოკოლებისათვის, საერთაშორისო სასიგნა-
ლო ნაკრების სამედიცინო ნაწილი, პირველადი სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელო უბედ-
ური შემთხვევების დროს, რომელიც დაკავშირებულია საშიში ტვირთების გადაზიდვასთან.

კაპიტანის თანაშემწის დიპლომის მისაღებად 200 ტონის და მეტი ტევადობის გემებისთვის, მინ-
იმალური მოთხოვნებია (პარ. 19) სამედიცინო ცნობარის პრაქტიკული გამოყენების ცოდნა, რა-
დიო-სამედიცინო დახმარების გამოყენება, საჭირო უნარ-ჩვევები უბედური შემთხვევებისა და გემის
პირობებში ტიპური შემთხვევების დროს.

გარდა ამისა, აღნიშნული კონვენცია უნიფიცირებას უკეთებს რეკომენდაციებსა და სტანდარტებს
იმ პირებისთვის, ვინც პასუხისმგებელია გემზე სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაზე, რამაც
თავისი ასახვა ჰპოვა STCW კონვენციის სახელმძღვანელოს IMGS (4) ბოლო რედაქციაში, ოფიცრებ-
ის ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნებში.

შედეგად, უბედური შემთხვევის დროს ეკიპაჟის ნებისმიერი წევრისთვის უნდა იყოს უზრუნველყო-
ფილი პირველადი სამედიცინო დახმარება, რაზეც პასუხისმგებელია კაპიტანი.

2006 წლის შრომით კონვენციაში ასახულია გემზე სამედიცინო დახმარების საკითხები, საზედამხედველო პრინციპების მუხლი 4.1.1 რეგლამენტირებას უკეთებს გემზე სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას. კერძოდ, სამედიცინო მომზადების იმ აუცილებელი მინიმალური დონის განსაზღვრისათვის, რომელსაც მეზღვაურები უნდა ღებულობდნენ გემებზე, სადაც არ არის დიპლომირებული ექიმი, კომპეტენტური ორგანოები სავალდებულო წესით უნდა ითხოვდნენ მინიმუმ ერთი მეზღვაურის გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიცირებულ სამედიცინო მომსახურებას STCW კონვენციის სტანდარტის შესაბამისად 8 საათის მანძილზე. ცხადია, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამედიცინო მომზადება, რომელიც საშუალებას მისცემს, განახორციელოს გადაუდებელი ეფექტიანი ქმედებები უბედური შემთხვევების დროს ან ავადობის შემთხვევეში, და შეძლოს გამოიყენოს რადიო- ან თანამგზავრული სამედიცინო კონსულტაცია. ყველა სხვა გემზე უნდა იყოს გამოყოფილი, სულ მცირე, ერთი მეზღვაური, რომელსაც ექნება სამედიცინო მომზადება STCW კონვენციის მიხედვით, სამედიცინო მოვლის პროფილით, რომელიც გულისხმობს თერაპიულ უნარ-ჩვევებს სიცოცხლის გადარჩენისა და შინაგანი თერაპიის განხრით, რაც აძლევს ხსენებულ პირებს საშუალებას შედეგიანად და კოორდინირებულად მიიღონ მონაწილეობა ზღვაში მყოფ გემებზე პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაში, აღმოუჩინონ ავადმყოფ და ტრამვირებულ მეზღვაურებს დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება გემის ზღვაში ყოფნის პერიოდში.

გემის აფთიაქში მედიკამენტების მინიმალური შემადგენლობა უნდა იქნეს წარმოდგენილი იმის და მიუხედავად, არის გემზე ექიმი თუ არა. თავის მხრივ, პასუხისმგებელი პირების მომზადება უნდა ხდებოდეს გემებისთვის საერთაშორისო სამედიცინო სახელმძღვანელოს ბოლო რედაქციების საფუძველზე, უბედური შემთხვევების დროს სამედიცინო დახმარების სახელმძღვანელოს მიხედვით. თავის მხრივ, ეფექტიანი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შესაძლებელია თანამედროვე ფარმაკოლოგიური უზრუნველყოფის, ანუ მედიკამენტების გარეშე.

ეს საკითხი წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმების რეგლამენტაციის საგანს. საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის №105 რეკომენდაცია, რომელიც ეხება გემზე არსებული აფთიაქებს (მიღებულია ჟენევაში, 13.05.1958 წელს, ILO-ს გენერალური კონფერენციის 41-ე სესიაზე), განსაზღვრავს, რომ თითოეული ხელმომწერი ქვეყანა ვალდებულია გამოიყენოს განსაზღვრული ნორმები. ნაოსნობაში მყოფი ნებისმიერი გემი ვალდებულია იქონიოს გემის აფთიაქი, რომლის ფარმაკოლოგიურ შემადგენლობასაც ადგენს კომპეტენტური ორგანოები შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ეკიპაჟის წევრთა რაოდენობა, გემის მიერ შესასრულებელი რეისის ხასიათი და ხანგრძლივობა. კაპიტანმა ან სხვა პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ მედიკამენტების შენახვის პირობებს, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია.

გემის აფთიაქის დაკომპლექტებისა და შევსების დროს, კომპეტენტურმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ №105 რეკომენდაცია გემის აფთიაქის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. ამასთანავე, ეს მოთხოვნები და წესები პერიოდულად გადახედულ უნდა იქნეს შრომის საერთაშორისო და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციების მიერ აღიარებული ახალი სამედიცინო აღმოჩენებისა და მიღწევების შესაბამისად.

იმდენად, რამდენადაც გემზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირი არ არის დიპლომირებული სპეციალისტი, გემის აფთიაქში არსებულ ნებისმიერ შეფუთვას უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია. ინსტრუქციები უნდა იყოს დეტალური და ინფორმატიული, იმისთვის რომ მისი გამოყენება შეძლოს არა მარტო სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელმა პირმა, არამედ ეკიპაჟის ყველა წევრმა, როგორც დამოუკიდებელად, ისე რადიო-სამედიცინო კონსულტაციის გამოყენებით.

ასევე, განერილი უნდა იყოს აფთიაქის მუდმივი კონტროლისა და დათვალიერების წესები და გრაფიკი - შემონახვა უნდა ტარდებოდეს სპციალურად უფლებამოსილი პირების მიერ სულ მცირე 12 თვეში ერთხელ.

შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო შეთანხმებებში სამედიცინო დახმარების რეგლამენტაცია, უდაოდ მოწმობს გემზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის განსაკუთრებულ სამართლებრივ მნიშვნელობაზე. ამავე დროს, საერთაშორისო კონვენციები ავალდებულებენ ხელისმომწერი ქვეყნებს მოიყვანონ ნაციონალური კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო ნორმებთან, რითაც შეიძლება შექმნან ეფექტური სტანდარტები გემზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეალიზაციისთვის.

- ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, შესაძლებელია გამოვკვეთოთ შემდეგი დასკვნები: საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებში პირველადი სამედიცინო დახმარების რეგლამენტაციას, გაზვიადების გარეშე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის სამართლებრივ რეგულაციისათვის, ვინაიდან საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობის დაცვას, რომელიც მთავარი საზრუნავია ნებისმიერი ცივილიზირებული საზოგადოებისათვის.
- გემზე სამედიცინო დახმარების ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელია საერთაშორისო ნორმების და სტანდარტებისა და ნაციონალური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია უახლესი სამედიცინო აღმოჩენების, პროგრესისა და თანამედროვე მკურნალობის დამკვიდრებული მეთოდების გათვალისწინებით.
- სამართლებრივი ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია საერთაშორისო შეთანხმებით, ხელს უნდა უწყობდეს ხელისმომწერი ქვეყნების მიერ ნაციონალურ კანონმდებლობაში მკაცრი მოთხოვნების და კრიტერიუმების დაცვას, გემზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის განსაზღვრას.

უშუალო პასუხისმგებლობა გემზე პირველადი სამედიცინო დახმარების ორგანიზებაში მართვისა და ექსპლუატაციის დონის ოფიცრებს ეკისრებათ.

ლიტერატურა

1. «Судоходство необходимо миру», Всеукраинская морская газета, 2015, Режим доступа: <http://seafarers.com.ua/world-maritime-day-theme-2016-is-selected/5851/>;
2. Географический справочник «О странах», Режим доступа: http://en.ostranah.ru/_lists/population.php;
3. **Бойович В.**, Міжнародно-правові аспекти забезпечення безпеки мореплавства, Київ, 2003;
4. International medical guide for ships: including the ship's medicine chest. 3rd ed. WHO. [ER].Access mode: http://apps.who.int/iris/bitstream/10665/43814/1/9789240682313_eng.pdf
5. Конвенция Организации Объединенных Наций по морскому праву, Режим доступа: http://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_r.pdf
6. **Сидоренко А.В.** Расследование на морских судах, Одесса, 1999;
7. Предлагаемая Сводная конвенция о труде в морском судоходстве, Режим доступа: http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/pdf/maritime_labour.pdf

TRANSIT CORRIDORS ANALYSIS AND OF GEORGIA'S POSITIONING AMONG THEM

George Gabedava¹, Assistant-Professor
Batumi Navigation Teaching University

Abstract. Georgia has a real chance to deliver and send additional cargoes, which leads to increase in income and improves conditions of economic development. Main issue for cargo owners is to offer profitable conditions and its practical implementation, for which essential condition is modern transport infrastructure, its one of the most important part is seaports, which itself ensures safe transportation of cargoes, their rapid delivery and reduction of shipping costs. Through the implementation of seaports infrastructure and new technologies Georgia has a real chance to become main logistic hub for the Caucasus and Central Asia. Which will increase the role of Georgia as a transit corridor, but rather a contributing factor to the development of the country's economy.

Historically Georgia due to its geographical location, role and maritime border is a Maritime State of Mediterranean and Black sea basin maritime state. 16 % of whole border of the country is Maritime. The country is connected to Black sea countries (Russian Federation, Ukraine, Republic of Bulgaria, Republic of Romania, Republic of Turkey), whereas, through the Bosphorus and Dardanelles straits to the Mediterranean Sea countries, through the river Danube to Central Europe Countries.

Nowadays maritime navigation is one of the most important sector for the country, Georgia as a independent, sovereign maritime state, due to its historical and strategical location still has chance to be actively involved in modern world economic space, with today's relations, sizes and huge potential, national individuality and self-assertion through maximum preservation, firstly it will help to contribute its minor in the regulation of current complex process of economic relations of the world countries, and secondly achieve economic progress and significant increase in the level of population life. But for achieving all, it is necessary perfection and development of Georgian Transport System, whereas the one of the most part of this system is Maritime Transport, this latter implies the arrangement and development of seaports. Moreover, seaports besides cargo handling (loading/unloading) have logistic and distribution center functions within modern Logistic and Supply Chain process to conduct door-to-door service. Therefore, modernized seaports will help the country to be established as a Logistic Hub, whereas, logistic will develop the most perspective sectors of the country, such as agriculture, production, trade and tourism. Improving of logistical conditions is the one of the most important issue for the companies working in the sector to improve competitiveness and its establishment on the international market.

Key Words: Logistics; Transit Corridor; International Ratings; Transit Potential; Competitiveness.

სატრანზიტო დერეფნების ანალიზი და საქართველოს ადგილი მათში

გიორგი გაბედავა, ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. საქართველოს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის გაუმჯობესებას. მთავარი საკითხი ტვირთმფლობელებისათვის

¹ Email: g.gabedava@bntu.edu.ge

მომგებიანი პირობების შეთავაზებასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებაში მდგომარეობს, რისთვისაც აუცილებელი პირობაა თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომლის ერთერთი ძირითადი ნაწილი საზღვაო ნავსადგურებია, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ტვირთების უსაფრთხოდ გადაზიდვას, მათ სწრაფ მიწოდებას და გადაზიდვის ხარჯების შემცირებას. საზღვაო ნავსადგურების ინფრასტრუქტურისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ლოჯისტიკურ ჰაბად. რაც თავისმხრივ გაზრდის საქართველოს როლს, როგორც სატრანზიტო დერეფნისა არამედ იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი.

ისტორიულად საქართველო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, როლიდან და საზღვაო საზღვრის განფენილობიდან გამომდინარე ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზის საზღვაო სახელმწიფოა. ქვეყნის მთლიანი საზღვრის დაახლოებით 16 % საზღვაოა, ქვეყანა შავი ზღვით უკავშირდება შავიზღვისპირეთის ქვეყნებს (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბულგარეთის რესპუბლიკა, რუმინეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა), ხოლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს, გიბრალტარის სრუტით შესაძლებელია კავშირი მთელს მსოფლიოსთან, მდინარე დუნაის მეშვეობით კი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის ქვეყნებთან.

დღეს, როცა ნაოსნობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დრგია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ, სუვერენულ, საზღვაო სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და სტრატეგიული მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვით დამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით, და ამით, ჯერ ერთი, თავისი, თუნდაც მცირედი, წვლილი შეიტანოს მსოფლიო სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობების ამჟამად მიმდინარე რთული პროცესების რეგულირებაში, და მეორეც, მიაღწიოს ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. მაგრამ ამ ყველაფრის მისაღწევად საჭიროა საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სრულყოფა და განვითარება, ხოლო ამ სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი საზღვაო ტრანსპორტია, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს საზღვაო პორტების მოწყობასა და განვითარებას. მით უფრო, რომ თანამედროვე ლოჯისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვაში ნავსადგურებს, გარდა ტვირთების მართვის (ჩატვირთვა / გადმოტვირთვა) ფუნქციისა ენიჭება ლოჯისტიკისა და განაწილების ცენტრის ფუნქციაც, კარდაკარ (დოორ-ტო-დოორ) სერვისის განხორციელების მიზნით. აქედან გამომდინარე მოდერნიზირებული საზღვაო ნავსადგურები ხელს შეუწყობს ქვეყნის ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას, ხოლო ლოჯისტიკა თავისათავად განვითარებს ქვეყნის ყველაზე პერსპექტიულ დარგებს როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. ლოჯისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრებისა.

საკვანძო სიტყვები: ლოჯისტიკა; სატრანზიტო დერეფანი; საერთაშორისო რეიტინგები; სატრანზიტო პოტენციალი; კონკურენტუნარიანობა.

Introduction

Georgia is located in one of the most important and difficult geopolitical regions of the world, on the key spot of the Great Silk Road, which has historically played a major role in the development and interaction of Europe and Asia. Since Georgia has emerged of the Soviet Union's geopolitical captivity, the country based on its geographical space, history, political importance and economic possibilities become the new geo-economic center between Eu-

rope and Asia, between Russia and the Middle East. Accordingly, there was a growing interest towards the Georgia as a new geo-geographic attraction center in both regional and international arena. The main geopolitical task of the country was integration into European structures. Thus, the geopolitical strategy is clearly declared, and for the establishment of its own niche in the world economy, it is of utmost importance to formulate a well-formed geo-economic strategy and its implementation with the co-operation of local and international allies in the region. Thus, Georgia’s geo-economic position is influenced by: Players of the interregional level (Armenia, Azerbaijan); In case of external regional level - Russia, Turkey, Iran, the Mediterranean countries; and such international players as the EU, the United States and China.

The analysis of positioning of transit function of Georgia on the international arena is given in the presented work, the main factors affecting the transport and logistics field of the country and the main problems in the field and competing transit corridors are also analyzed.

Research results and discussion

All transit routes that provide both land and sea as well as mixed type freight transportation plays a crucial role in trade and economic interaction between Europe and Asia. More than 60% of world cargo shipments come from the cargo transported between West and East. (1)

At the modern stage, the countries situated on the coast of the Asia Pacific Ocean are linked to the developed countries of the Atlantic Ocean with five existing international transit corridors:

1. North Maritime Corridor;
2. South Maritime Corridor;
3. Trans-Siberian Railway Corridor;
4. South Land Route;
5. Multi-Modal or Mixed Type Transit Corridor of the Silk Road or TRACECA.

The advantages and disadvantages (2) of each of the mentioned corridors were identified during their analysis.

Advantages and Disadvantages of the North Maritime Corridor (3)

Tbale 1

Advantages	Disadvantages
Short Distance	Seasonality
Small Transit Time	High Level of Technical Barriers
Lack of the Discharging Ports	High Tariffs
	The Complexity of Operational Procedures

Source: Transport – Logistics Sector in Georgia: Main Challenges and Perspectives of Development

Advantages and Disadvantages of the South Maritime Corridor

Table 2

Advantages	Disadvantages
Security	Long Distance
Low Tariffs	Long Transit Time
Coverage	Seasonality

Source: Transport – Logistics Sector in Georgia: Main Challenges and Perspectives of Development

Advantages and Disadvantages of the Trans-Siberian Railway Corridor

Table 3

Advantages	Disadvantages
Transit Time	Long Distance
No Seasonality	High Level of Corruption
One Transit Country	High Level of Crime
One Custom Procedure	Technical Incompatibility
Fixed Tariffs	Difficulty of Unloading Operation

Source: Transport – Logistics Sector in Georgia: Main Challenges and Perspectives of Development

Advantages and Disadvantages of the South Land Route

Table 4

Advantages	Disadvantages
No Seasonality	Faulty Transit Infrastructure
	Institutional Failure of the Border Crossing
	Political and Military Instability
	Low Level of Cargo Safety Protection
	Unpredictable Tariffs
	Unprofessional Operation Procedure
	Low Level of Logistical Support

Source: Transport – Logistics Sector in Georgia: Main Challenges and Perspectives of Development

Advantages and Disadvantages of the Multi-Modal or Mixed Type Transit Corridor of the Silk Road

Table 5

Advantages	Disadvantages
The Shortest Distance	Multi-modal / Mixed Type Shipping
Small Transit Time	Difficulty of Shipping Operation
	Absence of Fixed Tariffs
	No Agreed Customs Procedures
	Absence of Commonly Agreed Transport / Borders Corssing Regulations;
	Improper Level of Technical / Logistical Support

Source: Transport – Logistics Sector in Georgia: Main Challenges and Perspectives of Development

Analysis of transit corridors, which is given in the document „Transport – Logistics Sector in Georgi: Main Challenges and Perspectives of Development” once again showed that the corridor on which Georgia situated is the most competitive and having great potential. The TRACECA corridor has an advantages: the shortest distance and small transit time, none of the other corridors do not have this. Those advantages ensure more profit from the shipping. (4)

Despite that, according to the World Economic Forum’s Global Competitiveness Index 2017-2018 (5), Georgia ranks 67th among 138 countries and its score is 4,28 out of 7. With this index Georgia is far behind Azerbaijan (rating score - 4,7) and Russia (rating score - 4,6). See figure 7:

Figure 7: Georgia’s rating among different countries





Figure 7: Georgia's rating among different countries

According to the Global Competitiveness Index, Georgia’s Infrastructure Indicator (6) shows the following:

Figure 8: Georgia’s Infrastructure Index



Global Competitiveness Index by depending on component factors and sub-factors, the index is the following:

“Infrastructure” - 67th position (total score - 4.2), including:

Quality of roads - 82 th position (rating score 3.8)

Quality of Port Infrastructure - 69th position (rating score 4.1)

Quality of Air Traffic Infrastructure - 69th position (rating score 4.3)

Quality of railway infrastructure - 39th position (rating score 3,8).

Despite the ratings, according to the scores, the Georgia’s infrastructural index can not reach 50% out of the max score, but the cargo shipped by Georgian transport systems is increasing day to day. The given statistics regarding the cargo turnover is taken from the official website for the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (7):




Figure 9: Cargo Transportation By Modes of Transport
 (Mln. Tons) – I quarter 2018-2019 yy.




Figure 10: Handled Cargo By Sea Ports and Terminals
 (Mln. Tons) - I quarter 2018-2019 yy.




Figure 11: Handled Containers by Sea Ports
(Mln. Tons) - I quarter 2018-2019 yy.




Figure 12: Passenger Transportation by Modes
(Mln. Tons) - I quarter 2018-2019 yy.

The statistics on the transported cargoes in the first quarter of 2018 -2019 yy. by the different mode of transport are given on the figures above. If we look at the diagrams, we see that all types of transport are marked by the increase in cargo handling. While Georgia’s transport infrastructure is outdated and needs to be developed and modernized. This tendency is caused by Georgia ‘s strategic location – TRACECA Corridor, which is attractive for cargo owners and ship owners.

Conclusions, offers, recommendations

In order to address this problem and improve the transport infrastructure of Georgia the following is necessary:

In order to Georgian Maritime Transport System increase the amount of cargo turnover and comply with the requirements of transit corridor still needs improvement and modernization. This will help to improve image and increase reliability of Georgian Seaports, which gives the assumptions that the vessels flow from the Black Sea competitor seaports will take path to Georgian Seaports, especially vessels those are carrying cargoes for the Central Asian states.

In order to increase competitiveness of Georgian Seaports, it is necessary to review the tariff policy of Seaports of Georgia; otherwise it will prevent the inflow of cargoes in the country, as long as shipping companies will prefer to do business through seaports with low service tariff.

BIBLIOGRAPHY

1. Transport – Logistics Sector in Georgi: Main Challenges and Perspectives of Development, 5, 2017 year;
2. Transport – Logistics Sector in Georgi: Main Challenges and Perspectives of Development, pg.: 15, 2017 year;
3. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/tgis.12295> (applied: 26.05.2019);
4. <http://www.traceca-org.org/en/home/> (applied: 26.05.2019);
5. The Global Competitiveness Report 2018 -<http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf> (applied: 26.05.2019)
6. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2017_2018_geo_.pdf (applied: 26.05.2019)
7. <http://www.economy.ge/index.php?page=ecoreview&s=26&lang=en> (applied: 26.05.2019)

ცვლილებების მენეჯმენტი სტეიკჰოლდერების კონტექსტში

ევგენი ბარათაშვილი, პროფესორი;
თამარ ლაგვილავა, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აბსტრაქტი: როგორც ცნობილია, სტეიკჰოლდერები არის დაინტერესებული ჯგუფები, ყველა ის პირი, ჯგუფი თუ ორგანიზაცია, რომელიც ან ემხრობა, ან ეწინააღმდეგება პრობლემის გადაწყვეტას. სტეიკჰოლდერების თეორია გულისხმობს მათ, ვინც ერთიანდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებით, რომლებიც ყველა მხარისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს ჯგუფები მოიცავენ პოლიტიკის შემუშავებლებს, სერვისის მიმღებებს, დამგეგმავებს, მთავრობას. სტეიკჰოლდერად მიიჩნევა ნებისმიერი პიროვნება ან ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს, ან მასზე ზემოქმედებს ორგანიზაციის ქმედება, გადაწყვეტილება, პოლიტიკა, პრაქტიკა ან მიზნები. [1]

არაერთი კლასიკოსი განიხილავს რეინჟინერინგის ჩატარების მსურველი საწარმოების შემდეგ სამ კატეგორიას, ესენია:

1) კრიზისულ სიტუაციაში მყოფი, რომლებიც კარგავენ კლიენტებს, გაყიდვების მოცულობას და აქვთ ცუდი ფინანსური მაჩვენებლები; 2) რომელთა ხელმძღვანელები წინასწარ ჭვრეტენ სერიოზულ პრობლემებს მომავალში მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე საქმეები მონესრიგებულია; 3) ლიდერობის კანდიდატები, რომელთაც რეორგანიზაცია უნდათ იმისათვის, რომ კონკურენტებს კიდევ უფრო გაურთულონ საკუთარ თავთან კონკურენცია.

საკვანძო სიტყვები: სტეიკჰოლდერები, ცვლილებების მენეჯმენტი, რეინჟინერინგი, გადაწყვეტილების მიღება.

CHANGES MANAGEMENT IN THE CONTEXT OF STAKEHOLDERS

Evgeni Baratashvili, professor; Tamar Lagvilava, Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Abstract: As it is known, Stakeholders are interested groups, all those individuals, groups or organizations which are supporting or contradicting to solve the problem. The theory of stakeholders implies those who are combined with pre-defined goals that are important for all of the parties. These groups includes development of policy, service recipients, planners, governments. A stakeholder can be every person or a group who influences or are under influence of the organization's actions, decisions, policies, practices or goals. [1]

Many authors consider the following three types of enterprises that wish to conduct reengineering:

1) Those in crisis situations who lose their clients, sales volume and poor financial indicators; 2) The supervisors whose forecasts are seriously concerned about the serious problems in the future, even though the current cases are regulated; 3) Leadership Candidates who want to reorganize the competitors to further compete with their own.

Keywords: stakeholders, change management, reengineering, decision making.

ძირითადი ტექსტი

კლასიკოსები ჯერ ჰამერი და მოგვიანებით მ.რობსონი და ფ.ულახი გამოყოფდნენ რეინჟინერინგის ჩატარების მსურველი საწარმოების სამ კატეგორიას, ესენია:

- 1) კრიზისულ სიტუაციაში მყოფი, რომლებიც კარგავენ კლიენტებს, გაყიდვების მოცულობას და აქვთ ცუდი ფინანსური მაჩვენებლები;
- 2) რომელთა ხელმძღვანელები წინასწარ ჭვრეტენ სერიოზულ პრობლემებს მომავალში მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე საქმეები მონესრიგებულია;
- 3) ლიდერობის კანდიდატები, რომელთაც რეორგანიზაცია უნდათ იმისათვის, რომ კონკურენტებს კიდევ უფრო გაუერთლონ საკუთრ თავთან კონკურენცია. [2]

საქართველოსთვის შეიძლება გამოვყოთ სხვა სპეციფიკური კონკრეტული მოტივები, მაგალითად: 1) გარე ბაზრებზე გასვლის გადანყვეტილება; 2) ქართულ ბაზარზე უცხოური კონკურენტი ფირმების გამოჩენის შესაძლებლობა; 3) მისწრაფება სიტუაციის შექმნისკენ, რომელშიც შესაძლებელი გახდება საწარმოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; 4) ხარისხობრივად ახალი პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლის სურვილი.

ასპროცენტიან შედეგს იძლევა საწარმოს დაგეგმილი გაფართოების გადანყვეტილების ფაქტორი. მეტიც: გაფართოების გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული არ არის რეინჟინერინგი, შეუძლია გამოიწვიოს პროექტის კრაზი. რეინჟინერინგის ჩატარების მეორე მიზეზი შეიძლება იყოს სირთულისა და წარმოების სიდიდე, რომელსაც ემატება მოქნილობის ფაქტორი.

განვიხილოთ სს „Georgian Steel“, ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ შემდეგ ფაქტორებზე: 1) არაღამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, 2) უცხოელი ინვესტორის მოზიდვის სურვილი.

ამდენად, სს „Georgian Steel“-ის რეინჟინერინგის ამოცანებს შეიძლება მივაკუთნოთ:

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების აღწერა (ძირითადი და დამხმარე), პროცესების გადახედვა და ახლების დამატება იმისათვის, რომ კარდინალურად გავაუმჯობესოთ კლიენტისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებები,
- ვირტუალური ჯგუფების შექმნასთან ერთდ ბიზნეს-პროცესების ფარგლებში მუშაობაზე გადასვლა; ჰორიზონტალური ურთიერთობების სისტემის ფორმირების დროს საწარმოს საქმიანი პროცესების პრიზმიდან ქვეგანყოფილებების თანამშრომლების ფუნქციების და მოვალეობების გადანაწილება,
- დოკუმენტების, პროცესების რეგლამენტების, მათი ნორმების, წესების, მონაწილეთა პროცედურების და მითითებების შერჩევის სისტემის შემუშავება,
- სადაც ეს შესაძლებელია და გამართლებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა,
- შერჩევის, სწავლების და ადამიანური რესურსების, როგორც რეინჟინერინგული საწარმოს უმნიშვნელოვანესი განვითარების პროცესის სისტემის შექმნა,,
- კორპორატიული კულტურის შექმნა, რომელიც ეხმარება „შრომის ახალ გარემოს“,
- დაჯილდოებების სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს რეინჟინერინგულ კომპანიაში პერსონალის მოტივაციას.

შედეგად სამშენებლო კომპანიის სწორხაზოვანმა სტრუქტურამ, რომელიც ორიენტირებულია ცალკეულ ფუნქციებზე, ადგილი უნდა დაუთმოს ახალ ჰორიზონტალური კავშირების მქონე ძირითადი ბიზნეს-პროცესების სტრუქტურას, რომელსაც სათავეში უდგანან მათი მფლობელები. გენერალური დირექტორი კოორდინაციას უწევს პროცესული მენეჯერების მუშაობას და არ ხელმძღვანელობს ცალკეულ სამსახურებს, რომლებიც სუსტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. პროექტს ნერგავს ჯგუფი, რომელიც იქმნება კომპანიის შიგნით. პირველი რიგის ამოცანებს მივაკუთნებთ ცალკეული პროცესების ცვლილებების განხილვას, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია კლიენტებისა და კომპანიისათვის.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია განისაზღვროს, რომ რეინჟინერინგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მაშინ, როცა კომპანიაში გაიაზრეს, რომ საჭიროა რეკოლუციური ცვლილებები. პიროვნებებმა, რომლებიც სს „Georgian Steel“-ში იღებენ გადაწყვეტილებებს, შექმნეს ცვლილებების აუცილებლობა; ინიციატივას მხარი დაუჭირა გენერალურმა დირექტორმა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს განსაკუთრებული ინტერესი ქონდათ კომპეტენციებთან, რომელიც საზოგადოების წესდებაში დაკავშირებული იყო სს „Georgian Steel“ სამეთვალყურეო საბჭოს წესდებასთან; აღნიშნული წესდების მიხედვით საკითხები ეხებოდა ორგანიზაციის საქმიანობის რეორგანიზაციის და ოპტიმიზაციის საკითხებს, რადგან ფუნქციონირების ხარისხის ამაღლების დროს ვარაუდობენ სანარმოს მომგებიანობის ამაღლებასაც.

რადგან რეინჟინერინგი პროცესული მიდგომაა, შეიძლება ავიღოთ ISO 9000:2000 სტანდარტში მოყვანილი პრინციპები, რომელთა შესრულებით ორგანიზაციას შეუძლია შექმნას პროცესული მართვის შემდეგი ეფექტური სისტემა: 1) ფოკუსირება მომხმარებელზე; 2) ხელმძღვანელობის ლიდერობა; 3) პერსონალის ჩართულობა; 4) პროცესული მიდგომა; 5) მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა; 6) მუდმივი გაუმჯობესება; 7) ფაქტებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება; 8) მონოდელებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები.

კომპანიის ხელმძღვანელობა, ისევე როგორც მისი თანამშრომლები, უკვე იაზრებს, რომ კონკურენციის პირობებში კლიენტისადმი ყურადღების გარეშე ორგანიზაციის მომგებიანად ფუნქციონირება შეუძლებელია. [3]

რაც შეეხება მეორე პირობას: გენერალური დირექტორი ფაქტიური ლიდერია, სარგებლობს ავტორიტეტით, თანამშრომლების მხარდაჭერით. კომპანიის კოლექტივი დიდი არ არის, იგი დაინტერესებულია გაუმჯობესებაში და მზად არის, მონაწილეობა მიიღოს საქმიანობის ოპტიმიზაციაში; ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არ არის, გამოიყენოს რიგითი თანამშრომლების იდეები; ხოლო რაც ეხება მე-4, 5, 6, პუნქტებს, მომავალ საქმიანობაში კომპანია-მაც და მისმა თითოეულმა თანამშრომლმაც თვიდან უნდა გაიაზროს ისინი.

განვიხილოთ ძირითადი დაინტერესებული სტეიკჰოლდერების მოთხოვნები:

კლიენტები. დასაწყისში განვიხილოთ პოტენციური მეპაიეები. კლიენტის მოთხოვნილებაა, მიიღოს მისი მოთხოვნილებების შესაბამისი კონსტრუქცია, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებებს; კლიენტს სურს, მისი მოთხოვნები გათვალისწინებულ იქნას და გარე შემზღუდავი პირობების არარსებობისას, შესაძლებელი იყოს მათი სრული დაკმაყოფილება. რაც შეეხება მცირე ბიზნესის წარმომადგენელ დამკვეთებს, მათთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და სისწრაფე: ანუ საკუთარი საქმიანობის შესრულების შემჭიდროვებული ვადები. ხშირად ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციების გამოყენება, თუ ადგილი ექნება მიწოდების ვადების დარღვევას. გარდა ამისა, დამკვეთს ყოველთვის ყავს ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს კონსტრუქციებისა და ნაგლის საბოლოო მიღებაში.

მუნიციპალური ორგანოები შემდეგი სტეიკჰოლდერია, ისინი მიესალმებიან კომპანიის საქმიანობას, რადგან ეს არის ქალაქის ეკონომიკის აქტივიზაცია და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება და მიმზიდველი იერი, რომლის შექმნაში კომპანია აქტიურად ღებულობს მონაწილეობას.

სახელმწიფო ორგანოები. საკმაოდ გვანან მუნიციპალიტეტებს, მაგრამ მათთვის პრიორიტეტულია წარმოების ხარისხი და დაკვეთის ვადები. ამისათვის აუცილებელია ორგანიზებული ოპერატიული კონტროლის სისტემა.

აქციონერები. მათი ძირითადი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ კუთნილი აქციებიდან მიიღონ დივიდენდები - ანუ ეს არის კომპანიის მზარდი მოგება. ბევრი აქციონერი დაინტერესებულია, იხილოს სს „GeoSteel“ თანამედროვე დინამიურად განვითარებადი კომპანიების რიცხვში, რომელსაც ქალაქის მოსახლეობასა და ქართულ საზოგადოებაში ექნება დადებითი იმიჯი. აქ ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური გამჭვირვალობა და საწარმოში აღრიცხვიანობის ეფექტური ორგანიზება.

სამუშაო ძალა. შესრულებული სამუშაოსათვის თანამშრომლებს სურთ სამართლიანი ანაზღაურების მიღება, ამდენად მათ უნდა ქონდეთ დამოუკიდებელი ინიციატივების წამოყენების შესაძლებლობა.

მენეჯმენტისათვის აუცილებელია, ქონდეს ნათელი წარმოდგენა სამუშაოს მასშტაბების შესახებ, მთლიანი პროცესის ან მისი ფრაგმენტის ხედვა, სამუშაოს საზომი ელემენტები, რომელთა გამოყენების მეშვეობით შესაძლებელია შესრულებულ სამუშაოთ ეფექტიანობის კონტროლი.

გამოვლენილი მოთხოვნებით კომპანია იხელმძღვანელებს ოპტიმიზაციის ვარიანტების შერჩევის პროცესში.

BIBLIOGRAPHY

1. **Shafritz, J. M.** (2004). Dictionary of public policy and administration. Boulder, Colo: Westview Press.
2. **Allen R.S., Montgomery K.A.** Applying an organizational development approach to creating diversity // Organizational dynamics. — N.Y. 2011. — Vol. 30. — № 2. — P. 149-160.
3. **Appelbaum S.H., Pratt W.G.** Strategic organizational change: the role of leadership, learning, motivation and productivity // Management Decision. 1998. — Vol. 36. — №5. — P. 289— 301.
4. 118 Atkinson P. Managing resistance to change. // Management Services. Spring 2005. — Vol. 49. — Issue 1.

თანამედროვე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფორმირების ტენდენციები

ზურაბ მუშკუდიანი, ასოცირებული პროფესორი¹ ციცინო ძოტენიძე,
ასოცირებული პროფესორი²
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: HR დეპარტამენტის საქმიანობის სტილი და მეთოდები მუდმივად იცვლება. ამის გამო, ბევრი დამსაქმებელი ახლებურად განიხილავს თავიანთი ადამიანური რესურსების ფუნქციების ორგანიზაციის საკითხს. HR დეპარტამენტი ეხმარება ხელმძღვანელ მაღალ ეშელონს გადამწყვეტოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის საკადრო ასპექტების დამუშავებასთან.

პერსონალის მართვის სფეროში აღინიშნება ტენდენციები, რომლებიც არსებითად ცვლიან წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულად ართმევენ თავს დამსაქმებლები ადამიანური რესურსების მართვის ამოცანებს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფორმირებისას განვიხილავთ სამუშაო ძალის, ტექნოლოგიურ, გლობალიზაციისა და ეკონომიკის ტენდენციებს.

მენეჯერებისათვის, გამონვევა აქ არის ის, რომ მათ უნდა მართონ ასეთი მუშაკები განსხვავებულად. მაგალითად, მომუშავეებისთვის მეტი გადამწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების მიცემა გულისხმობს რომ, თქვენ მიიღეთ, ასწავლეთ და შემდეგ დააჯილდოვეთ ისინი იმით, რომ თვითონ იღებდნენ მეტ გადამწყვეტილებას. ამის გამო დამსაქმებლებს ჭირდებათ ახალი ტიპის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გამოცდილება რომ უზრუნველყონ სწორედ ასეთი თანამშრომლების შერჩევა, სწავლება და ჩართულობა.

მას შემდეგ რაც მსოფლიომ გამოსცადა 2007-2009 წლებში, ძალიან საეჭვოა რომ დერეგულირება, ლევერეჯინგი, საინვესტიციო ბანკინგი და გლობალიზაცია, რაც განაპირობებდა ეკონომიკურ ზრდას წინა 50 წლის განმავლობაში, ისევ ზრდის ფაქტორებად მოგვევლინონ. ამრიგად ყველა ამ მსოფლიო ტენდენციის გაცნობა, გათავისება და გათვალისწინება აუცილებელია ქართველი კომპანიებისთვის და ფირმებისთვის, რათა მიღწეული იქნას მენეჯმენტის მთავარი მიზანი: ორგანიზაცია გახდეს წარმატებული, ხოლო ადამიანი, თანამშრომელი - ბედნიერი.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები, მენეჯმენტი, ხაზის მენეჯერი, პერსონალის მენეჯერი, ტენდენციები.

MODERN HUMAN RESOURCE MANAGEMENT TRENDS

Zurab Mushkudiani, Associate Professor; Tsitsino Dzotsenidze, Associate Professor
Batumi Navigation Teaching University; Akaki Tsereteli State University

Abstract: The style and methods of HR department activities are constantly changing. Because of this, many employers are new to discuss the issue of their human resources functions. The HR Department assists the man-

¹ zurabi8355@gmail.com

² dzotsenidzetsitsino@yahoo.com

agement of the high echelon to address important issues related to the development of the company's long-term strategic plan.

Expert centers are specialized in human consulting firms. For example, such center can offer specialized advice on organizational changes in entirely different parts of the company. Together with line managers HR managers have long been helping employers to find, hire, dismiss, administer and evaluate their partners. Still, there are trends in personnel management that substantially change how successful employers are able to manage human resources management tasks. During the formation of human resources management, we will discuss the work force, technological, globalization and economic trends.

For managers, the challenge here is that they should manage such workers differently. For example, giving more decision-making opportunities to employees means that you get, teach, and then award them with the fact that you have made more decisions. Because of this, employers need a new type of human resource management experience to ensure that such employees are selected, trained and engaged.

Since the world has experienced in 2007-2009, it is very doubtful that deregulation, leveraging, investment banking and globalization, which contributed to economic growth over the previous 50 years, are still growing factors. Thus, all of these world trends are intended to be understood and emphasized for Georgian companies and firms in order to achieve the main goal of management: the organization is successful and the man, the employee - happy.

Keywords: human resources, management, line manager, personnel manager, tendencies.

HR დეპარტამენტის საქმიანობის სტილი და მეთოდები მუდმივად იცვლება. ამის გამო, ბევრი დამსაქმებელი ახლებურად განიხილავს თავიანთი ადამიანური რესურსების ფუნქციების ორგანიზაციის საკითხს.³ მაგალითად, ერთერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკაში გამოკითხული მსხვილი კომპანიების 44% გეგმავდა HR სერვისების ორგანიზებისა და მიწოდების შეცვლას⁴ ბევრი გეგმავს ტექნოლოგიების გამოყენებას დიდი რაოდენობის „გაზიარებული მოსახურებების“ ანუ „ტრანსაქციური“ შეთანხმებების დანერგვის მიზნით.^{5, 6} ისინი ქმნიან ცენტრალიზებულ კადრების განყოფილებას, რომელთა თანამშრომლებიც განაწილებულნი არიან კომპანიის ყველა დეპარტამენტში იმ მიზნით, რომ დაეხმარონ ხაზის მენეჯერებს პერსონალის მართვის საკითხებში. ამ ტიპის HR ცენტრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ინტრანეტების(შიდა ქსელი) ან ცენტრალიზებული ქოლ ცენტრების საშუალებით; საექსპერტო ცენტრები, ძირითადად, სპეციალიზირებული ადამიანური საკონსულტაციო ფირმები არიან კომპანიაში. მაგალითად, ასეთ ცენტრს შეუძლია სპეციალიზირებული რჩევა გასცეს ისეთ საკითხში, როგორიცაა ორგანიზაციული ცვლილება მთლიანად კომპანიის სხვადასხვა ერთეულში. ხაზის მენეჯერებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით HR მენეჯერები კარგა ხანია ეხმარებიან დამსაქმებლებს თანამშრომლების მოძიების, დაქირავების, განთავსების, ადმინისტრირების, შეფასების საკითხებში. მიუხედავად ამისა პერსონალის მართვის სფეროში აღინიშნება ტენდენციები, რომლებიც არსებითად ცვლიან წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულად ართმევენ თავს დამსაქმებლები ადამიანური რესურსების მართვის ამოცანებს. სამუშაო ძალის შემადგენლობაში ცვლილებები გაგრძელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში; კერძოდ, სამუშაო ძალა გახდება უფრო დივერსიფიცირებული. მასში მონაწილე

³ Todd Henneman, "Is HR at Its Breaking Point?" WorkforceManagement, March 22, 2013, pp. 29-33.

⁴ Dave Ulrich, "The New HR Organization," WorkforceManagement, December 10, 2007, pp. 40-44, and Dave Ulrich, "The 21st-Century HR Organization," Human ResourceManagement 47, no. 4 (Winter 2008), pp. 829-850.

⁵ Technology to Play Role in Updating HR Delivery Services, Report Finds," BloombergBNA Bulletin to Management, September 4, 2012, p. 281.

⁶ Meg McSherry Breslin, "Strategic Move? Report Examines Future of HR," WorkforceManagement, November 2012, p. 14

იღობას მიიღებს მეტი ქალი, უმცირესობათა ჯგუფის წევრები და ასაკში შესული მომუშავეები. 1 ნახაზზე მოცემული გვაქვს სამუშაო ძალის სტრუქტურის მონახაზი 1992-2022 წლების პერიოდში აშშ-ში, რასაც აშშ-ს შრომის სამინისტრო გვთავაზობს.

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა მომუშავეების წილი მცირდება, მაშინ როდესაც 55 წელს გადაცილებული მომუშავეების რაოდენობა 11.8%-დან 1992 წელს ავარდება 25.6 %-მდე 2022 წელს.⁷ ბევრი დამსაქმებელი სერიოზულ პრობლემად აღიქვამს „დაბერებად სამუშაო ძალას“ მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ არ არსებობს საკმარისი უფრო ახალგაზრდა მომუშავეები ე.წ. დემოგრაფიული აფეთქების პერიოდის უფროსი თაობის (დაბადებული დაახლოებით 1946-1964 წლებში) პენსიაზე გასაშვებად. ⁸ ბევრი დამსაქმებელი აბრუნებს პენსიონერებს უკან ან ცდილობს შეიკავოს თავი მათი პენსიაზე გასაშვებად. ამ საყოველთაოდ პროგნოზირებული სამუშაო ძალის დეფიციტის გამო ბევრ დამსაქმებელს ამერიკაში სამუშაოდ აყავს უცხოელი თანამშრომლები. H-1B სავიზო პროგრამა უფლებას აძლევს ამერიკელ დამსაქმებელს დაიქირავოს კვალიფიციური უცხოელი სპეციალისტი ამერიკაში სამუშაოდ.

ნახაზი1.

მუშახელის შემადგენელი დემოგრაფიული ჯგუფები აშშ-ში, (პროცენტებში), 1992-2022

ასაკი, რასა და ეთნიკურობა	1991	2002	2012	2022
ასაკი 16-24	16.9%	15.4%	13.7%	11.3%
25-54	71.4	70.2	65.3	63.1
55 +	11.8	14.3	20.9	25.6
თეთრი	85.0	82.8	79.8	77.7
შავი	11.1	11.4	11.9	12.4
აზიელი	4.0	4.6	5.3	6.2
ლათინო-ამერიკული წარმოშობის	8.9	12.4	15.7	19.1

წყარო: Based on U.S. Bureau of Labor Statistics Economic News Release December 19, 2018 www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htm , accessed May 2, 2019.

ამრიგად, ამერიკელ დამსაქმებლებს ამ პროგრამის ფარგლებში ჩამოყავთ დაახლოებით 181 000 უცხოელი მომუშავე წელიწადში, თუმცა მსგავს პროგრამებს ყავს მონინაალმდეგებიც⁹. არიან ფირმები, რომლებიც არჩევანს აკეთებენ არატრადიციულ მუშახელზე. არატრადიციულ მომუშავეებად ითვლებიან ისინი, ვისაც გააჩნია რამდენიმე სამუშაო ადგილი, ან ვინც მუშაობს „დროებით“ სამუშაოზე, დაკავებული არიან არასრული სამუშაო დღის განმავლობაში, ან კიდევ მუშაობენ ალტერნატიულ

⁷ “Percent Growth in Labor Force, Projected 1990–2020,”www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htm accessed July29, 2018

⁸ “Talent Management Leads inTop HR Concerns,” Compensation& Benefits Review, May/June 2007, p. 12; www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htmaccessed May 12, 2019.

⁹ Rita Zeidner, “Does the UnitedStates Need Foreign Workers?”HR Magazine, June 2009,pp. 42–44

სტრუქტურებში (მაგალითად დედისა და ქალიშვილისგან შემდგარი გუნდი, რომლებიც იყოფენ ერთ საოფისე სამუშაოს).

არსებობენ მომუშავეები, როგორც „დამოუკიდებელი კონტრაქტორები“ რომელიმე კონკრეტულ პროექტში. ამერიკელ მომუშავეთა თითქმის 10% - 13 მლნ ადამიანი - მიეკუთვნება ამ ე.წ. არა ტრადიციულ მომუშავეთა კატეგორიას. ზოგიერთი დამსაქმებელი პრობლემად განიხილავს ათასწლეულის ანუ ე.წ. „Y თაობის“ (დაახლ. 1982 -2004 წწ. დაბადებული) მომუშავეთა დასაქმებას და ეს არ არის მხოლოდ ამერიკული პრობლემა. მაგალითად ნიუ იორკ ტაიმსი ცოტა ხნის წინ იტყობინებოდა, რომ ჩინეთში ერთი ბავშვის ყოლის კანონის მოქმედების შედეგად მშობლები ძალიან ანებივრებენ ბავშვებს. შედეგად ჩინეთის არმიის უფროს ოფიცრებს შეექმნათ პრობლემა ამ ასაკის წვევამდელ-ებისა და მოხალისეების განვევასთან დაკავშირებით¹⁰. მეორე მხრივ ათასწლეულის თაობას თან ახლავს უნარების უზარმაზარი სპექტრი. ისინი გაიზარდნენ სოციალურ ქსელებში და ექსპერტები არიან ონ-ლაინ თანამშრომლობაში. გაიზარდნენ რა Apple და Google-თან ერთად, ისინი ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს ინოვაციებთან მიმართებაში.

ჩრდილო ამერიკასა და ეროპაში სამუშაო ნარმოებიდან მომსახურების სფეროში გადაინაცვლა. დღეისათვის აშშ-ის სამუშაო ძალის ორ მესამედზე მეტი დასაქმებულია მომსახურებაზე და არა პროდუქციის წარმოებაზე. 2020 წლისთვის მომსახურების გამწევ დარგებზე პრიგნოზების თანახმად უნდა მოვიდეს 131 მლნ.-ის ხელფასის მქონე სამუშაო ადგილი 150 მლნ-დან ანუ 87%. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყველა ახალი სამუშაო ადგილი იქნება მომსახურებაში და არა საქონლის გამომშვებ მრეწველობაში.¹¹

დღეს უფრო და უფრო მეტ კომპანიაში, ისეთებში, როგორცაა Uber, Elance da Airbnb, მომუშავეები სულაც არ არიან ჩვეულებრივი თანამშრომლები. ამის ნაცვლად ისინი გვევლინებიან ფრილანსერებად, ანუ შტატგარეშე, დამოუკიდებელ კონტრაქტორებად, რომლებიც მუშაობენ მაშინ, როდესაც შეუძლიათ მუშაობა, რაზედაც სურვილი აქვთ რომ იმუშაონ და როდესაც კომპანიას ჭირდება მათ მიერ შესრულებული სამუშაო. ¹² ასე მაგალითად, Airbnb წარმოადგენს უზარმაზარ კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი ადგილის მიქირავებას; სადაც შტატიანი, რეგულარული თანამშრომლები მხოლოდ ნაწილობრივ არიან მენეჯმენტში დაკავებულები, რისი მაგალითიცაა Hilton Worldwide, დანარჩენ შემთხვევებში საიტებზე ხდება on-demand მომუშავეების პოვნა და დაქირავება. ასეთი დიდი კომპანიებია Amazon’s Mechanical Turk, Upwork (ყოფილი Elance-oDesk), Task-Rabbit და Handybook. ყველა ეს კომპანია საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ისარგებლონ ათასობით შტატგარეშე დამლაგებლის, ავეჯის ამწყობების და ა.შ. მომსახურებებით. მოძიება და კონტაქტი ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით. ¹³

Elance-oDesk-ის ხელმძღვანელი, რომელსაც განთავსებული ყავს მილიონობით მოკლევადიანი პროფესიონალი თავის საიტზე, აცხადებს, რომ ამ ადამიანების შედარება შესაძლებელია „მობილურ, დამოუკიდებელ და განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე ნაკრებთან.“ ¹⁴ ის ფაქტი, რომ დამსაქმებლები უფრო მეტად ეყრდნობიან Uber-ის მსგავსი “გაფართოებული სამუშაო ძალის” საქმიანობას, თავის ასახვას პოვებს HR-ზე. მაგალითად, კომპანიებს, რომლებიც ეყრდნობიან ფრილანსერებს, კონსულტანტებს და მსგავს არატრადიციულ თანამშრომლებს დაჭირდებათ შექმნან განსხვავე-

¹⁰ Jane Perlez, “Coddled Recruits Are Hindering China’s Army,” New York Times, February 18, 2015, p. 85

¹¹ “Charting the Projections: 2010–2020,” Occupational Outlook Quarterly, Winter 2018; www.bls.gov/ooq/

¹² Accenture, “Top Trends That Will Reshape the Future of HR: The Future of HR,” www.accenture.com/us-en x, accessed March 6, 2018.

¹³ Lauren Weber and Rachel Silverman, “On-Demand Workers: ‘We Are Not Robots,’” Wall Street Journal, January 28, 2015, pp. B1, B7

¹⁴ Erica Fry, “Start Up: You,” Fortune 171, no. 1 (January 1, 2015), pp. 84–87.


ბული საკადრო პოლიტიკა თუნდაც კომპენსაციის ნაწილში ერთი მხრივ და მეორეს მხრივ თვითონ უნდა განვითარდნენ როგორც „ტალანტების ბროკერები“ იმ მიზნით რომ სწორად შეუთანაწყონ ერთმანეთს განსაკუთრებული ადამიანი და განსაკუთრებული სამუშაო.

ერთმა კრიტიკოსმა გამოთქვა აზრი, რომ ამ ტიპის სამუშაო არაპროგნოზირებადი და დაუცველია. ნიუ იორკ თაიმსში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია: “მოთხოვნაზე სამუშაოსთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა მათ სარგებლიანობაში კი არ არის, არამედ სააგენტოს არარსებობაში - ეს ნიშნავს ისეთი მომავლის არსებობას, სადაც კომპიუტერები და არა ადამიანები განსაზღვრავენ რა უნდა გაკეთდეს, როგორ და რა ფასად”.¹⁵

ადამიანური კაპიტალი: ასეთი დემოგრაფიული და სამუშაო ძალის ტენდენციების შედეგია დამსაქმებელთა მზარდი აქცენტი მათ თანამშრომელთა ცოდნის, განათლების, სწავლების, უნარებისა და გამოცდილების შესახებ - სხვა სიტყვებით, მათი “ადამიანური კაპიტალის” შესახებ. მომსახურებასთან დაკავშირებული ისეთი სამსახურები, როგორიცაა კონსულტანტების ან ადვოკატთა მომსახურება ყოველთვის გულისხმობდა განათლებას და ცოდნას. და საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაკავშირებული ისეთი ბიზნესის გავრცელება, როგორიცაა გუგლი ან ფეისბუქი, რათქმა უნდა მოითხოვს ადამიანური კაპიტალის მაღალ დონეებს.

ნახ. 2¹⁶

უმუშევრობის დონე მსოფლიოში 1970-2019



დიდი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ „ტრადიციული“ წარმოების ისეთი სამუშაო ადგილიც კი, როგორიცაა მემონტაჟის სამუშაო სულ უფრო და უფრო მაღალტექნოლოგიური ხდება. ანალოგიურად ბანკის მოლარეები, საცალო ვაჭრობის კლერკები, ინკასატორები, ამანათების მიმტანები, იპოთეკური კრედიტის მომსახურე ოპერატორები საჭიროებენ უკვე ისეთი მაღალი დონის ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობას, რასაც მათ არავინ არ მოთხოვდა რამდენიმე წლის წინ. ამრიგად ამ ჩვენს მზარდ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში „... უმაღლესი ხარისხის ადამიანური კაპიტალის მოპოვება და განვითარება აუცილებლბას წარმოადგენს ფირმების მომგებიანობისა და წარმატებისთვის.“¹⁷

მენეჯერებისათვის, გამოწვევა აქ არის ის, რომ მათ უნდა მართონ ასეთი მუშაკები განსხვავებულად. მაგალითად, მომუშავეებისთვის მეტი გადანყვეტილებების მიღების შესაძლებლობების მიცემა

¹⁵ Manjoo, “Uber’s BusinessModel Could Change YourWork,” p. B8.

¹⁶ www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htm , accessed May 2, 2019.

¹⁷ Russell Crook et al., “DoesHuman Capital Matter? AMeta-Analysis of the Relationship Between Human Capital and Firm Performance,” *Journalof Applied Psychology* 96, no. 3(2011), pp. 443–456.

გულისხმობს რომ, თქვენ მიიღეთ, ასწავლეთ და შემდეგ დააჯილდოვეთ ისინი იმით, რომ თვითონ იღებდნენ მეტ გადაწყვეტილებას. ამის გამო დამსაქმებლებს ჭირდებათ ახალი ტიპის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გამოცდილება რომ უზრუნველყონ სწორედ ასეთი თანამშრომლების შერჩევა, სწავლება და ჩართულობა.^{18, 19.} დღეს დადებითი ეკონომიკური ტენდენციები არსებობს და იმედია, ისინი კვლავაც გაგრძელდებიან. მაგალითად, უმუშევრობის მაჩვენებელი რამდენიმე წლის წინ 10% -ით შემცირდა და 2015 წელს ის უკვე 5% -ს შეადგენდა ხოლო 2019 წლისთვის 3.8%-ზე დავიდა.

მას შემდეგ რაც მსოფლიომ გამოსცადა 2007-2009 წლებში, ძალიან საეჭვოა რომ დერეგულირება, ლევერეჯინგი, საინვესტიციო ბანკინგი და გლობალიზაცია, რაც განაპირობებდა ეკონომიკურ ზრდას წინა 50 წლის განმავლობაში, ისევ ზრდის ფაქტორებად მოგვევლინონ. ამრიგად ყველა ამ მსოფლიო ტენდენციის გაცნობა, გათავისება და გათვალისწინება აუცილებელია ქართველი კომპანიებისთვის და ფირმებისთვის, რათა მიღწეული იქნას მენეჯმენტის მთავარი მიზანი: ორგანიზაცია გახდეს წარმატებული, ხოლო ადამიანი, თანამშრომელი - ბედნიერი.

BIBLIOGRAPHY

1. **Todd Henneman**, “Is HR at Its Breaking Point?” *WorkforceManagement*, March 22, 2013, pp. 29–33.
2. **Dave Ulrich**, “The New HR Organization,” *WorkforceManagement*, December 10, 2007, pp. 40–44, and Dave Ulrich, “The 21st-Century HR Organization,” *Human ResourceManagement* 47, no. 4 (Winter 2008), pp. 829–850.
3. Technology to Play Role in Updating HR Delivery Services, Report Finds,” *BloombergBNA Bulletin to Management*, September 4, 2012, p. 281.
4. Meg McSherry Breslin, “Strategic Move? Report Examines Future of HR,” *WorkforceManagement*, November 2012, p. 14
5. “Talent Management Leads in Top HR Concerns,” *Compensation & Benefits Review*, May/June 2007, p. 12; www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htm accessed May 12, 2019.
6. **Rita Zeidner**, “Does the United States Need Foreign Workers?” *HR Magazine*, June 2009, pp. 42–44.
7. **Jane Perlez**, “Coddled Recruits Are Hindering China’s Army,” *New York Times*, February 18, 2015, p. 85.
8. “Charting the Projections: 2010–2020,” *Occupational Outlook Quarterly*, Winter 2018; www.bls.gov/ooq/
9. Accenture, “Top Trends That Will Reshape the Future of HR: The Future of HR,” www.accenture.com/us-en, accessed March 6, 2018.
10. **Lauren Weber** and **Rachel Silverman**, “On-Demand Workers: ‘We Are Not Robots,’” *Wall Street Journal*, January 28, 2015, pp. B1, B7
11. **Erica Fry**, “Start Up: You,” *Fortune* 171, no. 1 (January 1, 2015), pp. 84–87.
12. **Manjoo**, “Uber’s Business Model Could Change Your Work,” p. B8.
13. **Russell Crook** et al., “Does Human Capital Matter? A Meta-Analysis of the Relationship Between Human Capital and Firm Performance,” *Journal of Applied Psychology* 96, no. 3 (2011), pp. 443–456.
14. **Peter Drucker**, “The Coming of the New Organization,” *Harvard Business Review*, January–February 1988, p. 47.
15. **Guthrie et al.**, “Correlates and Consequences of High Involvement Work Practices: The Role of Competitive Strategy,” *International Journal of Human Resource Management*, February 2002, pp. 183–197.
16. www.bls.gov/news.release/ecopro.t01.htm, accessed May 2, 2019.

¹⁸ Peter Drucker, “The Coming of the New Organization,” *Harvard Business Review*, January–February 1988, p. 47.

¹⁹ Guthrie et al., “Correlates and Consequences of High Involvement Work Practices: The Role of Competitive Strategy,” *International Journal of Human Resource Management*, February 2002, pp. 183–197.

რეგიონალური (ტერიტორიული) სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები, ევროპული პრაქტიკა და ქართული ორიენტირები

თენგიზ აფხაზავა¹, პროფესორი; ქეთევან გოლეტიანი², პროფესორი.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. წარმოდგენილ ნაშრომში დასაბუთებულია რეგიონალური (ტერიტორიული) სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ფორმირების აქტუალობა კლასტერული მიდგომის საფუძველზე. ნაჩვენებია კლასტერების მნიშვნელობა რეგიონის ინოვაციური განვითარების პროცესში. ევროპული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების და ზოგადად, მსოფლიოში კლასტერული პრინციპების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია რეგიონში ტერიტორიული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების შექმნის აუცილებლობა და წარმოდგენილია მათი ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარების სტრატეგიული ალგორითმი.

განალიზებულია კლასტერის, როგორც ქსელური ეკოსისტემის ორგანიზაციული მოდელი და მასში მონაწილე ძირითადი საკვანძო რგოლების როლი, ადგილი და მნიშვნელობა. განსაკუთრებით ხაზგასმულია სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობის მნიშვნელობა კლასტერების ფორმირების პროცესში. მოცემულია კლასტერების 3 თანამედროვე განზომილება და მათი ინოვაციური მატრიცა.

სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი რეგიონული (ტერიტორიული) კლასტერების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია კლასტერული განვითარების პოლიტიკის მიზნები. ევროპული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფუნქციონირების სისტემური ანალიზის და რეგიონალური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე ჩამოყალიბებულია 3 ძირითადი სისტემური მდგენელი, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენს რეგიონში (ტერიტორიაზე) რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემა, ინოვაცია, მოდელი, რეგიონი.

REGIONAL (TERRITORIAL) TRANSPORT-LOGISTICS CLUSTER, EUROPEAN PRACTICE AND GEORGIAN ORIENTING POINTS

Tengiz Apkhazava, Professor; Ketevan Goletiani, Professor
Batumi Navigation Teaching University

Abstract. The actuality of the formation of regional (territorial) transport-logistics systems based on cluster approach is substantiated in the presented work. The importance of clusters in the innovative development process of the region is shown. Based on the analysis of European transport-logistics clusters and the world clustered principles in general, the need for creation of territorial transport-logistics clusters in the region are substantiated and a strategic algorithm for their gradual formation and development are presented.

Clusters as an organizational model of an ecosystem network are analyzed and the role, place and meaning of key players participating in it are highlighted. The importance of participation of government structures in the

¹ t.apkhazava@bntu.edu.ge

² k.goletiani@bntu.edu.ge

formation process of clusters is especially highlighted. Three modern dimensions of clusters and their innovative matrix are given.

Based on the analysis of regional (territorial) clusters operating in different countries, the goals of cluster development policy are set out. Three basic systematic compilers are established, based on systematic analyzes and regional factors of functioning of European transport-logistics clusters,

development of which will promote the development of regional transport-logistics clusters in our region (territory).

Keywords: Cluster, Transport-Logistic System, Innovation, Model, Region.

შესავალი

ბოლო 2-3 ათეული წელია ტერიტორიების, რეგიონების ეკონომიკურმა და სოციალურმა განვითარებამ კლასტერული მიდგომების საფუძველზე ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. მიუხედავად არსებული წარმატებული მსოფლიო პრაქტიკისა, საქართველოში ტერიტორიული, რეგიონალური კლასტერების ცნება არ არის გამყარებული არც სტანდარტების, არც სახელმწიფო პროგრამების და არც საკანონმდებლო დონეზე. კლასტერების შექმნისა და სტანდარტიზაციის საკითხები მნიშვნელოვანია მათი ფუნქციონირებით დაინტერესებული ბევრი მონაწილისთვის, მათ შორისაა: სახელმწიფო სტრუქტურები, განვითარების ინსტიტუტები, საწარმოები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინვესტორები, ფინანსური ინსტიტუტები, ბიზნესი და სხვა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლასტერული განვითარების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება ჩვენი რეგიონის დაჩქარებული ტერიტორიული განვითარების თვალსაზრისით, როგორც ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის წინაპირობები ფაქტორი.

აჭარაში არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული წინაპირობა სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების შექმნისა და განვითარების კუთხით, რასაც ადასტურებს ჰარვარდის უნივერსიტეტის 2011 წლის კვლევები საქართველოსთან მიმართებაში, სადაც ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში უკვე არის ჩამოყალიბებული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ბირთვი და სახელმწიფოს მხრიდან პროგრამული ხელშეწყობის პირობებში მას განვითარების დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

სწორედ სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფუნქციონირების და ზოგადად, კლასტერული განვითარების შესაძლებლობების ანალიზს წარმოგიდგენთ წინამდებარე ნაშრომში. ვფიქრობთ, აჭარას, როგორც ქვეყნის სტრატეგიულ რეგიონს აქვს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ იყოს საქართველოში რეგიონული კლასტერული განვითარების პოლიტიკის მედროშე.

კლასტერების 3 თანამედროვე განზომილება და მათი ინოვაციური მატრიცა

კლასტერები, როგორც საწარმოო აგლომერაციები, წარმოადგენენ, ერთის მხრივ, განსაკუთრებულ ტრანსდარგობრივ სტრუქტურებს, სადაც წარმოიქმნება ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ჯგუფები, ანუ ახალი საწარმოო სექტორები, რომლებსაც პორტერი ახასიათებს, როგორც კლასტერის კატეგორიას (cluster categories), მეორეს მხრივ, ლოკალურ სტრუქტურებს, სადაც ცირკულირებენ და იკვეთებიან როგორც ლოკალური, ასევე გლობალური რესურსული ნაკადები.

ცხრილი.1.

ლოკალური და გლობალური ნაკადების შეთანწყობა [1].

	ლოკალური დონე	გლობალური დონე
ფინანსური კაპიტალი და წარმოების საშუალებები		<ul style="list-style-type: none"> ➤ დანადგარები ➤ პატენტები ➤ ტექნოლოგიები
ადამიანური კაპიტალი	<ul style="list-style-type: none"> ➤ კვალიფიციური პერსონალი ➤ მეცნიერ თანამშრომლები ➤ უცხოელი სპეციალისტები 	
სოციალური კაპიტალი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ქსელური კავშირები ➤ კოლაბორაციის ინსტიტუტები 	

ამ ხასიათიდან გამომდინარე, კლასტერები მეტად წარმატებით ასტრუქტურირებენ გლობალიზებულ სივრცეს, კერძოდ: თანამედროვე წარმოება სულ უფრო მეტად კონცენტრირდება გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში, ხოლო მათ საკვანძო ლოკალიზაციას წარმოადგენენ, სწორედ, მაღალსპეციალიზირებული კლასტერები (მათ შორის სატრანსპორტო-ლოგისტიკური), განთავსებულები გეოგრაფიული არეალების მიხედვით [2].

ის გეოგრაფიული ტერიტორიები, სადაც ჩნდება კლასტერული ქსელები, თანმიმდევრულად აღრმავებენ თავიანთ სპეციალიზაციას, ამახვილებენ რა ყურადღებას თავიანთი მოღვაწეობის თანამედროვე, ინოვაციურ მიმართულებებზე. ამით ისინი მოიპოვებენ ახალ, განსაკუთრებულ სპეციალიზაციას და კონკურენტულ უპირატესობებს გლობალური ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით. ამასთან, რეგიონში შემოსული ინვესტორებიც ღებულებენ არანაკლებ კონკურენტულ უპირატესობებს:

- შემოდინ რა კლასტერის შემადგენლობაში და იყენებენ რა მის რესურსულ შესაძლებლობებს, მათ შეუძლიათ ძალზედ მოქნილად ვარირება განვითარების წყაროს კომბინირების თვალსაზრისით, რითაც იგებენ განახლების დროში;
- განათავსებენ რა რესურსებს და ბიზნეს-ფუნქციებს სპეციალიზირებულ კლასტერებში და არჩეულ გეოგრაფიულ არეალში, ისინი განსაკუთრებით ეფექტურად წყვეტენ კონკრეტული კლასტერი ფუნქციონალურ ამოცანებს [3.4].

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მიდგომა ეფუძნება მაკრო პორტერის შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც კლასტერის სრულყოფილი აღწერა უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად საყრდენს:

1. განთავსების ტერიტორია (geographic dimension);
2. სპეციალიზაცია (activity dimension);
3. სამუშაო გარემოს ხასიათი და თავისებურებანი (business environment dimension) [5].

როგორც ქსელური ეკოსისტემები, კლასტერები აერთიანებენ სხვადასხვა პროფილისა და სპეციალობის აგენტების საკმაოდ ფართო სპექტრს, უფრო დეტალურად:


- დარგობრივს;
- ფუნქციონალურს;
- ინსტიტუციონალურს.

ისინი მხარს უჭერენ და აძლიერებენ ერთმანეთს კოლაბორაციის პროცესში (ნახ.2). ამ აგენტების შემადგენლობა და მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს როგორც ქვეყნის, ან რეგიონის განვითარების კონტექსტიდან გამომდინარე, ასევე კლასტერის სასიცოცხლო ციკლის სტადიების მიხედვითაც. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროცესებში მონაწილეობენ კოლაბორაციის ინსტიტუტები (insti-

tutions for collaboration), რომელთა საშუალებითაც ხდება კლასტერის მონაწილეთა კოორდინირებული მოქმედება ქსელურ პლატფორმებზე დაყრდნობით.

სქემა 1.

კლასტერის, როგორც ქსელური ეკოსისტემის ორგანიზაციული მოდელი [6].



წარმატებულად მოქმედი კლასტერის ფორმირებისა და მისი ინოვაციური ეფექტის მისაღებად საჭიროა 3 წამყვანი ინსტიტუციონალური წამომადგენლის კოლაბორაცია, ესენია:

1. განათლება და მეცნიერება (უნივერსიტეტები);
2. ბიზნესი;
3. ხელისუფლება (მთავრობა).

ინტერაქტიური ურთიერთქმედების პერიოდში კლასტერული განვითარების ეს სამი მონაწილე (აგენტი) აახლოვებენ თავიანთ ფუნქციონალურ სფეროებს, ებმებიან რა განვითარების ახალ, ევოლუციურ პროცესში და როგორც შედეგი, კლასტერი ღებულობს დინამიური თვითგანვითარების საშუალებას. ეს გახლავთ სწორედ ის მექანიზმი, რომელიც სპონტანურად წარმოიქმნა საყოველთაოდ ცნობილ „სილიკონის ველში“ და შემდგომში აღწერილი იქნა როგორც „სამმაგი სპირალის მოდელი“ (“Triple Helix model”).

კლასტერის ამ მექანიზმის არსი მდგომარეობს სამი სექტორის ფუნქციონალური გადაბმის სისტემის შექმნაში, რაც თავის მხრივ წარმოადგენს უნივერსალურ ინსტიტუციონალურ მატრიცას თვითგანვითარებადი ინოვაციური ზრდისთვის.

წარმოდგენილი სისტემა ქმნის როგორც კლასტერის ეფექტურად ფუნქციონირების, ასევე კონკურენტული უპირატესობების მიღების შესაძლებლობებს, კერძოდ:

1. მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური აგენტების დანახარჯებს და განუსაზღვრელობის დონეს;
2. სისტემის (სპირალის) მონაწილეებს შეუძლიათ აქტივებისა და კომპეტენციების გაერთიანება სხვადასხვა კომბინაციებით, რაც იძლევა უწყვეტ რეჟიმში ახალ ღირებულებათა შექმნის საშუალებას, რაც თავისთავად აფართოვებს კლასტერის შესაძლებლობებს;
3. მოცემული სამი სექტორის კოევლუციის პროცესი კლასტერის ფარგლებში ქმნის ინოვაციური წარმოების კოლექტიურ მოდელს [7].

წარმოდგენილი სამი სექტორის ურთიერთგადაბმის ცენტრი ქმნის კლასტერში ინოვაციური ზრდის მიღწევის სინერგეტიკულ ეფექტს, ანუ მდგომარეობას, როცა ყველა მონაწილე მნიშვნელოვნად ზრდის მწარმოებლურობას. კოლაბორაციის იგივე მონაწილეებს გააქვთ კლასტერის ქსელი მის ფარგლებს გარეთ (მაგალითად აუტსორსინგი), რაც აფორმირებს ახალ ქსელებს ანალოგიური ორგანიზაციული მატრიცით, რითაც ხელი ეწყობა ინოვაციური ზრდის ახალ ტალღას კლასტერიზებად ეკონომიკაში.

2000 წლების დასაწყისში სწორედ ეს კონცეფცია გახდა მრავალი განვითარებული ქვეყნის კლასტერული და ინოვაციური პროგრამების განვითარების საფუძველი. დღეს ის აღიარებულია კოლაბორაციის კლასიკურ მოდელად, რომელსაც ეფუძნება ცოდნის ეკონომიკა არა მარტო ევროკავშირის, არამედ აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში.

ვფიქრობთ, სწორედ ეს მოდელი უნდა იქნეს აღიარებული საქართველოშიც, მათ შორის რეგიონალურ დონეებზე, ინოვაციური და კლასტერული განვითარების პროგრამების საფუძველად.

კლასტერული ინიციატივის (cluster initiative) ქვეშ მოიაზრება ქსელური ბიზნეს პროექტი, რომელიც წარმოდგება „ქვემოდან ინიცირების მეთოდით“ საინიციატივო ჯგუფის მიერ და რომლის მიზანია რეგიონალური კლასტერის მონაწილეთა შორის ურთიერთობების ფორმალიზება და მათი შემდგომი განვითარება „სამმაგი სპირალის“ ფორმატში. ასეთი პროექტი პრინციპულად განსხვავდება საბაზრო ტიპის თანამედროვე საწარმოო თუ ინფრასტრუქტურული პროექტებისაგან, რომლის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია:

- ის იგება ურთიერთკონტრაქტების საფუძველზე, სადაც მისი ყველა მონაწილის მიერ გაზიარებულია ყველა წესი და დადგენილება;
- ასევე, კოლაბორაციის იდეა და გახსნილობის პრინციპი, რათა მონვეული იქნან ახალი მონაწილეები.
- აღსანიშნავია, რომ ასეთი პროექტები დამახასიათებელია ნებისმიერი ტიპის ეკონომიკისათვის, სადაც ინოვაციური კლასტერები ფორმირდება მიზანმიმართული ქმედებებით (შვეცია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, უნგრეთი და სხვა).

რეგიონული (ტერიტორიული) კლასტერული პოლიტიკის მიზნები

სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი რეგიონული (ტერიტორიული) კლასტერების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ჩვენი რეგიონის კლასტერული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის (კლასტერის მონაწილეები) ურთიერთკავშირების ქსელების გაძლიერება, რათა მათ გააჩნდეთ:

- ახალ ტექნოლოგიებთან ადვილად წვდომის შესაძლებლობა;
- რისკების ოპტიმალურად გადანაწილების შესაძლებლობა;
- საგარეო ბაზრებზე ერთობლივად გასვლის შესაძლებლობა;
- ცოდნისა და ძირითადი ფონდების ერთობლივად გამოყენების საშუალება;
- განათლების დაჩქარებული მიღების შესაძლებლობა წამყვანი სპეციალისტების კონტაქტების ინტენსიფიკაციის ხარჯზე;
- სატრანზაქციო დანახარჯების შემცირება კლასტერის მონაწილეთა შორის ნდობის გაზრდის საფუძველზე.

ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი რეგიონისთვის წარმოადგენს სატრანსპორტო-ლოგისტიკური დარგობრივი მიმართულებები. ეს სისტემები იკავებენ განსაკუთრებულ მდგომარეობას ქვეყნის ეკონომიკაში, ქალაქებსა და საქალაქო აგლომერაციებთან ერთად აწვითარებენ და აფორმირებენ ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკურ გეოგრაფიის ელემენტებს.

შესაბამისად, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ტერიტორიები განისაზღვრება როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ან ტერიტორიების ერთობლიობა, ტიპურად ესაა ქალაქები ან საქალაქო აგლომერაცია. რაც შეეხება კლასტერების ტერიტორიების მიზმას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით

მნიშვნელოვანია კლასტერის მოღვაწეობის გაზომვის უზრუნველყოფის მიზნით ოფიციალური სტატისტიკის ქრილში.

ბაზარზე კლასტერების დომინირებულ მდგომარეობას არაფერი საერთო არ აქვს მონოპოლიებთან, რადგან კლასტერი არის არა ორგანიზაცია, არამედ ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან ერთმანეთთან როგორც კოორდინაციაში, ასევე კონკურენციაში.

ევროპაში მოქმედი სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების მთლიანი ანალიზი კი გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ მათი 3 ძირითადი კატეგორია, რომლისგანაც უნდა შეირჩეს მოდელი (ან მოდელები), რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენში რეგიონული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის ფორმირებას.

ეს კატეგორიებია:

1. საპორტო სატრანსპორტ-ლოგისტიკური კლასტერები;
2. სასაზღვრო სატრანსპორტ-ლოგისტიკური კლასტერები;
3. ტერიტორიული (რეგიონალური) სატრანსპორტ-ლოგისტიკური კლასტერები.

საპორტო სატრანსპორტ-ლოგისტიკური კლასტერები ფორმირდება საზღვაო პორტების საფუძველზე და პოზიციონირებენ სატვირთო სექტორში. არსებობს შერეული კლასტერებიც, რომლებშიც, ასევე, გაერთიანებულია სამგზავრო ნავსადგურებიც, თუმცა, ისინი წარმოადგენენ საპორტო კლასტერების შემადგენელ მცირე სეგმენტს. ჩვენი რეგიონისათვის საინტერესო შეიძლება იყოს ვალენსიის საპორტო კლასტერი.

სურათი 1.

სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი პორტ ვალენსიაში (განლაგება)



სურათი 2.

სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი პორტ ვალენსიაში (ესპანეთი)




აღსანიშნავია, რომ ხშირად ასეთი კლასტერები გვხვდება მონოპოლისტი პორტის განლაგებით, თუმცა შეიძლება იყოს თანაზომადი პორტების მოდელის გამოყენებაც. ვფიქრობთ, ჩვენი რეგიონისთვის მისაღებია არადომინანტი (არამონოპოლისტი) საპორტო კლასტერი მოდელი.

სასაზღვრო სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები ფორმირდება სატრანსპორტო კვანძების საფუძველზე მსხვილი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების გადაკვეთის ადგილებში სახელმწიფო საზღვრებით. სასაზღვრო კლასტერები, ძირითადად, ხასიათდება სატვირთო სპეციფიკით.

ისტორიულად, სასაზღვრო კლასტერები ყალიბდებოდა სარკინიგზო-სასაზღვრო გადასასვლელებზე. დღეისათვის, სატვირთო ავტოტრანსპორტის ოპერაციები ბევრ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კლასტერებში თანაგანზომადია სარკინიგზოსთან, რიგ შემთხვევებში აჭარბებს კიდევ მათ.

სურათი 3.

ჰაღბორგის სასაზღვრო სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის მდებარეობა




ასეთი სასაზღვრო კლასტერის კარგ მაგალითად გამოდგება დანიური პადბორგის კლასტერი, თუმცა ჩვენი რეგიონისთვის, რომელსაც მეზობელ თურქეთთან საზღვარზე არ აქვს არც სარკინიგზო და არც საავტომობილო გადასატვირთი სადგურები, ასეთი ტიპის კლასტერების ფორმირება არამიზანშენილია.

რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები ფორმირდება საშუალო და დიდი ქალაქების, ასევე ქალაქთა აგლომერაციების სატრანსპორტო სისტემების საფუძველზე და მოიცავს როგორც სატვირთო, ასევესამგზავრო სექტორებს. ნაწილობრივ, ორი სექტორი ფუნქციონირებს საერთო ინფრასტრუქტურით. ამასთან, თვითოეულს გააჩნია თავისი სპეციალიზირებული ინფრასტრუქტურაც.

რეგიონული კლასტერის მაგალითად გამოდგება გერმანული ფრანკფურტის რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი. ამ მოდელის გამოყენებაც, ვფიქრობთ, ეფექტური იქნება ცვენი რეგიონისთვის საქალაქო აგლომერაციების შრილში.

სურათი 4.

მაინის ფრანკფურტის სასაზღვრო კლასტერის სქემა



სურათი 5.

მაინის ფრანკფურტის სასაზღვრო კლასტერის მდებარეობა



სატრანსპორტ-ლოგისტიკური კლასტერების იერარქია და სტრუქტურა


მოთხოვნა სატრანსპორტო-ლოგისტიკურ მომსახურებაზე ევროკავშირში იზრდება მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის ზრდის შესაბამისად. საინტერესოა, რომ მოთხოვნა სატრანსპორტო-ლოგისტიკურ მომსახურებაზე იზრდება 2,5-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მშპ. სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურების წილმა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზირებული პროვაიდერები, დღეისათვის, საერთო ბრუნვის 40% შეადგინა.

ამ განვითარების პროცესში ფორმირდება სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ევროპული ქსელი.

დღეისათვის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ევროპულ ქსელში შეიძლება გამოიყოს 25 პირველადი (primary) და 60 მეორადი (secondary)

სურათი 6.

სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ევროპული რუკა



ევროპული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფუნქციონირების სისტემური ანალიზის და რეგიონალური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ 3 ძირითადი სისტემური მდგენელი, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენს ტერიტორიაზე რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების განვითარებას:

1. რეგიონის ეკონომიკური სიმძლავრე;
2. რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი;
3. რეგიონის პოზიციონირების ხელსაყრელობა მნიშვნელოვან ნაციონალურ და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებთან მიმართებაში.

დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილი ნაშრომის ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კლასტერული პოლიტიკის გატარება გააძლიერებს და დააჩქარებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას;
- კლასტერული მიდგომა გაზრდის ურთიერთობის ეფექტურობას კერძო სექტორს, სახელმწიფოს, ფინანსურ ინსტიტუტებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- გაზრდის რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობებს;
- შექმნის რეგიონალური განვითარების სტიმულირების მძლავრ ინსტრუმენტს და აამაღლებს პერიფერიული რაიონების მდგრადი ფუნქციონირების და კონკურენტუნარიანობის ხარისხს;
- ეფექტური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსის და კლასტერის შექმნა გააძლიერებს რეგიონის გეოპოლიტიკურ პოზიციას;
- გადაწყვეტს დღეისათვის არსებულ ძირითად პრობლემებს, რომლებიც მდგომარეობს კლასტერის პოტენციურ მონაწილეთა შორის არაშეთანხმებულ ქმედებებში, რაც გამოიხატება საერთო პრობლემების გაუანალიზებლობით და არაერთგვაროვანი ხედვით, შესაბამისად დააჩქარებს მათი გადაწყვეტის ეფექტური გზების მოძიებას;
- გააძლიერებს რეგიონალური ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობას, რომლებიც მოახდენენ ფინანსების აკუმულირებას რეგიონული კლასტერების განვითარებაში;
- კლასტერული პერსპექტივა გააძლიერებს ადგილობრივი მთავრობის როლს რეგიონის ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით;

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Sölvell Ö.** Clusters – Balancing Evolutionary and Constructive Forces. Stockholm: Ivory Tower, 2009.
2. **Sölvell Ö., Lindqvist G., Ketels C.** The Cluster Initiative Greenbook. Stockholm: Ivory Tower, 2013.
3. **Катуков Д.Д., Малыгин В.Е., Смородинская Н.В.** Институциональная среда глобализированной экономики: развитие сетевых взаимодействий / под ред. Н.В. Смородинской. М.: ИЭ РАН, 2012.
4. **Ketels C., Memedovic O.** From Clusters to Cluster-based Economic Development // International Journal of Technological Learning, Innovation and Development. 2018. vol. 1. N. 3.
5. **Leydesdorff L.** The Triple Helix, Quadruple Helix, ..., and an N-Tuple of Helices: Explanatory Models for Analyzing the Knowledge-Based Economy? // Journal of the Knowledge Economy. 2012. vol. 3. N. 5.
6. **Porter M.E., Ketels C.** Clusters and Industrial Districts: Common Roots, Different Perspectives // A Handbook of Industrial Districts / eds. G. Becattini, M. Bellandi, L. De Propris. Northampton: Edward Elgar, 2009.
7. **Смородинская Н.В.** Смена парадигмы мирового развития и становление сетевой экономики // Экономическая социология. 2012. Т. 13. № 4.

კომპანიის უცხოურ ბაზრებზე შესვლის სტრატეგია

თამარ დუდაური¹, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო სამჭკუაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია ის ძირითადი სტრატეგიები, რომელსაც იყენებს კომპანია საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის პროცესში. ნათქვამია, რომ ქართული კომპანიების დიდი უმრავლესობა ჯერ მზად არ არიან უცხოურ ბაზარზე გასასვლელად და ვერ შეძლებენ აწარმოონ კონკურენტული ბრძოლა გლობალურ ეკონომიკაში. რის გამოც დიდ მნიშვნელობას იძენს საკითხი თუ, როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სამამულო სამეწარმეო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობა გლობალური ბაზრის პირობებში. მოყვანილია მათი სახეები, კლასიფიკაცია, მათი მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების პირობები. ჩატარებულია აღნიშნული სტრატეგიის პრაქტიკაში გამოყენების რეტროსპექტიული ანალიზი. გაანალიზებულია მიღებული შედეგები და დეტალიზებულია შედარებით ტიპური შეცდომები. აღწერილია აღნიშნული სტრატეგიის გამოყენების მეთოდოლოგია საქართველოს კომპანიებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, ტაქტიკა, საერთაშორისო ბაზარი, კომპანია, გლობალიზაცია.

THE STRATEGY OF ENTERING THE COMPANY'S FOREIGN MARKETS

Tamar Dudauri, Academic Doctor of Economy, Associate Professor;
Nino Samchkuashvili, Doctor of Economics, Associate Professor.
Caucasus International University
Georgian National University

Abstract. The article discusses the key strategies that the company uses in the international market. **It is said that the vast majority of Georgian companies are not yet ready to enter the foreign market and cannot compete with the competitive struggle in the global economy. Which is of great importance to the question of how the competitiveness of global enterprise structures should be ensured in the global market?** Their faces, classification, and conditions of their utilization are effective. Retrospective analysis of the use of this strategy is carried out. The results obtained are analyzed and are typical of the typical errors. The methodology for the use of this strategy is described by Georgian companies.

Key Words: Strategy, tactics, international market, company, globalization.

შესავალი

მიკროეკონომიკური თეორიის თანახმად კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია, რაც მიიღწევა მისი ზრდითა და განვითარებით. მაგრამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს კომპანიის გასვლა საერთაშორისო ბაზარზე.

წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში აქტიურად ვითარდება გლობალიზაციის პროცესი, ახდენს რა მთელი მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრირებას ერთ მთლიან სისტემაში. შეინიშნე-

¹ tamro_dudka@yahoo.com

ბა გლობალური ეკონომიკის აქტიური წანაცვლება განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადი ქვეყნებისაკენ. ამერიკული კონსალტინგური კომპანია ცინსე-მ გლობალიზაციის პროცესისათვის გამოყო ორი კრიტიკული ასპექტი: ტექნოლოგიების განვითარება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მთელ მსოფლიოში გავრცელების თავისუფალ ნაკადს და სამუშაო ძალის მზარდი გლობალური ბაზარი [1]. განვითარებადი ქვეყნები მზარდი და ახალგაზრდა მოსახლეობით წარმოადგენენ არა მხოლოდ გასაღების პერსპექტიულ ბაზრებს, არამედ ნიჭიერი სამუშაო ძალისა და ინოვაციების კაპიტალის წყაროს. ყოველივე ეს განვითარებად ბაზრებს აძლევს პერსპექტივას, რომ საერთაშორისო კომპანიებმა აითვისონ ისინი.

კომპანიის უცხოურ ბაზარზე გასვლის ძირითად მიზეზს შესაძლოა ჰქონდეს, როგორც გლობალური, ისე ეროვნული ხასიათი, ასევე კომპანიის ევოლუციისა და განვითარების პოზიტიური, დინამიური და პროგრესირებადი ტენდენცია. შეუმჩნეველი ვერ დარჩება, თუ მსოფლიოში, როგორ ფენომენალური სისწრაფით იცვლება და აღმოცენდება ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიები. მთელი მსოფლიოს თანდათანობითი პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაცია აერთიანებს საზოგადოებას და ახდენს ნებისმიერი პროცესების გლობალიზაციას, საერთაშორისო კერძო ბიზნეს-ურთიერთობების ჩათვლით. თავის მხრივ, გლობალიზაციის პროცესი უზრუნველყოფს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კარგი ბაზის ფორმირებას. როგორც წესი საერთაშორისო ბაზრებზე თავისი საქმიანობის სფეროს გაფართოების შედეგად, რისკების შესამცირებლად და აქტივების დივერსიფიცირებისათვის გადიან საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები. ამას გარდა, ქართველ ბიზნესმენებს იზიდავს ინოვაციურ ტექნოლოგიებთან, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პროგრამებთან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ჩამოთვლილი ფაქტორები წარმოშობენ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პოტენციალს.

კვლევის შედეგები და დისკუსია

საერთაშორისო დონეზე გასვლა ხსნის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს კომპანიებისა და ბიზნესის მესაკუთრეთათვის. კომპანიამ, რომელსაც გადამწყვეტილი აქვს უცხოურ ბაზარზე შესვლა უნდა აარჩიოს კონკრეტული ბაზარი, შელწვის სტრატეგია და მეთოდები, ასევე გაითვალისწინოს მრავალი იურიდიული ნიუანსი და საგადასახადო ასპექტი. საქართველოს კომპანიებისათვის საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიის შემუშავებისას პირველ რიგში საჭიროა ბიზნესის სწორად სტრუქტურირება, რათა კომპანიის ბიზნეს-მოდელი იყოს გამჭირვალე, ეფექტიანი, დაცული და იძლეოდეს რაციონალური საგადასახადო დაგეგმვის, სტრუქტურის შიგნით ფინანსური ნაკადების განაწილების და ადმინისტრირების მაქსიმალურად გამარტივების შესაძლებლობას.

2015 წელს საზღვარგარეთის მეცნიერთა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო გამოეკვლინა, აქვთ თუ არა ტექნოლოგიურ ლიდერებს დადებითი შედეგები განვითარებადი ეკონომიკის რეგიონებში. ავტორებმა გამოიყენეს იაპონური კორპორაციების მონაცემები, რომლებიც ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით გავიდნენ ჩინეთის ბაზარზე [2].

დასაწყისში მონაცემები შეკრებილი იყო გამოკითხვის მეთოდით და შემდეგ გამოიყენეს უმცირეს კვადრატთა განზოგადებული მეთოდი. ბაზარზე ადრეულმა შესვლამ („პიონერის შესვლამ“) და მნიშვნელოვანი რესურსების ჩადებამ მოახდინა დადებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე. უფრო მეტიც, კვლევებმა აჩვენეს, რომ განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს „პიონერი“ კომპანიისათვის განვითარებად ბაზარზე შესვლის პროცესში. ანალიზის შედეგებმა აჩვენეს საპირისპირო. ვინაიდან, როცა ინფრასტრუქტურა უკვე ფორმირებულია კომპანია პიონერისათვის უკვე საკმაოდ გვიანია მოცემულ ბაზარზე შესვლა.

უცხოურ ბაზარზე კომპანიის გასვლის სტრატეგია იყოფა ორ სახედ: გლობალური, როდესაც კომპანიას აქვს ერთი გეგმა ყველა ქვეყნისათვის ეროვნულ ბაზართან მისი მსგავსების შემთხვევაში და ინდივიდუალური, როდესაც ხდება ყველა კონკრეტული ბაზრისათვის შესვლის ცალკეული გეგმის შემუშავება.

თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება ვენჩურული კომპანიების უცხოურ ბაზარზე გასვლის ტენდენცია, კომპანიის სასიცოცხლო ციკლის ადრეულ ეტაპებზე. ამ მოვლენის კლასიკური ახსნა მდგომარეობს ტექნოლოგიური ცოდნისა და განსაკუთრებული უნარ-ჩვევების არსებობაში.


უცხოურ ბაზარზე გასვლის სტრატეგიის შერჩევის ანალოგიურ კვლევას წარმოადგენს Erramilli Rao (2010)-ს ნაშრომი, რომელიც ფოკუსირდება კომპანიებზე, რომლებიც ახორციელებენ მომსახურებას. ამ ნაშრომში დაყენებული საკითხები შემდეგია: მომსახურების გამწვევი კომპანიები, როგორ გადიან უცხოურ ბაზრებზე? და როგორ არის დამოკიდებული მათი ქცევა კომპანიის ტიპზე, ასევე პირობებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მომსახურების ბაზრებზე?[3]

ამ კვლევაში კომპანიები, რომლებიც სთავაზობენ მომხმარებელს მომსახურებას დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველს მიაკუთვნეს კომპანიები, რომლებშიც მომსახურების წარმოებისა და მოხმარების განცალკევება შეუძლებელია (Soft service- ავტომობილების გაქირავება, რესტორნები, სამედიცინო მომსახურება და ა.შ.). ხოლო მეორე ჯგუფს მიაკუთვნეს კომპანიები სადაც წარმოებისა და მოხმარების განცალკევება შესაძლებელია (Hard service - საკონსულტაციო მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფა, დიზაინის შემუშავება და ა.შ.).

აქაც უცხოურ ბაზარზე შესვლის 638 გადანყვეტილება შეგროვებულ იქნა გამოკითხვის საშუალებით [3]. რის საფუძველზეც კომპანიები დაყოფილ იქნენ „Soft service“ და „Hard service“ კომპანიებად. უცხოურ ბაზარზე შესვლის ყოველი გადანყვეტილება შეფასდა 1-დან 9-მდე, 9-მიენიჭა კომპანიას, რომელსაც აქვს ჩართული ყველაზე დიდი რაოდენობის რესურსები (საკუთარი საწარმოს გახსნა), ხოლო 1- უცხოურ ბაზარზე გასვლას ფრანჩიზას გამოყენებით. ტესტი გამოყენებულ იქნა კომპანიებს შორის რესურსების ჩართვის სხვაობის დასადგენად, იმ კომპანიებს, რომლებიც გაყვნი კლიენტურის და რომლებიც ეძებენ ახალ ბაზრებს. როგორც კვლევის ანალიზმა გვიჩვენა პირველი ტიპის კომპანიებში არის რესურსების ჩართულობის უფრო მაღალი დონე.

საქართველოს კომპანიებისათვის შესაძლოა მიმზიდველი იყოს უცხოურ არენაზე ბიზნესის განვითარება ადგილობრივ ბაზარზე არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციის გამო. მაგალითად საქართველოს მოსახლეობა წილი, რომელიც იმყოფება მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთ წლების მანძილზე ოდნავ მერყეობს და საკმაოდ მაღალია, მისი მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენდა მთელი მოსახლეობის 22.3%-ს, ეს ბოლო 6 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. (იხ. დიაგრამა 1). ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სამომხმარებლო პროდუქციის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოდის, ხოლო ლარის კურსი დოლართან მიმართებაში საკმაოდ მაღალ დონეზეა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაბალია. რის გამოც ვარდება მოსახლეობის მოთხოვნა ქართული კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე.

მეორეს მხრივ მშპ-ის პოზიტიური დინამიკა სტიმულს აძლევს კომპანიებს ინვესტიციები განახორციელონ ახალი სიმძლავრეების დანერგვაში. ეს მოსაზრება დასაბუთებულ იქნა კვლევებით. უფრო მეტიც მშპ-ის ზრდა ზრდის საგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც მიმართება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ხანგრძლივადიან განვითარებას. ამიტომ საქართველოს კომპანიებისათვის პოტენციურად მიმზიდველია ბაზრები მზარდი მშპ-ით, ვინაიდან ამ ბაზრებზე ქართულ საქონელზე იქნება გადახდისუნარიანი მოთხოვნილება.




წყარო: დიაგრამა შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. [4]

დიაგრამა 1. მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2013-2017 წლებში (%-ში)

უცხოურ ბაზარზე კომპანიის მომავალი სტრატეგია მიზანშეწონილია დაეფუძნოს სამ დონეს (ნახ.1). პირველ დონეზე უნდა ხორციელდებოდეს კომპანიის პროდუქციის გაუმჯობესება, რათა შენარჩუნებულ იქნეს ბაზრის წილი და კლიენტების ლოიალობა პროდუქციის მიმართ.

მეორე დონეზე კომპანიებმა უნდა იფიქრონ შემოსავლის ახალ წყაროებზე. მიდგომის თანახმად, რომელიც შემოთავაზებულ იქნა კომპანია Acer Stan Shih-ის დამფუძნებლის მიერ 1992 წელს, ყველაზე დიდი დამატებითი ღირებულება ტექნოლოგიური კომპანიებისათვის მოაქვს პატენტებს, ტექნოლოგიებს და კომპანიის ბრენდს. ასეთმა კომპანიებმა უნდა სცადონ შეიმუშაონ ახალი მიმართულებები, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს უცხოეთის ბაზარზე საქმიანობის პოტენციურ მიმართულებად.



ნახ.1. უცხოურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიის სამი დონე [3]

მესამე დონეზე, რესურსების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, ცდილობენ უცხოეთის ბაზრებზე შეიტანონ პროდუქცია, რომელიც შემუშავებულია თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სმარტ-კონტრაქტები. შექმნილი ბრენდი და კომპანიის რეპუტაცია დაეხმარება კომპანიას უცხოურ ბაზარზე პროდუქციის წინ წაწევაში და გახდის მას წარმატებულს.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე პირობებში საქართველოს კომპანიების უცხოურ ბაზარზე შესვლა საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული არა მხოლოდ ცალკეული კომპანიების განწყობა გაზარდონ თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზარი, არამედ უცხოური ბაზრის სურვილი მიიღონ ესა თუ ის კომპანია თავის ტერიტორიაზე. გარე ბაზრის სრული ანალიზის, განსაკუთრებით პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემოს შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნება ამა თუ იმ ბაზარზე შესვლა. ნათელია, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც უთმობენ დიდ ყურადღებას კონკრეტული ბაზრის მაკრო გარემოს შესწავლას, გააჩნიათ დიდი შანსები მიაღწიონ წარმატებას თავის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში. ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ უცხოურ ბაზარზე შესვლის საკუთარი სტრატეგიის შემუშავებისათვის კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ იმ კომპანიების დიდი გამოცდილება, რომლებმაც უკვე გაიარეს ეს გზა. მაგრამ მხოლოდ ერთი მაგალითის გაანალიზება და განზოგადება არ იქნება საკმარისი, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ანალიზისათვის შერჩეულ იქნეს რამდენიმე კომპანია და მათი საქმიანობის გულდასმითი განხილვის საფუძველზე შემუშავდეს უცხოეთის ბაზარზე შესვლის სტრატეგია.

BIBLIOGRAPHY

1. Five forces reshaping the global economy: McKinsey Global Survey results. McKinsey Quarterly, 05.2010. <https://www.mckinsey.com/business-functions/strategy-and-corporate-finance/our-insights/five-forces-reshaping-the-global-economy-mckinsey-global-survey-results>
2. **Изобе Т., Макино С., Монтгомери Д.Б.** Обязательство в отношении ресурсов, сроки поступления и рыночные показатели прямых иностранных инвестиций в странах с развивающейся экономикой: пример японских международных совместных предприятий в Китае. Журнал Академии управления. - 2017. - Вып. 43. - N 3. - Стр. 468-484.
3. **Markides C. Geroski P.A.** Fast Second. Audio-Tech Business Book Summaries, Incorporated, 2017. <https://hbr.org/2008/02/fast-second>
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ცხოვრების დონე საქართველოში. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>

განათლება და ეკონომიკა

ია თეთუაშვილი, მონვეული პროფესორი; **მაია თეთრუაშვილი**¹, მონვეული პროფესორი
გორის სასწავლო უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-
ნიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: „მიეცი კაცს თევზი და შენ აჩუქებ ერთი დღის სიცოცხლეს. ასწავლე, როგორ მოიპოვოს თევზი და შენ მთელ ცხოვრებას შეუნარჩუნებ.“ - ლაო-ძი.

გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობა მოითხოვს ქვეყნებსა და მათ და ეკონომიკას შორის კონკურენციას. ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნები კონკურენტუნარიანობას და შედარებითი უპირატესობებს ადვილად ინარჩუნებენ სხვა ეკონომიკებთან მიმართებაში, თუმცა ერთი ქვეყანა იშვიათად სპეციალიზდება კონკრეტულ წარმოებაში, ინდუსტრიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა სახის წარმოებას, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს გლობალური ბაზრისათვის.

ქვეყნების ადამიანური კაპიტალის განათლებასა და ცოდნის დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თუ როგორი ეკონომიკა ექნება ქვეყანას.

განათლება ყველა თვალსაზრისით არის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ადამიანური კაპიტალში მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე. განათლება ადამიანების გაგებასა და სამყაროს გაგანსაღებას გულისხმობს. ეს აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს და ინვესტ ფართო სოციალურ სარგებელს ადამიანებისა და საზოგადოებისათვის.

განათლება ზრდის ადამიანთა პროდუქტიულობას და შემოქმედებითობას, ხელს უწყობს მენარმეობას და ტექნოლოგიურ მიღწევებს. გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე ასევე შემოსავლების განაწილების გაუმჯობესებაში.

განათლების მიმართ არსებობს პოზიტიური დადასტურება იმისა, რომ ის ზრდის შემოსავლებს და დაბალშემოსავლიან ადამიანებს განათლების დონის ზრდასთან ერთად, ეზრდებათ ეკონომიკური შესაძლებლობებიც.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე, შრომის პროდუქტიულობა, განათლება, ტექნოლოგია.

EDUCATION AND ECONOMICS

Ia Tetrushvili, Invited Professor; **Maia Tetrushvili**, Invited Professor
Gori Teaching University; Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract: “Give a man a fish and he will eat for a day. Teach a man to fish and he will eat for a lifetime.”-
Laozi

Globalization and international trade require countries and their economies to compete with each other. Economically successful countries will hold competitive and comparative advantages over other economies, though a single country rarely specializes in a particular industry. This means the country’s economy will include various

¹ tetruashvilimaiko@gmail.ru

industries with different advantages and disadvantages in the global marketplace. The education and training of a country's workers is a major factor in determining just how well the country's economy will do.

Education in every sense is one of the fundamental factors of development. No country can achieve sustainable economic development without substantial investment in human capital. Education enriches people's understanding of themselves and world. It improves the quality of their lives and leads to broad social benefits to individuals and society. Education raises people's productivity and creativity and promotes entrepreneurship and technological advances. In addition it plays a very crucial role in securing economic and social progress and improving income distribution

There is also a positive feedback from improved education to greater income equality, which, in turn, is likely to favor higher rates of growth. As education becomes more broadly based, low-income people are better able to seek out economic opportunities.

Keywords: Economic Growth, Poverty, Labour Productivity, Education, Technology.

შესავალი

ბოლო ათწლეულებში, მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან და დინამიურ ეკონომიკად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მიიჩნევა.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის ადამიანური კაპიტალი განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

პირველ რიგში აღსანიშნავია რომ, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, მნიშვნელოვანად უწყობს ხელს მის პროდუქტიულობას.

მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ რომ ადამიანური კაპიტალი თვითონ ახდენს ტექნოლოგიურ ცვლილებებს.

მესამე ფაქტორი კი გახლავთ ის, რომ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციას სარგებლობა მოაქვს, როგორც ინდივიდუალურად მისთვის, ასევე საზოგადოებისათვის.

რა არის ცოდნა? ცოდნა ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის შედეგების შენახვისა და სისტემატიზაციის ფორმაა. ცოდნა გვეხმარება საკუთარი საქმიანობის რაციონალურ ორგანიზებაში და ამ პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში.

კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის 90% უკანასკნელი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა. ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკაზე გადადის.

ტერმინი "ცოდნის ეკონომიკა" შეიძლება ნიშნავდეს:

- ცოდნის ეკონომიკას, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის წარმოებასა და მენეჯმენტზე, ან
- ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, რაც გულისხმობს ცოდნის ტექნოლოგიების (ცოდნის ინჟინერია და ცოდნის მენეჯმენტი) გამოყენებას ეკონომიკური სარგებლისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ცოდნის გამოყენება თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში ზრდის ძირითად წყაროდ არის აღიარებული.

მსოფლიო ბანკი ქვეყნებს, ცოდნის ეკონომიკაზე, ანუ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის ოთხ ძირითად პირობას სთავაზობს:

1. ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და ახალი ცოდნის ეფექტური გამოყენებისა და მწარმოების განვითარების სტიმულებს;
2. განათლებული და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე მოსახლეობა, რომელსაც შეუძლია შექმნას, გაუზიაროს და კარგად გამოიყენოს ცოდნა;

3. ფირმების, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტების, ანალიტიკური ცენტრების, კონსულტანტთა და სხვა ორგანიზაციების ეფექტიანი ინოვაციური სისტემა, რომელსაც შეუძლია გლობალური ცოდნის მზარდ ფონდში მონაწილეობა, მისი მორგება ადგილობრივ საჭიროებებზე და ახალი ტექნოლოგიების შექმნა'

4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ე.წ. ჩთ, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმაციის ნაყოფიერ კომუნიკაციას, გავრცელებასა და გადამუშავებას.

ნებისმიერ ქვეყანაში ცოდნის ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის, ინსტიტუტების, ინვესტიციების და კოორდინაციის შემუშავება ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ფუნქციურ სფეროს შორის.

მსოფლიო ბანკის პროგრამის ფარგლებში, შემუშავებულია ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და ცოდნის ინდექსი.

ცოდნის ინდექსით (ცი) იზომება ქვეყნის უნარი შექმნას, აითვისოს და გაავრცელოს ცოდნა. მეთოდოლოგიურად ცოდნის ინდექსი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია ცოდნის ეკონომიკის სამი ძირითადი საყრდენის მიხედვით: განათლება და ადამიანური რესურსები, ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით (ციე) განისაზღვრება, არის თუ არა გარემო იმ ცოდნის ხელშემწყობი, რომელიც ეკონომიკური განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ის ერთობლივი ინდექსია, რომელიც გამოხატავს ქვეყნის მთლიანი განვითარების დონეს ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით. ის გამოითვლება ცოდნის ეკონომიკის ოთხი ძირითადი საყრდენის მიხედვით: ეკონომიკური სტიმულები და ინსტიტუციონალური რეჟიმი, განათლება და ადამიანური რესურსები, ინოვაციათა სისტემა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.²

ამ ინდექსების მიხედვით 9.0-დან 9, 5 -მდე მაჩვენებელი აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: **შვეიცარია, ფინეთი, დანია, ნიდერლანდები და ნორვეგია**. საქართველო კი, ამ მაჩვენებლებით, უსწრებს თურქეთს და სამხრეთ აფრიკის შემდეგ 68-ე ადგილზეა და მისი ინდექსები, **4,49-დან, 5,19-მდე** მერყეობს.

იმ ფაქტორებს შორის, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდაზე, შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი მათგანი:

- განათლებაში ინვესტიცია გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ზრდას;
- განათლებული მუშახელი უფრო ადვილად ითვისებს მონიწივე ტექნოლოგიებს, ამიტომ ისინი არიან მეტად პროდუქტიულები (Nelson and Phelps) (1966);
- განათლებას შეუძლია გაზარდოს ინოვაციურობის პოტენციალი, შექმნას ახალი ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

განათლების ეკონომიკური ეფექტის გასაზომად მეცნიერებმა დაიწყეს ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ძიება და სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა (ჰანუშეკი და უოსემანი) შემოიღეს ახალი მეთოდი ეს იყო განათლების ხარისხის შედარება ეკონომიკურ ზრდასთან, ქვეყნების მიხედვით. განათლების ხარისხის გასაზომად გამოიყენეს TIMSS-ის და PISA-ს ტესტები.

PISA-ს სამიზნე ჯგუფი 15 წლის მოზარდები არიან. კვლევის შედეგების მიხედვით, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში საქართველოს მოსწავლეთა მიღწევის საშუალო მაჩვენებელი დაბალია. მოსწავლეთა ნახევარი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო კომპეტენციებს არ ფლობს.

TIMSS-ი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიღწევებს იკვლევს. კვლევის შედეგებით, ქართველი მოსწავლეების მიღწევები მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში

² <http://mastsavlebeli.ge/?p=1845>

არსებითად ჩამორჩება თიშმ-ის საერთაშორისო საშუალო ნიშნულს (500) როგორც მე-4, ისე მე-8 კლასში.

მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 22% და მერვეკლასელთა 28%, მათემატიკაში მინიმალურ ცოდნასაც არ ფლობს. ბუნებისმეტყველებაში იგივე შედეგი მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 26% და მერვეკლასელთა 30%-ს აქვს.

მეოთხე კლასიდან მერვე კლასამდე მოსწავლეთა შედეგები უარესდება. დანყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლა-სწავლებაში არსებული ხარვეზები, საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის შექმნის პროცესში დამატებით ბარიერებს ქმნის.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა განათლების ხარისხის უნივერსალური საზომის შექმნა, ამან მეცნიერებს საშუალება მისცა მოეხდინათ დაკვირვება ქვეყნებზე, მათ აღმოაჩინეს ძალიან საინტერესო კორელაცია განათლების ხარისხსა და ეკონომიკურ პროგრესს შორის. მათმა დაკვირვებამ დაადგინა, რომ მაღალი ტესტის შედეგები ნიშნავდა ეკონომიკური ზრდის შესაბამის გამობატულებას მშპ-ს პროცენტებში. შემდგომმა კვლევებმაც ეს მიგნება დაადასტურა.

ზემოაღნიშნულს კი, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქვეყანამ მეტი უნდა იზრუნოს განათლების ხარისხზე, ეს კი თავისთავად ნიშნავს მეტ ინვესტიციას განათლებაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განათლება ქვეყნის პრიორიტეტად სახელდება, თუმცა ამ სფეროში ბიუჯეტიდან ასიგნებები კვლავ მწირია.

განათლებაზე მთლიანი შიდა პროდუქტის **7-დან 9 %-მდე** ხარჯავენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა: დანია, ფინეთი, ისლანდია, ყირგიზეთი, ახალი ზელანდია.

მ.შ.პ.ს-ს **5-დან 7 %-მდე** ხარჯავენ: **კანადა, დიდი ბრიტანეთი. საფრანგეთი, ისრაელი, ბელორუსია, ამერიკა, რუსეთი.**

საქართველო ყოველწლიურად ბიუჯეტიდან ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 2, 8 %-ს, რაც მცირედით უსწრებს სომხეთში განათლებაზე დახარჯულ საბიუჯეტო სახსრებს.

ამ ციფრების შემდგომ, არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს ახალი „განათლების ეროვნული კონცეფცია“ სადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ყოველწლიურად ქვეყანამ განათლებისთვის დახარჯოს მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 6 პროცენტი. ეს კი დღევანდელი ბიუჯეტის მიხედვით, მთლიანი შემოსავლების ერთი მეოთხედია, რაც უდაოდ, მისასაღებელი და უპრეცედენტოა. განათლების სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიცია, სამომავლოდ, უდაოდ, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და ქვეყნის მდგრად განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. <https://www.investopedia.com/articles/economics/09/education-training-advantages.asp>
2. https://www.researchgate.net/publication/24116294_The_Role_of_Education_in_Economic_Development_A_Theoretical_Perspective
3. <http://qronikaplus.ge/?p=12975>
4. <http://liberali.ge/news/view/39897/ristvis-da-ramdeni-daikharjeba-ganatilebashi-2019-tslis-biujetis-proeqtis-mikhedvit>
5. <https://www.radiotavisupleba.ge/a/25376568.html>
6. <http://mastsavlebeli.ge/?p=1845>
7. <http://eprints.iliauni.edu.ge/>
8. <http://rcs.ge/?p=1372>
9. <http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=6&mas=615>
10. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=27606
11. <http://netgazeti.ge/news/224057/>

ELECTIONS AND POLITICAL ADVERTISING IN GEORGIA

Irine Tsintsadze ¹, Doctor of Social Sciences
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract: As in any field, PR has an important place in politics. In the pre-election period, advertising, election programs and campaigns are of great importance in political life, as the main function of political PR is perceived to be the process of communication.

This article is also based on analysis of such important issues as elections and political advertising in Georgia.

Political advertisement is one of the crucial elements of the election campaign. These are traditional TV commercials, posters, sheets. Experts explain such advertisements as “a market competition tool, the main objectives of which are: to provide the essence of political platform of certain political forces in an accessible, emotional, laconic, original and easy-to-remember form;”

It should be noted that political advertising can be both paid and free. Each of them has its positive and negative sides. Political advertising is directly derived from Article 28 of the Constitution of Georgia, which determines one of the principles - the right to vote.

Keywords: political advertising, paid and free advertising, political PR, communications, elections, election subjects.

არჩევნები და პოლიტიკური რეკლამა საქართველოში

ირინე ცინცაძე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ისევე როგორც ნებისმიერ სფეროში, პოლიტიკაშიც პიარს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წინასაარჩევნო პერიოდში, რეკლამას, საარჩევნო პროგრამებსა და კამპანიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვინაიდან პოლიტიკური პიარის მთავრ ფუნქციად საინფორმაციო - საკომუნიკაციო პროცესის წარმართვა აღიქმება.

მოცემული სტატია ეფუძნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას, როგორცაა არჩევნები და პოლიტიკური რეკლამა საქართველოში.

პოლიტიკური რეკლამა საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტია. ესაა ტრადიციული სატელევიზიო სარეკლამო რგოლები, პლაკატები, ტრანსფარატები, ფურცლები. ამგვარ რეკლამას ექსპერტები განმარტავენ, „როგორც ბაზრის კონკურენციის ინსტრუმენტს, რომლის ძირითადი ამოცანებია: - გარკვეული პოლიტიკური ძალების პოლიტიკური პლატფორმის არსი გადმოსცეს მის-ანვდომი ემოციური, ლაკონური, ორიგინალური და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით;“

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რეკლამა შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ისე უფასო, თითოეულ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. პოლიტიკური რეკლამა პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან, რომელიც განსაზღვრავს ერთ-ერთ პრინციპს - საარჩევნო უფლებას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური რეკლამა, ფასიანი და უფასო რეკლამა, პოლიტიკური პიარი, კომუნიკაციები, არჩევნები, საარჩევნო სუბიექტები.

¹ Tsintsadzeirina9@gmail.com

As in any field, PR (Public Relations) has an important place in politics. If we recall any political leader's pre-election programs and campaigns, or any government agency's activity, we will clearly see what PR is very important in political life.

The main function of political PR is to lead the information-communication process.

Today in Georgia Political parties and leaders use PR to establish a certain image in the society and organize pre-election campaigns. PR specialists create the image of leaders and political parties and transport it to the public. They learn the public opinion and then using marked opinions they build their own communication campaigns.

Political PR campaigns may be oriented on the external society, for example, the desire to change the country's image, reputation. The need for such PR campaigns is especially necessary after the change of administration regime, political orientation or priorities of the country. Also, PR campaigns are essential for creating a favourable investment climate in the country, the image of its tourist and cultural attractiveness.

As for political advertisements, it is one of the drastic elements of the campaign. These are traditional TV advertising clips, posters, transfers, sheets. Such advertisements are explained by experts as a market competition tool, the main tasks of which are: to transport the essence of political platforms of some political forces in the emotional, laconic, original and easy-to-remember form; To encourage the voter to support him, create a psychological mood that provides the direction of sympathy and then the actions of the human being.

The goal of political advertising is to simplify the difficult political programs and transfer it to the electorate in a clear language. Therefore, for the assistance of informed choice, it is essential, how it is regulated and how advertisements are available for political subjects.

Particularly important is the question of TV political advertising in countries such as Georgia where Telemedia remains the main source of information dissemination and more than 90% of the population receives the information from TV channels.

Two laws govern the rules of political advertising in Georgia: 1. Election Code of Georgia 2. The law about Broadcasting. Naturally, both identically define the rules of placement of free and paid political advertising on broadcasters. For example, "Public Broadcasting, the public broadcasting of television and radio of Adjara, as well as a community broadcaster are obligatory to place a pre-election advertisement for the qualified elective subjects no more than 60 seconds every hour without charge and discrimination during the current election campaign. Public Broadcasting and Adjara TV and Radio are obliged to allocate time for all other political parties and electoral blocs, besides the qualified elective subjects in order to dispose of the advertisements, equally distributed among these subjects.

It also explains that "the general broadcaster's national broadcaster is obliged to place pre-election advertisements presented by each qualified election subject in a no charged and non-discriminatory way for not less than 90 seconds in 3 hours per election campaign during a general election. The subsequent unused period cannot be added to its other time. "

Political advertising can be both paid and free. Each of them has its positive and negative sides. Political advertising is followed by the legislative article 28 of the Constitution of Georgia, which determines one of the principles - the right to vote.

In the former Soviet Union countries, paid political advertising is mainly due to two reasons: paid political advertising is bringing income for the information tools which are fighting for existence; In case of prohibition, the advertisement will still be aired by the mask of the editorial material.

Speaking about the positive aspect of the paid political advertising there appear two arguments: free political advertising is such an interference example, in which the latter receives a benefit and in the countries of young democracies, paid political advertising has a possibility, do not pick up in the air broadcaster the hidden advertising.

In conclusion, it can be said that when advertisers determine the content of political advertising, the advertiser must follow the following basic principles:

- Advertising should aim at promoting/hindering the electoral subject of choice;
- Advertisements should be shown in the advertisement and/or the serial number of participating in the elections;
- Advertising should contain signs of pre-election campaign.

Political advertising is mandatory to adhere to the principles set out in all three paragraphs, otherwise, the ad will not be considered as a political advertisement.

BIBLIOGRAPHY

1. **Matsaberidze M.**, “Elections and political marketing” Tbilisi 1997
2. **Lominadze S.**, PR - Campaigns PR -Practice, Technical University, Tb. 2009
3. NDI - Public Opinion Survey - 2013
4. Law of Georgia on Broadcasting
5. Election Code of Georgia
6. Media and elections. Yasha Lang. Tb. 2004

თანამედროვე ფინანსების ახალი მდგენელები

ლამარა ქოქიაური¹, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

აბსტრაქტი: სტატიაში შესწავლილია ფინანსური სფეროს სამი ძირითადი განშტოება ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და თვით ფინანსური ურთიერთობები. ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბუნების ახსნა გაკეთებულია "დიდი ტრიადის" – ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების, ინვესტიციების და საინვესტიციო სფეროს და ფინანსების ოპერატიული მართვის ფუნქციონირების საფუძველზე. შრომაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ფინანსების, ფულის, კრედიტის, ინვესტიციების როგორც ეკონომიკური კატეგორიების დასაბუთებას, მათ ინტეგრირებას ერთ მთლიან ნაწილად. ინვესტიციების ბუნების დისპოზიციური ახსნის, მისი არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლების შესწავლის და საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი თავისებურებების ფინანსებთან შეპირისპირების და აღნიშნული კატეგორიებისადმი სისტემური მიდგომის საფუძველზე სტატიაში დაყენებულია აქსიომა ინვესტიციების ჩართვის შესახებ ფინანსების ე.წ. ფართო განმარტებაში. ყველა ზემოთგანხილული საკითხის დაყენების და დასაბუთების შედეგად ავტორის მიერ შემუშავებულია ფინანსების, ფულის, კრედიტის, ინვესტიციების ახალი კონსტრუირების შედარებითი სქემა.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალის ბაზრები, ფულის ბაზარი, ფინანსური ინსტიტუტები, კორპორატიული ფინანსები, საჯარო ფინანსები, ფული, ფინანსები, სესხი, კრედიტი, ინვესტიციები.

NEW COMPILERS OF MODERN FINANCE

Lamara Qoqiauri, Doctor of Economics, Professor.
Leading Scientist - Collaborator of the Institute of Economic Researches

Abstract: The article shows three main branches of financial sphere: monetary credit, investment and financial relations. Explanation of the economic category of finances is based on "Big Triad" as financial markets and institutions, investments and investment sphere functional operational management of finance. Special attention is paid to work finances, money, credits, investments as justification of economic categories, their integration into one whole part. According to the depository explanation of the nature of investments, getting to know the basic characteristics of the essence and confrontation with finances of the main features of investment fulfillment and on the basis of systemic approach to these categories the article provides an axiom about involvement of investments in its wide definition. As a result of the justification of all the above discussed issues the author has developed new constructing comparative scheme of finances, money, credits and investments.

Key words: capital markets, money markets, financial institutions, corporate finance, public finances, money, "finance", loan, credit, investments.

¹ l.qoqiauri@yahoo.com

1. შესავალი

ი. ბრეგჰემი და მ. ერჰარდტი „ფინანსური მენეჯმენტის“ ენციკლოპედიური სახელმძღვანელოს მე-10 გამოცემაში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ **ფინანსების სფერო** სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროსაგან შედგება: ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები; ინვესტიციები; ფინანსების ოპერატიული მართვა.

უფრო ფართო გაგებით კი თავიანთ მოსაზრებას ასე წარმოადგენენ: ფინანსისტი თავის კარიერას უკავშირებს

1. საფონდო ბაზრებს (Capital Markets) — აქციები, ობლიგაციები, ფიუჩერსები, ოპციონები, ფორვარდული გარიგებები და სხვა და ფულად ბაზრებს (Money Markets), აგრეთვე საფონდო დანესებულებებს, ინსტიტუტებს (Financial Institutions) და მათში მომუშავეებს, მათ მომსახურე პერსონალს;

2. ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ფორმირებულ პორტფელების (por tjolios) აგების ამოცანებს;

3. კორპორაციული ფინანსების (Corporate Finance) სფეროს, რომლებიც ცალკეული ფირმების ჩარჩოებში მიღებული საინვესტიციო პროექტების შესახებ გადანყვეტილებებს მოიცავს (Бригхем Ю., Эрхардт М., 2005. გვ. 57).

ფინანსური მენეჯმენტის ზემოთაღნიშნული სამივე განშტოება აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული კატეგორიებია. ე.ი. რა სურათი იქმნება?

- იმისათვის, რომ სიღრმისეულად გავერკვეთ ცნება „ფინანსებში“, აუცილებელია არა მარტო ისტორიულად აიხსნას მისი შინაარსის ცვლილება, არამედ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების თვალთახედვით მოხდეს თანამედროვე ფინანსების ახალი მდგენელები, საბოლოოდ და სრულად მოიხსნას ე.წ. „რკინის ფარდა“ „ფინანსების“ კატეგორიის ხელოვნურად შექმნილი „ორმაგი“ განსაზღვრის და ახსნის კუთხით;
- შეიძლება დასაწყისში დიდი დამაჯერებლობით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ყოველი სიახლე, საუკუნეების განმავლობაში საყოველთაოდ მიღებული კატეგორიის, ცნების, მათი მდგენელების დამახასიათებელი თვისებების თუნდაც მცირედი ცვლილება დიდ მეცნიერულ ძალისხმევას მოითხოვს.
- აუცილებელია აიხსნას და მეცნიერულად დასაბუთდეს და პასუხი გაეცეს კითხვას: თუ კი ფინანსების სფერო სამი ურთიერთდაკავშირებულ მდგენელს — ა) ფინანსური ბაზრებსა და ინსტიტუტებს; ბ) ინვესტიციების და გ) ფინანსების ოპერატიულ მართვას მოიცავს, მაშინ „რკინისფარდის“ იქეთ და აქეთ მდგომი სწავლული ეკონომისტების უმრავლესობა, თუ ყველა არა, დღემდე რატომ თამამად, გაბედულად არ ჩავრთავთ ფინანსების როგორც ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრებაში კაპიტალის დაბანდებას, უბრალოდ, ინვესტიციების ცნებასაც?

ცხადია, ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბუნების ასახსნელად (ვიწრო და ფართე გაგებით), ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით, — ისტორიული კუთხით მისი ბუნების, მისი შინაარსის და მდგენელების, კერძოდ, ფულის, კრედიტის, კაპიტალის დაბანდების ანუ ინვესტიციების არსის და ცვლილებების ახსნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ფინანსების, ფულის, კრედიტის, ინვესტიციების ცნობილი, საერთოდ მიღებული განმარტებების შედარება, შეჯერება, ერთიანი და განსხვავებული ნიშან-თვისებების ჩამოყალიბება და მათი ანალიზი. შემდეგ კი გადავწყვიტოთ, რამდენად და როგორ შეიძლება მათი ინტეგრირება ერთიან მთლიან ნაწილად და რა სახით.

ჩვენი მოსაზრებით, სპეციალისტებმა ზუსტად უნდა გაიაზრონ ის მიზეზები, რომლებიც ერთიმეორისაგან მიჯნავენ ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო და ფინანსური ურთიერთობების სფეროებს, საბოლოოდ კი, სწორედ მათ მიერ წარმოქმნილ და მათი ფუნქციონირების „დიდ ტრედას“, ი. ბრიგჰემის და მ. ერჰარდტისეულ — 1. ფინანსურ ბაზრებს და ინსტიტუტებს; 2. ინვესტიციებს და საინვესტიციო სფეროს და 3. ფინანსების ოპერატიულ მართვას.

2. ძირითადი ნაწილი

2.1. კიდევ ერთხელ „ფინანსების“, ფულის, კრედიტის არსის შესახებ.

პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა არის ფინანსები, უნდა ითქვას, რომ ცნება „ფინანსების“ გაგება, გააზრება არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მოცემულია ფინანსების მრავალვარიანტული და ერთობ პრაგმატული განმარტება. ოქსფორდის ლექსიკონი, მაგალითად ცნება „ფინანსების“ შინაარსს ასე განმარტავს:

- 1) როგორც ფულის მიმოქცევის და ამ პროცესის მართვის პრაქტიკა;
- 2) რომელიმე პროექტში მონაწილე კაპიტალი და პირველ რიგში კაპიტალი, რომლის მიღება აუცილებელია ახალი საქმის დასაწყებად;
- 3) განსაზღვრული მიზნით, განსაკუთრებით, ფინანსური კომპანიის საქმიანობაზე გაცემული ფულადი სესხი

თავის დროზე ჯ.მ. კეინსი ფინანსებს განიხილავდა, როგორც კაპიტალის ფულად ფორმას; ამავე პოზიციებიდან განმარტავს ცნება „ფინანსებს“ ბევრი თანამედროვე დასავლელი მეცნიერი (Хикс. Дж. Р. 1988). შედარებით ზუსტად განმარტავს ცნება „ფინანსებს“ ზ. ბოილი და რ. მერტონი: „ფინანსები“ ეს არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ადამიანები **დეფიციტური ფულადი რესურსების ხარჯვასა და შემოსულობებს დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში**“ (Боди З., Мертон Р., 2000), მაგრამ ყველაფერი ეს არის არა ფინანსების კატეგორიის, როგორც ასეთის განმარტება, არამედ არის **ფინანსური მეცნიერების შესწავლის მხოლოდ საგანი**. ფინანსური მეცნიერების ასეთი გაგება არის სავსებით თანამედროვე და დასაბუთებული. იგი პრაქტიკულად ფინანსების ყველაზე უფრო მისაღებ განმარტებად არის მიღებული.

მოგვყავს ფინანსების ერთ-ერთი უკანასკნელი ენციკლოპედიური განმარტება: „ფინანსები — ფუნდამენტური, განზოგადოებული, მრავალმნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს, რეგიონების, სამეურნეო სუბიექტების, იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი სახსრების შექმნის, განაწილებისა პროცესებს მათი შემოსავლების, ხარჯების, დაგროვებისა და ამ პროცესში აღმოცენებულ ფულად ურთიერთობებს“ (Финансово - кредитный энциклопедический словарь. 2002).

შედარებისათვის, ბოლო წლების სახელმძღვანელოში „ფინანსები“ ავტორები ხშირად ამ ტერმინს განმარტავენ, როგორც ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას მთლიანი ეროვნული პროდუქტის ღირებულების, საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და **ეროვნული სიმდიდრის ნაწილის გადანაწილებასთან** მიმართებაში, შედეგად, ყალიბდება ფულადი შემოსავლები, ცალკეული სუბიექტებისაგან და სახელმწიფოსაგან მიღებული შემოსულობები, რომლებიც შემდგომში გამოიყენება ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადასაჭრელად (შევნიშნავთ, რომ ავტორები ცნება „ფინანსების განმარტებისას ეყრდნობიან ვ. როდიონოვას განმარტებას, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში (Финансы., 1993). ჩვენ კომენტარს არ გავაკეთებთ ამ გან-

მარტებასთან მიმართებაში, უბრალოდ, მკითხველს შესაძლებლობას ვანიჭებთ შეაფასოს იგი წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ყველა თავის მასალების შესწავლის შემდეგ.

აღვნიშნავთ, რომ ცნება „ფინანსების“ განმარტება, რომელიც ფულადი სახსრების **შექმნის, განაწილებისა და გადანაწილების პროცესში წარმოშობილი ეკონომიკური (ფულადი) ურთიერთობების საფუძველია, დომინირებს თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში.** სწორედ ისინი წარმოადგენს საფუძველს უმაღლესი განათლების სტანდარტებისათვის დისციპლინაში „ფინანსები“. ასე, რომ არსებობს პრინციპული განსხვავება ქართველ და უცხოელი ეკონომისტების მიერ შემოთავაზებულ ფინანსების განმარტებას შორის. ეს განპირობებულია არა იმდენად პრაქტიკაზე ორიენტირებულ დასავლელ მეცნიერ-ფინანსისტების მიდგომის პრაქტიკით, რამდენადაც, განსხვავებული მეთოდოლოგიური ბაზისით, რომელიც ორიენტირებულია ფინანსების თეორიაზე ქართულ და დასავლურ მეცნიერებაში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კატეგორია „ფინანსები“ შინაარსი, არსებითად სახეს იცვლის მსოფლიო ეკონომიკის ეკონომიკური წყობის, სახელმწიფო და კორპორატიულ დონეზე ფინანსური მართვის ეკონომიკური თეორიის და პრაქტიკის განვითარებასთან ერთად.

ფინანსური მეცნიერების ფუნდამენტური მეთოდოლოგიური ბაზისია ეკონომიკური თეორია. თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძველია ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომლის მთავარი პოსტულატები — **რესურსების შეზღუდულობა და მათი რაციონალური განაწილება** — ადექვატურ ასახვას პოულობენ უცხოელ მეცნიერთა შრომებში. ისინი **ფინანსებს განმარტავენ როგორც მეცნიერებას, რომლის საგანია შეზღუდული ფულადი რესურსების შემოსულობები და განაწილება დროში და განუსაზღვრელობის პირობებში.** ასე, რომ ფინანსები, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ფულად რესურსებს განიხილავს როგორც შეზღუდულ (დეფიციტურ) რესურსებს. ფულადი რესურსების შეზღუდულობა წარმოშობს არჩევანის პრობლემას, ანუ მის ეფექტიან აკუმულაციას და განაწილებას, მრავალი ალტერნატიული ვარიანტის პირობებში, ფულად რესურსებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბიზნესის, მოსახლეობისა და სახელმწიფოს მხრიდან.

ამრიგად, **ფინანსური მეცნიერება** — ეს არის მეცნიერება ფულადი საშუალებების **დაბანდებების, აკუმულაციისა და გამოყენების** — მიმართულებების შერჩევის შესახებ დროში და განუსაზღვრელობის პირობებში.

ფინანსების შინაარსი განიმარტებოდა პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიის შესაბამისადაც, რომელიც ეფუძნებოდა შრომითი ღირებულების თეორიას და რომლის საფუძველს წარმოადგენდა წარმოებითი ურთიერთობები. შესაბამისად, ფინანსები განიხილებოდა, როგორც საწარმოო ურთიერთობების განსაკუთრებული სახეობა, ფულადი ურთიერთობების პოზიციებიდან. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში არსებობდა, ფულადი (და მატერიალური) რესურსების განაწილება ხორციელდებოდა ცენტრალიზებულად, ამიტომ, ფულადი საშუალებების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ხერხების შერჩევის სფერო ერთობ შეზღუდული იყო.

საბაზრო ეკონომიკის, სხვა ტიპის ეკონომიკური სისტემის ფინანსები — ეყრდნობა სწორედ მის შესაბამის ფუნდამენტურ საფუძველს. გარდამავალი და ტრანსფორმირებადი ეკონომიკების პირობებში სამამულო ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ფინანსური მეცნიერების შესახებ დასავლელი მეცნიერ-ეკონომისტების თვალსაზრისი, თუმცა ქართულმა ფინანსურმა მეცნიერებამ მთლიანობაში შეინარჩუნა ფინანსების განმარტებისადმი მიდგომა, რომელიც ეფუძნება წარმოებით ურთიერთობებს. ეს უკანასკნელი განაპირობებს ცნება ფინანსების ზოგიერთი განმარტების გარკვეულ გამიჯვნას ძირითადი თანამედროვე ფინანსური თეორიის (ფულის **დროითი ღირებულება, ფასები და კაპიტალის სტრუქტურა** და სხვა) და პრაქტიკისაგან.

ფინანსების, როგორც მეცნიერების ზემოთ მოტანილი ფორმულირება და ფინანსების ცნების განმარტება, რომელშიც ჩვენ გამოვყავით მეთოდოლოგიური საფუძვლები და რომლებიც აყალიბებენ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, სრულად ვერ ხსნიან თვით ფინანსების ეკონომიკურ შინაარსს. თუკი ფინანსურ მეცნიერებასთან მიმართებაში, რომლის შესწავლის საგანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შეზღუდული ფინანსური რესურსების (სახელმწიფოს, კერძო სექტორის, საოჯახო მეურნეობების) შედარებით რაციონალური ფორმირება და გამოყენება, არსებობს შეხედულებათა თითქმის სრული იდენტურობა (სახელმწიფო ფინანსებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი განსხვავებებით), ფინანსების შინაარსის გაგებასთან მიმართებაში მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა. საქმე იმაშია, რომ თვით ცნება „ფინანსები“ უფრო დიალექტიკური და თავისი არსით ამოუწურავია, ისევე, როგორც ამოუწურავია ავტორების შეხედულებები, რომლებიც ცდილობენ ახსნან მისი შინაარსი სხვადასხვა ისტორიული პირობებიდან, ეკონომიკური და ფილოსოფიური თეორიების განვითარების პარადიგმიდან, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს არსებით აზრთა სხვადასხვაობას ამ კატეგორიის განმარტებასთან მიმართებაში.

რა არის ფული? ფული გაცილებით „ძველი“ ეკონომიკური კატეგორიაა ფინანსებთან შედარებით. ფული სხვადასხვა ფორმით წარმოიშვა კაცობრიობის განვითარების დასაწყისშივე, როგორც სტიქიურად გამოცალკევებული საქონელი, რომელიც საერთაშორისო ეკვივალენტის როლის ასრულებდა, ფინანსების კატეგორია კი ყალიბდება სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად.

ნებისმიერი სახელმწიფო თავისი ფუნქციების სარეალიზაციოდ ქმნის თავის იმანენტურ სისტემას, ფული და არაფულადი ფონდების შესაქმნელად და გამოსაყენებლად. ამ ფონდების შექმნისა და გამოყენების მეთოდები და ფორმები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან, თუმცა მათი წყაროები ყოველთვის შეზღუდულია. არავის არ შეუძლია გამოიგონოს შემოსავლების პრინციპულად ახალი წყაროები მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საუბარია არა შემოსავლების ამოღების ფორმაზე, არამედ დაბეგვრის ობიექტებზე. ასეთი ობიექტების სახით ყოველთვის გამოდიოდა ქონება და შემოსავალი. ჯერ კიდევ ანტიკურ ბერძნულ სახელმწიფოებში ამოიღებოდა პირდაპირი გადასახადები მიწებისა და ჯოგების მფლობელებისაგან, ომების პერიოდში ხდებოდა ქონებაზე გადასახადის შემოღება, ამავე პერიოდშივე ყალიბდება ირიბი გადასახადები, საბაჟო გადასახადებისა და ვაჭრობაზე გადასახადის სახით.

საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად კაპიტალი ხელს უწყობდა მრეწველობის ჩასახვასა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას. ამის გარდა ხელისუფლება, აწარმოებდა რა დაუსრულებელ ფეოდალურ ომებს, გამოდიოდა სამხედრო შეიარაღების, ფორტიფიკაციური აღჭურვილობისა და ფლოტის უმსხვილესი დამკვეთის როლში. იგი საგადასახადო სისტემის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ხარჯზე **ახდენდა კაპიტალის დაგროვებას**. იგივე მიზანს ემსახურებოდა კოლონიური დაპყრობები, რაც ეროვნული მრეწველობის განვითარების სტიმულს აძლევდა.

სახელმწიფო (საჯარო) ფინანსების ფენომენი. ორი (უჯრედის) წყაროს, სახელმწიფოსა და გადასახადების გაერთიანება ფულადი ფორმით აყალიბებს სახელმწიფო (საჯარო) ფინანსების ფენომენს, ეს მოხდა სახელმწიფო ხაზინის გამოყოფით მონარქის ქონებისაგან (ევროპაში ეს მოხდა XVI-XVII საუკუნეებში) ასევე გადასახადების ძირითადად ფულადი (ღირებულებითი) ფორმით ამოღებაზე გადასვლის შემდეგ, რამაც გამოიწვია შესაბამისი ფისკალური აპარატის ჩამოყალიბება. ამავე პერიოდშივე ეყრება საფუძველი და ხმარებაში შემოდის ტერმინი „ფინანსები“. როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, ემიტოლოგიურად იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „finis“ (ბოლო, ფულადი თანხის გადახდის ვადა გარიგების მიხედვით) და „financia“ (ნაღდი ფული, შე-

მოსავალი). შუასაუკუნეების ლათინები ამ სიტყვას იყენებდნენ გადახდის ვადის აღსანიშნავად და იმ დოკუმენტებთან მიმართებაში, რომლებიც აღნიშნავდნენ (ადასტურებდნენ) ვალის დაფარვას, გარიგების დასრულების მიხედვით. თავდაპირველად საფრანგეთში, ხოლო XVII ს. ბოლოდან სხვა ევროპულ სახელმწიფოებში სიტყვა „ფინანსების“ (finance) ქვეშ მოიაზრებოდა სახელმწიფო მთელი ფულადი მეურნეობის ერთობლიობა, მისი შემოსავლები, ხარჯები და ვალები, XVIII ს-ში ეს ტერმინი შემოიღეს საქართველოშიც. XX ს. დასაწყისამდე იგი გამოიყენებოდა შედარებით ვიწრო გაგებით და აღნიშნავდა სწორედ სახელმწიფო ფინანსებს XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ერთობ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა.

ა. სმიტის გამოთქმის თანახმად მას უნდა შეესრულებინა „ღამის დარაჯის“ როლი. თუმცა ამავე პერიოდიდან იწყება სახელმწიფოს მიერ სამხედრო ხარჯების მკვეთრი ზრდა, ინფრასტრუქტურის განვითარება, მზარდი სახელმწიფო აპარატის შენახვა, სხვადასხვა მოდერნიზაციული პროგრამების განხორციელება. სახელმწიფოს სოციალური ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვაზე, კულტურაზე ჯერ კიდევ ძალზე უმნიშვნელო იყო. ამავე პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სტრუქტურები — განუყოფელი საზოგადოებრივი სიკეთე („საბიუჯეტო მომსახურება“). რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს საკუთარ მოქალაქეებს, მხოლოდ XX ს. მეორე ნახევრიდან იწყებს განვითარებას საზოგადოებრივი სექტორის (სახელმწიფოს) ეკონომიკა. იგი არსებით გავლენას ახდენდა ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობების განთავსებისა და გამოყენების ორგანიზაციაზე, ამავე პერიოდში **სახელმწიფო ფინანსები იღებს განვითარებულ ფორმას**. უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის აუცილებელი დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ფულადი რესურსების გადანაწილებას. ეს მიზნებია: ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, სოციალური განვითარება და ეკონომიკური ზრდა.

ასე რომ, თუ კი ფული — საყოველთაო ეკვივალენცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მენარმეთა შრომითი დანახარჯებისა და სხვა რესურსების დანახარჯების გაზომვა, მაშინ ფინანსები (კატეგორიული გაგებით) არის სხვადასხვა **ფულადი ფონდების, ფინანსური კაპიტალის შექმნის, დაგროვებისა და გამოყენების ფულადი (ღირებულებითი) ურთიერთობების (კავშირების) ერთობლიობა**.

ფინანსები ეს არის ღირებულებითი კატეგორია, ანუ არა უბრალოდ ფული, არამედ სახელმწიფოს მიერ წარმოქმნილი და რეგლამენტირებული ფულადი ურთიერთობების (კავშირების) ერთობლიობა. აქ ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ ძალიან მნიშვნელოვან, ფინანსების არსებითი თვისებების გამოყოფის თვალსაზრისით, მომენტს. ფინანსებისათვის დამახასიათებელია **საკუთარი ბუნებრივი ატრიბუტი სახელმწიფოს მიერ ფულადი ურთიერთობების რეგლამენტაცია**. სხვა სიტყვებით ფინანსური ურთიერთობები (კავშირები) ყოველთვის განონასწორებულია განსაზღვრული სამართლებრივი აქტებით რეკომენდაციებით, სტანდარტებით, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით ახდენენ მის რეგლამენტირებას (ბოლო დროს მნიშვნელოვან როლს ფინანსური ურთიერთობების (ოპერაციების) განხორციელებისა და ფინანსურ ანგარიშგებებში მათი ასახვის წესების სტანდარტის შემუშავებაში ასრულებენ საზოგადოებრივი პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც ასევე რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

კორპორატიული ფინანსების შესახებ. მენარმეობის აქციონერული (კორპორატიული) ფორმების განვითარებასთან ერთად, სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმით, სხვადასხვა ინსტიტუტების შექმნით, რომლებიც ახდენენ თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციასა და გადანაწილებას (ფინანსური შუამავლები), ტერმინი ფინანსები უკვე დიდი ხანია გასცდა სახელმწიფო (საჯარო) ფინანსებს ვიწრო გაგების ჩარჩოებს. იგი უკვე გამოიყენება უფრო ფართო გაგებით, კერ-

ძოდ მისაღებია ფინანსური სამეურნეო სუბიექტების (ორგანიზაციები, საწარმოები, კორპორაციები) ფინანსების მიმართ. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ორი, შედარებით დამოუკიდებელი მეცნიერება ფინანსების შესახებ, მეცნიერება სახელმწიფო ფინანსების შესახებ და მეცნიერება სამეურნეო სუბიექტების (კორპორაციების) ფინანსების შესახებ.

პირველი სწავლობს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ცენტრალიზებული (საზოგადოებრივი) ფულადი ფონდების ფორმირებისა და გამოყენების შედარებით რაციონალურ ხერხებს, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად. ცენტრალიზებულ (საზოგადოებრივ) ფონდებს მიეკუთვნება ყველა დონის ბიუჯეტები, ასევე მიზნობრივი არასაბიუჯეტო ფონდები, **მეორე იკვლევს ფულადი ნაკადებისა და კაპიტალის შექმნისა და მოძრაობის შედარებით რაციონალურ ფორმებს ცალკეული საწარმოების (კორპორაციების) სახსრების წრებრუნვის ჩარჩოებში.** მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების შედარებით ვინრო წრის ინტერესების უზრუნველსაყოფად. ამ ორ მეცნიერებას აერთიანებს მათი საერთო საფუძველი — დეფიციტური ფულადი რესურსების შემოსულობებისა და ხარჯვის პროცესების მართვის ხერხების შესწავლა.

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: **ჯერ ერთი, შემოსავლების მიღება და ხარჯების ფორმირება, როგორც წესი, დროში ერთიმეორეს არ ემთხვევა; მეორეც, შემოსავლები და ხარჯები არ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს არ იმათ მიერ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს და არც სხვა ვინმეს მიერ, რამდენადაც ისინი ატარებენ პროგნოზულ, ალბათურ ხასიათს, როგორც სახელმწიფოსათვის, ისევე სამეურნეო სუბიექტისათვის, საოჯახო მეურნეობებისათვის.** აუცილებელია, მიღებული იქნას ყველაზე მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები დროითი წყვეტის გამოსათანაბრებლად და შემოსავლების მიღებას და ხარჯების განხორციელებას შორის, მათი საპროგნოზო (საგეგმო) მნიშვნელობების სწორად განსაზღვრისათვის და შემოსავლებზე და ხარჯებზე მოქმედი სხვადასხვა სახის რისკების შემცირებისათვის.

ამ ინსტრუმენტებსა და სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ხერხებს დანვრილებით სწავლობს სპეციალური გამოყენებითი ხასიათის მეცნიერება — ფინანსური მენეჯმენტი, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ფინანსური მენეჯმენტის ინსტრუმენტები და ხერხები ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო ფინანსების მართვაში, კერძოდ კი შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სისტემის დანერგვისას.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსები წმინდა პრაგმატული პოზიციებიდან შეიძლება განიმარტოს (გააზრებული იქნას) როგორც ფულადი ნაკადების, ფინანსური რესურსების და კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობა, მათი ფორმირებისა და გამოყენების პროცესებში.

ფინანსები შეიძლება განხილული იქნას ფინანსური მეცნიერების ტრადიციების პოზიციებიდან, რომლის მიხედვითაც ეს არის რთული სინტეტიკური ეკონომიკური კატეგორია, ფულადი ურთიერთობების (კავშირების) ერთობლიობა, რომელიც რეგლამენტირდება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ფულადი ფონდების ფორმისა და გამოყენების თვალსაზრისით მათი წარმოქმნის, განაწილების და გადანაწილების პროცესში მოსახლეობის კეთილდღეობის, სოციალური სფეროსა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოთ მოტანილი მასალა საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ფინანსები არის ისტორიული კატეგორია, რომელიც წარმოშვა სახელმწიფომ, მისი შინაარსი დიალექტიკური, ძნელად გასააზრებელი ხასიათის მატარებელია და არსებითად იცვლება ეკონომიკური თეორიის ფილოსოფიის, დაგროვილი პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების და

მკვლევარის პირადი პოზიციების განვითარების მდგომარეობაზე დამოკიდებულებით. ასე რომ როგორც მატერია, ფინანსებიც თავისი არსებობის სხვადასხვა ფორმაში ამოუნურავია;

- ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგანი (შედარებით რაციონალური გზით შეზღუდული ფულადი საშუალებების ფორმირება და გამოყენება დროისა და განუსაზღვრელობის პირობებში) პრინციპში არსებობს შეხედულებათა შედარებითი ერთიანობა;
- ფინანსები შეიძლება განხილული იქნას ვინრო პრაგმატული მოსაზრებით როგორც ფულადი ნაკადების, ფინანსური რესურსების და კაპიტალის მოძრაობა, ასეთი მიდგომა დამახასიათებელია თანამედროვე დასავლური ეკონომიკური ლიტერატურისათვის, რომელიც ფინანსებს გაიაზრებს ძალზე ფართო ასპექტით და მკვეთრად მიჯნავს ერთიმეორისაგან სახელმწიფო (საჯარო) ფინანსებს და კორპორაციების (სამეურნეო სუბიექტების) ფინანსებს;
- საბჭოთა და ქართულ სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსები განხილულია როგორც რთული ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ასახავს ფულადი ფონდების ფორმირებისა და გამოყენების პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ამასთან დაშვებულია ცნება „ფინანსების“ დაზუსტება, რომელიც ასახავს ან მხოლოდ განანილებას, ანდა მთელი კვლავნარმოებითი პროცესის სტადიების მთელ ერთობლიობას. სახელმწიფო ფინანსების შინაარსის გააზრებისას ხაზი აქვს გასმული მის იმპერატიულ ხასიათს.

კრედიტი. კრედიტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კრედიტი შედის ფინანსების შემადგენლობაში, თუ მას განვიხილავთ არსისა და კატეგორიის პოზიციიდან. სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი ამტკიცებს, რომ კრედიტის ეკონომიკური კატეგორია არსებობს ფინანსების ეკონომიკური კატეგორიის პარალელურად, რითაც ხაზს უსვამს ფინანსების შემადგენლობაში კრედიტის განხილვის შეუძლებლობას (Лаврушин О. 1989; Пессель М. 1977; Шенгерь Ю. 1961 და ა.შ.).

ნ.დ. ბარკოვსკიმ აღნიშნა, რომ ფულის ფუნქციონირებამ შექმნა ეკონომიკური ბაზა ფინანსებისა და კრედიტის დამოუკიდებელ კატეგორიად გამოსაყოფად და წარმოშვა საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობანი. საფინანსო მეცნიერების გნოსეოლოგიური ფესვები მან დაინახა ფულსა და კრედიტში, იმდენად, რამდენადაც მეცნიერებას ფინანსების შესახებ საქმე აქვს იმგვარი ეკონომიკური ურთიერთობების კვლევასთან, რომლებიც ეყრდნობიან ფულის მიმოქცევას და კრედიტს (Барковский Н. 1976. გვ. 28).

განვიხილოთ კრედიტის ყველაზე გავრცელებული განმარტებები. თანამედროვე პუბლიკაციებში კრედიტს უფრო მეტად „გაუმართლა“, ვიდრე ფინანსებს. ასე, მაგალითად, საფინანსო-ეკონომიკურ ლექსიკონში მოცემულია კრედიტის შემდეგი განმარტება: „კრედიტი არის ფულადი ან სასაქონლო ფორმის სესხი აბრუნებითობის პირობებით, ჩვეულებრივ, პროცენტის გადახდით. კრედიტი წარმოადგენს სესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას და გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს კრედიტორსა და მსესხებელს შორის“ (Назарова М. 1995. გვ. 107).

„ეკონომიკის კურსში“ მოცემულია ამგვარი განმარტება: „კრედიტი არის ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს ურთიერთობებს, როცა ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციები ან პირები დროებით სარგებლობაში გადასცემენ ერთმანეთს ფულად საშუალებებს დაბრუნებითობის პირობებით. კრედიტის წარმოშობა განპირობებულია ეკონომიკური და ფულადი ურთიერთობების სრულყოფის ისტორიული პროცესით, რომლის ერთ-ერთ ფორმასაც წარმოადგენს ფულადი ურთიერთობები“ (Курс экономики. 1997. გვ. 288).

კრედიტის მცირეოდენ განსხვავებულ განმარტებას გვაძლევენ შემდეგი მეცნიერები: „კრედიტი — არის სესხი ფულადი ან საქონლური ფორმით, რომელსაც კრედიტორი სარგებლობისათვის

აძლევს მსესხებელს დაბრუნებისა და მსესხებლის მიერ სარგებლის გადახდის პირობით“ (ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2005. გვ. 350).

კრედიტი არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად. ამრიგად, კრედიტი არის სესხი ფულადი ან საქონლური ფორმით. ამ სესხის მოძრაობის პროცესში მყარდება გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობა კრედიტორსა (სესხს გასცემს იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ვალად იძლევა რაიმე თანხას) და მოვალეს შორის (ეკონომიკური თეორია. 1998. გვ. 443).

ამრიგად, შევავჯამოთ რა ზემოთ მოტანილი კრედიტის ყველა განმარტება, ჩვენი აზრით, კრედიტი არის ფულადი კაპიტალის ან საქონლის გაცემა ვალად, განსაზღვრული ვადით და მატერიალური უზრუნველყოფით ფიქსირებული სარგებლის (პროცენტის) საფასურად. იგი გამოხატავს კაპიტალის წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. საკრედიტო ურთიერთობათა აუცილებლობა განაპირობა, ერთი მხრივ, დროებით თავისუფალი სახსრების სოლიდური ოდენობით თავმოყრამ, მეორე მხრივ, მათზე მოთხოვნილების არსებობამ **[ქოქიაური ლ., 2015]**. ან კრედიტის არსებობას აქვს აუცილებელი და შესაძლებელი ხასიათი ე.ი. ადგილი აქვს კრედიტის არსებობის აუცილებლობასა და შესაძლებლობას.

აქვე დავძენთ, რომ ამავე დროს ყოველთვის ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი მსგავსი ცნება: სესხი და კრედიტი. სესხს ის ახასიათებს, რომ:

- აქ საუბარი შეიძლება ეხებოდეს ერთი მხარის (გამსესხებლის) მიერ მეორისათვის (მსესხებლისთვის) როგორც ფულის, ისე ნივთების გადაცემას: ა) მსესხებლის საკუთრებაში, ოღონდ, ამავე დროს ბ) იმავე თანხის ან იმავე რაოდენობისა და ხარისხის ნივთების დაბრუნების პირობით;
- ფულის სესხება შეიძლება უპროცენტოც იყოს;
- მასში ნებისმიერ პირს შეუძლია მონაწილეობა.

სესხისაგან განსხვავებით, კრედიტი, რომელიც ერთგვარად სესხის კერძო შემთხვევაა, იმას გულისხმობს, რომ:

- ერთი მხარე (კრედიტორი) მეორეს (მსესხებელს) აძლევს მხოლოდ ფულს, თანაც — დროებით სარგებლობაში;
- იგი არ შეიძლება იყოს უპროცენტო (თუკი ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს);
- მასში კრედიტორია არა ნებისმიერი პირი, არამედ მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაცია (უპირველეს ყოვლისა, ბანკები).

ამგვარად, კრედიტი საბანკო კრედიტია. ჩვენი აზრით „კრედიტისა“ და „სესხის“ სინონიმებად ხმარება რეკომენდირებული არაა **[ქოქიაური ლ., 2012]**.

საბანკო დაკრედიტება ბანკსა (როგორც კრედიტორს) და მის მსესხებელს შორის ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლებიც ეხება:

- ა) ფულის გარკვეული თანხის მიცემას მსესხებლისთვის გარკვეული მიზნით (თუმცა, გვხვდება ე.წ. თავისუფალი კრედიტებიც, როდესაც დაკრედიტების მიზანი ან ობიექტი ხელშეკრულებაში მითითებული არაა);
- ბ) მის თავისდროულად დაბრუნებას;
- გ) მსესხებლისგან საზღაურის მიღებას მის განკარგულებაში არსებული სახსრების გამოყენებისთვის.

საკრედიტო ურთიერთობის არსებითი საფუძველი და მისი აუცილებელი ელემენტია მხარეებს შორის ნდობის არსებობა (ლათინური ცრედო, საიდანაც სიტყვა „კრედიტი“ წარმოიშვა, ნიშნავს „მჯერა“).

2.2. ფინანსებისა, კრედიტისა და ივესტიციების ინტეგრირება ერთიან მთლიან ნაწილად.

ფულადი ფორმების მოძრაობის პოზიციიდან (აბსტრაქციაში მათ მიერ გამოხატული ეკონომიკური ურთიერთობებისა და საზოგადოების საბიუჯეტო და საბანკო სისტემების ფორმირების ისტორიულ პროცესიდან) ფინანსებისა და კრედიტის სხვადასხვა განმარტების შედარებიდან თავისთავად გამომდინარეობს პარადოქსული დასკვნა: **კრედიტი არის ფინანსების კერძო შემთხვევა** და მართლაც, ფულადი ფორმების მოძრაობის პოზიციიდან ფინანსები არის ფულადი საშუალებების ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების პროცესი. ხშირად, ამგვარი მოძრაობა ხორციელდება დაუბრუნებლად, მაგრამ ზოგჯერ, შესაძლებელია ბიუჯეტიდან სესხების გაცემა საინვესტიციო პროექტებზე ან სხვა საჭიროებებისათვის. გარდა ამისა, როცა სანარმო ან კორპორაცია იყენებს თავის ფულად ფონდებს და საუბარია მეურნე სუბიექტების ფინანსებზე, ამგვარი გამოყენება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც სანარმოს ან კორპორაციის შიგნით (საერთოდ არ დგას საკითხი გამოყენების დაბრუნება-არდაბრუნებაზე), ასევე უსასყიდლოდ ან დაბრუნების პირობით. სახსრების სხვისთვის გადაცემით ამ უკანასკნელს უწოდებენ კომერციულ კრედიტს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს არის სანარმოს ან კორპორაციის საფინანსო სისტემის ელემენტი.

ფულადი საშუალებების მოძრაობის კუთხით, კრედიტის მთავარი ნიშანია ფულადი საშუალებების ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების პროცესი დაუბრუნებითობის პირობით და, როგორც წესი, საფასურის-პროცენტის ამოღებით. თუ კრედიტის საფასურის ამოღება არ ხდება (თუნდაც გამონაკლის შემთხვევაში), კრედიტი მოძრაობის ფორმის მიხედვით იქცევა ფინანსების კერძო შემთხვევად, იმდენად რამდენადაც წმინდა ფინანსური ფონდებიდან (მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან) შეიძლება გამოყენებულ იქნეს უპროცენტო სესხები. თუ ხდება სესხის (კრედიტის) საფასურის ამოღება, ასეთ შემთხვევაში, გარეგნული ფორმით, **კრედიტი განიხილება როგორც ფინანსების მოდიფიკაცია.**

ისტორიული თვალთახედვით, ფინანსები (განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტის სახით) და კრედიტი (მევახშეობიდან დაწყებული, შემდგომ კი კომერციული და საბანკო), ვითარდებოდა ძალზე სხვადასხვაგვარად იმისათვის, რომ კრედიტი ფინანსების ნაწილად ჩავთვალოთ. თუმცა, გენეტიკურ-ისტორიული კუთხით, თავდაპირველ სესხის გამცემებს, სესხის გაცემამდე, სჭირდებოდათ პირველადი კაპიტალის დაგროვება უკან დაუბრუნებელ, ანუ წმინდა ფინანსურ საფუძველზე. ბანკებსაც ანალოგიურად, დაბრუნებადობის პირობით დაბალი საპროცენტო განაკვეთით კლიენტთა საშუალებების მოსაზიდად და უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით მათ სესხად გასაცემად აუცილებლად სჭირდებოდათ მნიშვნელოვანი საკუთარი კაპიტალის კონცენტრირება. ამასთან, სწორედ ფინანსურ საფუძველზე საფინანსო ფონდის სახით (რომელიც შემდგომ ნაწილობრივ იქცევა სასესხო ფონდად), ბანკის კაპიტალის ნაწილი გვევლინება იმ ფონდის სარეზერვო (სადაზღვევო) ნაწილად, რომელიც თავისი ბუნებით სწორედ საფინანსოა და არა სასესხო. ამრიგად, გენეტიკურ-ისტორიული კუთხით ფინანსებსა და კრედიტს შორის არსებითი განსხვავების მიუხედავად, კრედიტი — ფინანსების წარმონაქმნი, მისი მოდიფიკაციაა.

ფინანსებისა და კრედიტის გამომსახველი ეკონომიკური ურთიერთობების არსის პოზიციიდან, მართლაც, ადგილი აქვს კარდინალურ განსხვავებას ამ ორ კატეგორიას შორის, რაც ძირითადად მოძრაობის ფორმების განსხვავებით გამოიხატება დაუბრუნებელი თუ დაბრუნებითია იგი. ფინანსები გამოხატავენ ურთიერთობებს საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული სიმდიდრის ღირებულების ნაწილის განაწილების და გადანაწილების ასპექტში. კრედიტი გამოხატავს შესაბამისი ღირებულების გადანაწილებას მხოლოდ სესხისათვის გაცემული პროცენტის ნაწილში, მაშინ, როცა თვით სესხთან მიმართებაში ადგილი აქვს მხოლოდ ფულადი საშუალებების დროებით გადანაწილებას.

ინვესტიციები. ინვესტიციური პროცესების შესწავლის სისტემური მეთოდები. ეკონომიკა, როგორც კვლევის ობიექტი, უამრავი სხვადასხვა დონის და სხვადასხვა თვისებრივი ფუნქციონალური სისტემისაგან შედგება, ყოველი მათგანი თვითშენარჩუნების, რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარებისათვის ორი სახის რესურსის შემოდინებას საჭიროებს:

- მიმდინარე, მუდმივი და პრაქტიკულად უწყვეტი ხასიათის რესურსები;
- პერიოდული, კაპიტალური, ანუ ინვესტიციური სახის რესურსები.

თუ სისტემის აღწარმოება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ რესურსების მიმდინარე ნაკადის ხარჯზე, მაშინ ადგილი აქვს ერთჯერადი სისტემის არსებობას. ამ დროს იგი არ ექვემდებარება განახლებას ცვეთის მიხედვით და გაქრობა ემუქრება.

თუ სისტემის აღწარმოება ხორციელდება მიმდინარე ფულადი ნაკადის და მისი გაცვეთილი (ამორტიზირებული) ნაწილების თუ მთლიანად სტრუქტურის პერიოდული კაპიტალური განახლების ხარჯზე, მაშინ სახეზეა ფულადი სახსრების **გრძელვადიანი ფუნქციონირების სისტემა**. მისი არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რესურსების ინვესტირებაზე აღწარმოებაში (მარტივი ან გაფართოებული, თავდაპირველ ან თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე).

ინვესტირება პირველხარისხოვანი ფუნდამენტალური ხასიათის ეკონომიკური და ფილოსოფიური კატეგორიაა. ინვესტირების ხასიათსა და მასშტაბურობაზე დამოკიდებული ყველა სისტემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დროის დიდ მონაკვეთზე.

ქვეყნის ეკონომიკისათვის ინვესტიციების ადგილსა და როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თუკი ინვესტიციების მასშტაბები და ინტენსივობა (ისევე, როგორც ფინანსური სხვა რესურსების) ჩამორჩება ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ ცვეთას, სახალხო მეურნეობა აუცილებლად ჩავარდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინვესტიციებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ არა ინვესტიციური პროცესებისადმი სისტემური მიდგომის კუთხით (განსაკუთრებით მთლიანად სახალხო მეურნეობასთან მისი ურთიერთდამოკიდებულების ასპექტით). იგი შეისწავლებოდა კაპიტალდაბანდებათა და მშენებლობის ეკონომიკის, როგორც სახალხო მეურნეობის განსაკუთრებული დარგის ეფექტიანობის აქტუალური პრობლემების ჭრილში. მივაგებთ რა მისაგებელს ინვესტიციების ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე დღემდე არსებულ გამოკვლევებს, აქვე აღვნიშნავთ, რომ ინვესტიციური პროცესის ფინანსურ თეორიაში სისტემური სახით არაა გამოკვლეული და ჩამოყალიბებული.

თვით ინვესტიციები. ინვესტიციების სფერო სახალხო მეურნეობის დარგების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველმყოფი საინვესტიციო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა. მისი მატერიალური საფუძველია სხვადასხვა სახის საინვესტიციო რესურსები (ბუნებრივი, ტექნიკური, **ფინანსური**, შრომითი და სხვა), რომლებსაც შეიძლება ვიყენებდეთ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტიციებისთვის, საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე სახსრების დაბანდების ჩათვლით.

ინვესტიციების სფერო — ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებისა და განვითარების საფუძველია. ინვესტიციების სფერო ეკონომიკურ ურთიერთობათა ის არეალია, სადაც როგორც წესი, მიმდინარეობს ამა თუ იმ ინოვაციის მატარებელი მეურნე სუბიექტების სტრატეგიების რეალიზება. ამ სტრატეგიების რეალიზების მთავარ ფორმად გვევლინება ინვესტიციები, რომლებიც ინვესტირების პროცესში ტრანსფორმირდება და, მაშასადამე, იღება (ჩანაფიქრი) რეალურად ისხამს ხორცს.

ინვესტიციების სფეროს შემადგენლობაში შედიან მრავალრიცხოვანი საინვესტიციო ინსტიტუტები ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ძირითადად **ფასიან ქალაქებთან** დაკავშირებით

ენევიან საშუამავლო და საკონსულტაციო საქმიანობას. ესენი არიან: საინვესტიციო ბროკერები, კონსულტანტები, კომპანიები, **ფონდები**, საინვესტიციო, ინოვაციური, იპოთეკური **ბანკები**.

ფართო გაგებით, ინვესტიციის პროცესი არის სხვადასხვა ობიექტში საინვესტიციო რესურსების დაბანდება და მათი თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ტრანსფორმირება იდეისა და ჩანაფიქრის საბოლოო რეალიზაციამდე. მთელ რიგ ნაშრომებში ინვესტიციის პროცესს განიხილავენ როგორც ქვეყანაში კაპიტალის მატების კვლავწარმოებითი პროცესის მონაწილეთა მრავალმხრივ საქმიანობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური სისტემის დინამიკასთან. ამ პოზიციიდან საინვესტიციო პროცესი ასევე, როგორც ფინანსები, საზოგადოებრივი კვლავწარმოების შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ იყენებენ იმ მიდგომას, რომლის დროსაც საინვესტიციო აქტივობა გულისხმობს იდეის დამუშავებას, საინვესტიციო პროექტის დასაბუთებას, ამ დროს შექმნილი ობიექტის საქმიანობის მართვას (მისი ლიკვიდაციის ან პროფილის შეცვლის ჩათვლით), ცვალებადი გარე პირობებისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შესაბამისად. საინვესტიციო პოტენციალი მატერიალურ საფუძველს უქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკას, რომლის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები საინვესტიციო რესურსების მონესრიგებულ ერთობლიობას ასახავენ. ეს რესურსები მოიცავს მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და არამატერიალურ აქტივებს (მრეწველობის ობიექტებზე საკუთრების უფლებების ფლობას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, ინფორმაციის აკუმულირებას სოციალურ-ეკონომიკური, საბაზრო ურთიერთობების სფეროში, დაგროვილ გამოცდილებას და ა.შ.).

ინვესტიციებს განეკუთვნებიან იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც საკუთარ, ნასესხებ და მოზიდულ სახსრებს აბანდებენ სამეურნეო, ინტელექტუალურს და სხვა საქმიანობაში. დასაბანდებელი საინვესტიციო კაპიტალი შეიძლება იყოს **ფინანსური რესურსები**, ქონება, ინტელექტუალური და საინფორმაციო პროდუქტი.

ინვესტირება პირველხარისხოვანი ფუნდამენტური ხასიათის ეკონომიკური და ფილოსოფიური კატეგორიაა. ინვესტირების ხასიათსა და მასშტაბურობაზეა დამოკიდებული ყველა სისტემის მ.შ. ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და მისი შენარჩუნება დროის დიდ მონაკვეთზე.

ქვეყნის ეკონომიკისათვის ინვესტიციების ადგილსა და როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თუკი ინვესტიციების და ფინანსური რესურსების მასშტაბები და ინტენსივობა ჩამოჩრება ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებასა და ფიზიკურ ცვეთას, სახალხო მეურნეობა აუცილებლად ჩავარდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში.

ფინანსებსაც აქვს საწარმოო საფუძველი. იგი განიხილება, როგორც ზემოთ აღნიშნა, ფულადი სახსრების ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების სისტემა, წარმოიქმნება მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის ნაწილის ღირებულების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში და დაკავშირებულია მეურნეობრიობის სუბიექტებსა და სახელმწიფოში ფულადი შემოსავლები, დანაზოგების ფორმირებასა და ინვესტიციურ სფეროში სახსრების გამოყენებასთან (მოგების ნაწილს), გაფართოებულ კვლავწარმოებაში, ამ სფეროებში დასაქმებულთა მატერიალურ სტიმულირების, სარფის მიღების, საზოგადოების სოციალური და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში (human kapital investment) — მუშათა შრომის ნაყოფიერების და შესაბამისად, ფულადი ანაზღაურების ასამალლებლად განეული ნებისმიერი ღონისძიება (მათი კვალიფიკაციის ამაღლების და უნარ-ჩვევების განვითარების გზით); მუშათა განათლების, ჯანმრთელობის გაუმჯობესების ან მუშა ძალის მობილურობის ამაღლების ხარჯები.

რეალური ინვესტიციები არის დაბანდებანი ეკონომიკის დარგებში და ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალური კაპიტალის ნამატის შემოტანას, ანუ წარმოების საშუალებების მატერიალურ-ნივთიერ ღირებულებათა გადიდებას, **ფინანსური** მოგების მიღებას.

ფინანსური ინვესტიციები წარმოადგენენ დაბანდებებს აქციებში, ობლიგაციებში, თამასუქებში, სხვა ფასიან ქალაქებსა და ინსტრუმენტებში. ასეთი დაბანდებები თავისთავად არ იძლევიან რეალური ნივთიერი კაპიტალის ნამატს, მაგრამ ხელს უწყობენ მოგების მიღებას, მ.შ. სპეკულაციურის დროში ფასიანი ქალაქების კურსის შეცვლის, ან ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ადგილებში კურსის განსხვავების ხარჯზე.

ინვესტიციები — ეს არის რეალური, **ფინანსური** და ინტელექტუალური რესურსების დაბანდებანი პროექტებში, რომელთა განხორციელებას მიყვავართ მატერიალურ-ნივთიერი და ინფორმაციული ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი (ფინანსური) სიმდიდრის ან მხოლოდ ამ უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე). როგორც ეკონომიკური კატეგორია, ინვესტიციები გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და ფორმირების მიზნით, წარმოების სრულყოფისა და გაფართოების მიზნით (keynz j. 1978)

ინვესტიციაში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილავენ ორი ასპექტის ერთიანობას: რესურსები (კაპიტალურ ფასეულობები) და დაბანდება (დანახარჯები). ყველაზე უფრო ცხადად ასეთი მიდგომა წარმოდგენილია **ჯ.მ. კეინსის** შრომებში, რომლის აზრითაც, ინვესტიცია ეს შემოსავლის ის ნაწილია მიმდინარე პერიოდში, რომელიც არ იქნა გამოყენებული მოხმარებისათვის, კაპიტალური ქონების ფასეულობის მიმდინარე ნაზარდი მოცემული პერიოდის საწარმოო საქმიანობის შედეგად. ეს განმარტება, რომელიც არ წარმოადგენს ამომწურავს, მკვეთრად გამოყოფს ინვესტიციის ორ მხარეს: საკმარისად მკვეთრი გამოყოფა; რესურსები (აკუმულირებული შემოსავლის დაგროვების მიზნით) და დაბანდებები (გამოყენებული რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალური ქონების ნაზარდს.

ა) ინვესტიციების დისპოზიციური გაგების საფუძველია ის დებულება, რომლის შესაბამისადაც ინვესტირების პროცესი გულისხმობს **ფინანსური** სახსრების შებოჭვას და ამით — საწარმოს მიერ მათი განკარგვის თავისუფლების შეზღუდვას. ეს პროცესი, ერთის მხრივ, დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, მეორეს მხრივ კი — გავლენას ახდენს მათზე. ასეთ დაბანდებებს შეგვიძლია ვუნოდეთ ღია სისტემები, რომლებშიც ინვესტიციების რეალიზაცია სისტემის სხვა ელემენტების ფუნქციონირებაზე ახდენს გავლენას, ინვესტიციების შედეგებზე კი ის გადანყვეტილებები მოქმედებს, რომლებიც სისტემის სხვა ელემენტებს ეხება.

ბ) ინვესტიციის ცნების განმარტებისადმი ზემომოყვანილი მიდგომების განზოგადებით შეგვიძლია გამოვყოთ ინვესტიციების შემდეგი ყველაზე უფრო არსებითი ნიშან-თვისებები:

- შემოსავლის მიღების პოტენციური უნარი, რომელიც ფინანსების გარეშე არ შესრულდება;
- ინვესტირების პროცესი, როგორც წესი, უკავშირდება დაგროვილი ფინანსური და ქონებრივი კაპიტალის ერთი ნაწილის გარდასახვას ეკონომიკური სუბიექტის (საწარმოს) ალტერნატიული სახის აქტივებად;
- ინვესტიციების განხორციელების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი ინვესტიციური და ფინანსურ-საკრედიტო რესურსები, რომლებსაც ახასიათებთ მოთხოვნა, მინოდება და ფასი;
- დაბანდების ვადის არსებობა (ეს ვადა ყოველთვის ინდივიდუალურია და მისი წინასწარ განსაზღვრა მართებული არაა);

- დაბანდებებს ახორციელებენ ინვესტორებად წოდებული პირები, რომელთა ინდივიდუალური მიზნები უმრავლეს შემთხვევებში (ყოველთვის არ უკავშირდება) უშუალო ეკონომიკური სარგებლის, მოგების მიღებას;
- კაპიტალის დაბანდების რისკის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტირების მიზნების მიღწევას და საბოლოო ფინანსური შედეგების მიღებას ალბათური ხასიათი აქვს.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად გვევლინებიან, ერთის მხრივ, თავისუფალი საინვესტიციო რესურსების მქონე მონაწილეები (ინვესტორები), ხოლო, მეორეს მხრივ, ის სანარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც საინვესტიციო რესურსებზე აქვთ მოთხოვნილება. საინვესტიციო საქმიანობის მესამე მხარეა ის ფინანსური შუამავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საინვესტიციო ინსტიტუტების ურთიერთმოქმედებას საინვესტიციო რესურსების მომხმარებლებთან.

ინვესტიციების არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლებია:

- ინვესტიციები როგორც ეკონომიკური მართვის ობიექტი;
- ინვესტიციები, როგორც დაგროვილი კაპიტალის ეკონომიკურ პროცესში ჩართვის აქტიური ფორმა;
- ინვესტიციები, როგორც ყველა ალტერნატიული ფორმით დაგროვილი კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა;
- ინვესტიციები, როგორც სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ ობიექტში კაპიტალის დაბანდების ალტერნატიული შესაძლებლობა;
- ინვესტიციები როგორც სამეწარმეო საქმიანობის ეფექტის გენერირების წყარო;
- ინვესტიციები, როგორც საბაზრო ურთიერთობათა ობიექტი;
- ინვესტიციები როგორც საკუთრებისა და განკარგვის ობიექტი;
- ინვესტიციები როგორც დროითი მჯობინების ობიექტი;
- ინვესტიციები, როგორც რისკის ფაქტორი;
- კაპიტალი, როგორც ლიკვიდობის ფაქტორის მატარებელი.

სანარმოს ინვესტიციები არის ყველა ფორმის კაპიტალის დაბანდება მისი სამეურნეო საქმიანობის განსხვავებულ ობიექტებში (ინსტრუმენტებში), რომლის მიზანია **მოგების** მიღება, აგრეთვე, სხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური ეფექტის მიღწევა და რომლის განხორციელება (ისევე, როგორც ფინანსების), ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს, უკავშირდება დროის, რისკისა და ლიკვიდობის ფაქტორებს.

სანარმოს საინვესტიციო საქმიანობას შემდეგი ძირითადი თავისებურებები ახასიათებს:

- იგი სანარმოს საოპერაციო საქმიანობას ზრდის, უზრუნველყოფის მთავარი ფორმაა და მისი მიზნებისა და ამოცანების მიმართ დაქვემდებარებულ ხასიათს ატარებს;
- საინვესტიციო საქმიანობის ფორმები და მეთოდები გაცილებით უფრო მეტადაა დამოკიდებული სანარმოს დარგობრივ თავისებურებებზე, ვიდრე მისი საოპერაციო საქმიანობა;
- სანარმოს საინვესტიციო საქმიანობის მოცულობებს ახასიათებს არსებითი უთანაბრობა ცალკეულ პერიოდებში;
- სანარმოს საინვესტიციო საქმიანობის პროცესში მისი ინვესტიციური მოგება (აგრეთვე, სხვა ფორმის ეფექტები), ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი „ჩამორჩენის ლაგით“ ყალიბდება;
- საინვესტიციო საქმიანობა აყალიბებს სანარმოს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი სახის ფულად ნაკადებს, რომლებიც ცალკეულ პერიოდებში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი მიმართულებით;

- საწარმოს საინვესტიციო საქმიანობას ახასიათებს სპეციფიკური სახის რისკები, რომლებსაც „საინვესტიციო რისკის“ ცნებით აერთიანებენ;
- საინვესტიციო საქმიანობის მოცულობის იმ უმნიშვნელოვანეს საზომად, რომელიც საწარმოს ეკონომიკური განვითარების ტემპებს ახასიათებს, გვევლინება მისი წმინდა ინვესტიციების მაჩვენებელი.

დანაზოგები მოხმარებაზე შემოსავლის გადამეტებაა. საზოგადოების დანაზოგებს აყალიბებს მოსახლეობის **პირადი შემოსავლების დანაზოგები**, საწარმოების **გაუნაწილებელი მოგება და სახელმწიფო ბიუჯეტის** სახსრების გარკვეული ნაწილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დანაზოგები და ინვესტიციები ურთიერთდაკავშირებული ფინანსური კატეგორიებია. დანაზოგები პოტენციური ინვესტიციებია, ინვესტიციების ფინანსური წყარო, ინვესტიციები კი — რეალიზებული დანაზოგები, რომლებიც ეკონომიკური, ე.ი. ფინანსური, ან სოციალური ეფექტის მიღებისკენაა მიმართული. რაც უფრო სასიკეთოა ეკონომიკური და სოციალური პირობები, მით უფრო მაღალია დაბანდებათა უსაფრთხოების ხარისხი და მეტი დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საკმაოდ საიმედო პირობებია შექმნილი დანაზოგების უსაფრთხოებისთვის, პრაქტიკულად მთელი დანაზოგები ინვესტიციებად იქცევა ხოლმე. **ნაღდი ფულადი ბრუნვის** ელექტრონული ბარათებით შეცვლის პირობებში მიმდინარე მოხმარებისთვის განკუთვნილი ფულიც კი **საფინანსო სისტემის** მეშვეობით საინვესტიციო პროცესშია ჩართული.

გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ ზრდას განსაზღვრავს, პირველ რიგში, იმ ინვესტიციების დონე, რომლებსაც წარმართავენ საწარმოო აპარატის გადიდებაზე, მის მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციაზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. მაგრამ არანაკლებ როლს თამაშობს ის დაბანდებაებიც, რომლებიც განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, მოსახლეობის ჯამრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას უკავშირდება.

წარმოების გადიდება ზრდის დანაზოგების შესაძლებლობას, რომლებიც პოტენციურ ინვესტიციებად გვევლინება, ინვესტიციებად ქცეული დანაზოგები წარმოების გაფართოებას იწვევენ და ა.შ. საინვესტიციო პროცესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მის მონაწილეებს შორის ჩნდება წარმოების გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

დღეისათვის ჩამოყალიბდა ინვესტიციების დონის განმსაზღვრელი შემდეგი ეკონომიკური ფაქტორები: საზოგადოების მასშტაბით ინვესტიციების დონის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია მოხმარებასა და დაზოგვას შორის თანაფარდობა. საზოგადოებაში ინვესტიციების დონის განმსაზღვრელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ფინანსური დაბანდებათა უსაფრთხოება, ინვესტიციებზე ფინანსური მოგების დონე. ეს ფაქტორი ყოველთვის მოქმედებს უსაფრთხოების ფაქტორთან ერთად. რაც უფრო მაღალია დაბანდებაებიდან მოსალოდნელი მოგება, მით უფრო მაღალია ამ ინვესტიციების რისკი, ინვესტიციების დონესა და ინტენსიურობაზე მოქმედი კიდევ ერთი ფაქტორია **ფინანსების ბაზრის** ორგანიზებულობის ხარისხი.

2.3. რას გულისხმობს სისტემური მიდგომა. ამრიგად, ფინანსები, კრედიტი, ფული, ინვესტიციები ეკონომიკური ურთიერთობებითაა ერთობლიობაა, რომელთა შესწავლა სისტემურ მიდგომას საჭიროებს. მათი ერთ სისტემაში მოქცევა, სისტემური მიდგომა მეცნიერული შემეცნებისა და სოციალური პრაქტიკის მეთოდოლოგიის მიმართულებითაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების (ამ შემთხვევაში-ფულის, კრედიტის ინვესტიციების, ფინანსების), — განხილვა სისტემად. მას იმ

ინსტრუმენტარიუმად იყენებენ, რომელიც კვლევას წარმართავს ობიექტების მთლიანობითობის და ურთიერთგანპირობებულობის აღმოჩენისაკენ, მათში მრავალფეროვანი კავშირების გამოვლენისა და ერთიან კომპლექსად მათი თავმოყრისაკენ.

სისტემური მიდგომა თავისი არსით დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების ერთგვარი კონკრეტიზაციაა, რომლის ფარგლებში ფინანსები შეგვიძლია განვიხილოთ იმ საქმიანობის სახეების სერიად, რომელთა დახმარების გარეშეც ვერ გაამართლებდა თავის მიზანს, ამოცანებსა და ფუნქციებს. ისევე, როგორც ინვესტიციები, ინვესტიციის პროცესი არ არსებობს თავისთავად და ყოველთვის მომდევნო დონის რომელიმე სივრცეშია ჩართული. ე.ი. ფინანსები, ინვესტიციები, ფული და კრედიტი უნდა განვიხილოთ **მთლიანობითი მიდგომის ფარგლებში** — თითოეული სისტემა განვიხილოთ სივრცულად სხვა სისტემებთან ურთიერთკავშირში. ეს კი შესაძლებლობას გვიქმნის ამომწურავად ავლნეროთ ფინანსების და ინვესტიციების ადგილი და როლი, როგორც მათი საქმიანობის ცალკე აღებულ სფეროებში, ისე მთლიანი კვლავნარმოების და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაშიც. გენეტიკურ-ისტორიულ-სამართლებრივი კუთხით ფინანსებს კრედიტსა და ინვესტიციებს შორის არსებითი განსხვავებების მიუხედავად, კრედიტი და ინვესტიციები — ფინანსების წარმონაქმნი, მისი მოდიფიკაციებია.

ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრება და ახალი კონსტრუირების შედარებითი სქემა

<p align="center">ფინანსები, არსი, სპეციფიკა, მახასიათებელი ნიშნები, როლი</p>	<p align="center">ინვესტიციები, არსი, სპეციფიკა, მახასიათებელი ნიშნები, როლი</p>
<ul style="list-style-type: none"> ● ფინანსები წმინდა პრაგმატული პოზიციებიდან განიმარტება, როგორც ფულადი ნაკადების, ფინანსური რესურსების და კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობა, მათი ფორმირებისა და გამოყენების პროცესებში; ● ფინანსური მეცნიერების საგანია შეზღუდული ფულადი რესურსების შემოსულობები და განაწილება დროში და განუსაზღვრელობის პირობებში; ● ფინანსები არის ღირებულებითი კატეგორია, არა უბრალოდ ფული, არამედ სახელმწიფოს მიერ წარმოქმნილი და რეგლამენტირებული ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა; ● ფინანსები — ფუნდამენტური, განზოგადოებული, მრავალმნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს, რეგიონების, სამეწარმეო სუბიექტების, იურიდიული და ფიზიკური პირების ფულადი სახსრების შექმნის, განაწილების პროცესებს მათი შემოსავ- 	<ul style="list-style-type: none"> ● ინვესტიციები გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური, ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების გზით. ● ინვესტიციები არის რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების დაბანდებები პროექტებში. მათ განხორციელებას მივყავართ მატერიალურ-ნივთიერი ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი (ფინანსური) სიმდიდრის ან მხოლოდ ამ უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე). ● ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირებისა და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს. ● ინვესტიციები არის სამეწარმეო საქმეში ჩადებული კაპიტალი, რესურსები და

<p>ლების, ხარჯების, დაგროვებისა და ამ პროცესში აღმოცენებულ ურთიერთობებს.</p> <ul style="list-style-type: none">● ფინანსური ხარჯები და შემოსავლები;● განცალკავებულია დროში;● 2) არ შეიძლება მათი წონით გათვალისწინება, არც გადაწყვეტილების მიმღების მიერ და არც ნებისმიერი სხვა პირის მიერ.● ფინანსური თეორია შეისწავლის ფულადი რესურსების განაწილების საკითხებს დროის ფაქტორის გათვალისწინებით; იგი მოიცავს რაოდენობრივ მოდელებსაც, რომელთა საშუალებითაც ხდება ყველა ფინანსური გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტის შეფასება, პრაქტიკაში განხორციელება და შემდგომი გამოყენება.● თვით ფინანსური რესურსების ე.ი. სამენარმეო და სხვაგვარი საქმიანობის ობიექტებში დაბანდებული ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს უკვე მასთან გადაჯაჭვული ინვესტიციების შემდეგი ჯგუფები:● ფულადი სახსრები და ფინანსური ინსტრუმენტები (მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები);● მატერიალური ფასეულობები;● ფულადი შეფასების მქონე ქონებრივი, ინტელექტუალური და სხვა უფლებები.● ფინანსების ქვეშ მოიაზრება სახელმწიფო ქონების მთელი ერთობლიობა, სხვა სიტყვებით, ფართე გაგებით, სახელმწიფო, კორპორატიული, სანარმოების (ფირმების) და საოჯახო მეურნეობის განკარგულებაში არსებული მატერიალური სახსრების ერთობლიობა — მისი შემოსავლები, ხარჯები და ვალები;● ფინანსური ურთიერთობები ხშირ შემთ-	<p>ფასეულობები; ინვესტიციები კაპიტალის დაგროვების შედეგია.</p> <ul style="list-style-type: none">● ინვესტიციებს ორმაგი ბუნება აქვთ. ერთი მხრივ, ისინი საინვესტიციო რესურსებია და ასახავენ მოხმარებისათვის გამოუყენებელი შემოსავლის სიდიდეს; მეორე მხრივ, ინვესტიციები სამენარმეო ან სხვა საქმიანობის ობიექტებში განეული დაბანდებებია (დანახარჯებია), რომლებიც განსაზღვრავენ კაპიტალის ღირებულების მატებაა;● 2) დანახარჯების მიხედვით — ინვესტიცია აღიქმება, როგორც დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავნარმოებაზე, მათ გადიდებასა და სრულყოფაზე;● 3) რესურსების ასპექტით განხილული ინვესტიციები შეიძლება არსებობდეს ფულადი და მატერიალური ფორმით, აგრეთვე ქონებრივი უფლებებისა და სხვა ფასეულობების სახით. ამავე დროს საინვესტიციო რესურსები მიღებული ფორმების მიუხედავად, — ერთიანია თავის ეკონომიკური არსით და წარმოადგენს დაგროვების მიზნით აკუმულირებულ შემოსავალს.● სამართლებრივი კუთხით — ფულადი კაპიტალის კლასიკური განსაზღვრება არსებითად ემთხვევა ეკონომიკურ ლიტერატურაში „ინვესტიციების“ კატეგორიის განსაზღვრას. ინვესტიცია — ეს ნებისმიერი ინსტრუმენტია, რომელშიც შეიძლება მოთავდეს ფული და შენარჩუნდეს ან გაიზარდოს მისი ღირებულება და/ან უზრუნველყოფილი იქნეს შემოსავლის დადებითი სიდიდე.● თავისუფალი ფინანსური საშუალებები — არ არის ინვესტიცია, ვინაიდან ნაღდი ფული შეიძლება „შეჭამოს“ ინფლაციამ და მათ ვერ მოახდინონ შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა. თუ ფულის იგივე რაოდენობის მოვათავსებთ ბანკში შემნახველ ანგარიშზე, მაშინ მას შეიძლება ვუნოდოთ ინვესტიცია, ვინაიდან გარკვეული დროის შემდეგ გარანტირებული შემოსავალი მოაქვს.
--	--

<p>ხვევაში არის კაპიტალის ფულადი ფორმა, მაგრამ მტკიცება იმის შესახებ, რომ ფინანსური ურთიერთობები მხოლოდ ფულადი ფორმით ვლინდება, არ იქნებოდა მართებული. სამეურნეო სუბიექტების, ორგანიზაციების, საოჯახო მეურნეობის ფინანსურ საქმიანობაში ადგილი აქვს ურთიერთობების ნატურალურ ფორმებს (მაგ.: სამეურნეო სუბიექტების ფინანსურ სისტემაში).</p> <ul style="list-style-type: none"> ● სანესდებო კაპიტალის ფორმირება შეიძლება მოხდეს დამფუძნებელთა როგორც ფულადი სახსრების, ასევე ქონების ხარჯზეც. ● ფინანსები არის ისტორიული, მატერიალური და ნორმატიულ-სამართლებრივი კატეგორია. ● ფინანსების წარმოქმნა, უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ბიუჯეტის შექმნას, რომლის რეგულარული შემოსავლის წყარო გადასახადებია, ამასთან, გადასახადების ამოღებას-რეგულაციას სამართლებრივი ნორმები აწესრიგებს მთლიანად საბიუჯეტო ურთიერთობაც რეგულირდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. ამდენად, ფინანსები სამართლებრივი კატეგორიაა და მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს მისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებზე მიბმა; ● ფინანსები ფართო გაგებით, განეკუთვნება სანარმოო ურთიერთობათა სფეროს, ის შეადგენს ეკონომიკის ნაწილს, აუცილებელი სახსრები, ცალკეულ სანარმოთა (ფირმების) ფინანსები, ფინანსური კაპიტალი, დივიდენდები, აქციები, ფულადი ბაზარი და ა.შ. გამოხატავენ სანარმოო ურთიერთობებს, განეკუთვნებიან ეკონომიკას. ● ფინანსური ურთიერთობის პროცესში წარმოებს საერთო სახელმწიფოებრივი ფულადი რესურსების ფონდების 	<ul style="list-style-type: none"> ● ინვესტიციები მხოლოდ ფულადი სახსრების დაბანდება არ არის. კაპიტალის ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულის, ისე სხვა — უძრავი და მოძრავი ქონების, ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის (უპირველეს ყოვლისა — ფასიანი ქაღალდების), არამატერიალური აქტივების და ა.შ. ფორმითაც. ● დროის ფაქტორის მხრივ — ინვესტიციები სახსრების გრძელვადიანი დაბანდებაა, მაგრამ ცალკეული სახის ინვესტიციებს (კაპიტალურ დაბანდებას, აქციებში შესრულებულ ინტეგრაციებს და ა.შ.) გრძელვადიანი ხასიათი აქვთ; მაგრამ ინვესტიციები შეიძლება მოკლევადიანიც იყოს (მაგ. ობლიგაციებში განხორციელებული მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები; ერთ წლამდე მიმოქცევის ვადის მქონე დეპოზიტური სერტიფიკატები); ინვესტიცია განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება რესურსების გარდაქმნა დანახარჯებად, ინვესტორის მიზნის — შემოსავლის (ეფექტის) მიღების გათვალისწინებით; ინვესტირება, ფართო აზრით, ეს არის გამოთხოვება ფულთან დღეს, რათა მეტი თანხა მივიღოთ მომავალში. ინვესტიციები — ფულადი ან სხვა სახსრების ანმყოფი გახარჯვაა — მომავალში სარფის მიღების მიზნით. ● მიკროდონეზე ინვესტიციების ცნების ოთხი ჯგუფი განიხილება: ● გადასახდელებით განახლებული, აქ გადასახდელებით განსაზღვრული ინვესტიციები — ეს არის საზღაურისა და გასაცემლების (ხარჯების) ნაკადი, რომლებიც გასაცემლებით (ხარჯებით) იწყება. ● ქონებით „ინვესტიციების“ ცნების ამოსავალი ჰქონია სანარმოს ბალანსი. აქ ინვესტიციებს განიხილავენ კაპიტალის (უპირატესად ფულადი კაპიტალის) გარდასახვის პროცესად, სანარმოს აქტივ-
---	--

<p>ფორმირება და გამოყენება. აღნიშნულ-იდან გამომდინარე, ფინანსების ერთერთი განსხვავებული ნიშანია ის, რომ მას გააჩნია საფონდო ხასიათი (ფონდი ლათინურად ნიშნავს რაიმე „მარაგს“).</p> <ul style="list-style-type: none">● დაფინანსება, ინვესტიციებისაგან განსხვავებით, არის იმ გასაცემლებით დაწყებული გადახდების (საზღაურის) ნაკადი, რომლებიც ჯერ დანახარჯებად გარდაიხაებიან და შემდეგში შემოსულობებს განაპირობებენ.● იმის გამო, რომ ფინანსური ურთიერთობა შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტზეა მიბმული, ხოლო ფინანსები ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ფულად ურთიერთობას ასახავს, — ფინანსების ერთერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფინანსურ ურთიერთობებში მონაწილეობს ორი ან მეტი არათანაბარუფლებიანი სუბიექტი.● ფინანსებში მნიშვნელოვანია დანაზოგების პრობლემა, რომლის დეფიციტი განპირობებულია საგადასახადო სისტემის სრულყოფით. როცა საგადასახადო დაბეგვრის შემდეგ დარჩენილი რეალური შემოსავლები მცირდება, მოქმედებას იწყებს პირადი დანაზოგების შემცირების მექანიზმი. როცა ინფლაცია გადაეჯაჭვება უზომოდ მაღალ საგადასახადო დაბეგვრას. დიდი ალბათობით, ამ დროს შეიძლება შემცირდეს დივიდენდები, რაც აქციონერებს, თავი შეიკავონ კაპიტალის დაბანდებისაგან.● მოსახლეობისა და იურიდიული პირების დანაზოგები და სახელმწიფო შემოსავლების ნაწილი (რომელიც მოხმარებისთვის არაა გამოყენებული), — საწარმოო მოწყობილობად, შენობა-ნაგებობებად, ტექნოლოგიებად, მასალებად ენერჯიად (ე.ი. ინვესტიციურ საქონლად) გადაიქცევა.	<p>ბის შემადგენლობაში მყოფი ქონების საგნებად, მათ შორის ფასიან ქალაქდებად.</p> <ul style="list-style-type: none">● ინვესტიციების კომბინირებული გაგება ეყრდნობა ინვესტიციების წარმოდგენს უკვე არსებულ სახსრებზე დამატებით დაბანდებებად; ეს არის დაბანდებები, რომლებსაც ახმარენ ბიზნესის გაფართოებას ან მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის გადიდებისათვის პირობების შექმნას.● ინვესტიციების დისპოზიციური გაგების საფუძველია ის დებულება, რომლის შესაბამისადაც ინვესტირების პროცესი გულისხმობს ფინანსური სახსრების შეზოჭვას და ამით საწარმოების მიერ მათი განკარგვის თავისუფლების შეზღუდვას.● ინვესტირების ეფექტიანობას განაპირობებს საწარმოს განკარგულებაში მყოფი ფინანსური რესურსების არსებობა. თავის მხრივ, საწარმოს განკარგულებაში ფინანსური რესურსების მოზიდვა, საინვესტიციო პროექტის პოტენციურ ეფექტიანობაზე დამოკიდებული.● დანაზოგები და ინვესტიციები ურთიერთდაკავშირებული კატეგორიებია. დანაზოგები პოტენციური ინვესტიციებია, ინვესტიციები კი — რეალიზებული დანაზოგები, რაც უფრო სასიკეთოა ეკონომიკური და სოციალური პირობები, მით უფრო მაღალია დაბანდებული ფინანსური სახსრების უსაფრთხოების ხარისხი და მეტი დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. წარმოების გადიდება ზრდის დანაზოგების შესაძლებლობას, რომლებიც პოტენციურ ინვესტიციებად გვევლინება; ინვესტიციებად ქცეული დანაზოგები წარმოების გაფართოებას ინვევენ და ა.შ. ამრიგად, ინვესტიციის პროცესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს წარმოების გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებისა და გამოყენებასთან დაკავშირებით, მის მონაწილეებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებს.
---	---

3. დასკვნა

როგორც ვხედავთ, ფინანსების და მისი მდგენელის — ინვესტიციების როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაარსი პრინციპულად თანხვედბა ერთმანეთს მათ ყველა განხილულ განმარტებაში და ეკონომიკურ შინაარსში ადგილი აქვს.

1. ორივე ეკონომიკური, ისტორიული და ნორმატიულ-სამართლებრივი კატეგორიაა;
2. ემსახურებიან დანაზოგების ფორმირებას და გაფართოებულ კვლავნარმოებას;
3. მათი ტრადიციული განმარტებების მემკვიდრეობითობის კვალდაკვალ ადგილი აქვს ფინანსების ფუნდამენტის გაფართოებას (კრედიტის, ინვესტიციების ჩართვა);
4. ორივე — ფინანსურ და საინვესტიციო სფეროში ხარჯები და შემოსავლები განცალკავებულია დროში;
5. არც ფინანსებში და არც ინვესტიციებში არ შეიძლება მათი წინასწარ გათვალისწინება აბსოლუტურად ზუსტი ოდენობით;
6. ფინანსების და ინვესტიციების სისტემაში აქტუალურია შეზღუდული ფინანსური და ქონებრივი რესურსების მობილიზაციისა და მათი რაციონალურად გამოყენების საკითხები.

4. გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Bodie Z., Merton R. C.**, 2000. Finance. Prentice Hall, a Pearson Education Company. pg.592.
2. **Brigham Eugene F., Ehrhardt Michael C.** 2005. Financial Management. Theory and Practice. South-Western. Thomson Learning. United states.
3. Банковское дело. 2003. Под ред. О. Лаврушина. Учебник. М.: ФИС.
4. **Барковский Н.** 1976. Проблемы кредита и денежного оборота. М.: Финансы.
5. Бизнес. Оксфордский толковый anglo – русский. словарь. 1995. М.: Publisher Прогресс-Академия. Indiana University. Oxford University press.
6. Деньги, кредит, банки. 1998. Под ред. О. Лаврушина. Учебник. М.: “Финансы и статистика.”
7. **Кенис Дж.** 1978. Общая теория занятости процента и денег. М.: Прогресс.
8. Курс экономики. 1997. Под ред. Б. Раизберга. ИНФРА – М. 720с.
9. **Назарова М.** 1995. Финансово - экономический словарь. М.: Финстатинформ.
10. **Песель М.** 1977. финансово-кредитный механизм интенсификации общественного производства. М. : Финансы. с. 244.
11. **Рыбин В.** 1978. Кредит, как экономическая категория. М. Мысль. 252 с.
12. Финансово-кредитный энциклопедический словарь. 2004. Под общей ред. А. Грязновой. М.: Финансы и статистика. 1993.
13. Финансы. 1993. Под ред. В. Родионовой. М.: Финансы и статистика. 400с.
14. **Шенгерь Ю.** 1961. Очерки советского кредита. М.: Госфиниздат. 125с.
15. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2005. ავტორთა კოლექტივი ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით. თბ.: „ინოვაცია.“
16. **ქოქიაური ლ.** 2005. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. 2 ტომად, ტ.2. თსუ გამომცემლობა.
17. **ქოქიაური ლ.** 2012. საბანკო საქმიანობის საფუძვლები, მეორე გამომცემა. თბ.: სტუ.
18. **ქოქიაური ლ.** 2015. ფინანსები (ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი), 2 წიგნად. წიგნი I.

მოგების განაწილების ესტონური მოდელის დანერგვის შესახებ საქართველოში

ლამარა ქოქიაური¹, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის

ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი; **ნიკოლოზ ჩიხლაძე²**, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნინო ქოქიაური, ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი: შრომაში შესწავლილია მოგების განაწილების ესტონური მოდელის არსი; ესტონური კორპორატიული საგადასახადო მოდელის ინოვაციური ხასიათი; მოცემულია ესტონური მოდელის შეფასების ძირითადი შტრიხები. მეცნიერულად გაანალიზებულია მოგების განაწილების ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვის შუქ - ჩრდილები, აღნიშნული რეფორმის გატარების მოლოდინები და ეფექტები; აქვე ახსნილია მისი გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით ხაზია გასმული მცირე და საშუალო ბიზნესზე ესტონური მოდელის დადებითი გავლენის ცალსახა ხასიათი. სტატიაში დეტალურად არის ახსნილი ახალი მოდელის ნიუანსები, რისკები და პრობლემები; განხილულია ესტონური მოდელის ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებზე გავლენის მასტიმულირებელი ხასიათი.

საკვანძო სიტყვები: ესტონური მოდელი, საგადასახადო რეფორმა, მოგება, ბიუჯეტის დეფიციტი, განაწილებული მოგება, უცხოური ინვესტიციები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, მცირე და საშუალო ბიზნესი.

ABOUT INCULCATION OF ESTONIAN MODEL OF PROFIT DISTRIBUTION IN GEORGIA

Lamara Qoqiauri, Doctor of Economics, Professor Leading Scientist- Collaborator of the Institute of Economic Researches; **Nikoloz Chikhladze**, Doctor of Economic Science, Professor A. Tsereteli State University, Professor of Kutaisi University; **Nino Qoqiauri**, Doctoral Student of Qutaisi University

Abstract: In the work it is studied the meaning of Estonian Model of profit distribution; innovative character of corporative tax model; main features of evaluation of Estonian Model. It is scientifically analyzed advantages and disadvantages of inculcation of Estonian Model of profit distribution in Georgia, expectations and effects of developing of the mentioned reform, its influence on the country's economic indicators; it is especially highlighted obvious character of positive influence of Estonian Model on small and medium-sized business. It is explained nuances, risks and problems; it is discussed stimulating character of Estonian Model on local and foreign investments.

Key words: Estonian Model, Tax Reform, Profit, Budget Deficit, Distributed Profit, Foreign Investment, Small and Medium - Sixed Business, Macroeconomic Indicators;

¹ l.qoqiauri@yahoo.com

² nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

1. შესავალი

ესტონეთსა და საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს. ორივე ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში იყო მოქცეული რუსეთის, გერმანიისა თუ ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების მარნუხებში. საერთო წარსული განაპირობებს, ალბათ, იმას, რომ საქართველო არის ესტონეთის თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. საქართველო არის ესტონეთის ორმხრივი განვითარების დახმარების უმსხვილესი მიმღები, რაც, მეტწილად, გულისხმობს ესტონეთის, როგორც ახალჩამოყალიბებული ევროპული დემოკრატიისა და ბიზნესისთვის უნიკალური გარემოს, გამოცდილების გაზიარებას.

უნიკალურობა უდიდესი აქტივია პატარა ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ ნიჭისა და კაპიტალის გლობალურ კონკურენციაში. უცხოელებისთვის საჩუქრად გადაცემული პატარა ღვინის ბოთლები სხვა არაფერია, თუ არა უნიკალურობის ხაზგასმა. ესტონეთს არ აქვს პრეტენზია, რომ ღვინის სამშობლოა, იგი სუფთა და მწვანე ქვეყანაა, ცნობილი სკაიპის ქვეყანა.

შედარებით მწირი რესურსების მქონე ესტონეთი განსაკუთრებულად ინოვაციური და უნიკალური ქვეყანაა. 1992 წელს ესტონეთი იყო ერთადერთი გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს შორის, რომელმაც საკუთარი ვალუტა, კრონი, მიაბა ევროპულ ვალუტას სავალუტო საბჭოს სახელით ცნობილი ხისტი მექანიზმის გამოყენებით. ამით ესტონეთს სურდა ქვეყნის უნიკალური პოზიციისა და შედარებითი მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ჰიპერინფლაციურ პოსტსაბჭოთა გარემოში. ესტონეთმა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი არ თქვა უარი სავალუტო საბჭოზე და არ გააუფასურა კრონი. ფულის გამოშვებისა და გაუფასურების ნაცვლად, მან გამოიჩინა პოლიტიკური სიძლიერე, შეამცირა ხელფასები და მიიღო რესტრუქტურისაციის მტკიცენული ზომები.

საქართველოში დღემდე მოქმედებდა მოგების გადასახადის კლასიკური - ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი (განაკვეთი 15%) გადაიხდებოდა სანარმოს მოგების წარმომობისას.

შემდგომ, თუ დამფუძნებელი რეზიდენტი სანარმოა, მისთვის დივიდენდის გადაცემა არ იბეგრება. მეორე ეტაპზე დაბეგვრა (განაკვეთი 5%) ხდება მხოლოდ დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტისთვის. რეფორმის შედეგად, გადახდის განაკვეთები იგივე დარჩება, პრაქტიკულად არ შეიცვლება დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა მაქსიმალურად გადავადდება მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დრო - ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის მიერ დივიდენდის გატანის მომენტამდე.

უდავოა, რეფორმა მნიშვნელოვან პირდაპირ ეფექტს მოახდენს იმ სანარმოთა საქმიანობაზე, რომლებიც იურიდიული პირის ფორმით არიან რეგისტრირებული. ის თანხები, რომლებიც მოგების გადასახადის სახით მოგების წარმომშობისთანავე გადაიხდებოდა ბიუჯეტში, სანარმოს განკარგულებაში დარჩება მოგების საბოლოო განაწილებამდე ან ქვეყნიდან გატანის მომენტამდე. ამგვარი რეგულაციის შემოღება გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების განაწილების ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვას დიდი მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა წინ. წარმოდგენილ შრომაზე მუშაობის პროცესში მოვიძიეთ და შევისწავლეთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და პოპულარული სტატიები. კერძოდ გავეცანით [ო. ვიეცკაია., 2018. შ. კილასონიას., 2016. [1]; შ. კომლაძე., 2018.[3]; ქოქიაური ლ., 2018. [6]; ი. შენგელია., 2018. [8]; ი. ჭილაძე., 2018. [9]; ნ. ჩიხლაძე., მ ხიდაშელი., 2018. [10]; დ. ზარა., 2017. [14]; და სხვების სამეცნიერო შრომებს.

2. ძირითადი ნაწილი.

2. 1. მოგების განაწილების ესტონური მოდელის დანერგვის წინაპირობები საქართველოში.

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა ეკონომიკის ფისკალური სტიმულირების და განვითარების კუთხით. 2003 წელს, ხელისუფლების ცვლილების ფონზე მოსულმა ეკონომიკურმა გუნდმა შეამცირა საგადასახადო ტვირთი და გადასახადების რაოდენობა 36 გადასახადიდან 6 გადასახადამდე დაიყვანა. ქვეყანამ, აღნიშნული რეფორმების შედეგად, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბერალური საგადასახადო იმიჯი შეიქმნა ინვესტორების თვალში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი რეფორმებისა, საქართველოში საგადასახადო სისტემაში კვლავ, რჩებოდა გადაუჭრელი პრობლემები. 2012 წლის შემდეგ, საგადასახადო ორგანოების მიდგომა, ადმინისტრირების სიმაკაცრე, ხელისუფლების ნებიდან და ევროპის კავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, გაუმჯობესდა. მათ შორის, გაიზარდა საგადასახადო დავის ორგანოთა თავისუფლების დონე, ხოლო ევროპის კავშირი მნიშვნელოვნად დაეხმარა საგადასახადო ორგანოებს, ევროპის კავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში და კომპენტენციის გაუმჯობესებაში, სხვადასხვა სასწავლო პროგრამის საშუალებით (მაგ., „საგადასახადო ორგანოების დამოზილების პროგრამა“).

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მონიშნულ პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში, თუმცა ეკონომიკური ზრდა საქართველოში არც ისეთი სწრაფია, როგორც მარტივიც ბიზნესის დაწყებაა.

2015 წელს მთავრობამ დაანონსა მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში — მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში — „ესტონური მოდელი“). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა — განვითარების ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპში განიხილება და საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებაა, რომ მშპ-ს ზრდის ტემპის დასაჩქარებლად საგადასახადო რეფორმა განეხორციელებინა იყო დროული თუ დაგვიანებული არა.

საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ფრანგ ფილოსოფოს მონტესკიეს აზრით საზოგადოებაში არაფერი საჭიროებს იმდენ ჭკუა-გონებას, რამდენიც აუცილებელია იმ წილის განსასაზღვრავად, რომელსაც ხელისუფლება ართმევს საზოგადოების წევრებს. საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა ესტონური მოდელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ნახალისებას და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა 2017 წელს.

ამ კითხვებზე საპასუხოდ, პირველ რიგში, განვმარტავთ თუ რა შეიცვალა საგადასახადო კოდექსში.

მოგების გადასახადს სტაბილური წილი ეჭირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, და მისი პროცენტული წილი, ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ 11%-ს შეადგენდა (იხ. ცხრ.1).

**შემოსავლები მოგების გადასახადიდან და პროცენტული
წილი წლების მიხედვით**

მოგების გადასახადი (მლნ. ლარი)	82	101	162	210	341	555	592	518	576	832	851	807	829	1025
წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (%)	8	8	8	9	11	13	12	12	12	14	13	12	11	13

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თეორიულად რომ განვიხილოთ, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ზომავს თუ რამდენად იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი მოცემულ ქვეყანაში, თავის მხრივ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც ინარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ მონაკვეთში.

მთლიან შიდა პროდუქტში (Y), ($Y = C + I + G + X_n$) გამოყოფენ ოთხ შემადგენელ ნაწილს: 1. მოხმარება (C); 2. ინვესტიციები (I); 3. სახელმწიფო შესყიდვები (G); 4. წმინდა ექსპორტი (X_n).

საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მენარმეები არ გადაიხადონ მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამენარმეო საქმიანობის მიღმა და არ განევენ სამენარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ე.წ სადღესასწაულო ხარჯებს ნორმაზე მეტად, არ შეამცირებენ ურთიერთდამოკიდებულ (ნათესავები და სხვა ახლო ურთიერთობის მქონე პირები) და ოფშორულ კომპანიებთან საბაზრო გარიგებებით დადგენილ საბაზრო ფასს, არ შეიძენენ უსაბუთოდ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახდისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვ.

რეფორმის შინაარსი გამომდინარეობს ეკონომიკური ზრდის თეორიიდან და იმ კვლევებიდან, რომლებიც ჩატარებულა ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის, ცხადია მთავრობის ზომა, რეფორმის შედეგად სხვა თანაბარ პირობებში მცირდება. ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის, კორელაციის დასადგენად ჩატარებული კვლევების უმრავლესობით, მთავრობის ზომის შემცირება, მთლიან შიდა პროდუქტში სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას.

მმართველობა განვითარებისთვის (4)“ კვლევა. ხელისუფლების მიერ დაანონსებული ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება შეფასებული იქნა USAID — ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მმართველობა განვითარებისთვის, (4). აღნიშნულით, შეფასდა ესტონური მოდელის საგადასახადო რეჟიმის შესაძლო მაკროეკონომიკური შედეგები. ეკონომისტების მიერ შემუშავებულ იქნა „ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის მოდელი,“ (ნეო-კლასიკალ გენერალ ექვილიბრიუმ გრონტჰ მოდელი).

აღნიშნული კვლევის მიხედვით რეფორმას ექნება შნიშვნელოვანი შედეგი, კერძოდ:

- რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი. საფონდო კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23%-ით გაიზრდება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. ეკონომიკური აგენტები იმაზე მეტს ჩადებენ საინვესტიციოდ, ვიდრე აქამდე;
- დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით;

- საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85%-ით 1,5 წელიწადში;
- რეფორმა გაზრდის სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს მაქსიმუმ 3%-ით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 1 %- ით ზრდა და 1,25 %-ით დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა აღმოფხვრის აღნიშნულ დეფიციტს. ახალი საბიუჯეტო წონასწორობის მისაღწევად მთავრობამ უნდა იფიქროს ხარჯების არ გაზრდაზე რეფორმიდან 2 - 3 წლის განმავლობაში;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირედით შემცირდება, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით, გამომდინარე რეფორმის საინვესტიციო ეფექტისა;
- რეფორმის შედეგი, დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.

კვლევის ავტორები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დემოკრატიისა და საკუთრების უფლების დაცვის დონეს, რადგან ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია საპროგნოზო რისკების შეფასებისას. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთზე მეტად ელასტიურია საქართველოს ეკონომიკა ისეთი რეფორმების გატარებაში, როგორცაა შრომითი უფლებები, მონეტარული თავისუფლება, ბიზნესის კეთების სიადვილე და ა.შ. ესტონეთი აღნიშნული მაჩვენებლებით სანამ მოგების გადასახადის რეფორმას გაატარებდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს დღევანდელ მზაობას რეფორმისადმი.

საკანონმდებლო ცვლილებების დეტალები. რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახადელ მოგების გადასახადს.

რეფორმა არ ეხება ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდ.მენარმეებს, ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო კომპანიებს ისეთებს, როგორცაა: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვეო კომპანიები, ლომბრადები. საფინანსო სექტორი 2020 წლიდან გადავა აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმზე.

ახალ მოდელზე, ავტომატურად გადადის ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებები.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება რომელიც სანარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

- ა) დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;
- ბ) ურთიერთდამოკიდებული პირისგან საქონლის ან მომსახურების შექმნა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
- გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოშორები) რეგისტრირებული პირთან საქონლის შექმნა ან რეალიზაცია საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
- დ) სანარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

2. განუული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ხარჯებია:

- ა) დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი;
- ბ) ხარჯი, რომლის განუვის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

- გ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შექმნილი საქონელი/მომსახურება;
- დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე განეული ხარჯი;
- ე) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტი;
- ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით განეული ხარჯი.
- ზ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) რეგისტრირებული პირის, და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა; სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.
- თ) გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებზე და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებზე.
- ი) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;
- კ) არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ლ) არარეზიდენტის და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

3. უსასყიდლოდ საქონლის მინოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი ან კომპანია თუ ზარალზეა მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1%-ზე მეტად განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

გარდა, აღნიშნულისა არსებობს შემთხვევები რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% რჩება.

რეფორმის შედეგად იცვლება დასაბეგრი ოპერაციის საფუძველზე გამოსაანგარიშებელი მოგების გადასახადი შემდეგი წესით:

ზემოთ განხილულია 4 ტიპის დაბეგვრის ობიექტი, ხოლო თუ განსაზღვრია დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში საბაზრო ფასი გაყოფილი 0,85/-ზე (ე.წ. „აგროსვა“) და გამრავლებული 15%-ზე. მაგალითად, კომპანიას აქვს 100 ლარი გართობის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის კომპანიის საქმიანობასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 17,64 ლარს ($(100/0,85)*15\%$).

რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადის ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციებზე. გამომდინარე იქედან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაყვეთ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები, კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა.

შესაძლებელია ჩათვლის გაკეთება უცხოეთში გადახდილ გადასახადზე და - წყაროსთან დაკავებულ ან გადახდილ გადასახადის თანხის. ასევე შესაძლებელია მოგების გადასახადის თანხის შემცირება ჩათვლის გაკეთება შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. შექმნილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა (ფაქტობრივად მიღებული თანხა);
2. გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში;
3. სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმებისას გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა.

პრობლემური საკითხები ახალ საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით

- მოგების გადასახადი რეფორმამდელ პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ რთულ გადასახადს, რომლის ადმინისტრირებისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური სიტუაციური სახელმძღვანელოები (ე.წ. "მანუალები"), რეფორმის ძალაში შესვლასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ცვლილების შეტანა აღნიშნული მიმართულებით;
- ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია რეფორმამ გამოიწვიოს, საგადასახადო ტვირთის გაზრდა გადასახადის გადამხდელთა გარკვეული წრისათვის, მაგალითად ვისაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარჩათ გამოუყენებელი ზარალი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ცვლილება, არ უნდა ზრდიდეს გადამხდელის საგადასახადო ტვირთს, აღნიშნულიდან გამომდინარე იმ გადამხდელისთვის რომლებმაც არ აირჩიეს 100% - იანი ძირითადი საშუალებების გამოქვითვის უფლება ან დაჩქარებული ცვეთის მოდელი, ეკარგებათ აკუმულირებული ამორტიზაცია, რომელიც უმცირებდათ მათ გადასახდელ თანხებს, ან საქმიანობა რომელიც ახალი რეჟიმით დაბეგვრადი გახდა ან შეღავათი აღარ ვრცელდება ასეთ ეკონომიკურ საქმიანობაზე.
- გადასახადის გადამხდელები არ არიან მიჩვეულები მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარირებას, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას, რომ თავი აარიდონ შეცდომებს, შესაბამისად საგადასახადო ჯარიმებს. მეორეს მხრივ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით საბუთების შეგროვება ბიზნესისთვის სირთულეს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ 30 რიცხვში განხორცილებიულ ოპერაციაზე შეიძლება ვერ გქონდეს თვის ბოლომდე შესაბამისი საბუთი აღნიშნული არ უნდა განიხილებოდეს დასაბეგრ ოპერაციად, რასაც დეკლარირების ინტენსივობის შეცვლა ხელს შეუწყობს და იმავდროულად დაუზოგავს დროს ფინანსისტებს დეკლარირებისთვის, თავის მხრივ მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველო არ დაზარალდება, შესაბამისად კანონმდებლებმა უნდა იფიქრონ მოგების საგადასახადო დეკლარირების თვიურიდან კვარტალურ ან ნელინადში ორჯერ დეკლარირებაზე გადასვლაზე, ის შეამცირებს და გაუდვილებს დეკლარირებას და ადმინისტრირებასაც, ამასთან ფისკალურად ის შეიძლება ბიუჯეტისთვის უფრო მომგებიანი იყოს, რადგან საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შიში გადამხდელებს აქვთ, გამომდინარე საგადასახადო რისკების მატებისა.
- რეფორმის შედეგად მიკრო ბიზნესი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელები და მთის კანონის შესაბამისად შექმნილი სანარმოები შედარებით მეორეხარისხოვან ბიზნეს სუბიექტებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, მათთან ბიზნეს გარიგებების დროს მოგებით დასაბეგრი ოპერაცია ჩნდება. ამასთან მცირე ბიზნესის წილი, მთლიან ეკონომიკაში და დასაქმებაში გვაფიქრებინებს, რომ საგადასახადო შეღავათები მცირე ბიზნესის განვითარებას ყველაზე მეტად ჭირ-

დება, კითხვის ნიშანს აჩენს მთის კანონით განსაზღვრული ბიზნეს შეღავათების არსებობა. შესადგენია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთა რეესტრზე ღია წვდომა, რათა ბიზნესისთვის ცნობილი იყოს იმ პირთა სტატუსი ვისთანაც ბიზნესს ურთიერთობის შედეგად გაუზრდის საგადასახადო ვალდებულებებს. რეფორმის შედეგად, ურთერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებები და ოფშორებში არსებული გარიგებების საბაზრო ფასით შეფასების აუცილებლობა აძვირებს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების და საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯებს. ამასთან, სატრანსფერო ფასწარმოქმნების დაკვნების შედეგადა, საქართველოში აუდიტორული კომპანიების მიერ ცოდნატევადი, ინოვაციური და ძვირია. რეფორმის შედეგად გაიზარდა ფინანსურ სტანდარტებზე ცოდნის მოთხოვნა, რაც პრობლემებს შეუქმნის ბიზნესს, გამომდინარე ბიზნეს განათლების არსებული დონისა. ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე ავანსების დღგ-ით დაბეგვრა, რაც ესტონური მოდელის ამოქმედებასთან ერთად შეიცვალა, გადამხდელებს უძვირებს ფულს დროში, მიუხედავად იმისა, რომ ავანსის დადასტურება მომავალში ჩათვლის მიღების უფლებას უტოვებს.

- რეფორმა, როგორც აღინიშნა, სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მთავრობამ გადაწყვიტა საბიუჯეტო დანახარჯები არ შეამციროს და პირიქით აქციზის გადასახადის ზრდით და ვალის აღებით აპირებს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას, სავარაუდოა რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი არ გაიზრდება, გამომდინარე იქედან რომ მთავრობის ზომა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, რაც ესტონურ საგადასახადო რეჟიმს უნდა გამოენჯია არ მცირდება. ამასთან, აქციზის ზრდა მომხარებას (ჩ) ამცირებს რაც მშპ-ს ზრდის ტემპზე უარყოფითად მოქმედებს. შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავრობამ მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა გაატარა, რომელსაც უნდა მოყოლოდა საბიუჯეტო რეფორმა მთავრობის ზომის მშპ-სთან ცვლილების თაობაზე, რაც სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებდა, რადგან საგადასახადო და საბიუჯეტო სფერო ერთი მთლიანის, ფისკალური პოლიტიკის ნაწილებია.

2. 2. ესტონური კორპორატიული საგადასახადო მოდელი

დანახარჯებზე დაფუძნებული ესტონური საგადასახადო მოდელი 21%-იანი განაკვეთით ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ და მარტივ რეჟიმად მსოფლიოში. ეს რეჟიმი მოგების გადასახადის გადახდის პერიოდს გადაავადებს მოგების გამომუშავების მომენტიდან მის განაწილებამდე. შედეგად, გაუნაწილებელი მოგება არ ექვემდებარება დაბეგვრას, მიუხედავად იმისა მოხდა რეინვესტირება თუ თანხა უბრალოდ დარჩა კომპანიაში. (Doing Business in Estonia, Ernst & Young, 2012).

2000 წელს ესტონეთმა კიდევ ერთი თამამი ნაბიჯი გადადგა და ამჯერად კლასიკური კორპორატიული მოგების გადასახადი გააუქმა. ამ რეფორმის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გადასახადის გადახდის მომენტი გადაევადებინა მოგების გამომუშავებიდან მის განაწილებამდე – ან პირდაპირი დივიდენდების სახით, ან არაპირდაპირი, შემოვლითი გზით (საჩუქრები, შემოწირულობები) და სხვ. საგადასახადო განაკვეთი მოგების ნებისმიერი სახით განაწილების დროს არის 21%.

ამ რეფორმის ინოვაციურობა მაინცდამაინც შემოვლითი სარგებლის განაწილების თავიდან აცილებაში არ მდგომარეობდა (მსგავსი ბიზნეს დანახარჯები არ გამოიქვითება არცერთ ნორმალურ საგადასახადო რეჟიმში). ამ რეფორმის მიზანი იყო ბიზნესებისთვის სტიმულის შექმნა, რათა მოგება კომპანიაშივე დაეტოვებინათ ან რეინვესტირებინათ განეხორციელებინათ. რამდენადაც რეინვესტირება მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო, ახალმა საგადასახადო რეჟიმმა საშუალება მისცა კომპანიებს, მყ-

ისიერად გამოექვითათ განხორციელებული კაპიტალური დანახარჯები. ამან და კიდევ იმ ფაქტმა, რომ გაუნაწილებელი მოგება აღარ იბეგრებოდა, დადებითად იმოქმედა კომპანიების ფულად ნაკადებზე და ესტონურ კორპორაციებს საშუალება მისცა, მარტივად გამკლავებოდნენ მძიმე დღეებს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რეინვესტიცია ხელს უწყობს კომპანიის ღირებულების ზრდას, ესტონეთმა შემოიღო 21%-იანი გადასახადი განაკვეთი ქონების ან ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებულ კაპიტალურ სარგებელზე. თუმცა 2011 წლის დასაწყისში გადაწყვიტეს, რომ საგადასახადო კოდექსი კიდევ უფრო გაემარტივებინათ. შესაბამისად, კაპიტალურ სარგებელზე გადასახადი მოიხსნა, თუკი ის სპეციალურ საინვესტიციო ანგარიშზე ჩაირიცხებოდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეგრებოდა, თუ ამ ანგარიშიდან გამოიტანდნენ.

ესტონური მოდელის შეფასება. რადგან ესტონური რეფორმის მიზანი გახდა არა კორპორატიული შემოსავლის (მოცემულ ფისკალურ წელს), არამედ ფიზიკური პირის (დივიდენდები, შემოვლითი განაწილება ან კაპიტალური სარგებელი) დაბეგრვა, ესტონური კორპორაციები გადასახადებს ყოველთვიურად იხდიან, რითაც საგადასახადო შემოსავლების სეზონურობის ციკლის გასწორება ხდება. დამატებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, დანახარჯზე დაფუძნებული საგადასახადო მეთოდის სარგებელი საგადასახადო აღრიცხვის და აუდიტის პროცედურების გამარტივებაა.

რეფორმის გატარებასთან ერთად, 2000 წელს [12] კორპორატიული საგადასახადო შემოსავალი ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდა. 1999 წელთან შედარებით, კორპორატიული საგადასახადო შემოსავალი თითქმის განახევრდა და 1638,8 მილიონიდან (რაც მშპ-ის 2% იყო), 854,5 მილიონ კრონამდე (მშპ-ის 0,92%) შემცირდა. შემდეგ წლებში აღნიშნული მაჩვენებელი უმჯობესდებოდა და 2004 წელს მან სულ რაღაც 2,522 მილიონი კრონა (მშპ-ის 1,78%) შეადგინა.

2000-2004 წლებში ესტონეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) მნიშვნელოვნად გაიზარდა: 1999 წელს 284 მილიონი ევროდან 2000 წელს 424 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 2004 წლისთვის უკვე გასამმაგდა. თუმცა, როგორც ბელაკმა & ლეიბრეხტმა (2009 წ.) აჩვენეს, შეუძლებელია, რომ ეს მკვეთრი გაუმჯობესება მხოლოდ საგადასახადო რეფორმას მივანეროთ. ამ პერიოდში ესტონეთში I-ის შემოდინება ბევრი სხვა მიზეზის ბრალი შეიძლება ყოფილიყო, როგორცაა, მაგალითად, ბაზრის ზომა, სამუშაო ბაზარი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მასო, მერიკული & ვაჰტერის (2011 წ.) კვლევა აჩვენებს, რომ კორპორატიულმა საგადასახადო რეფორმამ ესტონურ კომპანიებში გაზარდა ლიკვიდური აქტივების მოცულობა და შეამცირა ვალით დაფინანსება. კვლევა, ასევე, ადასტურებს დადებით ეფექტებს ინვესტიციებსა და შრომის მწარმოებლურობაზე. ავტორების აზრით, მოვლენების ასეთმა განვითარებამ ხელი შეუწყო ფირმების მდგრადობას, რის გამოც ესტონეთში მომუშავე კომპანიები მარტივად გაუმკლავდნენ 2008 წლის ფინანსურ კრიზისს.

გაკვეთილი საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ესტონური საგადასახადო მოდელი ძალიან პერსპექტიული ჩანს, საქართველოს შემთხვევაში მას გარკვეული რისკებიც ახლავს თან. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკვე აქვს მნიშვნელოვნად ლიბერალიზებული საგადასახადო გარემო, ესტონური სისტემის ეფექტი შეიძლება შედარებით დაბალი იყოს.

პირველ რიგში, ესტონეთისაგან განსხვავებით, საქართველოს ბიუჯეტი უფრო მეტად არის დამოკიდებული მოგების (კორპორატიულ) საგადასახადო შემოსავალზე. ამჟამად 15%-იანი მოგების გადასახადი (დარჩენილი მოგება) ან დივიდენდზე გადახდილი 20% საქართველოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მესამე ადგილზეა (დღგ-ისა და საშემოსავლო გადასახადის შემდეგ) და მთლიანი საგადასახადო შემოსავლების საშუალოდ 12%-ს, ხოლო საბიუჯეტო დანახარჯების 10%-ს შეადგენს.

ცხადია, კორპორატიული გადასახადის გაუქმებამ საქართველოში მოკლევადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლები შეიძლება უფრო მეტად დააზარალოს, ვიდრე ეს 2000 წელს ესტონეთში მოხდა (1999 წელს ესტონეთის ბიუჯეტში კორპორატიული საგადასახადო შემოსავალი მთლიანი საგადასახადო შემოსავლის 6%-ს შეადგენდა). იმისათვის, რომ ამ რისკის მინიმიზაცია მოხდეს, შესაძლებელია ამ რეფორმის განხორციელების წლებზე გადანაწილება. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოსავალი მიმდინარე ფისკალური წლის კრიზისს თავიდან აიცილებს, ასეთი ეტაპობრივი მიდგომა გადაავადებს საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროცედურების გამარტივებით მიღებულ სარგებელს, არადა ამ მოდელის ძირითადი არსიც სწორედ ეს არის. 1%-იანი საგადასახადო მოდელიც კი აიძულებს ბიზნესებსა და შემოსავლების სამსახურს, მიმდინარე საკმაოდ მძიმე საგადასახადო ადმინისტრირების რეჟიმში დარჩენ.

შესაძლო სასურველი მიდგომა იქნება, ესტონური მოდელის დაუყოვნებლივ განხორციელება საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებასა და/ან სხვა გადასახადის დროებით ზრდასთან (მაგ., დღგ) ერთად. გადასახადის დროებით გაზრდის (3 წლით) საშუალებას ეკონომიკური თავისუფლების აქტი იძლევა. დღგ-ის 3 წლით გაზრდამ, შესაძლოა, ნაწილობრივ გადაფაროს მოგების გადასახადის გაუქმებით მიღებული გარღვევა ბიუჯეტში (ეს სტრატეგია შემოთავაზებული იქნა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ).

ასეა თუ ისე, სანამ რეფორმა გატარდება, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ სწორად შეაფასოს საკუთარი მოლოდინები და გააქარწყლოს ნებისმიერი ილუზია, რომელიც ამ რეფორმასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს. ამრიგად:

1. საქართველოს მიმდინარე მოგების საგადასახადო რეჟიმი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ინვესტიციებზე განეული მთლიანი დანახარჯები ჩაითვალოს ფიქსირებულ აქტივებში იმ წელს, როდესაც პირველად დაიწყეს მისი გამოყენება (ეს დებულება განსაკუთრებით სტიმულს აძლევს კაპიტალ ინტენსიურ კომპანიებს, რომელთა აქტივები სწრაფ ცვეთას განიცდიან. სავაჭრო და მომსახურების სექტორის წარმომადგენლებისთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია). ამგვარად, შემოთავაზებული რეფორმა, დამატებით ვერ გააჩენს რეინვესტირების სტიმულს. ამის ნაცვლად, რეფორმა უბიძგებს კომპანიებს, დაიტოვონ მოგება, ე.ი. ნაკლებად იყვენ და მოკიდებული ძვირადღირებულ გარედაფინანსებაზე.
2. იმის გამო, რომ კომპანიებს კაპიტალის გამოსაქვითად აღარ ექნებათ მკაცრად განსაზღვრული საბოლოო ვადა, მათ შეიძლება შეამცირონ საინვესტიციო გადაწყვეტილებების რაოდენობა. ცუდად ჟღერს? სულაც არა. ამ ტიპის „ინვესტიციების“, განხორციელებას კომპანიები ჩქარობენ ფისკალური წლის ბოლოს, რათა მოასწორონ 31 დეკემბრამდე ახალი მანქანისა და იტალიური საოფისე ავეჯის ექსპლუატაციაში ჩაშვება, რაც არც ისე პროდუქტიული გადაწყვეტილებაა. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ბალანსზე ეს გადაწყვეტილებები დადებითად აისახება, მსგავსი ინვესტიციები ოდნავადაც არ აახლოვებს საქართველოს მთავარ მიზანთან, რასაც ეკონომიკის განვითარება ჰქვია. ახალი, ესტონური სისტემის ქვეშ, ბიზნესებს მიეცემათ საშუალება, დაიტოვონ მოგება, მოახდინონ კაპიტალური დანახარჯების რაციონალიზაცია და თავიდან აიცილონ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები.
3. ენთუზიასტი მხარდაჭერების მოსაზრებისგან განსხვავებით, ის ფაქტი, რომ მოგების გაუნაწილებელი მოგება აღარ დაიბეგრება, სულაც არ ნიშნავს, რომ კორპორაციებს არ მოუწევთ საკუთარი ხარჯების აღრიცხვა. სინამდვილეში, საგადასახადო ანგარიშგება და აუდიტი საგულდაგულოდ დააკვირდება დანახარჯებს, რათა არ მოხდეს დივიდენდების განაწილება, მაგალითად, ოფშორული კონსულტაციების ანაზღაურებით და ა.შ.

4. და ბოლოს, არ გვაქვს საფუძველი, გვემინოდეს, რომ შემოთავაზებული რეფორმა ნაახალისებს, რომ კომპანიებმა უფრო მეტი დახარჯონ „კონსულტაციებსა,“ და დაფარულ სარგებელზე, ვიდრე ეს დღეს ხდება. სინამდვილეში, ახალმა კორპორატიული გადასახადის რეფორმამ შეიძლება შემოგვთავაზოს უკეთესი განმარტება, თუ ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი დანახარჯებია ნებადართული და ამით ამოავსოს მიმდინარე საგადასახადო კოდექსში არსებული ნაპრალები.

ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორცაა საქართველო და ესტონეთი, თამამი პოლიტიკური ექსპერიმენტები (მაგ.: ესტონეთის 0%-იანი მოგების გადასახადი ან 2003-2009 წლების პერიოდში განხორციელებული მკვეთრი დერეგულაციები) ყურადღების მიქცევის კარგი საშუალებაა. მათი მკვეთრი და მყისიერი გავლენა ეკონომიკაზე იმის ტოლფასია, რომ კარი გაუღო ინვესტორებს და ხმამაღლა დაუძახო: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ინვესტორები მოვლენ თუ არა და დარჩებიან თუ არა დიდი ხნით, ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორცაა ბაზრის ზომა, შრომის დანახარჯი და ხარისხი, ადგილმდებარეობრივი უპირატესობა, რაც მთავრობის უშუალო კონტროლის ქვეშ არ არის.

2. 3. ესტონური მოდელის დანერგვა საქართველოში

2017 წელი ბიზნეს სუბიექტებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებით დაიწყო, კერძოდ, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის რეფორმა ე.წ. ესტონური მოდელი. მოდელის დანერგვას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების, პოლიტიკოსების, ეკონომისტების, ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან. ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ მოდელის ამოქმედებას მართლაც დადებითი გავლენა ექნება ბიზნესზე და განსაკუთრებით ეს ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს. თუმცა, საინტერესოა გავანალიზოთ რა ხარვეზები აქვს მოდელს და რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული მისი ამუშავება, ასევე, რამდენად მომზადებული შეხვდნენ ამ ცვლილებას ბიზნესის წარმომადგენლები.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) გრანტის ფარგლებში 2015 წლის შემოდგომაზე განახორციელა ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვის რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), რომლის საბოლოო პრეზენტაცია 2015 წლის დეკემბრის თვეში მოხდა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ავტორებმა შეაფასეს ესტონური მოდელის ამოქმედების პოტენციური ეკონომიკური ეფექტები. ამ მიზნით, მათ განიხილეს ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის ნეო-კლასიკური მოდელი. საბაზისო სცენარში, რომელიც სადაგასახადო ცვლილებამდე არსებულ მდომარეობას აღწერს, მოხდა მოდელის კალიბრაცია იმისათვის, რომ საქართველოს რეალურ მდგომარეობასთან მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო. კალიბრაცია გულისხმობს მოდელში არსებული პარამეტრების მნიშვნელობების შერჩევას რეალური მაჩვენებლებიდან გამომდინარე და მის შედარებას მოდელის საპროგნოზო მაჩვენებლებთან. მეორე ეტაპზე საბაზისო სცენარის მოდელში შემოვიდა ახალი საგადასახადო რეგულირება. მოცემული ანალიზი აჩვენებს ერთჯერად ეფექტს, რომელიც დადგება მოდელის დანერგვიდან 1,5 წლის შემდგომ. შეფასების მიხედვით რეფორმას ექნება დადებითი ეფექტი ინვესტიციებზე. სააქციო კაპიტალი გაიზრდება 3,23%-ით, რაც ნიშნავს რომ ეკონომიკური აგენტები განახორციელებენ მეტი ინვესტიციებს. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება დაახლოებით 1,44%-ით. მთლიანი კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85%-ით. რეფორმის შედეგად გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3%-ისა. გარდა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითი გავლენისა, მოდელის დანერგვას თან ახლავს საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის რისკები. საგადასახადო ექსპერ-

ტის ვაჟა ჰეტრიაშვილის მიერ შეფასებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. ეს რისკები ძირითადად დაკავშირებულია ორმაგ დაბეგვრასთან და მოდელის სხვა ხარვეზებთან. ასევე ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოს კანონმდებლობა და მოგების გადასახადის სისტემა ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე განახორციელოს ცვლილებები. შემოთავაზებული მოდელი მხოლოდ ესტონურ გამოცდილებას ეფუძნება და გაამართლებს თუ არა იგი საქართველოში გარკვეული რისკის ქვეშ დგას, რადგან მოდელის დანეგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის შეფასება შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილებით.

მოგების გადასახადის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმა 2000 წელს განხორციელდა და წლების განმავლობაში გაგრძელდა. ჯაან მასოს, ჯაანიკა მერკულისა და პრიიტ ვაჰტერის 2013 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით (მთლიანი მოგების გადასახადიდან განაწილებული მოგების გადასახადზე გადასვლა: არის თუ არა ეფექტები ფირმებზე?), მოხდა ესტონური საგადასახადო სისტემის რეფორმის შეფასება, სადაც გამოყენებულ იქნა 1996-2008 წლების პანელური მონაცემები ფირმების დონეზე, რათა შეესწავლათ მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტები კაპიტალის სტრუქტურაზე, რომელიც განისაზღვრება ფირმის დაფინანსების წყაროებით, ესენია: ვალი და სანესდებო კაპიტალი. მათ ასევე შეაფასეს გავლენა რეფორმის ინვესტიციებზე, ლიკვიდურობასა და წარმოების პროდუქტიულობაზე. იმისათვის, რომ შედარება მომხდარიყო ფირმების მონაცემებთან რეფორმის არ განხორციელების შეთხვევაში, საკონტროლო ჯგუფად ავტორებმა გამოიყენეს ლატვიური და ლიტვიური კომპანიები ესტონეთთან მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მსგავსებიდან გამომდინარე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოგების გადასახადის რეფორმის შემდგომ აქტივების ლიკვიდურობა გაიზარდა განსაკუთრებით მცირე ზომის ფირმებისათვის, ინვესტიციებიდან უკუგება გაიზარდა 17%-ით, მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა (TFP) გაიზარდა 8%-ით და რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში გაიზარდა 8.1%-ით.

როგორც ვხედავთ, ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ფირმების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს და ესტონეთის შემთხვევაში რეფორმის გავლენის მასშტაბები განსხვავებულია. რეფორმის ეფექტი ესტონეთში იყო უფრო მაღალი, ვიდრე ველოდებით საქართველოში, რაც შესაძლოა აიხსნას 2000 წლამდე ესტონეთში არსებული საგადასახადო წნეხით, რომლის შერბილებამ უდიდესი შესაძლებლობები მისცა ესტონურ კომპანიებს მოეხდინათ მოგების რეინვესტირება. გარდა ამისა, რეფორმის გაზრდილი ეფექტი დიდწილად განაპირობა ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვანმა შემცირებამ. ჩვენთან კი საგადასახადო სისტემა უფრო ლიბერალურია დღეს ვიდრე ეს იყო ესტონეთში 2000 წელს, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფორმის სასტარტო პოზიცია ჩვენთან არის უკეთესი, და შესაბამისად, ესტონეთთან შედარებით ნაკლებ ეფექტს მივიღებთ რეფორმის შედეგად.

რეგულირების გავლენის შეფასების კვლევაში შემუშავებული მოდელის მიხედვით მოხდა საკომპენსაციო ქმედებების მასშტაბების გამოთვლა, რაც გულისხმობს რომ აღნიშნული დეფიციტის შევსება შესაძლებელია საშემოსავლო გადასახადის ერთი პროცენტული პუნქტით გაზრდის ან მოხმარების გადასახადის (გადასახადები საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, რომლის გადამხდელი არის მომხმარებელი, მაგალითად, როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი) 1.25 პროცენტული პუნქტით გაზრდის ხარჯზე. მათივე რეკომენდაციით ახალ წონასწორობაში გადასვლის პროცესში მთავრობამ არ უნდა გაზარდოს ადმინისტრაციული ხარჯები მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

2.4. მოგების განაწილების ესტონური მოდელის პრობლემები და რისკები

ვიდრე მოდელის პრობლემებსა და რისკებზე ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ თუ რა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიცავს ესტონური მოდელი. უმთავრესი ცვლილება საგადასახადო კოდექსში არის ის, რომ მოგების გადასახადი უქმდება და შემოდის განაწილებული მოგების გადასახადი. ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. ასევე დაბეგვრას ექვემდებარება განუელი ხარჯი ან გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა და წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება კოდექსით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა ტიპის კომპანიებზე ვრცელდება ესტონური მოდელი. ესტონური მოდელი საქართველოში არ შემოდის ისე, რომ უქმდება წინა მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია ინდ. მენარმეები, ორგანიზაციები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორცაა მიკრომენარმე, მცირემენარმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმედებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები, მაგალითად მიკრომენარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს.

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტის მოსაზრებით ესტონური მოდელის ამოქმედება ცალსახად დადებითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რადგან თუ კომპანია მიიღებს გადანყვეტილებას არ გაანაწილოს მოგება, დაზოგილი თანხა რჩება ბიზნესში.

ამ მოდელის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტს მოგების გადასახადის სახით 500 მლნ ლარი დააკლდება, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან 500 მილიონიან ინვესტიციას ბიზნესში. ამ 500 მილიონიან დეფიციტს როგორ ავსებს სახელმწიფო კიდევ მეორე საკითხია, მაგრამ ყოველშემთხვევაში ბიზნესის განვითარებას ეს მოდელი ნამდვილად შეუნყოფს.

სხვა ეკონომისტების აზრით ესტონური მოდელის დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესზე ცალსახად დადებითად იმოქმედებს, რადგან ამ მოდელის ამოქმედებამდე ასეთი კომპანიები ისედაც ახორციელებდნენ რეინვესტირებას და ფინანსებს კომპანიის განვითარებაში დებდნენ.

ამ კომპანიების ქცევა არ შეიცვლება და ამ თანხას ისევე ჩადებენ რეინვესტირებაში, უბრალოდ დამატებით 15% დარჩებათ, ამიტომაც მგონია, რომ მცირე და საშუალო ფირმებისთვის მოდელს ექნება პოზიტიური გავლენა. რაც შეეხება თავად რეფორმას, ჩემი აზრით ძალიან ცუდად განახორციელეს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ მოზადებულ რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტის, მიხედვით ესტონური მოდელის რეფორმასთან ერთად მთავრობას უნდა განეხორციელებინა მთელი რიგი რეფორმები, რომ მოდელის დანერგვას დადებითი შედეგი მოჰყოლოდა. კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმას აქვს ინვესტიციების ზრდაზე ძლიერმოქმედი ეფექტი, სხვა მოვლენებმა მაგალითად როგორცაა, ინსტიტუციურმა არასტაბილურობამ, რაც გულისხმობს ფორმალური ინსტიტუციების სტაბილურობის რღვევას გამონევეულს სხვადასხვა პოლიტიკური ცვლილებებით, შესაძლოა გადაფაროს რეფორმის დადებითი ეფექტი. გაფრთხილების სახით დოკუმენტში ნახსენებია, რომ თუკი მთავრობა განახორციელებს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს, მნიშვნელოვანია მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში არ გაზარდოს საბიუჯეტო ხარჯები.

ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ის, რომ მთავრობას მაქსიმალურად უნდა შეემცირებინა ბიუროკრატიული ხარჯები, იმაზე მეტად ვიდრე ესტონური მოდელით დააკლდებოდა. ბოლოს მივიღეთ

ის, რომ მთავრობამ აქციზის გადასახადები გაზარდა, ბიუროკრატია მნიშვნელოვნად არ შეამცირა და შესაბამისად რა შედეგიც ჩვენ უნდა მოგვცეს ესტონურმა მოდელმა დღეს იმ შედეგს ველარ გვაძლევს. კვლევის მიხედვით, დაახლოებით 500-600 მლნ ლარი უნდა დარჩენოდა კერძო სექტორს ამ მოდელით, დღეს უკვე 2017 წლის მესამე მოსმენის შედეგად დამტკიცებულ ბიუჯეტში, ბიზნესს რჩება მხოლოდ 300 მლნ ლარი ანუ 2-ჯერ განიცადა ესტონურმა მოდელმა „ინფლაცია“, სწორედ იმ სხვა, არასწორი რეფორმების გამო, რასაც აკეთებენ ამ რეფორმასთან ერთად.

საკონსულტაციო კომპანია (Business & Legal Hub)-ის წარმომადგენლის აზრით ახალი მოდელის დანერგვასთან არის დაკავშირებული გამოწვევები ძირითადად მცირე და საშუალო კომპანიებზე აისახება: ყოველთვიური დეკლარაციის ჩაბარება საკმაოდ შრომატევადი იქნება პატარა კომპანიებისთვის იმიტომ, რომ ერთი დეკლარაციის ნაცვლად მოუწევთ 12 დეკლარაციის წარდგენა. პატარა კომპანიებს გარკვეულწილად ურთულდებათ საქმიანობა, რადგან მოუწევთ ბუღალტრის დაქირავება, რომელსაც უფრო მეტი საქმე დაეკისრება. ისედაც შეზღუდული ხარჯების პირობებში მათ მეტი თანხის გამოყოფა მოუწევთ კვალიფიციური ბუღალტრისთვის (შენგელია ი. 2018).

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საგადასახადო-საბაჟო მიმართულების მენეჯერის მოსაზრებით მოდელი მართლაც იძლევა დადებით შედეგს განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ რაც კომპანიების ფინანსურმა მენეჯერებმა დეტალურად გაარჩიეს მოდელის ნიუანსები, ზოგიერთი გარკვეული რისკის ქვეშ აყენებს ზოგადად მოდელს.

ახალი მოდელით წინასწარ ხდება მაგალითად სესხებისა და ოფშორულ კომპანებთან ურთიერთობის დაბეგვრა. კომპანიებს წინასწარ უძვირდება სესხიც და ოფშორთან ურთიერთობაც, რაც ბიზნესს ცალსახად არ მოსწონს, მაგრამ ამ დაბეგვრით ფულის გათეთრების რისკებია აღმოფხვრილი.

მოდელის დანერგვასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრისას მიხეილ ჭელიძე აღნიშნავს, რომ რადგან ახალი მოდელი თვისებრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი მოდელისგან სანამ ბიზნესის წარმომადგენლები სწორ ნავიგაციას მოახდენენ საჭიროა გარკვეული დრო. „ამისთვის 6 თვე იყო მოცემული, მაგრამ ჩვენ რამდენიმე საჯარო ლექცია ჩავატარეთ და გამოიკვეთა, რომ ცნობადობის ძალიან დაბალი დონეა და აქედან გამომდინარე ჩვენმა ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება ბუღალტრული და აუდიტორული კომპანია „ფინანსური ოფისის“ მხარდაჭერით გავაკეთოთ უფასო საჯარო ლექციები როგორც თბილისში, ისე რეგიონების დიდ ქალაქებში“. (ჭელიძე მ. 2017)

რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტის მიხედვით, მოდელის კალიბრაციამ და მყარი მდგომარეობის (სტეადი სტატი) მნიშვნელობების გამოთვლებმა რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ აჩვენა, რომ სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლები შემცირდება 2.71%-ით ჩაკეტილი ეკონომიკის შემთხვევაში და 2.52%-ით ღია ეკონომიკის შემთხვევაში. უარყოფითი ფისკალური ეფექტის საკომპენსაციოდ ერთი შესაძლებლობა არის ის, რომ გაიზარდოს საშემოსავლო გადასახადი 1 პროცენტული პუნქტით. ამ შემთხვევაში ის უარყოფითი საგადასახადო ეფექტი ახალ ნონასწორობებში რაც მიიღწევა, რეფორმის შემდგომ სრულიად იქნება დაკომპენსირებული. მეორე შესაძლებლობა უარყოფითი ფისკალური ეფექტის გადასაფარად არის დღგ-ს ზრდა ან ზოგადად სამომხმარებლო გადასახადის ზრდა 1.25 %-ული პუნქტით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ცვლილებები დიდად არ დააზარალებს ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლები ამოღებულ იქნა სამწლიან პერიოდში. საგადასახადო სისტემის ცვლილებით გამოწვეული გარღვევა საგადასახადო შემოსავლებში ნაწილობრივ დაფარულ იქნა აქციზის განაკვეთის ზრდით. იმის გათვალისწინებით, რომ მოდელში ახალ ნონასწორობასთან დაახლოება სწრაფად მიმდინარეობს ასევე თუ გავითვალისწინებთ დაშვებას, რომ ახალი ნონასწორობის შემდეგ ეკონომიკა განაგრძობს გრძელვადიან სტაბილურ ზრდას, გადასახადების ცვლილების გარეშე, საგა-

დასახადო შემოსავლები 4 წლიან პერიოდში თავისთავად აღდგება. ამგვარად, როგორც კვლევებიდან ჩანს, აღნიშნული შედეგი დადგება გარკვეული დაშვებების პირობებში, რეალური შედეგი კი თუ ეს დაშვებები არ გამართლდა, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება და ამას დავინახავთ რამდენიმე წლის შემდგომ, როდესაც რეალურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეფასდება მოდელის ეფექტები.

რამდენად მომზადებული შეხვდა ბიზნესი მოგების განაწილების ახალი მოდელის დანერგვას? მეორე და უმნიშვნელოვანისი საკითხია რამდენად მომზადებული შეხვდა ბიზნესი მიმდინარე ცვლილებას. როგორც ვიცით, 2016 წლის დასაწყისისთვის დასრულდა ესტონურ მოდელზე მუშაობა. გაზაფხულზე ცნობილი გახდა რომ კანონი 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდოდა ძალაში. ბიზნესებს ჰქონდათ ექვსთვიანი მოსამზადებელი პერიოდი, რომ გადაყნობილიყვნენ ახალ სისტემაზე და მომზადებული დახვედროდნენ ცვლილებებს. თუმცა, ესტონური მოდელი განსაკუთრებით პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც მისი ამოქმედების თარიღი მოახლოვდა. საინტერესო საკითხია რამდენად მომზადებული შეხვდა მოდელს მცირე და საშუალო ბიზნესი და მთავრობას ჰქონდა თუ არა მჭიდრო კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვიდრე განახორციელებდა საკანონმდებლო ცვლილებებს. ზოგიერთი ეკონომისტის შეფასებით მთავრობას ბიზნესთან კომუნიკაციის პრობლემა ნამდვილად აქვს:

„აქციზის გადასახადების შემოღებამდე მთავრობას რეალურად არ უსაუბრია არც ერთ ავტო იმპორტიორ კომპანიასთან, პოსტ-ფაქტუმ დააყენა ფაქტის წინაშე და უთხრა რომ 1 იანვრიდან ისინი თავიანთ საქმიანობას ძველებურად ვეღარ გააგრძელებდნენ. ვფიქრობ, რომ მთავრობამ არ იცის, რას ნიშნავს ბიზნესთან ურთიერთობა. ნებისმიერი რეფორმა უნდა მოდიოდეს ჯერ ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე. ზოგადად, ის რეფორმები რასაც დღეს ლეზულობენ არის ერთი ადამიანის თავში მოსული ინიციატივები და არა ქვეყნის გამონვევა სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიმართულებით„. (ყიფიანი ი. 2018.)

მთავრობასთან ბიზნესის კომუნიკაციას ესტონური მოდელის ფარგლებში დადებითად აფასებენ ეკონომისტები. მათი აზრით მთავრობა თანამშრომლობს ბიზნესთან და ხარვეზის შემთხვევაში ბიზნესთან კონსულტაციების გზით მუშაობენ მის აღმოფხვრაზე: „მთავრობა გვისმენს, ჯანსაღი კამათი გვაქვს და მზადყოფნას გამოთქვამს ცვლილებებზე. ცალსახად რალაცაზე გვეუბნება არას, თუმცა რაც მისაღებია ერთად ვმუშაობთ გაუმჯობესებაზე. ბოლო დღესაც ჩვენი თხოვნით შეიტანეს ცვლილება. კერძოდ ის, რომ არიან გარკვეული კომპანიები, რომლებიც მოგების გადასახადის ძველ რეჟიმში რჩებიან: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსოები და ა.შ. ეს კომპანიები გარკვეულ შემთხვევაში საერთოდ არ იბეგრებოდნენ და გარკვეულ შემთხვევაში ორმაგად იბეგრებოდნენ და ეს ხარვეზი გაასწორეს დეკემბრის შუა რიცხვებში“. (კომლაძე შ. 2018.)

რეფორმამდელი საგადასახადო კანონმდებლობა კაპიტალური აქტივების ანუ ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დაგროვებას ასტიმულირებდა, რადგან საშუალებას იძლეოდა სრული ამორტიზაციით მთლიანად მომხდარიყო შეძენილი ფიქსირებული აქტივების ღირებულების (უძრავი და მოძრავი ქონება) გამოქვითვა შესყიდვის წელს. მაგალითად თუ კომპანია 2016 წელს შეიძენდა მანქანა-დანადგარებს ამორტიზაციას დაარიცხავდა ამავე წელს და ხარჯებში გაატარებდა, რითიც თავის მხრივ შეიმცირებდა ძველი სისტემის განსაზღვრულ მოგებას და შესაბამისად მოგების გადასახადის ხარჯებს. შედეგად, გადასახადის გადამხდელთა უმეტესობას ჰქონდა შესაძლებლობა გადაევალებინა მოგების გადასახადი 100%-იანი ამორტიზაციის სისტემით. გადასახადის გადამხდელები შეჩვეული არიან ძველ სისტემას, ამიტომ ახალმა მოდელმა, რომელიც ასევე ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას, შესაძლოა გამოიწვიოს განსხვავებები გადასახადის გადამხდელთა განწყვეტილებებში და ახალ სისტემაზე გადასვლას დასჭირდება გარკვეული დრო. მათივე რეკომენ-

დაციით სისტემასთან ადაპტაციას შესაძლოა დასჭირდეს რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე. გარდამავალი პერიოდი საჭირო იქნება იმისათვის, რომ მოხდეს ცვლილებები განსაზღვრებებში, სახელმძღვანელოებსა და საკანონმდებლო აქტებში. უფრო მეტიც, პრობლემების თავიდან ასაცილებლად ინტენსიური ტრენინგების ჩატარება არის აუცილებელი.

შესასწავლია მოდელის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემა ინფორმაციული თვალსაზრისით, ბუღალტრები ან კომპანიების ფინანსური მენეჯერები საჭიროებენ ტრენინგს, რადგან ახლანდელი მოდელი ძველისგან თვისებრივად განსხვავდება: „როცა საქმე ეხება მცირე ბიზნესის კომპანიებს, მათთვის მაღალი კომპეტენციის მქონე ბუღალტრის დაქირავება უფრო ძვირი ჯდება. შესაბამისად, ამ კუთხით ვფიქრობ, რომ რაღაც სიძნელებები ექნებათ, მცირე კომპანიებს. თუმცა, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მიმაჩნია, რომ ახალი მოდელი მცირე და საშუალო ბიზნესზე უფრო პოზიტიურად აისახება“. (შენგელია ვ. 2018.)

სხვაობა ესტონეთთან მიმართებაში არის ის, რომ საქართველოში მოგების გადასახადით განანიჭებული მოგება იბეგრება სულ ბოლოს, ხოლო ესტონეთში თავშივე ხდება დაბეგვრა. მისი ინიციატივით ბოლოს ვისაც გააქვს დივიდენდი უნდა გაუმარტივდეს დეკლარაციის ფორმა. როდესაც სახეზეა ჰოლდინგური კომპანია გარკვეული რისკები იჩენს თავს დეკლარაციის შევსებისას. ამანაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თითქოს მთავრობამ გაამარტივა კანონი, თუმცა ადმინისტრირება ურთულდებათ კომპანიებს. მისივე ინფორმაციით მოდელს სრულყოფილი სახე ჯერ არ აქვს და მთავრობა ამ მიმართულებით ისევ მუშაობს. „ველოდებით თავისთავად ცვლილებებს, რამდენიმე მათგანი ჩვენ გვაქვს შეთავაზებული. ერთი ის, რომ შარშან ვინც მოგების გადასახადი ჩვეულ რეჟიმში გადაიხადა, ანუ მოგება დაბეგრა და აჩვენა ბიუჯეტში გადასახდელი 15%, შარშანდელის ჩათვლით მიღებულ მოგებებს თუ გაანანიჭებს 2017-ში, 2018-ში ან შემდეგ წლებში, დაბეგრის ხელახლა დაბეგვრა უნევს დივიდენდის ნაწილში. მთავრობა გვეთანხმება ამ კუთხით, კანონმდებლობაში ცვლილების შეტანაზეც თანახმანი არიან, მაგრამ იდეალური მოდელი ჯერჯერობით არ ჩანს. არ არის მარტივი სამუშაო რომ ეს ხარვეზი გამოსწორდეს“. (კომლაძე შ. 2018.)

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მიერ მთავრობისთვის ასევე შეთავაზებულ იქნა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს უცხოეთში ბირჟებზე თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების შექმნისას არ მოხდეს დაბეგვრა, რადგან ასეთ შემთხვევაში ბირჟაზე ვაჭრობა კომპანიებს 15%-ით უძვირდებათ. მთავრობამ თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების შექმნა დაბეგვრა 15%-ით, რითიც შეზღუდა კომპანიების მხრიდან თავიანთ კომპანიებშივე წილის ყიდვა-გაყიდვები და ამ საშუალებით ფულის გათეთრება. შოთა კომლაძის აზრით, ეს ცვლილება არ უნდა ეხებოდეს თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების შექმნას, რადგან ბირჟებზე ვაჭრობის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობს და ფულის გათეთრების რისკებიც ანულირებულია.

„ჩვენ ვთავაზობთ, რომ ნებისმიერმა ქართულმა კომპანიამ ნებისმიერი უცხოური კომპანიის თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის ყიდვა შეძლოს და არ გადაიხადოს ამისთვის დამატებით 15%. ასევე ვთავაზობთ, რომ საინვესტიციო და საბროკერო კომპანიებს, საპენსიო ფონდებს გაუთავისუფლოს უცხოეთში სხვა ნებისმიერ არამარტო ბირჟაზე, არამედ სხვა კომპანიაში წილების ყიდვა-გაყიდვა. მათ 15%-ით უძვირდებათ ეს საქმიანობა. ამიტომ შეთავაზება გვაქვს, რომ ასეთი კომპანიები მაინც გაათავისუფლონ ამ ტიპის დაბეგვრიდან“.

ესტონური მოდელის უცხოურ ინვესტიციებზე გავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის 100%-იანი გამოქვითვით მიღებული სარგებლის დაკარგვა, იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში ელოდებიან მოგებაზე გასვლას, იქნება შემზღვეველი, თუმცა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ინვესტორებისთვის მოდ-

ელი ნამდვილად იქნება მასტიმულირებელი. რაც შეეხება კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მისი მოსაზრებით, ადაპტაციის პერიოდი ცალსახად იქნება და ასევე ძნელი სათქმელია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ადმინისტრაციული თვალსაზრისით იქნება თუ არა ახალი მოდელი უფრო მარტივი.

„ჩვენ თხოვნაც გვქონდა ფინანსთა სამინისტროსთან, რომ პირველივე თვეებში ნუ გამოიყენებენ მკაცრ დამოკიდებულებას ბიზნეს სუბიექტების მიმართ იმიტომ, რომ ბევრს თვითონ კანონში არსებული ფორმულის გათავისებაც უჭირს დროიდან ან რესურსიდან გამომდინარე. რამდენიმეთვიან გარდამავალ პერიოდს გადაივლიან და ადვილად აულებენ ალღოს. ადმინისტრირება არამგონია გაიოლდეს წელიწადში ერთხელ დეკლარაციას აბარებდნენ და ახლა თვეში ერთხელ უწევთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე კომპანიებს უფრო ადვილი ოპერაციები აქვთ“ (კომლაძე შ.)

3. დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ყველა თანხმდება, რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია, ვიდრე ეს იქნება საქართველოში, რაც აიხსნება ქვეყნებს შორის საგადასახადო გარემოს განსხვავებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონური მოდელის დანერგვით მიღებული ეფექტები საქართველოში უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული და გარკვეულ დაშვებებს ეფუძნება. როგორც ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები აფასებენ, მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს. იქამდე კი მთვარობამ არ უნდა გაზარდოს მნიშვნელოვნად ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე განხორციელდა. მეორე უმთავრესი საკითხი არის ხარვეზები მოდელში და ბიზნესის მხრიდან მზაობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლოა გაუმარტივდეთ დეკლარაციის შევსების პროცედურები, თუმცა თვისებრივად ახალ მოდელზე გადასვლა მათი მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სანამ კომპანიის ფინანსური მენეჯერები გაერკვევიან ახალ სისტემაში გარკვეული ადაპტაციის პერიოდი არის საჭირო. როგორც ირკვევა, მოდელის დანერგვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მთავრობის სწორი კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება რასაც მთავრობა გეგმავს, რომ განხორციელოს უნდა იყოს თანხვედრაში ბიზნეს სუბიექტების ინტერესებთან და უნდა მიიღებოდეს ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

4. გამოყენებული ლიტერატურა

1. კილასონია შ. 2016. მოგების გადასახადის რეფორმა. მითები და სინამდვილე. <http://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdviლე>
2. კოვზანაძე ი. 2018. რეინვესტირების ზრდა მიუთითებს, რომ მოგების გადასახადის რეფორმა წარმატებულად მუშაობს. georgianpress.ge/com/news/view/31915?lang=1
3. კომლაძე შ. 2018. <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlენა-mcire-da-sashualo-biznesze/>
4. კორპორაციის მოგების დაბეგვრის თანამედროვე ტენდენციები: მოგების პერსპექტივები გატანილ კაპიტალზე. <http://doi.org/10.15407/econindustry2018.02.024>. Эстонская модель налога на прибыль - очередная иллюзия новость. www.econ.ge.03.04.2016

5. მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში: გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე. 2.02.2016. pbo.parliament.ge/ge/rs/rpapers/item/230-02-02-09-26-0/
6. ქოქიაური ლ. 2018. ფინანსები. სახელმძღვანელო. III ტომი. თბ.: „კალმოსანი,,
7. ყიფიანი ი. 2018. <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlana-mcire-da-sashualo-biznesze/>
8. შენგელია ვ. 2018. <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlana-mcire-da-sashualo-biznesze/>
9. ჭილაძე ი. 2018. მოგების გადასახადის ახალი მოდელი საქართველოში და მისი აღრიცხვის თავისებურებები. ეპრინტს.ტსუ.გე 998
10. Chikhladze N., Khidasheli M. 2018. THE PENSION SYSTEM REFORM IN GEORGIA: ACHIEVEMENTS AND CHALLENGES. Globalization and Business. #6, 2018. <http://www.eugb.ge/uploads/content/N6/Mirza-Khidasheli.pdf>
11. Estonia. Corporate - Taxes on corporate income (2018). PwC. Retrieved from <http://taxsummaries.pwc.com/ID/Estonia-Corporate-Taxes-on-corporate-income>
12. Latvia. Corporate - Taxes on corporate income. PwC. 2018. URL: <http://taxsummaries.pwc.com/ID/Latvia-Corporate-Significat-developments> (Дата обращения 05.05.2018)
13. Questions and Answers on the Action Plan for Fair and Efficient Corporate Taxation in the EU. European Commission. Fact Sheet. 2015. URL: http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-15-5175_en.htm (Дата обращения 05.05.2018)
14. Zaha, D., & Betlij, O. (2017). Taxation of Distributed Profit: International Experience. German Advisory Group, The Institute for Economic Research and Polisy Consulting. Analytical note, PB/03/2017. Retrieved from: http://www.ier.com.ua/files/piblications/Policy_papers/German_advisory_group/2017/PB_03_2017_ukr.pdf
15. <http://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlana-ekonomikur-zrdaze>
16. <http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/estonia-inspiring-georgian-reformers-1>
17. <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlana-mcire-da-sashualo-biznesze/>

DIRECTIVE 2014/92/EU AND PROVIDING OF AFFORDABLE FINANCIAL SERVICES IN LATVIA

Nikita Sinkevics, Bc. iur.¹, Mariana Petrova, prof., Dr. Sc. ing.^{2*}

Abstract: Directive 2014/92/EU extends to all Member States of the EU where this Directive was implemented. Non-compliance or partial compliance with the Directive leads to discrimination of EU residents in the domestic market. The conditions of this Directive, as the results of the study in Bulgaria show, are not always fully applied – that is, not all banks provide EU residents with opportunity to open a settlement account without unnecessary bureaucracy or inform on their right to open such an account with all basic functions.

This paper considers the accessibility of the information on the possibility of every EU resident to open one settlement account with all basic functions without undue delay and at an affordable cost, according to Directive 2014/92/EU, in credit institutions (banks) of Latvia.

To achieve the purpose of the study, the analysis of websites of Latvian credit institutions was conducted as to how available the information on the service of opening a settlement account is. The methodology of the analysis was adapted from a similar Bulgarian study conducted in early 2019.

Keywords: Access to payment accounts with basic features, Directive 2014/92/EU, open payment account in EU, open payment account in Latvia.

Аннотация

Директива 2014/92/EU распространяется на все государства ЕС, в которых директива введена, и ее несоблюдение или поверхностное соблюдение порождает дискриминацию граждан ЕС во внутреннем рынке. Условия данной директивы, как показывает результаты исследования в Болгарии, не всегда применяются в полном объеме, т. е. не во всех банках резидент ЕС, во-первых, может получить информацию о праве открыть расчетный счет с основными функциями, во-вторых, соответственно его открыть без лишней бюрократии.

В статье рассматривается, на сколько доступно кредитные учреждения (банки) Латвии предоставляют информацию о возможности резиденту ЕС открыть один расчетный счет с основными функциями без неоправданной задержки и по доступной стоимости, согласно Директиве 2014/92/EU.

Для достижения цели исследования, проведен анализ WEB-сайтов Латвийских кредитных учреждений на предмет доступности информации об услуге открытия расчетного счета с основными функциями. В основе анализа используется адаптированная методология проведенного аналогичного исследования в начале 2019 г. в Болгарии [3, 6].

Ключевые слова: Доступ к платежным счетам с основными функциями, Директива 2014/92/EU, открытие расчетного счета в ЕС, открытие расчетного счета в Латвии.

Введение

Согласно ст. 97.1 Закона о платежных услугах и электронных деньгах (ЗПУЭД) [1], кредитные учреждения (КУ), которые предоставляют связанные услуги с расчетным счетом, обязаны предлагать услугу по открытию основного счета (расчетного счета с основными функциями) резидентам ЕС. Условия

¹ nikita.sinkevics@gmail.com, Riga Stradins University, Faculty of law, Riga, Latvia

² m.petrova@ts.uni-vt.bg, St. Cyril and St. Methodius University of Veliko Tarnovo, Veliko Tarnovo, Bulgaria, Corresponding author

открытия и использования основного расчетного счета (ОРС) регулирует Директива 2014/92/EU [4], которая введена и в Латвии. ЗПУЭД основывается на эту директиву. Согласно упомянутым нормативным актам, в пакет ОРС входят такие основные услуги, как ввод и вывод финансовых средств, перечисления и получение перечислений финансовых средств, осуществление платежей онлайн.

Для того, чтобы резиденты ЕС³, которые находятся в других государствах ЕС могли осуществлять с финансами связанные основные действия, ЗПУЭД и Директива 2014/92/EU обязывает каждое КУ (банк) предоставлять резидентам ЕС возможность без лишних проверок (в упрощенном порядке) и особых финансовых затрат открывать ОРС. Учитывая, что на территории ЕС единый и свободный рынок, у всех резидентов ЕС должна быть возможность на равных условиях открывать расчетные счета. Нельзя потребителя из другого государства ЕС приравнивать к резиденту третьего государства и устанавливать ему такие же условия по открытию расчетного счета (в том числе и по стоимости).

Основная часть.

В основном, надо отметить, что особых ограничений или условий по открытию ОРС в Латвии нет. Согласно п.1 ч.4 ст.97.2 ЗПУЭД [1], резиденту ЕС необходимо предоставить кредитному учреждению подтверждение о том, что у него нет другого открытого расчетного счета в каком-либо другом кредитном учреждении Латвии. Также, надо отметить, что, согласно, п.2 этой же ст., кредитному учреждению необходимо предоставить все другие требуемые кредитным учреждением документы. Конечно, в целях предотвращения легализации преступных средств, КУ обязано знать своего клиента, из-за чего и может потребовать дополнительные документы. Но, здесь надо отметить, что в ч.7 ст.97.2 ЗПУЭД указаны конкретные случаи, когда кредитное учреждение может отказать в открытии ОРС. Например, может отказать, если открыт счет в другом Латвийском кредитном учреждении, потребитель не является резидентом ЕС или открытие счета может создать риск для репутации кредитного учреждения. В связи с этим, например, не предоставление (если требует кредитное учреждение) договора о трудоустройстве, вида на жительство, договора об обучении не может быть причиной отказа открытия ОРС. Кредитное учреждение может указать, что отсутствие данных документов (требуемых) может свидетельствовать о том, что потребитель является ненадежным и, в связи с этим, в дальнейшем может навредить репутации кредитного учреждения, что и будет основанием для отказа открытия основного расчетного счета. Но, все же, необходимо учитывать, что кредитному учреждению необходимо будет еще доказать, что отсутствие требуемых документов, например, отсутствие вида на жительство, может создать риски для репутации кредитного учреждения. В противном случае, не исполняя упомянутые условия, открытие ОРС ничем не отличается от процедуры открытия ОРС для резидентов третьих государств. Резюмируя, в основном для того, чтобы потребителю открыть основной расчетный счет, кредитному учреждению необходимо предоставить подтверждение о том, что в других кредитных учреждениях Латвии нет расчетных счетов, а также документ, удостоверяющий личность (паспорт или ID карту). Решение об открытии основного счета КУ должно принять в течении десяти рабочих дней, без неоправданной задержки. Также, надо отметить, что согласно Директиве 2014/92/EU, услугу по открытию ОРС надо предоставлять бесплатно или по приемлемым тарифам.

Учитывая упомянутое, и мнение экспертов [7, 8, 9, 10, 11] попробовали выяснить, на сколько доступно кредитные учреждения (банки) Латвии предоставляют информацию о возможности гражданам ЕС открыть расчетные счета с основными функциями.

³ В данной работе, под резидентами ЕС понимаются граждане и постоянные жители ЕС.

В период с апреля по май 2019 г. была исследована предоставляемая информация о возможностях открытия ОПС всех четырнадцати КУ в Латвии: 1) "Swedbank" AS; 2) Akciju sabiedrība "Baltic International Bank"; 3) Akciju sabiedrība "LPB Bank"; 4) Akciju sabiedrība "Reģionālā investīciju banka"; 5) Akciju sabiedrība "Rietumu Banka"; 6) AS "Citadele banka"; 7) AS "Meridian Trade Bank"; 8) AS "PNB Banka"; 9) AS "PrivatBank"; 10) AS "SEB banka"; 11) AS Blue Orange Bank; 12) AS Expobank; 13) Rigensis Bank AS; 14) SignetBank AS.

2019 года 16 января в Болгарии было опубликовано исследование анализа WEB-сайтов КУ Болгарии о возможностях открытия ОПС [2]. В исследовании анализа содержания WEB-сайтов КУ Латвии применяется адаптированная методика исследования в Болгарии [2, 3, 6].

Анализ WEB-сайтов КУ проводился по 7 критериям: 1) доступность информации о возможностях открытия основного расчетного счета (ОПС); 2) возможность открытия ОПС; 3) требуемые документы для открытия ОПС; 4) срок рассмотрения открытия ОПС; 5) использование стандартизированной терминологии в информационных материалах; 6) деление тарифов на тарифы резидентам ЕС и резидентам Латвии, на тарифы резидентам Латвии и нерезидентам; 7) умеренность тарифов (стоимость на проверку документов, открытие, обслуживание и закрытие ОПС).

Результаты по конкретным критериям:

1. доступность информации о возможностях открытия ОПС;

В большинстве случаев практически у всех кредитных учреждений есть отдельные разделы о ОПС с конкретной информацией о возможности его открытия. Но, все же, есть и такие КУ, на WEB-сайтах которых, отдельных страниц о возможностях открытия ОПС нет, например на WEB-сайтах «Swedbank» AS, AS «Citadele banka» и AS «SEB banka». В свою очередь, например, на WEB-сайтах Akciju sabiedrība «Baltic International Bank» и Akciju sabiedrība «LPB Bank», страницы ОПС есть, но их нельзя открыть через основные навигационные ссылки WEB-сайтов. Данные страницы можно найти только через поисковую систему, например, Google, только надо отметить, что страница WEB-сайта Akciju sabiedrība «LPB Bank» о ОПС пустая, то есть вообще без содержания.

2. возможность открытия ОПС;

В целом, информация WEB-сайтов свидетельствует о том, что во всех КУ, кроме Signet Bank AS, можно открыть ОПС. На тех WEB-сайтах, на которых нет конкретной информации об этом (отдельных страниц), можно понять, что есть возможность открытия счета из общего контекста содержания сайта. Например, на WEB-сайте AS «Citadele banka» нет отдельной страницы о возможностях открытия ОПС, но на странице тарифов есть информация по стоимости обслуживания ОПС.

3. требуемые документы для открытия ОПС и срок рассмотрения;

Если у WEB-сайта КУ есть отдельная страница о возможностях открытия ОПС, то список требуемых документов либо соответствует ЗПУЭД, либо его вообще нет, например, как на WEB-сайтах AS «PNB Banka» и AS «PrivatBank». На сайте «Swedbank» AS нет прямого указания о возможности открытия ОПС, но из контекста содержания сайта, можно предположить, что при открытии простого расчетного счета, изначально открывается ОПС. Это КУ для открытия расчетного счета требует для резидентов и нерезидентов Латвии разные документы: резиденты должны предоставить только личность удостоверяющий документ, в свою очередь, нерезиденты дополнительно должны предоставить, если есть, вид на жительство, и другие документы по требованию.

4. использование стандартизированной терминологии в информационных материалах: на сайтах КУ используется стандартизированная терминология, общепринятые термины;

5. деление тарифов. На страницах тарифов некоторых сайтов КУ есть деление тарифов на тарифы резидентам и нерезидентам Латвии, а также на тарифы резидентам Латвии и резидентам ЕС. Например, на WEB-сайте AS Blue Orange Bank тарифы для открытия расчетного счета делятся на тарифы резидентам Латвии и резидентам ЕС. Открытие основного счета Латвийскому резиденту – 5.00 EUR, а резиденту ЕС – 10.00 EUR. На сайтах AS «Meridian Trade Bank», AS «PNB Banka» и AS «PrivatBank» имеется деление тарифов – резидентам и не резидентам ЕС. Например, в AS «Meridian Trade Bank» открытие счета Латвийским резидентам – 5.00 EUR, нерезидентам – 200.00 EUR;

6. умеренность тарифов (стоимость на проверку документов, открытие, обслуживание и закрытие OPC): на тех WEB-сайтах КУ, на которых предлагается открыть OPC и конкретно указаны тарифы именно за открытие и обслуживание OPC, в целом, тарифы умерены и доступны потребителям.

Открытие основного счета Латвийскому резиденту – бесплатно, а граждан ЕС – 7.00 EUR. На сайтах AS «Meridian Trade Bank», AS «PNB Banka» и AS «PrivatBank» имеется деление тарифов – резидентам и не резидентам ЕС. Например, в AS «Meridian Trade Bank» открытие счета Латвийским резидентам – 5.00 EUR, нерезидентам – 200.00 EUR.

10 апреля 2019 года на сайте Комиссии финансов и рыночного капитала www.fktk.lv опубликована ссылка на Инструмент по сравнению стоимости услуг расчетных счетов. Согласно ч.2 ст.45 ЗПУЭД, на сайте Комиссии финансов и рыночного капитала ссылка на данный инструмент должна была быть опубликована и ранее. С помощью этого инструмента у потребителя должна быть возможность сравнивать тарифы разных кредитных учреждений.

Сравнив полученные результаты анализа тарифов на WEB-сайтах КУ и данные в инструменте сравнения тарифов, можно сделать вывод, что информация в отдельных позициях отличается. Например, на WEB-сайте Baltic International Bank, AS указано, что стоимость открытия расчетного счета – 30.00 EUR, а в инструменте сравнения – 50.00 EUR. На сайте Meridian Trade Bank, AS указано, что стоимость открытия расчетного счета резидентам – 5.00 EUR, нерезидентам – 200.00 EUR. В связи с этим, учитывая, что резидент ЕС не всегда является резидентом Латвии, резиденту ЕС стоимость открытия счета могла бы составить 200.00EUR, а не 5.00 EUR, как резиденту Латвии. В этом случаи, резидент ЕС приравнивается к резидентам третьих стран, что противоречит Директиве 2014/92/EU. Также эта противоречивая информация может вводить потребителя в заблуждение.

Более подробная информация, полученная в результате анализа WEB-сайтов кредитных учреждений Латвии о возможностях открытия OPC см. в Приложении, Табл.1.

ВЫВОДЫ

В целом условия Директивы 2014/92/EU в Латвии соблюдаются частично, т.к. есть КУ, которые либо не содержат на своих WEB-сайтах конкретную информацию о OPC, либо ее содержат, но не предоставляют ясную информацию о тарифах OPC.

В некоторых КУ есть деление тарифов на тарифы резидентам и нерезидентам Латвии, где тарифы существенно различны. Под категорию, не резиденты Латвии попадают резиденты ЕС. В результате, в общем ЕС рынке резиденты ЕС приравниваются к резидентам третьих стран, что не допустимо.

Недопустимо также деление тарифов на тарифы резидентам Латвии и резидентам ЕС, т.к. в едином свободном рынке стоимость одной и той же услуги должна быть идентична, как для резидента Латвии, так и для резидента ЕС.

На некоторых WEB-сайтах КУ информация о возможностях открытия ОРС доступна, а на некоторых нет, т.е. нет отдельных страниц о предоставлении такой услуги.

На WEB-сайтах КУ, на которых нет отдельных страниц с конкретной информацией о ОРС – страницы описания услуги и страницы тарифов, могут с информационной точки зрения вводить в заблуждения потребителя, например, предоставляемая услуга открытия какого-либо другого счета может быть приравнена услуге открытия ОРС, где отличительны тарифы этих двух услуг.

В целом, на сайтах, где тарифы на открытие и обслуживание основного расчетного счета ясны, тарифы умерены и доступны потребителям.

Предложения

Для того чтобы, потребитель мог легко ориентироваться в информационном пространстве WEB-сайтов КУ и сравнивать условия по открытию и обслуживанию ОРС, необходимо, чтобы на каждом сайте КУ была в услугах размещена отдельная страница о ОРС со всеми условиями, которые были бы основаны на Директиве 2014/92/EU, а также в тарифах была бы размещена отдельная страница тарифов ОРС без деления ее на тарифы резидентам и нерезидентам Латвии.

Инструмент по сравнению стоимости услуг расчетных счетов (<http://konti.ptac.gov.lv/>) рекомендуется обновлять чаще, чем один раз в год, а также соответствующим институциям проверять правильность предоставляемых тарифов в инструменте, т.е. проверять соответствуют ли тарифы в инструменте с тарифами на WEB-сайтах КУ.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Результаты исследования использовались в образовательном процессе при обучении студентов Riga Stradins University, Faculty of law, Riga, Latvia: степень «Магистр» по специальности "Law". Основные положения результатов исследования были апробированы на International scientifically-practical conference "Current Challenges Facing the Legal System", 2019. gada 25. Aprīlis, RĪGA, Rīga Stradiņš University, Faculty of Law.

Проблематика актуальна для всех государств ЕС и авторы исследования запланировали провести аналогично приближенное исследование в других государствах ЕС, в которых введена Директиве 2014/92/EU, для выяснения ситуации доступности информации о возможностях открытия основного расчетного счета. В результате, можно сделать общую оценку ситуации доступности информации и выполнения условий Директивы 2014/92/EU в ЕС. Настоящее исследование является шагом в этом направлении.

BIBLIOGRAPHY

1. Maksājumu pakalpojumu un elektroniskās naudas likums: Latvijas Republikas likums. Latvijas Vēstnesis Nr.43 (4235), 17.03.2010.
2. Евтина банкова сметка за всеки в ЕС? Не и у нас [Electronic resource]. URL: <https://www.segabg.com/node/44493>
3. Платежна сметка за основни операции. [Electronic resource]. URL: <https://aktivnipotrebiteli.bg/%D1%82%D0%B5%D1%81%D1%82/167>
4. Directive 2014/92/EU of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on the comparability of fees related to payment accounts, payment account switching and access to payment accounts with basic features Text with EEA relevance. [Electronic resource]. URL: <http://data.europa.eu/eli/dir/2014/92/oj>
5. Directive 2014/95/EU of the European Parliament and of the Council of 22 October 2014 amending Directi-

- ve 2013/34/EU as regards disclosure of non-financial and diversity information by certain large undertakings and groups Text with EEA relevance. [Electronic resource]. URL: <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2014/95/oj>
6. **Петрова, М.** Электронный менеджмент в публичном секторе Болгарии (на примере областных администраций), 2019, Faber, 330 p. ISBN: 9786190008965 (RU)/ Petrova M. Electronic management in the public sector of Bulgaria (on the example of the regional administrations. 2019, Faber, 330 p. (RU)
 7. **Koval V.** Investment and capitalization of assets in the management of economic development / V. Koval // Eastern European studies: economics, education and law: Proceedings of the International Scientific Conference. Volume I, June 7-8, 2018. Burgas: Publishing House FLAT Ltd-Burgas, 2018, p. 98-100.
 8. **Koval, V. Pukala, R.** Implementation of Regulatory Policy in Economic Activity: Development of the Institute Regulatory Impact Assessment. Economics. Ecology. Socium. 2017, vol. 1, no. 1, pp.24-32.
 9. **Petrova M.M., Filipov F.M.** Information system, servicing the revenue from local fees and taxes - functionality and security, В сборнике: Наука и образование Сборник статей IX Международной научной конференции. Кемеровский государственный университет, г. Белово, 2012, т.1, стр.169-172
 10. **Petrova M.,** The research of e-Government of the Bulgarian Public Sector Organizations. Business Competences: Monograph. Edited by I. Spica. [vol.4]. Riga: Scientific institution Business competence centre, ISBN 978-9934-8143-6-5, Volume 4, 2012. pp.108-121
 11. **Petrova, M., Hristov, Hr.** Proactive publication of information about judicial cases and acts of the court of justice, Administrative and Criminal Justice, Riga, Latvia, 2018, Vol 1, No 82 (2018), pp.91-109, ISSN: 1407-2971, eISSN: 2592-8422

Таблица 1. Доступность информации о возможности резидентам ЕС открывать расчетные счета с основными функциями на WEB-сайтах кредитных учреждений (банков) Латвии

Критерий	Банк	"Swedbank" AS	Akcija sabiedrība "Baltic International Bank"	Akcija sabiedrība "LVB Bank"	Akcija sabiedrība "Reģionālā investīciju banka"	Akcija sabiedrība "Rietumu Banka"	AS "Citadele banka"	AS "MeridianTradeBank"
Доступность информации	Нет	Нет	Есть отдельная страница о основном расчетном счете. Но, эту страницу нельзя открыть через главную навигационную панель. Страницу о основном расчетном счете можно открыть только через поисковые системы, например, "Google", сделав поисковой запрос с ключевыми словами "Baltic International Bank pamatkonts".	Есть отдельная страница о основном расчетном счете, ссылка на нее имеется в разделе "Услуги". [http://www.ribbank.com.lv/pakalpojumi/pamatkonts]	Есть информация о основном расчетном счете на странице "Виды счетов". [https://www.rietumu.lv/accounstypes].	Отдельной страницы о основном расчетном счете нет. Имеется страница тарифов обслуживания основных расчетных счетов. [https://www.citadele.lv/privatpersonam/centradis/pamatkonts-maestro/].	Есть отдельная страница о основном расчетном счете, ссылка на нее имеется в разделе "Комплекты" (раздел "Услуги частным лицам"). [https://www.mtbank.eu/lv_L_V/physical_services/komplekti/pamatkonts/]	
Возможность открытия основного расчетного счета	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.
Требуемые документы	Резиденты Латвии: личность удостоверяющий документ. Нерезиденты Латвии: личность удостоверяющий документ / вид на жительство (если есть) / могут запросить дополнительные документы, например, документ о трудоустройстве и др.	Соответственно закону.	Соответственно закону.	Отдельно не указано.	Соответственно закону.	Отдельно не указано.	Соответственно закону.	Соответственно закону.
Срок рассмотрения	5 рабочих дней.	10 рабочих дней.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Отдельно не указано.
Использование стандартизированной терминологии	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.
Ссылка на страницу тарифов	https://www.swedbank.lv/static/pdf/private/pricelists/fee_information_document_LAT.pdf	https://www.bib.eu/uploads/2017/02/Cenradis-Pamatkonts.pdf	http://www.lpb.lv/bankas-pakalpojumi/konti-un-maksajumi/pamatkonts/iekzemesprivatpersonas/	http://www.ribbank.com.lv/dokumentipakalpojumi/centrazi/pakalpojumi_cenrazi_latvijas_rep	https://www.rietumu.lv/files/documents/latvian/ees_acc_basic_fees.pdf	https://www.citadele.lv/files/pricing/rez_priv_15_05_2019_lv.pdf	https://www.mtbank.eu/lv_L_V/tarifs/ / деление тарифов на тарифы резидентам Латвии и нерезидентам. Нет отдельного тарифного листа для основного	

Таблица 1. Доступность информации о возможности резидентам ЕС открывать расчетные счета с основными функциями на WEB-сайтах кредитных учреждений (банков) Латвии (продолжение)

Критерий	Банк	AS "PNB Banka"	AS "PrivatBank"	AS "SEB banka"	AS Blue Orange Bank	AS Exrobank	RigensisBank AS	SignetBank AS
Доступность информации		Есть отдельная страница о основном расчетном счете. [https://pnbbanka.eu/lv/r-ezidentiem/privatpersona m/kontu/pamatkontis]	Есть отдельная страница о основном расчетном счете. [https://www.privatbank.lv /ikdienas- rakaļrojumi/pamatkontis/]	Отдельной страницы о основном расчетном счете нет. Но, в разделе "Расчетный счет" указано, что расчетный счет по умолчанию — это основная услуга, т.е. основной расчетный счет. [https://www.seb.lv/ikdienas- rakaļrojumi/kontu/norekini- kontis#centradis] ir porādīš, ka "Norēķinu kontis ir pamatrakaļrojums, uzsākot norēķinus ar bankas starpniecību. [...]".	Есть отдельная страница о основном расчетном счете. [https://www.blueo- angebank.com/lv/pa matkontis]	Есть отдельная страница о основном расчетном счете. [http://www.exroba nk.eu/lat/left/privatp ersonam/pamatkontis]	Есть отдельная страница о основном расчетном счете. [http://www.rigen sis.lv/privatpersona m/basic_account.ht ml]	Нет.
Возможность открытия основного расчетного счета		Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Возможно.	Не известно.
Требуемые документы		Отдельно не указано.	Отдельно не указано.	Не известно.	Соответственно закону.	Соответственно закону.	Соответственно закону.	Не известно.
Срок рассмотрения		10 рабочих дней.	Отдельно не указано.	Не известно.	10 рабочих дней.	10 рабочих дней.	Отдельно не указано.	Не известно.
Использование стандартизированной терминологии		Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Используется.	Не ясно.
Ссылка на страницу тарифов		Нет отдельного листа для основного расчетного счета.	Нет отдельного листа для основного расчетного счета.	Нет отдельной страницы тарифов для основного расчетного счета. <ul style="list-style-type: none"> https://www.seb.lv/centradis-privatpersonam/centradis-norekini-kontis https://www.seb.lv/centradis-privatpersonam/centradis-maksajumi https://www.seb.lv/centradis-privatpersonam/centradis-skaidras-naudas-darījumi 	Тарифы клиентам Латвии и ЕС — физическим лицам: https://www.blueo- angebank.com/api/fil e/17234	"Плата за открытие и обслуживание основного счета для Вас облету установлено гласно Тарифам для физических лиц през идентгов" — http://www.exroban k.eu/lat/top/tarifi/fizi skas_personas rezidenti	http://www.rigen sis.lv/pdf/ BAS/CEN FIZ_RE Z_LV.pdf	
Деление тарифов								
Резиденты и нерезиденты Латвии		Есть.	Есть.	Нет.	Нет.	Нет.	Нет.	Нет.
Резиденты и нерезиденты ЕС		Не ясно.	Не ясно.	Нет.	Есть.	Нет.	Нет.	Нет.
Комментарии		2*	3*	Нет.	4*	Нет.	Нет.	Нет.

Умеренность тарифов							
Проверка документов, EUR	Не ясно.	Не ясно.	0.00	0.00	0.00	Не ясно.	
Открытие счета, EUR	Не ясно.	Не ясно.	0.00	Резиденты Латвии – 0.00 Резиденты ЕС – 10.00	20.00	22.00	Не ясно.
Обслуживание счета, EUR	Не ясно.	Не ясно.	0.00	0.00	0.00	1.50 / в месяц	Не ясно.
Закрытие счета, EUR	Не ясно.	Не ясно.	0.00	Резиденты Латвии – 0.00 Резиденты ЕС – 7.00 EUR	10.00	0.00	Не ясно.

Примечания

2* Имется деления на резидентов и международных клиентов. Открытие расчетного счета резидентам – 10.00 EUR. [https://pnbbanka.eu/lv/rezidentiem/privatpersonam/centradis/norekiniu_kontis]

Нерезидентам (международным клиентам) комиссия за рассмотрение документов для открытия счета – 350.00 EUR. [https://pnbbanka.eu/lv/nerezidentiem/uznemumiem/centradis/norekiniu_konti]

Также, актуальный вопрос – резидентами являются тоже резиденты ЕС, или только резиденты Латвии?

3* Тарифы делются на тарифы резидентам Латвии физическим лицам и на тарифы нерезидентам Латвии физическим лицам. Рассмотрение документов для открытия основного расчетного счета резидентам Латвии – 4.27 EUR, не резидентам – 250.00 EUR.

4* Открытие основного счета клиентам Латвии – бесплатно, клиентам ЕС – 10.00 EUR. Закрытие счета клиентам Латвии – бесплатно, клиентам ЕС – 7.00 EUR.

ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები და საქართველოს გამოწვევები

მიხეილ კოტიშაძე¹, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია განვითარებული ქვეყნების ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ამ მიმართულებით საქართველოს გამოწვევები. განხილულია დიდი რაოდენობის ფაქტიური სტატისტიკური მასალა და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ინტელექტუალური საკუთრების შექმნის გარეშე. გაანალიზებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და საქართველოსთვის სამაგალითოდ დასახელებულია სამხრეთ კორეის მიერ გავლილი გზა. მოცემულია ქვეყნის ამ მიმართულებით განვითარების კონცეფცია და აღწერილია შედეგები, რომლებიც დადგება ამ კონცეფციის განხორციელების შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: გამოგონება, ინოვაცია, საგამომგონებლო ცენტრი.

INNOVATIVE TECHNOLOGIES DEVELOPMENT TRENDS AND CHALLENGES OF GEORGIA

Mikheil Kotishadze, Associate Professor
Akaki Tsereteli State University

Abstract. The article discusses contemporary tendencies of development of innovative technologies of high developed countries and the variety of challenges of Georgia in this direction. There are discussed a large number of actual, statistical materials in this work. Depending on those materials, there is an opinion, that it's impossible to develop the economics of any country at high level without the creation of intellectual property. The article contains an analysis of experience of those, high developed countries and defines, that good exemplary country for Georgia is South Korea. There are given the concepts of development and the outcomes of those concepts.

Keywords: Invention, innovation, invention center

შესავალი.

ცნობილია, რომ კაცობრიობამ ეკონომიკური განვითარების რამოდენიმე საფეხური გაიარა და ახლა იგი იმყოფება ახალ სტადიაზე, რომელსაც ცოდნაზე, შემოქმედებაზე დამყარებული ეკონომიკას უწოდებენ. მასში მთავარი ადგილი, სხვა საჭირო კომპონენტებთან ერთად, ინტელექტუალურ საკუთრებას, ანუ გამოგონებაზე დაფუძნებულ პატენტებს და საავტორო უფლებებს უკავია. ეს მიმართულება მთელ მსოფლიოში იმდენად მძლავრი გახდა, რომ ფირმები, რომელთაც ინტელექტუალური საკუთრება გააჩნიათ, იყიდებიან რამოდენიმეჯერ უფრო ძვირად, ვიდრე მათი მატერიალური რესურსების და ბრენდის ღირებულება (მაგ. ახლახან კომპანია სამსუნგმა 3 მილიარდ 200 მილიონ დოლარად იყიდა ერთი პატარა ფირმა, რომელსაც გააჩნდა პატენტი ე.წ. „ჭკვიან რეგულატორებზე“ (International Educational Program ... 2015, Seoul)). უზარმაზარ ჯარიმებს აკისრებენ სასამართლოები პატენტების არასამართლებრივი გამოყენებისთვის (კომპანია ეფლი 2016 წელს 614 მილიონი

¹ mikheilkotishadze@gmail.com , (+995) 595956514

დოლარით დააჯარიმეს მხოლოდ ერთი პატენტის უნებართვოდ გამოყენებისთვის), კომპანია სამსუნგი ყოველ წელს მილიარდობით დოლარს იხდის პატენტების არასამართლებრივად გამოყენებისთვის. ასეთი მაგალითები მიუთითებენ, რომ იდეა, გამოგონება, პატენტი და საერთოდ ინტელექტუალური საკუთრება ახალ ხარისხში ადის და ეკონომიკურად უფრო ძლიერად ითვლება ის ფირმა თუ სახელმწიფო, რომელსაც მეტი პატენტი გააჩნია ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების შესაქმნელად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი ნიუანსი. ამჟამად ბიზნესში დიდი კომპანიებისთვის კონკურენციის განწევა მცირე და საშუალო მენარმის მიერ თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ქართველ მენარმეებს ყველაზე უფრო მომგებიან საერთაშორისო ბაზარზე შეღწევის ძალიან მცირე შანსი აქვთ. სხვა საქმეა თუ მენარმეს ექნება პატენტი გამოგონებაზე და ამ მიმართულებით განავითარებს წარმოებას, რომელსაც ანალოგები არ გააჩნია მსოფლიოში. ასეთ მენარმეებს შესაძლებლობა უჩნდებათ შეაღწიონ მსოფლიო ბაზრის ისეთ სექტორებში, რომლებზეც ადრე ვერც კი იოცნებებდნენ.

ახლოდება ეპოქა, რომელშიც შეუძლებელია პატენტის გარეშე მომავალი გააჩნდეთ ქვეყნებს, კორპორაციებს და ცალკეულ მოქალაქეებსაც კი. „შემოქმედებითი ეკონომიკის სტიმულიაციისთვის ჩადებული ფული ინტელექტუალური საკუთრებაა, ხოლო შემოქმედებით ეკონომიკას ინტ. საკუთრების გარეშე, აზრი არა აქვს“ (ჯ. ჰოკინსი, TED, 2011)

რამოდენიმე პატენტის ღირებულებამ შესაძლოა გადააჭარბოს საქართველოს ბიუჯეტს. ერთი პატენტის ღირებულებაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ფაქტები:

- 2017 კომპანია ეფლი დაჯარიმდა 614 მილიონი დოლარით სხვისი პატენტის უნებართვოდ გამოყენებისთვის.
- კომპანია QUALCO MM -ის მიერ გადახდილი ჯარიმები - 5 მლდ. \$
- გუგლის მიერ მოტოროლასგან ნაყიდი პატენტების ფასი - 14 მლდ. \$
- მაიკროსოფტი იხდის დიდ ჯარიმებს (200 მლნ \$) სხვისი პატენტების უნებართვოდ გამოყენებისთვის (Нарушение патента..., 2009).

გარდა ამისა, გამოიკვეთა კომპანიების კაპიტალში არამატერიალური ნაწილის მკვეთრი უპირატესობა მატერიალურ ნაწილთან შედარებით. არამატერიალური კაპიტალის უდიდეს წილს კი ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს. მაგალითად: კომპანია British Petroleum – 30:70; კომპანია IBM – 17:83; კომპანია Coca-Cola – 4:96 (Гунина Е., 2015).

ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი ბიზნესის ღირებულებათა ორი მესამედი სწორედ არამატერიალურ აქტივებზე მოდის. მაგალითად, 2013 წელს აშშ ეკონომიკის ინტელექტუალური საკუთრების ღირებულება 5 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა და ამის შედეგად, 18 მილიონი ამერიკელი დასაქმდა (საქპატენტის და WIPO-ს ..., 2018). დარგები და ინდუსტრიები, სადაც ინტენსიურად გამოიყენება ინტელექტუალური საკუთრება („IP-intensive industries“) ითვლება 45 მილიონი სამუშაო ადგილის პირდაპირ ან არაპირდაპირ წყაროდ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ადგილების ჯამური მაჩვენებლის 30 პროცენტია. მაგალითად, დარგებმა, სადაც ინტენსიურად გამოიყენება საავტორო უფლებები 5.6 მილიონ სამუშაო ადგილი შექმნეს (2010 წელს - 5.1 მილიონთან შედარებით) (საქპატენტის და WIPO-ს ..., 2018).

ევროპის საპატენტო უწყებისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ ჩატარებულ ერთობლივი კვლევის მიხედვით, 2011-2013 წლებში იმ სფეროებში, სადაც ხდება ინტელექტუალური საკუთრების ინტენსიური გამოყენება, შეიქმნა ევროკავშირის სამუშაო ადგილების 38% (საქპატენტის და WIPO-ს ..., 2018).

ამ ვითარებამ განაპირობა გარკვეული ცვლილებები აშშ-ში ტოპ 10 ყველაზე ანაზღაურებად პროფესიებს შორის და 2018 წელს საუკეთესო სამუშაო შევიდა ინოვაციების მენეჯერი (Innovation Manager Salaries, 2019).

მოყვანილი ცნობები საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: საქართველოს წარმატებისთვის აუცილებელია მოქალაქეთა ინტელექტის განვითარება და გამომგონებელთა სიმრავლე, რათა შეიქმნას ინოვაციური ტექნოლოგიები.


საქართველოში არსებული მდგომარეობა და შედარებითი ანალიზი.

მოვიყვანოთ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიერ 2018 წელში დარეგისტრირებული პატენტების რაოდენობა (ცხრ.1) (Топ-10 стран по ..., 2018).

ცხრილი 1.

	ქვეყანა	პატენტების რაოდენობა
1	ჩინეთი	1.38 მლნ
2	აშშ	606956
3	იაპონია	318479
4	სამხრეთ კორეა	204775
6	ევროკავშირი	166585

საქართველოში 2000-2016 წლების პატენტების სტატისტიკა (ნახ.1) ავიღოთ საქპატენტის მასალებიდან (საქპატენტის წლიური ანგარიშები)



ნახ.1. საქპატენტში 2000-2016 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილი განაცხადები.

როგორც გრაფიკიდან ჩანს საქპატენტში 2016 წელს ადგილობრივი მოსახლეობიდან შევიდა სულ 96 განაცხადი. ყოველ წელს საქპატენტში წინა წელზე ნაკლები განაცხადი შედის და ეს ფაბლაბების ინტენსიურად შექმნის ფონზე. ამჟამად საქართველოში შექმნილია 22-მდე ფაბლაბი, რომელთა გამოყენება შეუძლიათ გამომგონებლებს თავიანთი იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის და თითქოს გამოგონებათა რაოდენობა უნდა იმატებდეს. თუმცა იგი ყოველწლიურად იკლებს.

ლოგიკურია დავასკვნათ, რომ მეტი გამომგონებელი ნიშნავს მეტ გამოგონებას. რატომ არ არის საქართველოში ბევრი გამომგონებელი? იმიტომ, რომ გამომგონებლებად არ იბადებიან, გამომგონებლები ხდებიან. შესაბამისად საჭიროა აღვზარდოთ გამომგონებლები, ანუ განათლების სისტემის მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდებისათვის საგამომგონებლო უნარების მიცემა. სამწუხაროდ

პოსტსაბჭოთა ქვეყნების განათლების სისტემების არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მომავალ სპეციალისტებს არ შეუძლიათ დასვან და გადანყვიტონ პრინციპულად ახალი ამოცანები გამოგონების დონეზე. არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ამას მათ კვალიფიციურად და სისტემურად განათლების არცერთ საფეხურზე არავენ ასწავლის. არადა გამომგონებლობის სწავლა შესაძლებელია ისევე, როგორც მათემატიკის, ბიოლოგიის ან გეოგრაფიის. ახლის შექმნას, გამომგონებას გარკვეული ლოგიკა სჭირდება, აუცილებელია გარკვეული ბიჯების შესრულება, გარკვეული პრინციპების დაცვა და ა.შ. ყოველივე ამის სწავლა კი შესაძლებელია.

არსებობს მეთოდთა, რომლითაც შეიძლება ვისწავლოთ (ვასწავლოთ) გამომგონება. ამ პარადოქსალურ მეცნიერებას „საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორია“ ეწოდება და მისი ავტორია ჰენრიხ ალტშულერი (Официальный фонд Г.С. Альтшуллера) ამ თეორიის თანახმად გამომგონების მეთოდი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. იგი ეყრდნობა კანონზომიერებებს, რომლებიც ეყრდნობა დიდი რაოდენობით საპატენტო მასივების ანალიზს და გააჩნია საკუთარი პრაქტიკული ინსტრუმენტები. თეორიის ფარგლებში გამოვლენილია ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ტექნიკური სისტემის განვითარების გზის პროგნოზირება და სწორი მიმართულების არჩევა პრობლემის გადანყვიტის პროცესში.

სხვადასხვა ქვეყნებში (აშშ, სამხრეთ კორეა, იაპონია, გერმანია, კანადა, შვეიცარია და სხვა) ამ თეორიის სწავლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსმენელებში მკვეთრად იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. ამასთან სემინარებს ესწრებოდნენ არა მარტო ტექნიკოსები (მეცნიერები, ინჟინრები, სტუდენტები), არამედ მასწავლებლებიც, ექიმებიც, ლიტერატორები, ეკონომისტები, მენეჯერები, მარკეტოლოგები და სხვა. თითოეული მათგანი პოულობდა მისთვის საინტერესო მხარეს და აქტიურად წყვეტდა საგამომგონებლო ამოცანებს არა მარტო თავისი სპეციალობით. საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიის კურსი იკითხება მრავალ უნივერსიტეტში (Ю. Бельский, 2013), მაგალითისთვის შესაძლოა მოვიყვანოთ მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომლის დოქტორანტებს ეკითხებათ შესაბამისი კურსი საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიაში (Яковенко С., 2013). ამ კურსის სწავლების 15 წლიანი გამოცდილება აქვს ავტორს, რომელიც პრაქტიკულად იყენებს ამ თეორიას საგამომგონებლო ამოცანების ამოსახსნელად და კომპანიების პრობლემური სიტუაციების გადასაწყვეტად.

აქედან გამომდინარე ქვეყანაში მოქალაქეების შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება საგამომგონებლო უნარების სწავლების გზით უაღრესად აქტუალური ამოცანაა და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

შესაბამისად განათლების სისტემის ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს გადაცეთ საგამომგონებლო ამოცანების (პრობლემების) გადაჭრის უნარები, რისთვისაც საჭიროა ოთხი მიმართულებით ინტენსიური ძალისხმევა:

1. მსოფლიოში (აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა, ევროკავშირი, ჩინეთი, ავსტრალია და სხვა) აპრობირებული შესაბამისი მეთოდით ტრენინგების და საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგების გადამზადება.
2. საქართველოს დაფარვა საგამომგონებლო ცენტრებით (როგორც სამხრეთ კორეაში).
3. სოციალური ჯგუფების გადამზადება (შშპ პირები, სამხედრო ოპერაციებისას დაჭრილი პირები, დიასახლისები, ინდემნარმეები, სტუდენტები, ფერმერები და სხვა).
4. სწავლების მეთოდის დახვეწა.

აღნიშნული ოთხი მიმართულება წარმოშობს ამოცანებს, რომელთა გადანყვიტის გარეშე მიზანი ვერ მიიღწევა:

- უნდა შეიქმნას სპეციალისტებისაგან შემდგარი ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების მუდმივმოქმედი მუშაუნარიანი (მცირერიცხოვანი) საბჭო
- შესწავლილი უნდა იქნეს განვითარებული ქვეყნების (აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა) გამოცდილება ამ მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხრეთ კორეას (200 საგამომგონებლო ცენტრი, 4 სპეციალიზირებული სკოლა, სპეციალური კვლევითი ინსტიტუტი, გამომგონებლობის სწავლება პირველი კლასიდან და სხვა).
- ჩამოყალიბდეს საქართველოში ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია.
- უნდა ჩამოყალიბდეს პირველი საგამომგონებლო ცენტრი, რომელიც პრაქტიკულ კოორდინირებას გაუწევს სამუშაოებს და რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება: მოამზადოს ტრენერები სხვა საგამომგონებლო ცენტრებისთვის.
- ტრენერები შერჩეული უნდა იყვნენ მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით სამხარეო ცენტრებიდან, რათა თითოეულმა მათგანმა დააარსოს საგამომგონებლო ცენტრი შესაბამის რეგიონში და იმუშაოს მთავარი ცენტრის პატრონაჟის ქვეშ.

საგამომგონებლო ცენტრების მთავარი ფუნქციები უნდა იყოს:

- ❖ ახალგაზრდების მომზადება (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი).
- ❖ სოციალური ჯგუფების და მენარმეთა გადამზადება.
- ❖ გამოგონებების მიმართულება (ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა და საქპატენტთან ერთად მათ რეალიზაციაზე ზრუნვა).
- ❖ მეთოდიკის დახვეწა.

საგამომგონებლო ცენტრების დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს: სახელმწიფო (განათლების და ეკონომიკის სამინისტროები, საქპატენტი, ადგილობრივი ხელისუფლება), ბიზნესი, შემონირულობები, გრანტები, გამომუშავებული თანხები.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს კი მოიტანს შემდეგ შედეგებს:

- ✓ მკვეთრად ამაღლება ბენეფიციარების შემოქმედებითი პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლად დასაქმებას და ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნას.
- ✓ ბენეფიციარები სწავლების პროცესში წარმოქმნიან ინოვაციურ იდეებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება პატენტების მიღება და სტარტაპების შექმნა.
- ✓ ახალგაზრდებს განუმტკიცდებათ რწმენა, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი საქმე და ფინანსური შემოსავალი.
- ✓ გაიზრდება გამოგონებებზე დაფუძნებული პატენტების რაოდენობა და ქვეყანაში გაჩნდება სამამულო ინოვაციური ტექნოლოგიები.
- ✓ საქართველოში განვითარდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის პრინციპულად ახალ საფეხურზე გადასვლას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მოქალაქეთა (და შესაბამისად სახელმწიფოს) შემოსავლების განუხრელ ზრდას.

დასკვნები:

1. საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისთვის აუცილებელია სახვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის საგამომგონებლო უნარების სწავლება.
2. საჭიროა საქართველომ გამოიყენოს ე.წ. კორეული მეთოდი ანუ საქართველოს ყველა კუთხეში უნდა შეიქმნეს საგამომგონებლო ცენტრები, სადაც მოხდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სწავლება.

3. განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნას, სიცოცხლისუნარიანი სტარტაპების შექმნას და შესაბამისად უმუშევრობის შემცირებას.

ბიბლიოგრაფია

1. საქპატენტის ოფიციალური გვერდი, წლიური ანგარიშები, <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/>
2. საქპატენტის და მსოფლიო საპატენტო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი ტრენინგის მასალები, 2018, <https://welc.wipo.int/lms/course/index.php?categoryid=218>
3. ჯონ ჰოკინსი, გამოსვლა თ - ზე, 2011, https://www.youtube.com/watch?v=rCqhnIpQ_Xw
4. Innovation Manager Salaries, 2019, https://www.glassdoor.com/Salaries/innovation-manager-salary-SRCH_KO0,18.htm
5. International Educational Program on Idea, Invention, Innovation and Intellectual Property – Seed Project 2015, Seoul
6. Нарушение патента: штрафы Microsoft растут, 2009 <https://pravo.ru/interpravo/news/view/15582/>
7. Официальный фонд Г.С. Альтшуллера, <https://altshuller.ru/>
8. **Гунина Е.Н., Казаков А.А.**, РОЛЬ НЕМАТЕРИАЛЬНЫХ АКТИВОВ В СТОИМОСТИ ПРЕДПРИЯТИЯ, Международный научно-исследовательский журнал, ISSN 2227-6017, страницы: 30-32, Выпуск: №8 (39) Часть 1, 2015, <https://research-journal.org/economical/rol-nematerialnyx-aktivov-v-stoimosti-predpriyatiya/>
9. Топ-10 стран по числу выданных патентов в мире, 2018, <https://www.vestifinance.ru/articles/111752?page=5>
10. **Юрий Бельский, Джеймс Баглин, Дженнифер Харлим**, Преподавание ТРИЗ вуниверситете: Продолжительное исследование, 2013, <https://trizway.com/art/trizschool/447.html>
11. **Яковенко Сергей**, Справка о преподавании ТРИЗ в массачусетском технологическом университете (США), 2013, <https://trizway.com/art/trizschool/>

გენდერული თანასწორობის პრობლემები საქართველოში

ნინო აბესაძე¹, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

ოთარ აბესაძე², ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

ნატალია რობიტაშვილი³, ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის მართვის
აკადემიური დოქტორი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

აბსტრაქტი: გენდერული თანასწორობა თანამედროვე საქართველოსათვის აქტუალურ და ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს., ნაშრომში განხილულია საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენის სხვადასხვა სტრატეგიები მსოფლიოს ქვეყნების მაგალითზე, დადგენილია საქართველოს, როგორც კავკასიაში გენდერული თანასწორობის დაცვის ერთ-ერთ რეფორმატული ქვეყნის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, გამოვლენილი და გაანალიზებულია საქართველოსათვის დამახასიათებელი გენდერული დისბალანსები სხვადასხვა სფეროების მიხედვით, ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის შედეგებზე, გაანალიზებულია საქართველოს მსოფლიო გენდერული ინდექსის მაჩვენებელი დინამიკაში მისი ცალკეული სუბინდექსების მიხედვით, გამოკვეთილია ძირითადი ტენდენციები და გაკეთებულია შედარებითი ანალიზი. ჩატარებულია ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები:

საკვანძო სიტყვები: გენდერი, დისკრიმინაცია, უფლება, დარღვევა, სტატისტიკა

GENDER EQUALITY IS A TOPICAL AND ONE OF THE MOST SERIOUS PROBLEMS FOR MODERN GEORGIA

Nino Abesadze, Associate Professor; **Otar Abesadze**, Assistant Professor;

Natalia Robitashvili, Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Batumi Shota Rustaveli State University

Abstract: The paper deals with the centuries violated equality recovery strategies in various countries around the world the example of determination, as in the Caucasus in promoting gender equality is one of the reforms of the legal basis for regulation, identified and analyzed the characteristic of gender imbalances in other inclusion areas, with emphasis on the work of the World Economic Forum's 2018 report on the results content, Georgia analyzed the gender dynamics of its subindexes for sector index has declined, according to a comparative analysis is made. A statistical analysis of the results of violence against women was conducted. The relevant conclusions are made.

Keywords: gender, discrimination, right, breach, statistics

¹ E mail: nino.abesadze@tsu.ge

² E mail: O.abesadze@gmail.com

³ E mail: robnato@mail.ru

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში, სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, აზრები და მიზნები გააჩნიათ. ბუნებრივია, მაღალ დემოკრატიულ სახელმწიფოში მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს დაცული და გათვალისწინებული, ისინი ერთნაირი უფლებებითა და შესაძლებლობებით უნდა სარგებლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, ისე როგორც ეს აღნიშნულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლში, რომლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.“ (საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მუხლი 2. 2000)

ფაქტია, რომ დღეს საქართველოში ჯერ კიდევ მწვავეა გენდერული თანასწორობის პრობლემა და არცთუ იშვიათად ვხვდებით საზოგადოებაში მის გამოვლინებას ამა თუ იმ ფორმით.

კვლევის შედეგები და დისკუსია

უთანასწორობა და მასზე დამყარებული ურთიერთობები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. გენდერული უთანასწორობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში გამოვლინდა, როდესაც ადამიანი ცეცხლის დანთებას სწავლობდა, სქესის მიხედვით განსხვავებისა და უთაბაბრობის მთავარი საზომი ძირითადად ფიზიკურ შესაძლებლობებს ეფუძნებოდა. ამიტომაც, გარკვეული წლების შემდეგ პატრიარქატულმა წყობამ მამრი ძლიერად, ხოლო მდედრი სუსტ არსებობად ჩამოაყალიბა. აქედან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე ადამიანთა გვარის ნამდვილ სრულფასოვან წარმომადგენლად მამაკაცი ითვლებოდა, ხოლო განსხვავება კაცისა და ქალის სოციალურ როლებს შორის განიხილებოდა მუდმივად და უცვლელად, აქედან გამომდინარე შეიქმნა პირობები ქალის იერარქიული მდგომარეობის ჩამოყალიბებისათვის (ნ.აბესაძე, 2017). მამაკაცზე დამოკიდებულება ყალიბდებოდა ისტორიულად, რამაც განუვითარა ქალს „განსხვავებული ფსიქოლოგიური ქცევები“ და ხასიათი. სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი გამოვლინდება ქცევის თავისებურებებში, ინტერესებში, მოვლენებისა და პროცესების აღქმის რეაქციაში, აზროვნების ხასიათში და სხვ. ყოველივე ამის გამო, ჩაგვრისა და ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობის მსხვერპლნი ხშირად სწორედ ქალები ხდებოდნენ. [ნ.აბესაძე, 2018].

საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან, ნორვეგიაში, დანიასა და შვედეთში პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში ნებაყოფლობით დაანესეს კვოტირების სისტემები ქალებისათვის; უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კვოტირება დამკვიდრდა საფრანგეთში, ესპანეთში, ჰოლანდიასა და ლათინური ამერიკის 11 ქვეყანაში. მნიშვნელობანი ნაბიჯი გენდერული თანასწორობის მიმართულებით გადადგა ნორვეგია, როდესაც 2002 წელს 2008 წლისათვის კომპანიების დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ქალებისათვის 40%-იანი კვოტა დაანესა. ამ ინიციატივას მხარი აუბა საფრანგეთმაც და პარლამენტმა მიიღო კანონი 2016 წლისათვის ფრანგული კომპანიების დირექტორთა საბჭოების შემადგენლობაში ქალთა მინიმუმ 40 პროცენტამდე გაზრდის შესახებ. ანალოგიური აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელეს გერმანიამ და დიდ ბრიტანეთმაც. (გენდერული თანასწორობა საქართველოში..., თბ., 2018 წელი). თუმცა ზოგადი სურათის მისაღებად მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შეფასება, რადგან გენდერული უთანასწორობა ყველაზე მწვავედ აქ ვლინდება. მაგალითად, ირანში

ქალს ღალატისთვის ქვების ჩაქოლვით სჯიან, კაცს შეუძლია ჰყავდეს ოთხი ოფიციალური ცოლი. ამასთან განქორწინების შემდეგ დედას მხოლოდ 7 წლამდე ასაკის ბავშვებთან დარჩენა შეუძლია, 7 წელზე ზევით ბავშვები კი მამასთან რჩებიან. ქალს არ შეუძლია გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი. ქალს მხოლოდ თავსაბურავით შეუძლია სიარული, აკრძალულია ასევე "მაკიაჟის" გაკეთება და ა.შ.


თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში მომნიშვნელოა თეორია, რომლის თანახმადაც ექსტრემიზმისა და ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორი მუსლიმურ ქვეყნებში არა ისლამური მოძღვრებაა, არამედ ქალთა ჩართულობის ნაკლებობა შრომით ბაზარსა და განვითარების მიღების პროცესებში. ამიტომაც არის, რომ დღეს მოკავშირეთა სამხედრო ძალების გენერლები და წამყვანი საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტები ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების ხანგრძლივადიანი გეგმების ფორმირებისას აქტიურად ლობირებენ ქალების განათლებაში და მათ გაძლიერებაში ინვესტიციებს. ქალების მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობაში ამ ქვეყნებში მათ სტაბილურობის წინაპირობად ესახებათ.(ნ.აბესაძე,2017).

კავკასიაში საქართველო გენდერული თანასწორობის დაცვის ერთ-ერთ რეფორმატულ ქვეყანას წარმოადგენს. მან საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გადადგა. ამასთან, აქტიურად ხორციელდება ქმედებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ც საქართველოსგან მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.(გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. თბ., 2018 წელი.)

გაეროს ქალთა ორგანიზაცია პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს კანონმდებლობის ისეთ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანას, როგორებიცაა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), მისი ზოგადი რეკომენდაციები და შემაჯამებელი დაკვირვებები; უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურები. (ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის შეთანხმებული დასკვნები....., <http://georgia.unwomen.org/ka/what-we-do/ending-violence-against-women>).

საქართველო ადამიანის უფლებათა ბევრი საერთაშორისო დოკუმენტის, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) ხელმოწერი მხარეა 1994 წლიდან, რომლის მე-2 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, შესაბამისი პოლიტიკა სისრულეში მოიყვანონ ყველა შესაძლო საშუალებით. ასევე გადადგან კონკრეტული ნაბიჯები დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პრაქტიკისა და წესების ეროვნულ დონეზე აღმოსაფხვრელად.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის თანახმად საქართველო მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით, 149 ქვეყნიდან 99-ე პოზიციაზე იმყოფება, 2006 წელთან შედარებით გლობალური ინდექსის კოეფიციენტი არ შეცვლილა, მაგრამ იმავე პერიოდისათვის ქვეყნის რანგი გაუარესდა, საქარველომ 45 პოზიციით დაიხია უკან, რაც ძირითადად იმ ქვეყნების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია, რომლებმაც სუბინდექსების მიხედვით გაუსწრეს საქართველოს მაჩვენებლებს. [<https://www.weforum.org/reports/the-global-gender-gap-report-2018>] რეიტინგი 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით დგება, თითოეულ ქვეყანას ცალ-ცალკე შეფასება და ინდექსი ენიჭება ქალთა ჯანდაცვის, მათი პოლიტიკური ჩართულობის, ეკონომიკის სფეროში აქტიურობისა და განათლების კუთხით.



ფიგურა/ნახაზი 1. გლობალური გენდერული ინდექსის სუბინდექსების მაჩვენებლები

წყარო: დიაგრამა აგებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის მონაცემების საფუძველზე

დღევანდელი მდგომარეობით რეგიონში საქართველო ბოლო ადგილზეა. უკრაინა 65, ადგილზე, რუსეთი 75 პოზიციაზე იმყოფება, აზერბაიჯანი 97 ხოლო სომხეთი 98 პოზიციაზე იმყოფება. საქართველო გენდერული ინდექსით უსწრებს უნგრეთს (იმყოფება 102 ადგილზე), ჩინეთს (103), იაპონიას (110) და ა.შ.

დასაფიქრებელია ქალთა ძალადობის სტატისტიკა. არსებული ინფორმაციით, მსოფლიოში ყოველი 4 ქალიდან ერთი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, 1,5 მლნ ადამიანი განიცდის სექსუალურ ძალადობას ყოველწლიურად, მსოფლიოში დაახლოებით 520 000 ადამიანი იღუპება ძალადობის მიზეზით. ძალადობის შემოქმედების შედეგებისაგან კი მილიონობით ადამიანი იტანჯება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს 10 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომლითაც გამოკითხულ იქნა 24 000 ქალი, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას განიცდის ქალთა 20% იაპონიაში, 70% ეთიოპიაში, 50%-ზე მეტი ბანგლადეშში, პერუსა და ტანზანიაში. დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ქალების 14–32% აღნიშნავს, რომ მათზე ძალადობა განხორციელდა ორსულობის დროს, ხოლო მაღალი შემოსავლების ქვეყნებში ეს მაჩვენებლები 4–11%-ს შეადგენდა. სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდი გოგონების 19%-დან 48%-მდე მიუთითებდნენ სექსუალური ძალადობის შესახებ (http://www.who.int/reproductivehealth/publications/violence/NMH_VIP_PVL_13_1/en/).

ძალადობის შედეგები ისევე არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს, როგორც მისი გამომწვევი მიზეზები. ქალების მიმართ ძალადობა სიკვდილიანობის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიზეზია; ის აუარესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას და ზრდის ავადობას, აქვს მძიმე შედეგები ფიზიკური, ფსიქიკური, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მხრივ. (ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში.თბ. 2010).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი ბოლო ოთხი წლის მანძილზე თბილისის შემდეგ, აჭარაში ფიქსირდება. სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ეს ციფრები რეალურ სიტუაციას ზუსტად არ ასახავს და ოჯახში ძალადობის შემთხვევა გაცილებით მეტია. საქართველოში 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ქალების 13,6%-ს გამოცდილი აქვს ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობა. გასული წლის თორმეტი თვის განმავლობაში ყველაზე ხშირად ქალები ემოციური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ და ყველაზე ნაკლებად სექსუალურ ძალადობის ქვეშ იმყოფებოდნენ. კვლევის შედეგების მიხედვით ქალების

2%-ს, რაც დაახლოებით 15.6 ათას ქალს შეადგენს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა მინიმუმ ერთი ფეხმძიმობის დროს მაინც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქალების 37%-ს ფეხმძიმობის დროს ჩაარტყეს მუცელში. რესპონდენტთა 64 % განიცდიდა ასეთივე სახის ფიზიკურ ძალადობას და ჩადიოდა მსგავს ქმედებებს იგივე პარტნიორის მხრიდან ფეხმძიმობამდეც. (ნ. აბესაძე 2018, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში. საქსტატი. თბ., 2018)

თუ გავანალიზებთ საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევის რეგიონულ სტატისტიკას, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა გაცილებით ხშირია თბილისის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთისა და შიდა ქართლში მცხოვრებ მოსახლეობაში. შედარებით დაბალია მონაცემები აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში. (ნ. აბესაძე 2018.)

მეტად საინტერესო სტატისტიკა გამოვლინდა ცოლსა და ქმარს შორის დამოკიდებულების შეფასებისას. ქალთა 33% თვლის, რომ ძალადობა ცოლსა და ქმარს შორის მათი პირადი საქმეა და სხვა არ უნდა ჩაერიოს, 12%-ის აზრით ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, რომ ოჯახი შეინარჩუნოს და 14%-ს მიაჩნია, რომ ქალი თუ გაუპატიურების მსხვერპლი გახდა, ე.ი. წინდაუხედავად მოიქცა და ამიტომ მოხვდა ასეთ სიტუაციაში.

საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ განცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე მთელს ევროპაში. თუმცა, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებები საქართველოში შედარებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში.

გენდერული თანასწორობა ცხადია არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ შეიქმნას გენდერულად თანაბარი, სტაბილური გარემო. საერთოდ, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში არსებული ტენდენციები ცხადყოფს, რომ ქალები მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენენ. ისინი თამამად მკვიდრდებიან შრომით ბაზარზე, იმ ფონზე, რომ ისინი წარმტებითაც უძღვებიან ოჯახებს. წვლილი შეაქვთ საკუთარი ოჯახების შემოსავლის გაზრდაში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და მომავლი თაობის აღზრდაში. ჯანსაღი გენდერული კლიმატის შესაქმნელად კიდევ მეტი რეფორმაა საჭირო. ალბათ ყველაზე ფუნდამენტური ცვლილება, რაც უნდა მოხდეს, არის მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა თანასწორობის მიმართ. (<http://intermedia.ge>). ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ადამიანის თვითშეგნების გაზრდას, რაც დაეხმარება გადაჭრას ისეთი მწვავე საკითხები, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა.

დასკვნა

1. საქართველოში ჯერ კიდევ მწვავეა გენდერული თანასწორობის პრობლემა;
2. გაუარესდა გლობალური ინდექსის მიხედვით ქვეყნის რანგი, რის შედეგადაც რეგიონში მანბოლო ადგილზე გადაინაცვლა;
3. გაუარესებულია ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლები;
4. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა გაცილებით ხშირია თბილისის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთისა და შიდა ქართლში მცხოვრებ მოსახლეობაში. შედარებით დაბალია მონაცემები აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში;
5. საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ განცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე მთელს ევროპაში. თუმცა, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებები საქართველოში შედარებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში და ა.შ.

საქართველოში უმუშევრობის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები

ნინო ფარესაშვილი¹, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; **რუსუდან ქინკლაძე**², ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; **ქეთევან ჩიტალაძე**³, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელ პერიოდში და დღესაც უმუშევრობა განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და საგრძნობლად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესს. იგი ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვა კვლევის შედეგები. უმუშევრობის სფეროში არსებულ მძიმე მდგომარეობას განაპირობებს მრავალი ფაქტორი: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და მისი განვითარების დონე, განათლების ხარისხი, ფასების ინფლაცია, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პრობლემები. თავისთავად ეს კი განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირებას, ერთობლივი მიწოდების კლებას, წარმოების დაცემას და სხვას. უმუშევრობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება, თავისთავად იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს. სტატიაში განხილულია საქართველოში უმუშევრობის თანამედროვე ტენდენციები მათ შორის ტერიტორიულ, ასაკობრივ, გენდერულ და ტერიტორიულ ჭრილში, ასევე ქალაქისა და სოფლის მიხედვით. გამოვლენილია მის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები და გამოკვეთილია მოსალოდნელი ტენდენციების სტატისტიკური სურათი.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობის დონე, დასაქმების დონე, თვითდასაქმებულები, ეკონომიკური ზრდის ტემპი, სახელმწიფო პოლიტიკა

THE CURRENT SITUATION OF UNEMPLOYMENT AND ITS IMPROVEMENT OPPORTUNITIES IN GEORGIA

Nino Paresashvili, Doctor of Economics; **Rusudan Kinkladze**, Doctor of Economics;
Ketevan Chitaladze, Doctor of Economics Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Georgian Technical University

Abstract: Throughout the existence of independent Georgia and today as well unemployment is considered as an impulsive socio-economic phenomenon that significantly affects people's lives and significantly impedes the country's economic development process. It is the main source of poverty in the country. This results in statistical data and results of different research. The difficult situation in the unemployment sector is due to many factors: competitiveness of private sector and its level of development, quality of education, price rise / inflation, socio-economic, political and other problems. This leads to a decrease in joint demand, savings and investment demand, decrease of joint supply, production fall and others. Unemployment, which is a heavy burden for the population of

¹ nino.paresashvili@tsu.ge

² rusudan1103@yahoo.com

³ ketevan.chitaladze@tsu.ge

the country, leads to significant economic, psychological and social losses. The article discusses modern trends of unemployment in Georgia, including age, gender and territorial context, as well as city and village. The factors that are acting on its growth have been identified and the statistical picture of the expected trends is revealed.

Keywords: unemployment rate, employment rate, self-employed, economic growth rate, state policy


როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატისტიკურ და სოციალურ გამოკვლევებში ვკითხულობთ, უმუშევრობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს და ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია. უმუშევრობის დეტალური ანალიზი უმუშევრობის პროცესის მუდმივი მონიტორინგის წინაპირობას წარმოადგენს და არსებული სიტუაციების ქმედითუნარიანი ღონისძიებების რეალიზაციის საშუალებას იძლევა [ფარესაშვილი ნ., 2015].

საქართველოში სისტემური ხასიათის რეფორმები სრული ეკონომიკური კოლაფსის პირობებში დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლადფორმირებული ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა, რადგან ის პარტნიორებისა და გასაღების ბაზრების გარეშე დარჩა. იმავდროულად, გაღრმავდა საფინანსო, რესურსული, სოციალური კრიზისები, ერთიმეორის მიყოლებით გამწვავდა ეთნოკონფლიქტები. ასეთ პირობებში ქვეყნის სამუშაო ძალა უფუნქციოდ და უპერ-სპექტივოდ დარჩა. იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ასაკში მყოფ ადამიანებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კვლავწარმოების პროცესსა და ქვეყნის აღმშენებლობაში, ისინი თვითონ აღმოჩნდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორიაში [ქისტაური ლ., დამენია ნ., 2018].

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და განსაკუთრებით კი, მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს უმუშევრობის მაჩვენებელი გამოიყენება. საქართველოში ბოლო დროს განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში საერთო ეროვნულ საკითხებს შორის, მოსახლეობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების არარსებობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. იმავდროულად ვიღებთ სურათს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში განსხვავებული მაჩვენებლებია. რადგან საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არსებობს, უმუშევრობის სტატისტიკას მხოლოდ ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის დანიშნულება აქვს.

უმუშევრობის დროს ფართოდ იკვეთება ეკონომიკური არასტაბილურობის შემდეგი ფაქტორები: ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებს და ეკონომიკურ, ფსიქო-ლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს იწვევს. ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ე.წ. გამოუყენებელი სანარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვღებულობთ. ამ უმწვავესი პრობლემის გადაჭრა, რომელიც ყველა ქვეყნის დღის წესრიგში დგას, შეუძლებელია სტატისტიკური აღრიცხვის გარეშე. წლების განმავლობაში საქართველოში იხვეწებოდა დასაქმებისა და უმუშევრობის სწორი აღრიცხვის მეთოდოლოგია. ამჟამად, საქსტატის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა შინამეურნეობების ინტეგრირებული და სამუშაო ძალის გამოკვლევით ხორციელდება, რაც ყოველკვარტალურად შერჩეული შინამეურნეობების შესწავლას და მიღებული მაჩვენებლების მთლიან მოსახლეობაზე განზოგადებას გულისხმობს. თავის მხრივ, საქსტატის მიერ სტატისტიკის წარმოება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიას ეფუძნება. 2017 წლიდან საქსტატმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა, როგორცაა: მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობის დაზუსტება, რაც 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშებას გულისხ-

მობს; შერჩევის ზომის გაზრდა, რაც ყოველ კვარტალში 3400 შინამეურნეობის გამოკვლევის ნაცვლად უკვე 6000 შინამეურნეობის გამოკვლევას მოიცავს; სამუშაო ძალის გამოკვლევა, რაც სამუშაო ძალის მაჩვენებლების სრულყოფას და ახალი კითხვარის დამატებას მოიცავს; და ბოლოს, შერჩევის დიზაინის დახვეწა, რაც ერთი და იმავე შინამეურნეობის მომდევნო წლის იმავე კვარტალში გამოკვლევას გულისხმობს. საქსტატის მიერ ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგად დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლები შედარებით ზუსტია. 2017 წელს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე 2017 წლამდე არსებულ სტატისტიკაში აისახებოდა (იხ. ნახაზი 1).




წყარო: საქსტატი, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2017.

ნახ. 1. უმუშევრობის დონე საქართველოში 2001-2016 წლებში

როგორც გრაფიკიდან ვხედავთ, 2007-2012 წლები უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, საშუალოდ იგი 17.6%. უმუშევრობის დონე იზრდებოდა 2009 წლამდე. ამ წელს ყველაზე მაღალი ნიშნული - 18.3%-ი იყო, ხოლო 2010 წელს 0.9% პუნქტით, 17.4%-მდე შემცირდა. აღნიშნული წლიდან უმუშევრობის დონე საშუალოდ 0.2%-ი პუნქტით მცირდებოდა, თუმცა, 2014 წელს მყისიერად, 2.3% პუნქტით შემცირდა. 2017 წელს, შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე 13.9%-ს შეადგენს. რაც, რატომ უნდა, ნეგატიურ ტენდენციაზე მიანიშნებს. გარდა ამისა, ძველი და ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის დონეებს შორის განსხვავებამ ჩვენი გაანგარიშებით საშუალოდ 1.97%-ი შეადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ საქსტატის მიერ რიგი ცვლილებები განხორციელდა, წარმოებული სტატისტიკური მონაცემები ქვეყანაში არსებულ უმუშევრობისა და დასაქმების რეალურ მდგომარეობას ნაკლებად ასახავს. კერძოდ, როგორც წესი, მთლიანი მოსახლეობის რაოდენობის კლებასთან ერთად შრომისუნარიანი და ეკონომიკურად აქტიური (სამუშაო ძალა) მოსახლეობის რაოდენობაც შემცირდა. ბოლო წლებში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. 2001 წელს მოსახლეობის რაოდენობა 4 037.5 ათასი, ხოლო 2017 წლის მდგომარეობით 3 729.6 ათასი იყო (შემცირდა 178,9 ათასით). ამავე პერიოდში, როგორც შრომისუნარიანი მოსახლეობა, ისე სამუშაო ძალაც შემცირდა. თუმცა, სამუშაო ძალის შემცირების ტენდენცია უფრო დიდია, ვიდრე შრომისუნარიანი მოსახლეობისა - შესაბამისად, საშუალოდ 1.09% და 0.95%-ით. 2017 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 65.8% შეადგინა. 2016 წელთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 0.5 და 0.4 პროცენტული პუნქტით. 2001-2017 წლებში დასაქმების დონე საშუალოდ 0.46-ით, ხოლო აქ-


ტიურობის დონე 0.07 პროცენტული პუნქტით შემცირდა. რაც შეეხება მოსახლეობის პასიურობის დონეს, იგი საკმაოდ მაღალია და ამ პერიოდში საშუალოდ 35.6% შეადგინა და 2001 წელს 2001 წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (იხ. ნახაზი 2). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვის შემცირების მიუხედავად კვლავ ძალზე მაღალია სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა და სოციალური სფერო არასაკმარისად ვითარდება და გამოუყენებელი შრომითი რეზერვი საკმაოდ დიდია.



წყარო: საქსტატი

ნახ. 2. მოსახლეობის დასაქმების, აქტიურობისა და პასიურობის დონე საქართველოში 2001-2017 წწ.

მნიშვნელოვნად განსხვავდება უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფლად. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ანალოგიურად, აქტიურობის დონე წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 0.8 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი (იხ. ნახაზი 3).




წყარო: საქსტატი

ნახ.3 უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ტიპში 2006-2018 წწ. (შმო-ს კრიტერიუმით)

მოსახლეობის კლების მიზეზები შეიძლება მიგრაციას, ხოლო სამუშაო ძალის წილის შემცირება შრომისუნარიან მოსახლეობაში ე.წ. „უიმედო მუშახელის“ (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

სამუშაოს უშედეგო ძებნით გამოწვეული სამუშაო ძალის მიღმა მყოფი შრომისუნარიანი მოსახლეობა) არსებობას უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელი პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგეს და ის გარემოება, რომ საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკითხვის დროს, გასული 4 კვირის მანძილზე არ ეძებდნენ სამუშაოს, არ ნიშნავს იმას, რომ დასაქმების მსურველები არ არიან, ე. ი. ადამიანები, რომლებიც მუშაობისთვის მზად არიან, სტატისტიკის წარმოებისთვის არსებული მეთოდოლოგიის გამო დასაქმების მსურველებად (სამუშაო ძალა) არ ითვლებიან.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებსა და საქსტატის მონაცემებს შორის განსხვავების მეორე მიზეზი არასრული დასაქმება შეიძლება იყოს. არასრული დასაქმება გულისხმობს შემთხვევას, როცა საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკვლევისას პირი შეიძლება გასული ერთი კვირა მინიმუმ ერთი საათით მუშაობდა და შემოსავალიც მიიღო, თუმცა ეს მუდმივი და საკმარისი არ არის. შრომის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიით ასეთი პირი დასაქმებულად ითვლება. ზოგადად, ისინი სეზონურადაა დასაქმებულები. გარდა ამისა, ტრადიციულად, დასაქმებულთა უმრავლესობას თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, თუმცა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მცირედით, მაგრამ მაინც კლების ტენდენცია ფიქსირდება. მთლიან დასაქმებაში ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, რომელთა საქმიანობა სოფლის მეურნეობას (ოჯახურ მეურნეობას) უკავშირდება - 2017 წლის მონაცემებით 51.7% (იხ.ნახ.4), რაც წინა წელთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.



წყარო: საქსტატი


ნახ. 4. დასაქმებულთა სტრუქტურა საქართველოში 2001-2017 წწ.

არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის სტატისტიკის წარმოება არ ხდება, რაც ამ კუთხით არსებული მდგომარეობის სრულყოფილად ასახვის საშუალებას არ იძლევა. დღეს არსებული ოფიციალური სტატისტიკა, ერთი მხრივ, უმუშევრობისა და დასაქმების არასრულყოფილ სურათს გვიჩვენებს და მეორე მხრივ, სათანადო ინფორმაციის არფლობის გამო, ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის. ქვეყანაში უმუშევრობისა და დასაქმების რეალური სურათის მისაღებად არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროკავშირში სამუშაო ძალის შესწავლის სტანდარტების დანერგვა, რადგანაც აღნიშნული სტანდარტებით გამოკვლევა არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრობის შესწავლასა და შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალის მიღმა ყოფნის მიზეზების გამოკვლევასაც გულისხმობს.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (I) მონაცემებით, ევროპისა და ცენტრა-ლური აზიის საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში

27.1%-ია, ხოლო ამავე რეგიონის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 18.8%. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, აქ თვითდა-საქმებულთა მაჩვენებელი 15.9%-ს შეადგენს [4, გვ.2]. განვითარებულ ქვეყნებში თვით-დასაქმება არ ითვლება დაბალანაზღაურებად და არაპრესტიჟულ სამსახურად. თვით-დასაქმებულები შეიძლება იყვნენ: ინდივიდუალური მენარმეები, კონსულტანტები, პროგრამისტები, არქიტექტორები და ა.შ. ამ პროფესიების წარმომადგენლებს შესაძლოა მეტწილად მაღალი ანაზღაურებაც ქონდეთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულებად ითვლებიან. თუმცა, შრომის ბაზრის დერეგულაციამ და თავად შრომის ორგანიზების სტრუქტურულ-მა ცვლილებამ, გარკვეული ტრანსფორმაცია გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებშიც კი. კერძოდ, თვითდასაქმებულებს ამჟამად მიაკუთვნებენ არამხოლოდ მაღალანაზღაურებადი ფინანსური კონსულტანტებსა და პროგრამისტებს, არამედ დამლაგებლებს, ტაქსის მძღოლებს, მანქანის მრეცხავებს და ა.შ. ამ პროფესიებს განვითარებულ სახელმწიფოებში მეტწილად მიგრანტები იკავებენ, რადგან ისინი ნაკლებანაზღაურებადი და ასევე, არც თუ ისე პრესტიჟულია. საქართველოში ამ მხრივ ვითარება ბევრად უფრო მწვავეა. საქსტატის მონაცემებში თვითდასაქმებულად ითვლება მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელთა საკუთრებაში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, მიუხედავად იმისა საკმარისია თუ არა ეს „ქონება“ არსებობისთვის. საქსტატისთვის არა აქვს მნიშვნელობა შემოსავლის ოდენობას, მიუხედავად იმისა იგი 50 თუ 100 ლარი, პირი ითვლება დასაქმებულად, უფრო კონკრეტულად კი თვით-დასაქმებულად. გარდა აღნიშნულისა, კითხვის ნიშნებს აჩენს თვითდასაქმებულთა აღრიცხვის მეთოდის სხვა მიდგომებიც. ამ კუთხით პირველ რიგში დასადგენია აღნიშნული თვითდასაქმებისგან მიღებული შემოსავლები რამდენადაა საკმარისი ღირსეულად არსებობისათვის. საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდა-საქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს. სულ დასაქმებულია დაახლოებით 1.7 მლნ. კაცი, აქედან დაახლოებით მილიონი (60%) თვითდასაქმებულია. სწორედ ამ ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად და სოციოლოგიურ გამოკითხვებში პასუხობს, რომ უმუშევარია. 692 ათასი ადამიანი არის დაქირავებით დასაქმებული და, შესაბამისად, მათ არა აქვთ აღქმა, რომ უმუშევრები არიან. აქედან დაახლოებით 150 ათასი ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული. ერთია, რომ ოფიციალური მეთოდოლოგიით 1.7 მლნ. კაცი ითვლება დასაქმებულად და 246 ათასი უმუშევრად, მაგრამ თუ განვიხილავთ შიდა შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა რიცხვს, სამსახურს ეძებს არა მხოლოდ 246 ათასი კაცი, არამედ თვითდასაქმებულების უმეტესობაც, რომლებიც სასურველი სამსახურის პოვნამდე სხვადასხვა გზით ცდილობენ შემოსავლის მიღებას.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი არც ისე შეძლებულად ცხოვრობს, რაზეც ის ფაქტიც მონიშნავს, რომ საქსტატის ინფორმაციის მიხედვით, მასში შემოსავლები ყველაზე დაბალია. ამას ემატება ისიც, რომ იგი ყველაზე ნაკლებად პროდუქტიული დარგია და მისი წილი მთლიან ეკონომიკაში მხოლოდ 8-9-ია. ეს იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულთა დაახლოებით 50% სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულად ითვლება. რომ შევაჯამოთ, გამოდის რომ დასაქმების ოფიციალური სტატისტიკა, აცდენილია რეალობისგან გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლოა სახელმწიფომ მოქალაქე დასაქმებულად ჩათვალოს ერთი სული ძროხის ყოლის გამო. და ამგვარი შემთხვევები არ არის გამონაკლისი, დაახლოებით მოსახლეობის მესამედი, სწორედ რომ ნომინალურად არის დასაქმებული. ამას მონიშნავს შიმ-ის მიერ ჩატარებული კვლევა [4. გვ.10], რომლიდანაც აღებული გრაფიკი ქვემოთ არის მოცემული (იხ.ნახ.5). მასზე მოცემულია უმუშევრობის აგრერირებული მონაცემები, რომელშიც შეყვანილია არასრულად დასაქმებულები და ფარული უმუშევრები.




წყარო: კვლევა „უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა“ ჰტტპს://ნნნ.გფსის.ორგ/ფილეს/ლიბრარყ/პდფ/ეორგიან-2456.პდფ

ნახ. 5. უმუშევრობის დონე (%) ქალაქისა და სოფლის მიხედვით

როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან კარგად ჩანს ქალაქისა და სოფლის მიხედვით დათვლილი უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლები ერთმანეთისგან ისე არსებითად არ განსხვავდება, როგორც ეს შმო-ს კრიტერიუმით დათვლილი უმუშევრობის მაჩვენებლები (იხ. ნახ. 3). რაც ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი არასრულად დასაქმებული ან ფარული უმუშევარია. აღნიშნული მაჩვენებლები (აგრეგირებული და შმო-ს კრიტერიუმით) ხასიათდება კლების ტენდენციით, მაგრამ აგრეგირებულის შემთხვევაში კლების ტრენდი უფრო წრფივია, ვიდრე შმო-ს კრიტერიუმით.

მეტად მნიშვნელოვანია უმუშევრობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში განხილვა. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.3 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ქალებში 1.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, კაცებში კი 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა (იხ. ნახ 7.), თუმცა უმუშევრობის საერთო დონესთან შედარებით ქალებში - 1,1% მაღალია და მამაკაცებში კი 1,2%-ით დაბალი.




წყარო: საქსტატი

ნახ.8 უმუშევრობის დონე გენდერულ ჭრილში საერთო უმუშევრობასთან შედარებით.

აქტიურობის დონე შედარებით მაღალია მამაკაცებში. 2017 წელს ქალებში აქტიურობის დონე 58,2 პროცენტს, ხოლო მამაკაცებში - 74,6 პროცენტს შეადგენდა. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით


აქტიურობის დონე ქალებში გაზრდილია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო მამაკაცებში შემცირებულია 2.8 პროცენტული პუნქტით (იხ.ნახ.9.).



წყარო: საქსტატი

ნახ. 9. აქტიურობის დონე გენდერულ ჭრილში 2008-2017 წწ.

უმუშევრობის სტრუქტურის ძალზედ საინტერესო სურათი ისახება უმუშევრობის ასაკობრივ ჭრილში განხილვისას. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამ მხრივ ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონეა, შესაბამისად 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფში (იხ. ნახ. 10).



წყარო: საქსტატი

ნახ. 10. უმუშევრობა ასაკობრივ ჭრილში (%) 2008-2017 წწ.

გამოკვლევის შედეგების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება (29.6%), რომელიც 3.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი. ასაკობრივ ჭრილში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი 20-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია. აღნიშნულ კატეგორიაში, 2008-2017 წლებში უმუშევრობის დონე საშუალოდ 35.4% იყო. მიუხედავად 2012 წლიდან არსებული კლებისა, ის მაინც მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს და 2017 წელს 29.6%-ს შეადგენს. ასევე, უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა 25-29 ასაკობრივი კატეგორია, სადაც უმუშევრობის დონე საშუალოდ 27.2%-ია, რაც 2010 წლიდან კლებადია. აქვე აღსანიშნ-

ნავია, რომ ევროკავშირის ნევერ ქვეყნებში, 15-25 წლამდე საშუალო უმუშევრობის დონე, 2017 წლის მონაცემებით 16.8%-ია, ხოლო 25 წლის და ზემოთ კი - საშუალოდ 6.7%. საქართველოში 15-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, 2017 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე დაახლოებით 28.4%-ია, ხოლო 25 წლიდან და ზემოთ კი - დაახლოებით 12.4%. მათ შორის, ყველაზე დაბალი, 3.6%-იანი უმუშევრობის დონე 65 წლისა და ზემოთ ასაკობრივ კატეგორიაშია. ასევე, 40-44 ასაკობრივ კატეგორიაში უმუშევრობის დონე მთლიანად უმუშევრობის დონეზე დაბალი, 13.5%-ს შეადგენს. ასაკის მატებასთან ერთად უმუშევრობის მაჩვენებელი ძირითადად მცირდება. აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი შედარებით აქტიურად ეძებს სამუშაოს (გამოყენებული გამოანგარიშების მეთოდის მიხედვით), თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც უმუშევარია, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად და სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით მრავალი იმედაცარუების შემდგომ ბევრი საერთოდ თავს ანებებს დასაქმების ადგილის მოძიებას და ინაცვლებს სამუშაო ძალის გარეთ მყოფთა კატეგორიაში.

ორგანიზაციული და ეკონომიკური საქმიანობის განვითარება (შესაბამისი უწყებების ერთობლივი ძალისხმევით) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სპეციალისტების უმუშევრობის პრობლემების მოგვარებისთვის. ასეთი საქმიანობა გარანტირებულია ყველა სახის საქმიანობაში ახალგაზრდების პროფესიული ადაპტირებითა და დასაქმებით (რ. ქინქლაძე, 2011). ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებმა უნდა განახორციელონ მომავალი სპეციალისტების მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ეს გულისხმობს მკაცრი კრიტერიუმებით შერჩევას, ასევე სტუდენტების ერთიანი ციკლის განვითარებას, მომზადებასა და დასაქმებას. აუცილებელია კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი. (ტულუში მ., ფარესაშვილი ნ. 2007).

სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის (მათ შორის პრეფერენციების) გამოყენებით უნდა წახალისოს ნებისმიერ სახის წარმოება. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პროგრამების განხორციელება (კახნიაშვილი ნ., 2017). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. თუმცა, ამას საფუძვლად უნდა დაედოს განათლების ხარისხის ამაღლება ყველა საფეხურზე და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. მენეჯმენტის თვალსაზრისით სწორედ დემოკრატიული მმართველობითი კურსის გატარება უზრუნველყოფს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებას.

ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უმუშევრობის შემცირების დიდი რეზერვი არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ფართო ინფრასტრუქტურა, საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს [აბესაძე რ. კაკულია ვ. 2008]. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია პროფესიული განათლების დონე. უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფარგლებში შემდეგი ძირითადი ამოცანის გადწყვეტა - საქართველოს განათლების, განსაკუთრებით პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სამუშაო ძალის მომზადებას და შესაბამისად, აქ არსებული დისბალანსის აღმოფხვრას. [ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., 2017]

სამთავრობო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს კერძო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნის სტიმულატორების შექმნაზე, ხოლო საჯარო სექტორში კი ყველა არსებული

რესურსის ეფექტიან გამოყენებაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ განსახორციელებელი რეორგანიზაციის პროცესი დამყარებული უნდა იქნეს გონივრული პოლიტიკის გატარებასთან, პირველ რიგში კი ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებასთან. სამინისტროებისა და უწყებების მიერ ეფექტიანი საკადრო პოლიტიკის გატარების მიზნით უნდა მოხდეს სტრუქტურული გაუმჯობესება და არა უბრალოდ მექანიკურად მიერთება-გაყოფა-გაუქმება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მუდმივად უნდა განახლდეს შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზა, რომელიც იქნება სრულყოფილი და სანდო და პერიოდულად მოგვცემს როგორც მონიტორინგის, ასევე ქმედითუნარიანი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., კაკულია ვ., (2008), მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, მონოგრაფია, თბ.,
2. კახნიაშვილი ნ., (2017). სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში, ავტორეფერატი, გვ. 29.
3. ტულუში., ფარესაშვილი ნ. (2007). უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში, ჟურნალი: ეკონომიკა, № 3-4., გვ.60-65.
4. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში (2016). <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2456.pdf>
5. ქინქლაძე რ. უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. (2011). ჟურნალი: სოციალური ეკონომიკა, №12, გვ. 54-70.
6. ქისტაური ლ., დამენია ნ., (2018). უმუშევრობის დაძლევის აქტუალური საკითხები საქართველოში, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, ISBN 978-9941-13-764-8, გვ.420-425.
7. შამუგია ე. (2019). უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში 1998-2017 წლები. საქართველოს რეფორმების ასოციაცია. <https://grass.org.ge/uploads/other/2019-01-25/235.pdf>
8. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., (2017). უმუშევრობა და დასაქმების აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში, თსუ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, ISBN 978-9941-13-650-4, გვ. 582-588.
9. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., (2018). საქართველოში მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები. თბილისი: ზენაარი.
10. Paresashvili, N. (2013). Mechanism of Elaboration of labor market regulation strategy. ICEM. Kaunas.
11. Paresashvili N., A. N., (2018). Gender aspects of youth employment in Georgia. Ecoforum, volume 7, issue 1(14) , pp. 1-7.
12. Paresashvili, N. (2015). Major mechanisms to develop the strategies of the labor market in Georgia. Procedia - Social and Behavioral Sciences 213 , pp. 576
13. Paresashvili N., Okruashvili N., (2017). Modern problems to form human capital in Georgia. world science, N5(21), vol 2. Dubai: ws-conference.com.
14. Paresashvili, N., & Maisuradze, T. (2018). Unemployment as the Main Challenge in Georgia. RTU 59th International Scientific Conference on Economics and Entrepreneurship. Riga, Latvia: Riga Technical University. pp. 72-80.
15. Tsiklashvili, N. (2017). Labor market in Georgia and development opportunities. Ukraine-EU, Modern technology, business and Law, The third International Research and Practice Conference Slovakia-Austria-Hungary, Collection of international scientific papers Chernihiv: Chernihiv national university of technology, pp. 68-71
16. World Employment and Social Outlook – Trends 2018. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_615594.pdf
17. www.geostat.ge

თანამედროვე მარკეტინგული მიდგომების გამოყენების აუცილებლობა ქართულ კომპანიებში

ნანული მახარაძე¹, ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ერთიანი მარკეტინგული ორგანიზაციის შექმნისა და დანერგვის აუცილებლობა ქართულ კომპანიებში.

ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად იყენებენ ერთიან მარკეტინგულ მიდგომებს, სარგებლობენ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით საზოგადოების წინაშე. ერთიანი (ჰოლისტიკური) მარკეტინგი ერთ სივრცეში მოიცავს ყველა იმ სერვისს და მომსახურებას, რომელიც ესაჭიროება მომხმარებელს. კომპანიები კი, ვალდებული არიან შექმნან ახალი ტენდენციები, გაიზიარონ წარსული გამოცდილება და უკეთ გაიაზრონ თუ რა ნაბიჯების გადადგმა სჭირდებათ მათ წარმატების მისაღწევად.

უნდა აღინიშნოს, საქართველოში ერთიანი (ჰოლისტიკური) მარკეტინგული მიდგომისადმი კომპანიების დამოკიდებულება ჯერჯერობით არ არის მნიშვნელოვნად შესწავლილი და ქართული კომპანიები არასაკმაოდ აცნობიერებენ საერთოდ მარკეტინგის, კერძოდ კი, ჰოლისტიკური მარკეტინგის როლსა და მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ქვეყნებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ერთიანი მარკეტინგული მიდგომა, ინტეგრირებული მარკეტინგი, სოციალური მარკეტინგი და სოციალური პასუხისმგებლობა.

THE NEED FOR MODERN MARKETING APPROACHES IN GEORGIAN COMPANIES

Nanuli Makharadze, Assistant professor
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract. The article discusses the necessity of creating the unified marketing organization and the need to introduce it in Georgian companies.

Georgian companies that are actively unified single marketing approaches have high social responsibility to the society. Unified (holistic) marketing in one area includes all the services that the customer needs. Companies are obliged to create new trends, share past experiences and better understand what steps they need to achieve.

It should be noted that the attitude of companies to a unified (holistic) marketing approach in Georgia has not been studied so far and Georgian companies are not well aware of marketing, particularly the role and significance of holistic marketing, which is characteristic of market economies of developed countries.

Keywords: Unified marketing approach, integrated marketing, social marketing and social responsibility.

21-ე საუკუნეში წარმატებულ მარკეტინგს მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია გულმოდგინე მუშაობა, წინდახედულობა და შთაგონება. კომპანიებში ჩნდება

¹ maxaradze.nanuli@bsu.edu.ge

ახალი მიდგომები, წესები და პრაქტიკული უნარების გამოყენების წინაპირობები. ასეთ მიდგომებს შორის ახალია ერთიანი ანუ ჰოლისტიკური მიდგომა. საქართველოში ერთიანი მარკეტინგული მიდგომისადმი კომპანიების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და ჯერჯერობით არ არის მნიშვნელოვნად შესწავლილი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კომპანიები არასაკმარისად აცნობიერებენ საერთოდ მარკეტინგის, კერძოდ კი, ჰოლისტიკური (ერთიანი) მარკეტინგის როლსა და მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ქვეყნებისთვის და რომელთა მეშვეობითაც შეუძლებელია კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ანალიზი.

თანამედროვე პირობებში ფირმებს ერთიანი ორიენტაციით სჭირდებათ კარგად გაითავისონ მათთვის დამახასიათებელი სირთულეები, გულმოდგინედ დაგეგმონ და კომპლექსურად განახორციელონ სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები. დღესდღეისობით მარკეტინგულ გარემოში გააქტიურდა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა (ნანიტაშვილი, შუბლაძე, 2014:418): რენეჟინგინგი; აუტსორსინგი; ბენჩმარკინგი; მიმწოდებლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება; შერწყმა; გლობალიზაცია; კონცენტრაცია; უფლებამოსილებათა დელეგირება და ა.შ.

აღნიშნული გარემოების პირობებში, ვინაიდან მარკეტინგის სპეციალისტები ყოველთვის ასრულებდნენ შუამავლების როლს, მათ მოვალეობაში შედიოდა მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა და ამ ინფორმაციის გადაცემა კომპანიის სხვადასხვა განყოფილებისათვის. მაგრამ დღეს, საწარმოთა უმრავლესობა მუშაობს მყარ საქმიან ურთიერთობაში და თითოეულ ფუნქციურ ქვედანაყოფს შეუძლია პირდაპირი ურთი-ერთქმედება მყიდველებთან. მარკეტინგს არა აქვს მონოპოლია მომხმარებლებთან (ან მყიდველებთან) ურთიერთმოქმედებაზე. მით უფრო, ბოლო პერიოდში მარკეტინგი გასაღების განყოფილების ერთ-ერთი ფუნქციიდან გადაიქცა მთლიანად კომპანიის უმნიშვნელოვანეს ფუნქციურ სფეროდ, ვინაიდან გასაღების განყოფილებებს არ შეუძლიათ განახორციელონ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა: მარკეტინგული კვლევები, ახალი საქონლის დამუშავება, რეკლამა, გასაღების სტიმულირება, მყიდველთა მომსახურება; ამიტომ კომპანიებში დაიწყეს ისეთი მარკეტინგის განყოფილების შექმნა, რომელთა მეშვეობით მარკეტინგის ფუნქციები და მომსახურების დონე კიდევ უფრო მეტად გამარტივდა და გაფართოვდა.

ბოლო პერიოდში საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი (ჰოლისტიკური) მარკეტინგული მოდელის თანახმად, კომპანიები, ურთიერთობათა მარკეტინგის ფარგლებში, ინდივიდუალური კლიენტებისთვის აყალიბებენ ცალკეულ შეთავაზებებს, სერვისებს და მესიჯ-შეტყობინებებს მათი წარსული შესყიდვების, დემოგრაფიული, ფსიქოგრაფიული მახასიათებლების და მედიასთან არსებული დისტრიბუციის პრეფერენციების მიხედვით. ფოკუსირებას ახდენენ რა ყველაზე მომგებიან კლიენტებზე, პარტნიორებსა და შესაბამის მარკეტინგულ არხებზე, კომპანიები იმედოვნებენ, რომ ასეთი შეთავაზებით ისინი მიიღებენ უფრო მეტად მდგრად განვითარებას, კლიენტის ლოიალურობის ზრდის პარალელურად გაზრდიან თითოეული კლიენტის ხარჯვითი ნაწილის წილს, კომპანიის სასიკეთოდ. ისინი აფასებენ თითოეული კლიენტის სასიცოცხლო ღირებულებას და ამის მიხედვით აყალიბებენ საბაზრო შემოთავაზებებს და საფასო პოლიტიკას (დგვეფაძე, 2016:138).

პროდუქტის ან ბრენდის მართვაზე ორიენტირებული კომპანია მენეჯერს საშუალებს აძლევს, ძალის-ხმევის კონცენტრაცია ეფექტიანი მარკეტინგული პროგრამების შემუშავებასა და ბაზარზე გამოჩენილ ახალი პროდუქტების მიმართ სწრაფი რეაგირება მოახდინოს. ის, ასევე უზრუნველყოფს კომპანიის ნაკლებად ცნობილი ბრენდების დაცვას. სოციალური მარკეტინგის პროგრამის განხორციელებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიზნის სწორად განსაზღვრა. როდესაც კომპანიის ყველა განყოფილების სამუშაო მიმართულია კლიენტის ინტერესების სამსახურზე, ყალიბდება ინტეგრირებული მარკეტინგის სისტემა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიებმა მომავალში წარმატების მისაღწევად უნდა გამოიყენონ ჰოლისტიკური ანუ ერთიანი მიდგომები და არა განცალკევებული ურთიერთობები, მხოლოდ ერთი განყოფილების ფარგლებში. მარკეტოლოგებმა მუდმივად უნდა განავითარონ ახალი იდეები, მოუსმინონ მომხმარებლებს და თავის მხრივ, ასევე განიხილონ მათი მოსაზრებები. ასე, რომ მარკეტოლოგებმა თავიანთი ბრენდები, უმეტესწილად, უნდა შექმნას მიღებული შედეგების საფუძველზე და არა მხოლოდ სტიმულირების ღონისძიებების მეშვეობით.

ჰოლისტიკური მარკეტინგული ორგანიზაციის ფორმირებისათვის მარკეტო-ლოგებს სჭირდებათ ახალი უნარები და კომპეტენციები მყიდველებთან ურთიერთობების მართვაში, პარტნიორებთან ურთიერთობების მართვაში, მონაცემთა ბაზის მარკეტინგსა და მონაცემთა მოპოვებაში, საკონტაქტო ცენტრის მართვისა და ტელემარკეტინგში, საზოგადოებასთან ურთიერთობების მარკეტინგში (ივენტებისა და სპონსორების მარკეტინგის ჩათვლით), ბრენდის შექმნასა და ბრენდის აქტივების მართვაში, ემპირიული მარკეტინგში, ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში, მყიდველების, სეგმენტებისა და არხების მიხედვით მომგებიანობის ანალიზში.

ამ მხრივ, საინტერესოა, საქართველოში კომპანია „კლიმატ სერვისი“, რომელიც 2010 წლიდან მომხმარებლებს სთავაზობს საინჟინრო სისტემების სრული სპექტრის მომსახურებას საპროექტო, სამონტაჟო, ხარისხის ზედამხედველობისა და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ისწრაფვის მუდმივი განვითარებისკენ, რომელიც საინჟინრო სისტემების მიმართულებით უახლესი ტექნოლოგიების და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და საუკეთესო გადაწყვეტილებების შეთავაზებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, 2010 წლიდან კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სრული ელექტრო-მექანიკური სისტემების სამგანზომილებიან პროექტირებას, რომლის უპირატესობაა არა მხოლოდ უკეთესი ვიზუალური აღქმადობა, არამედ გაუთვალისწინებელი ხარჯების მინიმიზაციის შესაძლებლობაც. აღნიშნული სერვისი დღესდღეობით დიდი წარმატებით სარგებლობს საქართველოს ბაზარზე.


გარდა ამისა, კლიმატ სერვისი ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ფლობს პროგრამა აგირად-ის ლიცენზიას, რომელიც კიდევ უფრო მეტ ფინანსურ და დროის დანაზოგს სთავაზობს მომხმარებელს და პროექტის მაქსიმალურ სიზუსტეს უზრუნველყოფს. კომპანია „კლიმატ-სერვისის“ მონაცემებზე დაყრდობით ცნობილია, რომ ის მომხმარებელთა მოთხოვნებისა და რესურსების გათვალისწინებით საუკეთესო გადაწყვეტილებებს ამუშავებს და ინფორმაციას მოსალოდნელი რისკების, შესაძლებლობებისა და შედეგების შესახებ აწვდის შესაბამისად. კომპანია კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის ფუნქციებსა და დანიშნულებას, საინვესტიციო და საექსპლუატაციო დანახარჯების ოპტიმიზაციას.

სწორედ ერთიანი (ჰოლისტიკური) მარკეტინგული მიდგომის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს კომპანია კლიმატ-სერვისის მიერ წარმოდგენილი მოდელი (იხილეთ დიაგრამა 1.) (<http://climateservice.ge>). სასურველია, აღნიშნული მოდელი ან მსგავსი მიდგომა გაითვალისწინოს სამშენებლო, ინფრასტრუქტურის სფეროს, ტურიზმის და სხვა მოქმედმა კომპანიებმა საქართველოში.

ერთიანი მიდგომით კომპანია „კლიმატ სერვისი“ დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს საინჟინრო სისტემების სრული სპექტრის პროექტირებასა და მონტაჟს, უსაფრთხოების სისტემებს, ინტერნეტი, ტელევიზია, წყალმომარაგების, გაგრილების ხანძარსა და სანაღმდეგო სისტემები და ა.შ., რომელიც საჭიროა შენობა-ნაგებობის უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ასეთი ჰოლისტიკური მიდგომა საშუალებას იძლევა, დაზოგოთ დრო და ფინანსები.

დიაგრამა 1

კომპანია კლიმატ-სერვისის ჰოლისტიკური მიდგომა



კომპანია სთავაზობს სამგანზომილებიან პროექტებს, ზრდის ვიზუალურ აღქმადობას, ხოლო პროგრამა MagiCAD საშუალებით ხარისხის მუდმივ სრულყოფაზას ახორციელებს. კომპანიის მენეჯმენტი ორიენტირებულია მომხმარებლისთვის ინოვაციური საინჟინრო გადანყვეტილებების შეთავაზებაზე.

ჰოლისტიკური მარკეტინგის მოდელის თანახმად, შიდა მარკეტინგი, როგორც მოდელის ერთ-ერთი განზომილება, გულისხმობს თანამშრომელთა აყვანას, ტრენინგს და მათ მოტივირებას კლიენტთა უკეთესად მომსახურების მიზნით. იგულისხმება, რომ ყველა, განსაკუთრებით კი უმაღლესი რანგის მენეჯმენტი იზიარებს შესაბამის მარკეტინგულ პრინციპებს. გონიერი მარკეტერი აღიარებს, რომ მარკეტინგული აქტივობები კომპანიის შიგნით ისეთივე მნიშვნელოვანია, ან შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანიც კი, ვიდრე კომპანიის გარეთ არსებულ საზოგადოებაზე გათვლილი ღონისძიებები. არა აქვს აზრი, რომ კომპანიამ გასცეს უმაღლესი ხარისხის მომსახურების დაპირება სანამ კომპანიის თანამშრომლები მზად არ იქნებიან შეასრულონ დაპირება. შიდა მარკეტინგული ორიენტაციის უკეთ წარმოსაჩენად, ჰოლისტიკური მარკეტინგული მოდელის ავტორები ამ სფეროს მკვლევარების შემდეგ ციტატას იყენებენ „მარკეტინგი აღარ არის მხოლოდ ერთი დეპარტამენტის პასუხიმგებლობა - ეს არის მთელი კომპანიის პასუხიმგებლობა, რომელიც მართავს კომპანიის ხედვას, მისიას და სტრატეგიულ დაგეგმარებას“ (დგვეფაძე, 2016:138).

თანამედროვე პირობებში საყურადღებოა ზუსტად განისაზღვროს მარკეტინგის პრინციპებისა და ცნობილ კომპანიათა გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს, ქართული კომპანიების სულ უფრო აქტიურად ჩართვას საბაზრო ურთიერთობებში.

ამრიგად, წარმოდგენილი ჰოლისტიკური მარკეტინგული და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მოდელების და განმარტებების კომპარატივისტიკული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მუდმივად განვი-

თარებადმა კონცეფციამ თანამედროვე რეალობაში უკვე შეითავსა ბიზნესის და მისი გარემოს ჰოლისტიკური ხედვა. კომპანიების წარმატებას სჭირდება კომპლექსური არა მხოლოდ ახალ, კარგი იდეებზე ფიქრი და მათი პროდუქტებად გადაქცევა, არამედ მათ შესაბამის მყიდველებზე ზრუნვა. კომპლექსური მიდგომით კი, შეიქმნება ღირებული კლიენტების ბაზა. აღნიშნული მიდგომის სწორად გამოყენება შესაძლებლობას მისცემს კომპანიას გაზარდოს თავისი აუდიტორია და მომხმარებელთა რაოდენობა.

ინტეგრირებული მარკეტინგული ჰოლისტიკური ბუნებით საკუთარ თავში მოიაზრებს მუდმივ სახეცვლილებას და თანამედროვე სამყაროს სწრაფი განვითარებით წარმოშობილი გამოწვევებისთვის მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, რაც უფრო ფართოვდება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების აღქმა და მისი სტრატეგიული როლი, მით უფრო რთულდება მისი პრაქტიკაში სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა. ჰოლისტიკური ბუნება მკვლევარებს ახალი კვლევებისკენ უბიძგებს და უკეთ წარმოაჩენს იმ როლს, რა როლიც შეიძლება ინტეგრირებულმა მარკეტინგულმა კომუნიკაციებმა შეასრულონ თანამედროვე ბიზნესში.

ლიტერატურა

1. **დგვეფაძე ნ.** ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები - ჰოლისტიკური მარკეტინგის ერთ-ერთი განზომილება თუ მისი არსი? ჟურნალი ბიზნეს-ინჟინირინგი. თბ., 2016. №4. გვ.138
2. **კოტლერი ფ, კელერი კ.** მარკეტინგის მენეჯმენტი. მე-14 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან პროფესორ ნ. თოდუას საერთო რედაქციით. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015. გვ.24
3. **ნანიტაშვილი მ. შუბლაძე გ.** მარკეტინგის მენეჯმენტი. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2014. გვ. 418- 434
4. რატომ კლიმატ სერვისი? <http://climateservice.ge/>

მასშტაბური მიდგომა მენეჯმენტში ანუ კლასტერული ანალიზის სპეციფიკაციები

ირმა მახარაშვილი¹, ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო შევიდა სწრაფი ცვლილებების ეპოქაში, რომლის გამოც, საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ყველა მხარე და დინამიკა რადიკალურად შეიცვალა. დროის ასეთმა „აჩქარებულმა“ რიტმმა გარკვეული კვალი დაამჩნია სასწავლო და სამუშაო პროცესებს და შემოიტანა დღის წესრიგში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა - დროის მენეჯმენტი, საქმეების თანმიმდევრული დაგეგმარება, ადამიანური რესურსების მართვის უახლესი ტენდენციები და ა.შ. ამ ყოველივეს დამატება ტექნოლოგიური განვითარება, რომელმაც ზოგიერთი პროფესია წარსულში ჩატოვა და ახალ პროფესიებს ჩაუყარა საფუძველი. დამსაქმებლები გამალებით ეძებენ კადრებს, რომელთა უნარ-ჩვევები ახალი მოთხოვნების შესაბამისია. ასეთ კადრებს კი „თანამედროვე განათლება“ ესაჭიროებათ, რაზეც სახელმწიფო აგებს პასუხს. იმისათვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს წამყვანი ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, აუცილებელია იზრუნოს, როგორც საკუთარი მოსახლეობის მდგომარეობაზე, ისე საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც თავის მხრივ გლობალიზაციის შედეგად უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს.

ასე მაგალითად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის შედეგად წარმოების ფაქტორები უფრო მობილური გახდნენ, გაძლიერდა კონკურენცია, გაქრა ბევრი ტრადიციული დარგი და გაჩნდა დარგთაშორისი სტრუქტურები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებსა და კლასტერებს. ე.წ. „ჰიბრიდული“ დარგები მეტად მოთხოვნადია, რადგან მოიცავს ისეთ ორგანიზაციულ ჯაჭვებსა და კავშირებს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვენს მიერ კვალიფიცირებული კადრი იყოს გათვითცნობიერებული, როგორც მენეჯერულ საქმიანობაში, ისე მის მომიჯნავე სფეროებში.

სტატია მიმოიხილავს კლასტერულ ანალიზს, როგორც მენეჯმენტში არსებულ მასშტაბური ხასიათის ანალიზურ მიდგომას, რაც თავის მხრივ გვაძლევს საშუალებას დარგთაშორისი კუთხით განვიხილოთ საკითხი და გავერკვეთ თანამედროვე გამოწვევებში, რასაც საბაზრო ეკონომიკა გვაკისრებს დღესდღეობით.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, თანამედროვე მენეჯმენტი, განვითარება, ტრანსფორმაცია

A LARGE-SCALE APPROACH TO THE MANAGEMENT AS A SPECIFICATION OF THE CLUSTER ANALYSIS

Irma Makharashvili, Associate Professor
Caucasus International University, Faculty of Business Administration

Abstract: World in XXI century approached the epoch of quick changes, this became a reason of radical changes in the life of society. This accelerated rhythm of the life caused serious changes in studying and working activities. All these brought to the agenda questions such as Time Management, making of the “todolists”, creation

¹ nino.makharashvili@ciu.edu.ge

of new tendencies in the Human Resource Management, etc. In addition to this development of new technologies lead to the establishment of new professions and some of older professions have been left in the past. Employers try hard to find qualified employees whose back ground will be in accordance with the contemporary demands and necessities. Such specialists need to have "modern Education", this should be the main goal for the government. To gain a competitive position on international level, government should take care on the living and working conditions of country citizens, also on market economy, which develops faster due to globalization processes.

For example, on the modern stage of development it became obvious the radical economic transformation of number of countries. As we have mentioned above, due to globalization, manufacturing factors became more mobile, increased competition, disappeared many traditional fields and have been established new interindustry structures what lead to establishment of new organizational network structures and clusters. These so called "Hybrid Fields" are very demanded, because include organizational networks and connections which gives opportunity to qualified employee to have knowledge not only in management, but also in other fields.

The main goal of the article is to overview of cluster analysis, as an large-scale analytic approach in Management, this gives us opportunity to clear up new tendencies of modern market economy.

Keywords: cluster, modern management, development, transformation

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო შევიდა სწრაფი ცვლილებების ეპოქაში, რომლის გამოც, საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ყველა მხარე და დინამიკა რადიკალურად შეიცვალა. დროის ასეთმა „აჩქარებულმა“ რიტმმა გარკვეული კვალი დაამჩნია სასწავლო და სამუშაო პროცესებს და შემოიტანა დღის წესრიგში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა - დროის მენეჯმენტი, საქმეების თანმიმდევრული დაგეგმვა, ადამიანური რესურსების მართვის უახლესი ტენდენციები და ა.შ. ამ ყოველივეს დაემატა ტექნოლოგიური განვითარება, რომელმაც ზოგიერთი პროფესია წარსულში ჩატოვა და ახალ პროფესიებს ჩაუყარა საფუძველი. დამსაქმებლები გამალებით ეძებენ კადრებს, რომელთა უნარ-ჩვევები ახალი მოთხოვნების შესაბამისია. ასეთ კადრებს კი „თანამედროვე განათლება“ ესაჭიროებათ, რაზეც სახელმწიფო აგებს პასუხს. იმისათვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს წამყვანი ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, აუცილებელია იზრუნოს, როგორც საკუთარი მოსახლეობის მდგომარეობაზე, ისე საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც თავის მხრივ გლობალიზაციის შედეგად უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს.

ასე მაგალითად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის შედეგად წარმოების ფაქტორები უფრო მობილური გახდნენ, გაძლიერდა კონკურენცია, გაქრა ბევრი ტრადიციული დარგი და გაჩნდა დარგთაშორისი სტრუქტურები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებსა და კლასტერებს. ე.წ. „ჰიბრიდული“ დარგები მეტად მოთხოვნადია, რადგან მოიცავს ისეთ ორგანიზაციულ ჯაჭვებსა და კავშირებს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვენს მიერ კვალიფიცირებული კადრი იყოს გათვითცნობიერებული, როგორც მენეჯერულ საქმიანობაში, ისე მის მომიჯნავე სფეროებში.

კლასტერი ესაა - „გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობით და ამასთანავე ავსებენ ერთმანეთს“.

იგი, როგორც მეთოდი თავდაპირველად 1939 წელს რ. ტრიონმა აღწერა. მანვე უწოდა ამ მეთოდს „კლასტერული ანალიზი“.

საწარმოთა კლასტერები ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. ბიზნესის ორგანიზაციის არატრადიციული ფორმების უპირატესობების შესახებ იდეები საკმაოდ დიდი ხნის წინ წარმოიშვა. ამ

სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული გამოკვლევა ალფრედ მარშალის ნაშრომში - „ეკონომიკის პრინციპები“ გახლდათ. მარშალმა შეისწავლა დიდი ბრიტანეთის სამრეწველო რაიონები. თავის კვლევაში მას სპეციალური ტერმინები, როგორცაა - „ლოკალიზებული წარმოებისათვის“ ან „სამრეწველო ზონებისათვის“, არ შემოაქვს, თუმცა კი აღწერილიდან გამომდინარეობს, რომ იგულისხმება კლასტერი, საკმაოდ ღრმა ფორმათაშორისი შრომის განაწილებით.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და საწარმოთა კლასტერების განვითარების ხარისხის ურთიერთკავშირის დანვრისთვის ანალიზი მოგვცა მ. პორტერმა. მის განსაზღვრებაში აქცენტი კეთდება საწარმოთა კლასტერების სამ ძირითად თვისებაზე:

1. გეოგრაფიული ლოკალიზაცია. პორტერის მიხედვით, კლასტერის მასშტაბი შეიძლება კურირებდეს ერთი ქალაქიდან ან რეგიონიდან ქვეყნამდე, ან რამდენიმე ქვეყნამდეც კი.

2. ურთიერთკავშირი საწარმოებს შორის. პორტერი აღნიშნავდა, რომ კლასტერი არის ურთიერთდაკავშირებული საწარმოების ქსელის ფორმა და კავშირის უფრო ღრმა განვითარება მოწმობს თავად კლასტერის განვითარების ხარისხზე.

3. დარგების ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი. კლასტერში არსებობს ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დარგის საწარმოები; ჩვეულებრივ ეს მზა პროდუქტის კომპანიები. წარმოების სპეციალიზებული ფაქტორების კომპონენტების, მანქანების მომწოდებლები, აგრეთვე სერვისული მომსახურების ფინანსური ინსტიტუტები, თანმხლები პროდუქტების მწარმოებლები და სხვ.

რაც შეეხება მცირე ქვეყნებში კლასტერიზაციის პრობლემების კვლევათა მიმოხილვისას, შეიძლება გამოვყოთ 4 ტიპის კლასტერი თავისი გეოგრაფიული დახასიათებით:

- ეროვნული კლასტერები - სივრცის გარეშე მომიჯნავე კონკურენტუნარიანი დარგები, რომლებიც ძირითადად გამოყოფილია ლოკალიზაციის კოეფიციენტისა და საუნწყებათშორისო ბალანსის მეთოდით.
- რეგიონული კლასტერები, რომლებიც მდებარეობს რეგიონის ფარგლებში და გამოყოფილია გამოკითხვების ან საექსპერტო შეფასებების დახმარებით.
- ტრანსსასაზღვრო კლასტერები ვითარდება ორი ან მეტი ქვეყნის რეგიონებში.
- ლოკალური კლასტერები მდებარეობს ერთ ქალაქში, მათ აგრეთვე მიეკუთვნება ნორვეგიაში გამოყოფილი „სამრეწველო რაიონები“.

სამრეწველო საწარმოთა განთავსებაზე ლიოშმა წარმოადგინა რაიონების ოპტიმალური კონფიგურაციის იდეა და ააგო ტერიტორიისა და რაიონების აბსტრაქტული მოდელი. ე.ი. მან შემოგვთავაზა ეკონომიკური „ლანდშაფტის“ ახალი კონცეფცია. ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“, ერის სამშობლოს სივრცეზე, ტერიტორიებისა და კუთხეების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

მ. პორტერი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მკვლევარია ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის დარგში. თავის კონცეფციაში მან სცადა ერთმანეთისთვის შეეხამებინა ა. მარშალის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ფირმათა საქმიანობის საგარეო-ეკონომიკურ თეორიასთან.

პორტერმა ამოცანად დაისახა იმ სიღრმისეული ძალების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. მისი თეორიის მთავარი პოსტულატი იყო მტკიცებები: „ეროვნული აყვავება მემკვიდრეობით არ გადადის - იგი იქმნება“ და „ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის ერთადერთი გონივრული კონცეფცია - ეს შრომის მწარმოებლურობაა“. ამგვარად, პორტერმა ქვეყანაში შრომის მაღალი მწარმოებლურობა გაუტოლა მის მაღალ კონკურენტუნარი-

ანობას. მოგეხსენებათ, რომ კონკურენცია ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი წამყვანი სტიმულია ორგანიზაციებისთვის და მისი არსებობა თავის მხრივ საბაზრო ეკონომიკის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

კლასტერების გამოყოფის შემდეგ, შეიძლება დავიწყოთ კლასტერული პოლიტიკის გატარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. დღესდღეობით გამოყოფენ ორი თაობის კლასტერულ პოლიტიკას, ესენია:

პირველი თაობის კლასტერული პოლიტიკა - იგი თავისთავად ზომების კომპლექსია, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო კლასტერის იდენტიფიკაციისთვის.

მეორე თაობის კლასტერული პოლიტიკა - იგი ეფუძნება უკვე კარგ ცოდნას ქვეყანაში არსებულ კლასტერებზე. მასში მოიაზრება ინდივიდუალური მიდგომა თითოეული კლასტერის განვითარების პრობლემის მიმართ.

კლასტერული პოლიტიკის გატარების ინიციატორებად შეიძლება გამოვიდნენ არა მარტო მართვის ცენტრალური ორგანოები, რომლებიც ატარებენ კლასტერულ პოლიტიკას „ზემოდან“, არამედ რეგიონული ხელისუფლებაც ან მენარმეთა ადგილობრივი გაერთიანებები, რომლებიც „ქვემოდან“ წარმოგვიდგენენ კლასტერების განვითარების სტიმულირების პროგრამათა რეალიზაციას. ასეთ პროგრამებს ეწოდება კლასტერული ინიციატივა.

შესაბამისად, კლასტერულ ინიციატივათა განვითარებასთან დაკავშირებით განვითარება იწყოს კლასტერულმა კონსალტინგმა, რაც გულისხმობს მომსახურეობის განწევას რეგიონის ტერიტორიაზე რომელიმე კლასტერის გამოყოფის პროექტთან დაკავშირებით. აგრეთვე, აქ იგულისხმება - კლასტერული ინიციატივების მართვის თეორიული საფუძვლების სწავლება წარმატებული კლასტერული პროექტების გასაღებათა მეთოდის გამოყენებით და კლასტერული მენეჯმენტი, როგორც კლასტერების მართვის ცოდნათა სისტემა.

კლასტერი დროსა და სივრცეში პარალელურად ვითარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი სივრცითი შეფასება და ის, თუ როგორია სივრცითი მოცულობა. სწორედ ამის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს კლასტერის სელექცია რეგიონულ და რაიონულ კლასტერებად.

ანალიტიკოსმა ახალზელანდიელმა ფუკს უილიამსმა წარმოადგინა კლასტერული ინიციატივის მენეჯერის მოქმედების სქემა, რომელიც შედგება 12 ეტაპისგან:

1. რეგიონში კლასტერის არსებობის მართებულობის ახსნა;
2. კლასტერის იდენტიფიკაცია;
3. საწყისი ანალიზი;
4. გუნდის ფორმირება;
5. სასურველი შედეგების განსაზღვრა;
6. სასურველი შედეგების მისაღწევად გეგმის შედგენა;
7. გადაუდებელი მოქმედებისათვის გეგმის შედგენა;
8. კლასტერული ინიციატივის დაწყება და ა.შ.

როგორც სქემიდან ჩანს, საქმე გვაქვს მენეჯმენტური საქმიანობის ფართო გამოხატულებასთან, რომელიც კლასტერებს, როგორც კომპანიების ჯგუფს და ორგანიზაციულ გაერთიანებებს, მთლიანობად აღიქვამს და მუშაობს მის ანალიზსა და სასურველი შედეგების მასშტაბური დონით მიღწევაზე. თანამედროვე მიდგომა საჭიროებს ჯგუფურ და დარგთაშორის ანალიზს, რაც კლასტერული მენეჯმენტის საშუალებით არის შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერი დროსა და სივრცეში პარალელურად ვითარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი სივრცითი შეფასება და ის, თუ როგორია მისი სივრცითი მოცულობა. სწორედ ამის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს კლასტერის სელექცია რეგიონულ და რაიონულ

კლასტერებად. თავად მისი დაჯგუფება რეგიონულ და რაიონულ დონეზე ცხადია ცვლის მის მიმართ მიდგომებს.

ეკონომიკის განვითარებაზე ასეთი კომპლექსური და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა პრაქტიკაში კარგადაა აპრობირებული და მას, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

ის აზრი, რომ საბაზრო ეკონომიკა სტრატეგიულ დაგეგმვას არ საჭიროებს და ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებს, არის მცდარი, ან გათვლილია იმაზე, რომ მოსახლეობა გამიზნულად შეიყვანონ შეცდომაში. ლიბერალური ეკონომიკა სულაც არ ნიშნავს მიზნების, ამოცანების, ხედვებისა და გეგმების გარეშე ცხოვრებას და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვებას. დგას საშიშროება იმისა, რომ კონკურენციაში მყოფი გაყიდვების ბაზარმა შეიძლება ეკონომიკა ბოლოს და ბოლოს სოციალურად ეფექტიან ნონასწორობამდე მიიყვანოს, ეს პროცესი კი შეიძლება ძალიან გაინელოს და რესურსების არასწორი ხარჯვის გამო მეტისმეტად უყაირათო გამოდგეს.

ნობელის პრემიის ლაურეატის ვასილი ლეონტიევის აზრით, ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში შეიძლება არსებობდეს 2 მიდგომა: პირველი ესაა - მოსინჯვისა და შეცდომების მიდგომა, ხოლო მეორე - სტრატეგიული (ანუ გეგმიური) მიდგომა.

პირველი მიდგომა განწირულია კრახისთვის, იმის გამო, რომ რომელიმე კერძო მიმართულებებისაკენ „პედალირებული“ პოლიტიკა, არა მარტო მოახდენს ზემოქმედებას იმ სფეროებზე, რომლისკენაც იგი უშუალოდაა მიმართული, არამედ, გამოიწვევს წინასწარგანზრახულ და ნეგატიურ გამოვლინებებს ასევე სხვა სფეროებშიც, რაც სერიოზულ პრობლემებამდე მიგვიყვანს.

რაც შეეხება მეორეს, ვ. ლეონტიევის აზრით, „კერძო დაინტერესების გარეშე მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა შეუძლებელია და სულ ცოტა, „რბილი“ (ინდიცატივე) დაგეგმვით ცივილიზებული საზოგადოება არსებობას ვერ შეძლებს“. ჩვენც ამ შეხედულებებს ვიზიარებთ.

თანამედროვე გამოწვევები ნათლად გვიბიძგებენ ისეთი ანალიზური მეთოდების შემუშავებისკენ, რომელიც ფართო მასშტაბებს მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ.** „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“, თბილისი, 2010, 393 გვ.
2. **ბარათაშვილი ე., ოთინაშვილი რ., ბერიკაშვილი ლ., აბრალავა ა.** „ბიზნესის ქსელური ორგანიზაცია: კლასტერული მენეჯმენტი და უსაფრთხოება“, თბილისი, 2013, 208 გვ.
3. **ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ.** „ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა“, თბილისი, 2012, 303 გვ.
4. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., მარიდაშვილი მ., ჩეჩელაშვილი მ., მახარაშვილი ი., ლამბაშიძე თ.** „შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია“, თბილისი, 2016, 574 გვ.
5. **ბარათაშვილი ე., ყურაშვილი გ., მახარაშვილი ი.** კონკურენტუნარიანი მენეჯმენტი ქართული მეღვინეობის კლასტერის ჩამოყალიბებაში, შრომების კრებული „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, III, 2018, გვ: 51-53.
6. **ლალანიძე გ., რამიშვილი ბ.** საქართველოში კლასტერულ ფასეულობათა ჯაჭვების ფორმირების პრობლემები და პერსპექტივები, შრომების კრებული „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, 2018, III, გვ. 435-440
7. Развитие кластеров: сущность, актуальные подходы, зарубежный опыт/ авт.-сост. С. Ф. Пятинкин, Т. П. Быкова. Минск: Тесей, 2008, 72 с.
8. Соколенко С.И. Производственные системы глобализации: Сети. Альянсы. Партнерства. Кластеры: Укр. контекст.-К.: Логос, 2002, 647с.

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში

მაია თეთრუაშვილი¹, პროფესორი; გელა ნიკლაური², პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: უმუშევრობის ბუნებრივი მაჩვენებლის გათვლა სწორია თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად რთულია.

მთავრობას შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს უმუშევრობისა შემცირებისა და კეთილდღეობის ზრდისთვის. მაგალითად, მას შეუძლია შეცვალოს კანონები და წესები, ასევე გადასახადების დონე. თუმცა ეს ცვლილებები უნდა იყოს გონივრული, რომ ბიზნესმა უფრო მეტად არ შეამციროს დაქირავებულთა რაოდენობა.

დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში სამუშაო ძალის დიდი ნაწილი საქმდება სოფლად, აგროვებს და ყიდის ტყის პროდუქტებს, ან მისდევს თევზჭერას, ან ნადირობას. ასეთი სამუშაო, ხშირად მოკლევადიანია და არც სტაბილური შემოსავალი არ მოაქვს. უმუშევრობის დათვლის აღიარებული მეთოდოლოგიის თანახმად კი, ასეთი სამუშაო ძალა დასაქმებულად მიიჩნევა, რაც რეალურად განასხვავებს მას ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და ამერიკაში „თვითდასაქმებულის“ ცნების ქვეშ მოაზრებული სამუშაო ძალისაგან.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, მაჩვენებლები, თვითდასაქმებული

UNEMPLOYMENT PROBLEM IN GEORGIA

Maia Tetrushvili, Professor; Gela Tsiklauri, Professor;
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract: Addressing the natural rate of unemployment is straightforward in theory but difficult in practice. Government can play a useful role in providing unemployment and welfare payments, for example, by passing rules about where and when businesses can operate, and assuring that the workplace is safe. However, these well-intentioned laws can, in some cases, become so intrusive that businesses decide to place limits on their hiring.

Low-income and middle-income countries face employment issues that go beyond unemployment as it is understood in the high-income economies. A substantial number of workers in these economies provide many of their own needs by farming, fishing, or hunting. They barter and trade with others and may take a succession of short-term or one-day jobs, sometimes receiving pay with food or shelter, sometimes with money. They are not “unemployed” in the sense that we use the term in the United States and Europe, but neither are they employed in a regular wage-paying job.

Keywords: unemployment, indicators, self-employed

შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განაცხადებით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 1,9% -ით შემცირდა და 2018 წელს 12.1% შეადგინა.

მათი განცხადებით, ეს შემცირება ძირითადად დაკავშირებულია სეზონური ფაქტორებისა და სამშენებლო და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმების კუთხით.

1 tetruashvilimaiko@gmail.ru

2 tsiklauri.gela@mail.ru

65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობისთვის, უმუშევრობა შედარებით დაბალია, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული.

მონაცემებით, 2018 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა წარმოადგენდა სამუშაოების 64% -ს (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა). წინა წელთან შედარებით, მოსახლეობის აქტივობისა და დასაქმების დონე 0.2 და 1.4 პროცენტული მაჩვენებლებით გაიზარდა. ურბანული დასახლებების დასაქმების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 2.5% -ით გაიზარდა და სოფლის დასახლებაში 0.2% -ით შემცირდა.

2018 წელს თვითდასაქმებულთა წილმა 48,7% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.9% -ით ნაკლებია.

იმ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, შორის, რომლებიც პრობლემას ქმნიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დასაქმების დონე, ანუ უმუშევრობა. უმუშევრობა გავლენას ახდენს სოციალური ყოფის ყველა ასპექტზე.

უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგებია:

- წარმოების ფაქტორთა არასრულყოფილად გამოყენების შედეგად, ეკონომიკური ზრდის შენელება;
- მოსახლეობის შემოსავლების, საარსებო წყაროს არარსებობა;
- მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების შემცირება;
- დაუსაქმებელი მოსახლეობის კვალიფიციური ჩამორჩენა და შედეგად ცოდნის „დაძველება“ გარდა ნეგატიური ეკონომიკური შედეგებისა, უმუშევრობა მრავალ სოციალურ და მორალურ უარყოფით შედეგსაც იძლევა ქვეყანაში.

როგორც ოუკენის კანონი გვიდასტურებს ფაქტობრივი უმუშევრობის 1%-ით ზრდა ბუნებრივ უმუშევრობასთან შედარებით, იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 2-2,5%-ით ჩამორჩენას.

საქართველოში, ისევე როგორც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დასაქმება- უმუშევრობა ითვლება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)- მეთოდოლოგიით.

ILO- ს მეთოდოლოგიის მიხედვით და საქართველოს სტატისტიკის სამსახური უმუშევრად აღიარებს 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანს, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტში გასული 7 დღის მანძილზე, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის ვადაში. ხოლო დასაქმებულია ყველა, ვინც თუნდაც 1 საათით მაინც იმუშავა, ნებისმიერი ტიპის სარგებლის სანაცვლოდ.

სტატისტიკის მიხედვით **2018 წელს** საქართველოში უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა **245,7** ათას კაცს, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის **12,7 %-ს შეადგენდა**. იგივე მაჩვენებელი, წლების მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

- **2017 წ. – 13,9%;**
- **2016 წ. – 14,0%;**
- **2015 წ. - 14,1%**
- **2014 წ. - 14,6%**

როგორც ვიცით, უმუშევრობის სხვადასხვა სახე არსებობს. რა სახის უმუშევრობასთან გვაქვს საქმე?

უმუშევრობა შეიძლება იყოს: ციკლური, ფრიქციული და სტრუქტურული.

ციკლური უმუშევრობა -ბუნებრივი დონიდან გადახრაა, რომელიც შედარებით მოკლევადიანია და საქმიანი აქტივობის ზრდას ან შემცირებას უკავშირდება.

ყოვლად აღიარებულია, რომ ქვეყანაში ინვესტიციების ზრდამ უნდა გამოიწვიოს დასაქმების მაჩვენებლის ზრდაც. ჩვენს ქვეყანაში **EPRC**-ს კვლევების შედეგად კი დადასტურდა, რომ განხორციელებული ინვესტიციების ზრდა ადექვატურად ვერ აისახა დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდაზე. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში უმუშევრობის დიდი ნაწილი სტრუქტურულ უმუშევრობაზე მოდის.

ამის დასტურად გამოდგება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსიც, რომლის მიხედვითაც საქართველო 2017-2018 წლების მონაცემებით 8 საფეხურით ჩამოქვეითდა და ის 64 ადგილზე იმყოფება 137 ქვეყანას შორის.

ამ ინდექსის მიხედვით, საქართველოსთვის კვლავ დაუძლეველ პრობლემად და პრიორიტეტად განათლების ხარისხი წარმოგვიდგება, მაშინ, როცა საქსტატის მონაცემებით საქართველო სამუშაო ძალის განთლების მიხედვით ლიდერი ქვეყანაა და ამავდროულად, უმუშევართა რაიმის 75% -ს სამუშაო და უმაღლესი განათლება აქვს. ზემოთხსენებულთან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურულმა ცვლილებამ, გამოიწვია სამუშაო ძალის ცოდნისა და უნარების შეუსაბამობა შრომის ბაზართან, რაც საბოლოო ჯამში სტრუქტურულ უმუშევრობაში აისახა.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიას ახლავს, ეს არის „თვითდასაქმებულთა“ ცნება.

გარდამავალი ტიპის დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში სამუშაო ძალის დიდი ნაწილი საქმდება სოფლად, აგროვებს და ყიდის ტყის პროდუქტებს, ან მისდევს თევზჭერას, ან ნადირობას. ასეთი სამუშაო, ხშირად მოკლევადიანია და არც სტაბილური შემოსავალი არ მოაქვს. უმუშევრობის დათვლის აღიარებული მეთოდოლოგიის თანახმად კი, ასეთი სამუშაო ძალა დასაქმებულად მიიჩნევა, რაც რეალურად განასხვავებს მას ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და ამერიკაში „თვითდასაქმებულის“ ცნების ქვეშ მოაზრებული სამუშაო ძალისაგან.

რა უნდა გააკეთდეს და რა კეთდება ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის ზრდის შემცირებისასათვის?

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნების დასაქმების პოლიტიკას განსაზღვრავს მთავრობა ორი მიმართულებით, ესენია: **აქტიური და პასიური პოლიტიკა**.

აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დასაქმებისა და ხელფასების გაზრდა მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიცხვში შესვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა **აქტიური პოლიტიკის** გავრცელებული ფორმებია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციის მიხედვით აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტებია :

- საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services);
- პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training);
- დასაქმების ნახალისება (Employment Incentives);
- შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation);
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (Direct Job Creation);
- სტარტაპების ნახალისება (Start-up Incentives).

პასიური პოლიტიკა ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. პასიური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- უმუშევრობის დაზღვევა;
- ვადამდელი პენსია³.

შრომის ბაზრის განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკაზე მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. დასაქმების რეფორმების ძირითადი ამოცანაა:

1. ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;
2. შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა; - შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება-სრულყოფა და ამის საფუძველზე უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა;
3. სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციების განწვევა, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა; -
4. ავტორიზებულ და აკრედიტებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების მომზადება და გადამზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების შედეგად ქვეყანაში :

- უნდა შემცირდეს უმუშევრობის დონე;
- სამუშაო ძალამ უნდა შეიძინოს და გამოიმუშაოს შრომის ბაზრის ადექვატური უნარ-ჩვევები;
- უნდა აღმოიფხვრას დისბალანსი დასაქმების მიწოდებასა და მოთხოვნას შორის;

ყოველივე ზემოაღნიშნული კი, ხელს შეუწყობს გრძელვადიანი სტრატეგიის მთავარი მიზნის განხორციელებას - რომ საქართველოს ეკონომიკა, გარდაიქმნეს სერვისების ეკონომიკად, რაც თავის თავში გულისხმობს საფინანსო მომსახურების, ტრანსპორტის და ტურიზმის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. <http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=397&lang=geo>
2. https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_GEO.pdf
3. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>
4. http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/98816/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98

³ http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/98816/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98

ანაკლიის პროექტი - საზღვაო ქვეყნის განვითარებისათვის

ნანა ახალაია¹, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ნინო ხმიადაშვილი, დოქტორანტი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმანყოფანი პორტია. ის აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. უმაღლესი ხარისხის მომსახურებასთან ერთად, ეს ფაქტორები შეუწყობს ხელს პორტის პროდუქტიულობას, ეფექტურობასა და საიმედოობას.

ანაკლიაში ღრმანყოფანი პორტის საზღვაო სამუშაოები დაიწყო, რომელიც მასშტაბითა და საინჟინრო გადაწყვეტით, საქართველოსთვის უპრეცედენტოა. ის შეიტანს ძალიან მნიშვნელოვან წვლილს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში და კონკურენტული მარშრუტებიდან საქართველოში სხვა ტვირთებისა და მოცულობების გადმოტანა მოხდება. ანაკლია მდებარეობს ძველი სავაჭრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე და ის წარმოადგენს ახალი აბრეშუმის გზის საკვანძო სატრანსპორტო წერტილს ჩინეთსა და ევროპას შორის. ქვეყანას სჭირდება საზღვაო საქმიანობის გაძლიერება. ეს ეხება როგორც საზღვაო სერვისების განვითარებას, ფლოტის შექმნას, აგრეთვე მეზღვაურების უმაღლესი სკოლების მხარდაჭერას და განვითარებას. ეს ორი გამოწვევა არის ძალიან დიდი გამოწვევა საქართველოსთვის და გვჯერა, რომ ანაკლია და ეს დიდი პროექტი წვლილს შეიტანს ამ ორი გამოწვევის გადაწყვეტაში. საქართველო არის კარიბჭე რვა ქვეყნისთვის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და ამავე დროს დიდი შესაძლებლობა. საქართველო პოზიციონირებს, როგორც საზღვაო ქვეყანა და მიზანია, მოვახდინოთ ამ პოზიციონირების პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, ანაკლიის პროექტი, პორტი, საზღვაო ქვეყანა, საზღვაო ტრანსპორტი

THE PROJECT OF ANAKLIA - DEVELOPMENT OF THE MARINE COUNTRY

Nana Akhalaia, Doctor of Economic Sciences, Professor
Nino Khmiadashvili, Doctoral student

Abstract: Anaklia Deep Sea Port will be the first Georgian container port with a deep water, state-of-the-art infrastructure and equipment. These factors will create port productivity, efficiency and reliability along with a superior customer service.

In Anaklia have begun Georgia, which is striving towards forming in common Eurasian space, is occurring as a center of the connection area between two parts of the world- Europe and Asia. works for deep-water port. This is the most significant port for its' levels and engineerings. It will be a crucial aspect in Georgia's competitiveness. Anaklia, positioned in a strategic location on the ancient trade route represents a critical transport node on the New Silk Road between China and Europe. Anaklia port's location, technical and infrastructure capabilities will be the primary drivers to attract cargo. The country needs to enhance maritime works. I mean the development of maritime services and navy. Added to this, Georgia needs to support the schools of sailors. These two challenges are the most

¹ akhalaia.n@gmail.com

significant in our country's life and we are inclined that in this point of view Anaklia deep-water port is the most important aspect.

Georgia is a gate for eight countries which don't have seas around them. This is a great responsibility for us as well as a big possibility. The aim of Georgia is to develop its maritime title and positions.

Key words: Black Sea, Anaklia Project, Port, Marine Country, Marine Transport

შესავალი

ისტორიულად, საქართველო მისი გეოგრაფიული თავისებურებებიდან, გლობალური და საერთაშორისო ურთიერთობის ადგილისა და როლიდან გამომდინარე, ხმელთაშუა და შავი ზღვის ასპარეზის საზღვაო სახელმწიფოა. საქართველომ ეს სტატუსი დაიმსახურა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, შავ ზღვაზე გასვლის და საზღვაო საზღვრების განფენილობის მიხედვით, ასევე შავი ზღვის შესწავლის პერსპექტივით, საზღვაო ტრანსპორტის ნაოსნობის, ევროპასა და აზიის შორის ბუნებრივი დერეფნის განვითარებით. კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება-გაფართოების მიზნით. საქართველო, რომელიც ერთიან ევრაზიულ სივრცეში ფორმირებისაკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის- ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გვევლინება.

დღეს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობით. საქართველო საზღვაო კარიბჭა ამიერკავკასიისათვის, რასაც სათანადო დაფასება და გამოყენება სჭირდება. ამჟამად შავ ზღვაზე საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნავსადგურებია ბათუმის, ფოთის, სუფსის, ყულევის და მშენებარე ანაკლია. მათ შორის ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები ახლო წარსულში აქტიურ როლს ასრულებდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვაო გადაზიდვებში, საზღვაო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებაში მსოფლიოს ქვეყნებთან, ხოლო რაც შეეხება ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობას ეს არის ურპეცედენტო მასშტაბის პროექტი რეგიონში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები მონაწილეობენ.

ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მნიშვნელობა

ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობას და განვითარებას ახორციელებს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ბიზნესლიდერთა გუნდს და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე კომპანიებს, საქართველოს მთავრობასთან ერთად. მისი ხედვაა ანაკლიის პორტის საერთაშორისო კლასის კომპლექსად ჩამოყალიბება და მისი უმნიშვნელოვანეს სავაჭრო წერტილად გადაქცევა, როგორც ცენტრალურ აზიასთან, ასევე ახალი აბრეშუმის გზის სავაჭრო გზაზე, ევროპასა და ჩინეთს შორის. ანაკლიის პორტის დატვირთვის ერთ-ერთ მთავარ გამნაპირობებელს წარმოადგენს ტრანზიტული ტვირთების ზრდა საქართველოს სატრანზიტო კორიდორის გავლით როგორც რეგიონის მეზობელი ქვეყნების მიმართულებით, ისე ახალი აბრეშუმის გზისპირა ქვეყნების მიმართულებით. საქართველოს ანაკლიის პორტის, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარება დამოკიდებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის

სატრანზიტო შემაერთებელი კორიდორის შემადგენელი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე. წლების განმავლობაში, ქართველო და უცხოელი ეკონომისტების დათვლით, ანაკლიის პროექტის მთლიანად განვითარებამ ქვეყანაში 60 მილიარდის კონტრიბუცია უნდა შექმნას

ანაკლიაში ღრმანწყლოვანი პორტის საზღვაო სამუშაოები დაიწყო, რომელიც მასშტაბითა და საინჟინრო გადაწყვეტით, საქართველოსთვის უპრეცედენტოა. ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა სულ 9 ფაზად არის დაგეგმილი. პროექტის ჯამური ღირებულება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

პირველ ფაზაში, ანაკლიის პორტი 1500 ადამიანი დაასაქმებს პირდაპირ და რამოდენიმე ათას ადამიანს ირიბად. უახლოეს ორ წელიწადში, ჩაიდება დაახლოებით 600 მლნ აშშ დოლარი. ეს იქნება საკმაოდ სერიოზული განაცხადი იმ მარშრუტისა, რომელსაც ჰქვია ერთი სარტყელი - ერთი გზა - აბრეშუმის გზა - რომელიც გზას გაუხსნის ცენტრალური აზიის ტვირთებს ევროპისკენ და პირიქით. ანაკლიის პორტის პირველი ფაზისთვის ამუშვებისთვის, აშენდება ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს 10,000-კონტეინერიანი (TEU) პანამაქსის და პოსტ-პანამაქსის ტიპის გემები, რომელთაც დღესდღეობით საქართველოში არსებული სხვა პორტები ვერ ემსახურება. 2021 წლისთვის ანაკლიის პორტის 1 მილიონამდე (TEU) კონტეინერის და 1.5 მილიონი ტონა მშრალი ნაყარი ტვირთის გატარებას შეძლებს.

ანაკლიის პროექტი საქართველოს ეკონომიკური ზრდის ორ ძალიან მნიშვნელოვან გამონვევას უპასუხებს - საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებასა და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნას, ასევე საზღვაო ქვეყნად ჩამოყალიბებას, ამის შესახებ საუბრობენ სფეროს ექსპერტები. ანაკლიის პროექტი შეიტანს ძალიან მნიშვნელოვან წვლილს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში და კონკურენტული მარშრუტებიდან საქართველოში სხვა ტვირთებისა და მოცულობების გადმოტანა მოხდება. ქვეყანას სჭირდება საზღვაო საქმიანობის გაძლიერება. ეს ეხება როგორც საზღვაო სერვისების განვითარებას, ფლოტის შექმნას, აგრეთვე მეზღვაურების უმაღლესი სკოლების მხარდაჭერას და განვითარებას. ეს ორი გამონვევა არის ძალიან დიდი გამონვევა საქართველოსთვის და გვჯერა, რომ ეს დიდი პროექტი წვლილს შეიტანს ამ ორი გამონვევის გადაწყვეტაში. ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის პირველი ბაზის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულდეს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საზღვაო ტრანსპორტი მსოფლიო ეკონომიკის ხერხემალია. სწორედ საზღვაო ტრანსპორტზე მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის ყველაზე დიდი წილი. მოგეხსენებათ, საზღვაო ტრანსპორტი საუკუნეების განმავლობაში საქონლის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ყველაზე საიმედო და ეფექტიანი საშუალება იყო. დღეს კი, ჩვენს ეპოქაში, 21-ე საუკუნეში, მისი განვითარება სრულიად ახალ მოთხოვნებს გვიყენებს.

დასკვნა

და ბოლოს, საქართველოს მთავრობა ახორციელებს მნიშვნელოვან ინიციატივებს, ხელსაყრელი გეოგრაფია და უნიკალური მდებარეობა საქართველოს ხელს უწყობს, გახდეს რეგიონული ჰაბი მრავალი მიმართულებით: საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ტურისტული და საფინანსო ჰაბი. ეს არის ის გზა, რომელიც შესაძლებელს გახდის არამარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებას და თვისობრივად შეცვლის საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველო არის კარიბჭე რვა ქვეყნისთვის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და ამავე დროს დიდი შესაძლებლობა. ლოგისტიკურ ჰაბზე საუბრისას, იგულისხმება ეფექტიანი საგზაო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის არსებობა. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებას აქვს

ამბიციური გეგმები და ხორციელდება ისეთი მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტები, როგორცაა ანაკლიის ღრმანწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი, საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაცია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომანქანების პროექტი, თბილისსა და ქუთაისში თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების განვითარება, ასევე საქართველო ჩართულია ისეთი გლობალური მნიშვნელობის პროექტებში, როგორცაა – „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა, ტრასეკა, ლაპის ლაზული, სპარსეთის ყურე – შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი და ბევრი სხვა. საქართველო პოზიციონირებს, როგორც საზღვაო ქვეყანა და მიზანია, მოვახდინოთ ამ პოზიციონირების პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. მარგალიტაძე, ე. გეგეშიძე „სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე“ თბილისი 2016
2. პ. არიშიძე “ერთი სარტყელი-ერთი გზა“ და საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის პერსპექტივები. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა/ INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT #4, 2017
3. ი. დანელია - ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები, ჟ. „ფორბსი“ აპრილი, 2016 <http://forbes.ge/news/1309/anakliis-porti-da-misi-perspectivebi>
4. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ოფიციალური საიტი - <http://www.georoad.ge>
5. <http://gov.ge>
6. www.economy.ge
7. www.mrdi.gov.ge
8. <https://www.wikipedia.org/>

საქართველო, როგორც ტრანსკავკასიური დერეფანი

ნინო ჭილაია¹, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალიზაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს კარდინალურად ცვლის. შესაბამისად, დღეს, როგორც არასოდეს, პრიორიტეტულია საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართვა და სრული ინტეგრაცია.

სატრანზიტო ფუნქცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ წარმოებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, სწორედ ამ ჭრილში საინტერესოა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის არსის ანალიზი, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებდა და ხელს უწყობდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებული გვაქვს საქართველოს, როგორც ტრანსკავკასიურ დერეფანზე და განხილული გვაქვს, ის რამდენიმე პროექტი, რომელთა განხორციელებაც ჩვენს ქვეყანას ზემოთნახსენები დერეფნის ფუნქციის ტარების საშუალებას აძლევს და აღნიშნული პროექტების მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების საკითხში.

საკვანძო სიტყვები: ტრანსკავკასიური დერეფანი, სატრანზიტო კვანძი, სატრანსპორტო დერეფანი

GEORGIA, AS A TRANSCAUCASIAN CORRIDOR

Nino Tchilaia, doctor of business administration, Assistant-Professor
Batumi Navigation Teaching University

Abstract: scientific and technological advances, as well as globalization fundamentally change a country's opportunities for social and economic development. Accordingly, to be integrated and engaged in a global economy is a priority, as never before.

Transit function plays an important role in conducted internal and foreign policy of the countries, in this regard, it is interesting to analyze essence of Georgia's transit function based on it geopolitical situation, that somehow conditioned and contributed to the development of transit function. Thus, the present paper focuses on Georgia, as a Transcaucasian corridor, discusses different projects implementation of which provide the opportunity to become a transit center and emphasizes importance of these projects in the development of the country.

Key words: Transcaucasian corridor, transport hub, transport corridor

შესავალი

კონკურენციის პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სატრანზიტო ფუნქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ ფუნქციის ეფექტური გამოყენება უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, სატრანსპორტო დერეფნის რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებას საერთოდ და მათ შორის ეკონომიკურ უკეთილდღეობას.

¹ e-mail: nini.tchilaia@gmail.com

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს უკავია ცენტრალური ადგილი, აღმოსავლეთ-დასავლეთის (შავი და კასპიის ზღვები) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთსა და თურქეთს შორის) მიმართულებით სატრანზიტო გადაზიდვებისას. ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაფართოვდა საქართველოს, როგორც ტრანსკავკასიური დერეფნის ფუნქცია. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია სწორედ ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებმაც უზრუნველყეს საქართველოს, სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას და ტრანსკავკასიურ დერეფნად ფორმირება.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დასაბამიდანვე მნიშვნელოვანი იყო სატრანსპორტო გზების არსებობისათვის. ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ III–II ათასწლეული) მოყოლებული, სწორედ კავკასიის საშუალებით ხდებოდა კავშირები აღმოსავლურ სამყაროსა და ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი “აბრეშუმის გზა” კი, რომელიც წყაროებში ტრანსკონტინენტურ საქარავნო გზად მოიხსენიება, ჩინეთის მაკავშირებელი იყო შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებთან. აღსანიშნავია, რომ “აბრეშუმის გზამ” ხელი შეუწყო აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონების დაახლოებას, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გამყარებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს ოდითგანვე ჰქონდა შესაძლებლობა ჩართულიყო მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში.

მე-20 საუკუნეში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც განსაკუთრებული სატრანზიტო სავაჭრო კვანძი, კავკასიის ცენტრი, დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. ჯერ კიდევ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 1992-1993 წლებში კავკასიის დერეფნის ეკონომიკური პრობლემატიკა დაამუშავა „ბარენცის“ ჯგუფმა. აღნიშნული ჯგუფის რეკომენდაცია იყო საქართველოს ტერიტორიის გავლით სხვადასხვა სატრანსპორტო გზების დაფინანსების ხელშეწყობა.

1993 წლის მაისში, ბრიუსელში ევროგაერთიანების, სამხრეთ კავკასიისა ცენტრალური აზიის ქვეყნების შეხვედრა გაიმართა, რომელშიც რვა ქვეყანა მონაწილეობდა – აზერბაიჯანი, თურქმენეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. კონფერენციის შედეგად მიიღეს ბრიუსელის დეკლარაცია, რომელმაც დასაბამი მისცა ტექნიკური ხელშეწყობის რეგიონთაშორის პროგრამას ევროკავშირის დაფინანსებით, “TACIS-TRACECA”. ეს პროგრამა ითვალისწინებს ევროპიდან აზიისკენ შავი ზღვის გავლით, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ ძლიერი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას, რომლის დაფინანსებაც თავის თავზე ევროკავშირმა აიღო. ეს არის სატრანსპორტო კორიდორი, რომელიც მოიცავს რკინიგზას, სავტომობილო, საჰაერო, საზღვაო გზებს, საზღვაო ნავსადგურებს, სამგზავრო და სატვირთო ტერმინალებს. ტრასეკა ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ TRACECA-ს ხელშეკრულების ქვეყნები დღეს უკვე მოიცავენ მსოფლიო სივრცის უზარმაზარ ნაწილს აშშ-დან იაპონიამდე. ევროპა-აზიის ამ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის მიზანია შავი ზღვის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა საერთაშორისო ტრანსპორტის გაუმჯობესების გზით. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მეშვეობით ხდება „ტრასეკა“-ს მარშრუტზე გატარებული ენერგო-მატარებლების 94%-ის გადატვირთვა, ასევე ამ მიმართულებისა და საქართველოს სამხრეთით განლაგებული ქვეყნების მშრალი

ტვირთების გადაზიდვები. ტრასეკას დერეფნით მიწოდებული ნედლი ნავთობისა და ტვირთების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოში, არამედ, რეგიონში ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნების პოტენციალის სრულად ათვისებას და უშუალოდ ნავთობქიმიურ მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვას. მსხვილი ნავთობკომპანიების მეტ დაინტერესებას ახალ პროექტებში მონაწილეობისათვის.

მე-20 საუკუნის ბოლოს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა შეიძინა საქართველომ, როგორც „ენერჯეტულმა დერეფანმა“. 1996 წელს ძალაში შევიდა ე.წ. „სარაზისის ხელშეკრულება“ და დაიწყო ყაზახეთიდან „შევრონის“-ს ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ქ.ბათუმის პორტამდე. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე, რომელიც დასრულდა 1999 წელს და დერეფანმა მიიღო „ენერჯეტიკული“ ასპექტი. ასევე მნიშვნელოვანია ორი საერთაშორისო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტი - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი „შაჰ-დენიზი“. „შაჰ-დენიზის“ გაზსადენი ექსპლუატაციაში შევიდა 2006 წელს და მისი მეშვეობით შესაძლებელია დაახლოებით 5-8 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება.

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას აამაღლებს „ლაპი ლაზულის“ (Lapis Lazuli) პროექტის განხორციელება. პროექტის იდეა ჯერ კიდევ 2012 წელს გაჩნდა. საუბარი იყო ხუთ მონაწილე ქვეყანაში ინტეგრირებულ სატრანზიტო და სატრანსპორტო სისტემის შექმნაზე, რომელიც მოიცავს საავტომობილო გზებს, რკინიგზას, საზღვაო და სახმელეთო პორტებს. დერეფანი მოიცავს ავღანური სატრანსპორტო დერეფან CAREC #2-ის მონაკვეთებს. საერთაშორისო კორიდორ lapis Lazuli-ის ფარგლებში ავღანეთიდან გამოსული ტვირთი რკინიგზითა და ავტომანქანების გზით თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში შედის, საიდანაც კასპიისპირა პორტ თურქმენბაშიში გადადის. კორიდორი ბაქომდე გრძელდება და თბილისის, ასევე ფოთისა და ბათუმის პორტებით სტამბოლისკენ მიემართება. პირველი მარშრუტის ფარგლებში ავღანეთიდან 9 სატვირთო ავტომობილი 2018 წლის 13 დეკემბერს გამოვიდა, ტვირთის საერთო წონა კი 175 ტონა იყო. პროექტის სრულყოფილი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მსხვილი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების ინფრასტრუქტურის შექმნა, პროექტის ხუთივე ქვეყანაში სახმელეთო პორტების მუშაობის დახვეწა და ბოლოს, შეიქმნას ტრანსსასაზღვაო საბაჟო ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება, რომლებიც დაბეგვრისგან გათავისუფლებული იქნება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული პროექტი მეტ დატვირთვას სძენს საქართველოს სატრანსპორტო დერეფანს და ხელს შეუწყობს დამატებითი ტვირთების მოზიდვას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაფართოვდა საქართველოს, როგორც ტრანსკავკასიური დერეფნის ფუნქცია. საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზები, შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალით, ერთად ქმნიან ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. აღნიშნულ დერეფნის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა საქართველოს ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტმა, რომელიც 2017 წლის ოქტომბერში გაიხსნა ოფიციალურად და აერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რკინიგზების შეერთებას ევროპასთან თურქეთის რკინიგზის გავლით. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთი მოიცავს 22 ხიდს, 13 სადგურს, 24 გზაგამტარს და 4 თოვლდამცავ გალერეას. აღნიშნულ სარკინიგზო დერეფანს აქვს პოტენციალი გახდეს ევროპა-კავკასია-აზიის უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო დერეფანი, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ ტვირთბრუნვას, არამარტო საქართველოსა და თურქეთს შორის, არამედ კასპიის ზღვის პირას მდებარე სახელმწიფოების – აზერბეიჯან-

ნისა და შუა აზიის ქვეყნების ტვირთების, პირველ რიგში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას თურქეთის ხმელთაშუა ზღვის, ჯეიჰანის პორტამდე. ჯეიჰანიდან ეს ტვირთები მოხვდება მსოფლიო ბაზარზე და ბოსფორის სრუტის გავლით ევროპაში. ამასთანავე, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები, საქართველოსა და აზერბეიჯანის გავლით, რკინიგზით დაუკავშირდებიან ჩრდილოეთის, შუა და შორეული აზიის ქვეყნებს.

საქართველოს პორტებიც იმ დერეფნების მთავარი ნაწილია, რომელთა მეშვეობითაც ტრანზიტით ხორციელდება კავკასიის რეგიონისკენ შავი ზღვის გავლით და პირდაპირი წვდომა აქვს რკინიგზასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალთან. ბათუმის პორტი ნავთობპროდუქტების ჩატვირთვის ერთ-ერთ მთავარი პორტია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში. ანაკლიის ღრმანყოფილება ნავსადგურიც, რომლის მშენებლობაც 2017 წელს დაიწყო და 2021 წელს უნდა დასრულდეს თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით ქვეყნისთვის სტრატეგიულ პროექტს წარმოადგენს. მისი უპირატესობები - სტრატეგიული მდებარეობა, მაღალი გამტარუნარიანობა, სპეციალური ეკონომიკური ზონისა და ლოგისტიკური სერვისების განვითარების შესაძლებლობა საქართველოსთვის შანსია, გახდეს მნიშვნელოვანი საზღვაო კარიბჭე და გზაჯვარედინი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, დაიბრუნოს თავისი ისტორიული მისია ახალი აბრეშუმის გზის კორიდორში და იქცეს რეგიონში მნიშვნელოვანი ლოგისტიკური კვანძი.

ევროკავშირში სულ უფრო მეტად ხდება შავი ზღვისა და კასპიისპირეთის რეგიონის მნიშვნელობის გაცნობიერება, მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის კუთხით. ცივილიზებული მსოფლიო უკვე აკეთებს აქცენტს პოლიტიკის ჰარმონიზაციასა და ადმინისტრაციული სისტემების ინტეგრაციაზე, როგორც საქართველოს სატრანსპორტო ღერძების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პრიორიტეტული პროექტების განხორციელების ფაქტორზე.

სატრანზიტო ტვირთების ტრანსპორტირებით შესაძლებელი ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. ამიტომაც, თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციისა და ეკონომიკური კარგახსნილობის პირობებში, სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება და სატრანსპორტო დერეფნის განვითარება საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს, დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში და რეგიონის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოზე გამავალი ტრანსკავკასიური დერეფანი აღმოსავლეთ აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულ დერეფანს გააჩნია ალტერნატიული, კონკურენტული გზები, როგორც რუსეთის, ასევე ირანისა და თურქეთის ტერიტორიების გავლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კონკურენტულ პირობებში საქართველოს მიერ ტვირთმფლობელებისათვის მომგებიანი პირობების შეთავაზება, თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ტვირთების გარანტირებულად დაცვას, მათ სწრაფად გადაზიდვასა და სატრანსპორტო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას უზრუნველყოფს.

სატრანსპორტო დერეფნის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მონაწილე სატრანზიტო ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმებული და თანმიმდევრული სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება და სატრანსპორტო დერეფანში ადეკვატური ინფრასტრუქტურის არსებობა. მართალია საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუქტურა დიდ გავლენას ახდენს სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობაზე, თუმცა სატრანზიტო ინფრასტრუქტურის დახ-

ვენა ერთ-ერთი მთავარ წინაპირობად რჩება, რათა საქართველო გახდეს საერთაშორისო სატრანზიტო დერეფანი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მატარებელი იქნება. შესაბამისად, აუცილებელი ხდება სარკინიგზო ხაზების გამართულობის უზრუნველყოფა, საავტომობილო გზების ტექნიკური მახასიათებლების მიახლოება მსოფლიო სტანდარტებთან, უსაფრთხო გარემო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საზღვაო პორტების და ტერმინალების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტებით. სატრანსპორტო დერეფნის რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც სახელმწიფო, ისე ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ბიბლიოგრაფია

1. „Afghanistan launches Lapis Lazuli transit route to Europe via Georgia“, <http://agenda.ge/en/news/2018/2654>, 2018
2. ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა, 2013
3. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მაჩვენებლები, http://www.bp.com/en_az/caspian/operationsprojects/pipelines/BTC.html, 2017
4. **ბაბუციძე მ., ფხაკაძე გ.**, „საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია“, 2015

მიგრაციის გენდერული ასპექტები საქართველოში

ნათელა ნიკლაშვილი ¹, პროფესორი; თამილა თურმანიძე ², ასისტენტ პროფესორი;

ნატალია რობიტაშვილი ³, ასისტენტ პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: მიგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, გლობალური პრობლემაა. ნებაყოფლობითი მიგრაცია მზარდი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შრომის ბაზრის გამრავალფეროვნება. საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის პირველივე წლებში, თავი იჩინა შრომით-მა მიგრაციამ. ინტენსიური მიგრაციის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორს სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება წარმოადგენს.

ლეგალური და არალეგალური შრომითი მიგრაციის შედეგად, საქართველოდან გაედინება ჯანსაღი სამუშაო ძალა - ახალგაზრდობა. ემიგრანტთა ყველაზე დიდი წილი 20-დან 35 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ნაწილდება. ქვეყანაში თავს იჩენს დემოგრაფიული დაბერება.

1990-იან წლებში, საქართველოში რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე მიგრაციის მასშტაბი, რასაც 1993 წლიდან მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. მოსახლეობის რიცხოვნობა 1994 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4929,9 ათ კაცს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის რიცხოვნობა 3729,6 ათ. კაცით განისაზღვრა. ბოლო 24 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა 1200,3 ათ. კაცით შემცირდა, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიგრაციული პროცესები გვევლინება. ემიგრანტთა რაოდენობა დინამიკაში ზრდადია და მათ შორის მალაღია ქალების წილი.

მიგრაციის ძირითადი მიზეზები, როგორც კვლევებიდან ირკვევა, საქართველოში არსებული სიღარიბე, დასაქმების პრობლემა, მეურნეობიდან მიღებული დაბალი შემოსავლები და ზოგადად, უკეთესი ცხოვრების სურვილია.

საქართველოში შრომის ბაზარი ისეა გაჯერებული, რომ ქალები დაკავებული არიან ყველაზე ნაკლებ შემოსავლიან სექტორებში — ეს არის ჯანდაცვა, მომსახურების სფერო, განათლება.

საქართველოდან ემიგრირებული მოქალაქეების უმრავლესობა ოჯახის წევრებისათვის თანხებს გზავნის, რაც ამ ოჯახებს მინიმალურ სოციალურ გარანტიებს აძლევს.

მიუხედავად ბევრი უარყოფითი მხარისა მიგრაცია გარკვეულ წილად დადებითი პროცესია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც საერთაშორისო ფულადი გზავნილები ძალიან მნიშვნელოვანია. საინტერესო სურათს იძლევა ემიგრირებული ქალისა და კაცის განაწილება ქვეყნების მიხედვით. ქალები უფრო მეტად იმყოფებიან ისეთ ქვეყნებში, სადაც მათთვის ადვილია დასაქმება(მომვლელებად), ყველაზე მეტი ქალი საბერძნეთში, თურქეთსა და იტალიაშია, ყველაზე მეტი მამაკაცი კი უკრაინაში. ჯამურად ყველაზე მეტი ემიგრანტი კი რუსეთში იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რა მასშტაბის გავლენა აქვს ფულად გზავნილებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, გზავნილების მიმღებ შინამეურნეობათა დონ-

1 deputyrector-n@bsu.edu.ge

2 tamila.turmanidze@bsu.edu.ge

3 nato.robitchvili@bsu.edu.ge

ეზე, მათი ნვლილი ძალზედ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს განათლებაზე, ჯანდაცვაზე და კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები. მიგრაცია, მიგრაციის მიზეზები და შედეგები, მიგრაცია გენდერულ ქრილში, მიგრაციის სტატისტიკა.

GENDER ASPECTS OF MIGRATION IN GEORGIA

Natela Tsiklashvili, Professor; **Tamila Turmanidze**, Assistant Professor;

Natalia Robitashvili, Assistant Professor

Batumi Shota Rustaveli State University

Abstract: Migration is one of the most important global problem. Voluntary migration is going with a rapid pace, what is promoted with the development of technology, the access of information, diversification of labor market. In Georgia, in the first years of independence, obtained in 90-ies of the last centuries, labor migration appeared. The main factor of intensive migration is worsening of socio-economic conditions and living standards of Georgian population.

As a result of legal and illegal labor migration, healthy workforce – young people are migrating from Georgia. The largest number of emigrants is distributed in the age group between 25 – 35. Demographic aging appears in the country.

In 1990-ies, in Georgia, on the background of difficult economic and political situation, it has been significantly increased the scale of external migration and as a result of it, the number of Georgian population has been reduced since 1993 year. The number of population consisted of 4929,9 thousand men in accordance with the 1st of January, 1994 year and by the 1st of January, 2018 year – the number of population was determined with 3729.6 thousand men. For the last 24 years, the number of population was reduced with 1200,3 thousand men and one of the main factor of it is migration processes. The number of emigrants in dynamics is growing and among them, the number of women is high.

The reason why they're going to emigration is poverty of Georgia, employment problem, also the income is low from households, what forces the woman (and man as well) to go to other country to work.

The labor market in Georgia is so saturated that women are engaged in the least profitable sectors – such as health care, service sector, education. Their incomes are so low that they're forced to emigrate.

Most of the citizens, emigrated from Georgia send the money to their family members, what gives these families minimal social guarantees.

Despite of many disadvantages, emigration is somehow positive process, especially for the developing countries, for which it's very important international money transfer.

The distribution of emigrated women and men according to the countries gives us an interesting picture. Women are mostly in the countries, where it's easier for them to be employed (caretakers), most women are in Greece, Turkey and Italy, Most men are in Ukraine. In total, the highest number of emigrants are in Russia.

Despite of the fact that, there's not an exact answer on the question, what kind of influence has money transfer on economic growth, on the level of household of remitters, their contribution can be very important on education, health care and capital in order to improve accessibility.

Key words: Migration, causing reasons and result of the migration, migration in the context of gender, statistics of migration.

შესავალი

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაციის მაჩვენებლები. წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო „უხილავი“ ხდება. დასაქმებისა და განათლების ბაზარი იმდენად მასშტაბური და ინტერნაციონალური გახდა, რომ ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მიგრაციას თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები აქვს, მაგრამ ისეთ მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეს პრობლემა უფრო მწვავეა. თუ მიგრაციას განვიხილავთ გენდერულ ჭრილში, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, სამუშაო ძალის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე.

კვლევის მიზანია გამოავლინოს მიგრაციის გენდერული ასპექტები, მიზეზები და შედეგები. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნებისა და სტატისტიკური მეთოდები.

საქართველოს ისტორიაში მიგრაციას განსაკუთრებული როლი აქვს. მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მომხდარი ომების შედეგად, მოსახლეობა, ნებით თუ უნებლიეთ, მუდმივად მიგრირებდა ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს უახლესი ისტორია ემიგრაციის რამდენიმე ტალღას გამოყოფს: 1. 1950-იან წლებამდე, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი (საბჭოთა კავშირის შიგნით) გადასახლებებით ხასიათდება; 2. 1950-1990 წლებში, რა დროსაც საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ასევე უპირატესად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარეობდა და 3. 1990-იანი წლების მასობრივი ემიგრაცია, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სამხედრო კონფლიქტებს მოჰყვა. ეს უკანასკნელი მიგრაციული ტალღა, ძირითადად, რუსეთისკენ მიემართა. (მიგრაციის 2017:16)

თუმცა 2000 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებამ ემიგრაციული ნაკადი რუსეთიდან სხვა ქვეყნებისკენ (განსაკუთრებით უკრაინა, აშშ და ევროპის ქვეყნები) მიმართა. 2004 წლიდან ემიგრაციული პროცესები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა როგორც მოტივაციის, ისე მიმართულების კუთხით. ზუსტი სურათის დანახვას ართულებს ემიგრაციის კუთხით სანდო და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მექანიზმის არარსებობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ, 2017 წლის 28 მარტიდან, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, ვიზის გარეშე იმოგზაურონ ევროკავშირის ქვეყნებში, სწორედ 2017 წლიდან მოკლევადიანი ვიზების მოთხოვნა საქართველოში განთავსებულ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების საკონსულოებში საგრძნობლად შემცირდა.

ევროსტატის მონაცემის მიხედვით, 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებში 71,223, ხოლო 2016 წელს 74,416 საქართველოს მოქალაქე ფლობდა მოქმედ ბინადრობის ნებართვას. საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების წლიური რაოდენობა, 2010 წლიდან (53,020) მოყოლებული, მზარდია. ბინადრობის ნებართვების ტიპების ანალიზი აჩვენებს, რომ, ძირითადად, იზრდება ოჯახის გაერთიანების და „სხვა“ საფუძვლით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. ზრდის ტენდენცია შეინიშნება საგანმანათლებლო მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვებში. თუ 2012 წელს 1145 საგანმანათლებლო ნებართვა იყო გაცემული, 2018 წელს მათი რაოდენობა 2000-ზე მეტია.

ცხრილი 1.

ემიგრანტების განაწილება ქვეყნების მიხედვით გენდერულ ჭრილში

ქვეყანა	ქალი %	კაცი %
რუსეთი	29	71
საბერძნეთი	83	17
თურქეთი	67	33
იტალია	86	14
გერმანია	55	45
აშშ	51	49
ესპანეთი	52	48
საფრანგეთი	42	58
უკრაინა	20	80
აზერბაიჯანი	39	61

წყარო: საქსტატი 2018

საინტერესო სურათს იძლევა ემიგრირებული ქალისა და კაცის განაწილება ქვეყნების მიხედვით. ქალები უფრო მეტად იმყოფებიან ისეთ ქვეყნებში სადაც მათთვის ადვილია დასაქმება (მომვლელებად), ყველაზე მეტი ქალი საბერძნეთში, თურქეთში და იტალიაშია, ყველაზე მეტი მამაკაცი კი უკრაინაში. ჯამურად ყველაზე მეტი ემიგრანტი კი რუსეთში იმყოფება.

საქართველოს მოსახლეობის კლების პრობლემა იმიტომაცაა საგანგაშო, რომ ის მიმდინარეობს მოსახლეობისათვის რთულად აღსაქმელ გარემოში: ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონისა და უცხოეთში სამუშაოდ მასობრივი მიგრაციის დროს მოსახლეობის „ნაკლებობა“ საქართველოში ეკონომიკური (მუშახელის) თვალსაზრისით არ იგრძნობა.

საქართველო ამჟამად პრაქტიკულად ვერ ატარებს დემოგრაფიულ პოლიტიკას. უარყოფითი დემოგრაფიული ფონი წარმოშობს არარაციონალურ მიგრაციულ მობილურობას, თავის მხრივ, შრომითი მიგრაცია კიდევ უფრო აუარესებს ისედაც კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებას.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა და მასში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით - იზრდება მოკვდავობის კოეფიციენტები მოსახლეობის დაბალ ასაკობრივ ჯგუფებშიც, სავარაუდოდ შენარჩუნებული იქნება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო, ხოლო შრომითი მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ცნობილია, შრომისუნარიანი ასაკისაა.

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს, ქალებში აქტიურობის ყველაზე მაღალი დონე 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება (77%). დასაქმების დონე ყველაზე მაღალია (69%) იმავე ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი - 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში (26%). რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს 15-24 წლის ასაკის ქალებში (33%). (საქსტატი 2018)

ემიგრანტთა ყველაზე დიდი წილი 20-დან 35 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ნაწილდება.

ემიგრანტთა მოდალური ასაკი 28 წლით განისაზღვრა, ხოლო მედიანური ასაკი 32,9 წლით.

$$\bar{X}_{\text{mod.}} = x_{\text{mod.}} + h_{\text{mod.}} \frac{f_{\text{mod.}} - f_{\text{mod.-1}}}{(f_{\text{mod.}} - f_{\text{mod.-1}}) + (f_{\text{mod.}} - f_{\text{mod.+1}})} \approx 28 \text{ წელი}$$

სადაც

$\bar{X}_{\text{mod.}}$ – მოდალური საშუალოა;

$x_{\text{mod.}}$ – მოდალური ინტერვალის (ყველაზე მეტი სიხშირიანი) ქვედა ზღვარია;

$h_{\text{mod.}}$ – მოდალური ინტერვალის სიდიდეა;

$f_{\text{mod.-1}}$ – მოდალური ინტერვალის წინა ინტერვალის სიხშირეა;

$f_{\text{mod.}}$ – მოდალური ინტერვალის სიხშირეა;

$f_{\text{mod.+1}}$ – მოდალური ინტერვალის შემდეგი ინტერვალის სიხშირეა.

$$\bar{X}_{\text{med.}} = x_{\text{med.}} + f_{\text{med.}} \frac{\frac{\sum f}{2} - \sum S_{\text{med.-1}}}{f_{\text{med.}}} \approx 32,9 \text{ წელი}$$

სადაც

$\bar{X}_{\text{med.}}$ – მედიანური საშუალოა; $x_{\text{med.}}$ – მედიანური ინტერვალის ქვედა ზღვარია;

$h_{\text{med.}}$ – მედიანური ინტერვალის სიდიდეა; $\frac{\sum f}{2}$ – მწკრივის სიხშირეების ჯამის ნახევარია;

$S_{\text{med.-1}}$ – მედიანური ინტერვალის წინა ინტერვალის სიხშირეთა ნაზარდი ჯამია;

$f_{\text{med.}}$ – მედიანური ინტერვალის სიხშირეა.

ეს ასაკი ითვლება ქალის ფერტილობის ასაკის ყველაზე პროდუქტიულ პერიოდად. ამიტომ, ნათელია ის დანაკლისი რაც ქალთა მიგრაციისას იჩენს თავს, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე პერსპექტივაში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მეტად გამახვილდა ყურადღება ქალ მიგრანტებზე, რაც მიგრანტთა ნაკადების ფემინიზაციის გლობალურმა ტენდენციამ გამოიწვია. ამ პერიოდიდან კვლევებში ქალები წარმოდგენილი არიან არა როგორც ქმრებზე დამოკიდებული ცოლები, არამედ როგორც ქალები, რომლების დამოუკიდებლად გადაადგილდებიან და მონაწილეობენ შრომის სხვადასხვა სფეროში, თუმცა ძირითადად მომვლელებად და ძიძვებად. ამგვარად, ტერმინი „მიგრაციის ფემინიზაცია“ ხშირად გამოიყენება 80-იანი წლიდან, რაც ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქალ მიგრანტებთან დაკავშირებულ ცვლილებებს უკავშირდება.

საერთაშორისო მიგრანტთა შორის ქალებისა და გოგონების მაღალი მაჩვენებელი, რომელიც 60-იანი წლებიდან სტაბილურად იზრდებოდა, პირველად გაეროს მიერ 1998 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში გამოიკვეთა. უკვე 60-იან წლებში 100 საერთაშორისო მიგრანტიდან 47 ქალი იყო. 2000 წელს მიგრანტთა 49 %-ს ქალები შეადგენდნენ. გაეროს ერთ-ერთი უახლესი ანგარიშის მიხედვით, 101 ქვეყანაში ქალები მიგრანტთა ნახევარზე მეტს შეადგენენ. ყოველივე ეს ადასტურებს საერთაშორისო მიგრაციის მზარდ ფემინიზაციას. თუმცა 60-70-იანი წლებისთვის სანდო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო დინამიკის ზუსტი სურათის გამოკვეთა შეუძლებელია.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, 37.2 % ქალი ემიგრანტებისა და 37.7 % კაცი ემიგრანტებისა უმაღლესი განათლების მქონეა. 34,1 % ქალებისა და 43 % კაცი ემიგრანტებისა საშუალო ზოგადი განათლების მქონეა. აღსანიშნავია, რომ თუ მამაკაც ემიგრანტებში ჭარბობენ ინჟინრები და მაღალკვალიფიციური მუშები, ქალ ემიგრანტებში დიდი წილითაა წარმოდგენილი პედაგოგები, ვინაიდან ამ სფეროში დაბალია ხელფასი (დემოგრაფიის 2018).

საქართველოდან ემიგრირებული მოქალაქეების უმრავლესობა ოჯახის წევრებისათვის თანხებს გზავნის, რაც ამ ოჯახებს მინიმალურ სოციალურ გარანტიებს აძლევს. აღსანიშნავია, რომ არ ყოფილიყო ეს შრომითი ემიგრაცია, ცხოვრების დონე საქართველოში გაცილებით გაუსაძლისი იქნებოდა, მაგრამ გაურკვეველია უცხოეთიდან ოჯახებისათვის განკუთვნილი ფულადი დახმარებების ოდენობაც. ფიქრობენ, რომ შრომით ემიგრანტთა საშუალო თვიური შემოსავალი 715 აშშ დოლარამდეა. შესაბამისად ერთი ემიგრანტის მიერ განხორციელებული გზავნილის საშუალო სიდიდე 168 აშშ დოლარს შეადგენს, რაც გზავნილების საშუალო დონეს უტოლდება.

2018 წელს საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების სახით 1,576,508,500 დოლარი შემოვიდა, რაც ლარებში 4 მილიარდს აღემატება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფულადი გზავნილების ეს მოცულობა 2017 წლის ჯამურ მაჩვენებელს 14%-ით აღემატება და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალ ნიშნულს წარმოადგენს. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018)

გაზრდილია გზავნილები იტალიიდან, საბერძნეთიდან, აშშ-დან, ისრაელიდან, თურქეთიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმღები ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, თუმცა ფულადი გზავნილების მიმართვა გრძელვადიანი განვითარების პროექტებზე და ინვესტიციებზე ნაკლებად ხდება. ემიგრანტთა ფულადი გზავნილები ზრდის ქვეყნის მშპ-ს. 2011-დან 2013 წლამდე ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში მერყეობდა 8-დან 9%-მდე. 2018 წლის მსოფლიო მიგრაციის პორტალის მონაცემების მიხედვით საქართველოში, ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში 11,8 %-ია. საჭიროა ქვეყანაში დანაზოგების შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა ნახალისდეს ფულადი გზავნილების პროდუქტიული გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რა მასშტაბის გავლენა აქვს ფულად გზავნილებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, გზავნილების მიმღებ შინამეურნეობათა დონეზე, მათი წვლილი ძალზედ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს განათლებაზე, ჯანდაცვაზე და კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ფულადი გზავნილების მიმღებ სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოხმარების საგნებზე, როგორცაა საკვები, კომუნალური გადასახადები და ტანსაცმელი, რასაც მოყვება ჯანმრთელობასთან და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მიგრაციანეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის როგორც დემოგრაფიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თანამედროვე მიგრაციების მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. ეს თანაბრად ეხება როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციებს. საქართველოში აქტიურია შრომითი მიგრაცია, რომელიც ძირითადად ეკონომიკურად აქტიურ, შრომისუნარიან მოსახლეობას ეხება. შედეგად, ირღვევა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, კლებულობს მოსახლეობის რიცხოვნობა, ადგილი აქვს დემოგრაფიული დაბერების პროცესებს. მიუხედავად ბევრი უარყოფითი მხარისა ემიგრაცია გარკვეულ წილად დადებითი პროცესია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც საერთაშორისო ფულადი გზავნილები ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ მიგრაციული პროცესების სრულყოფილი ანალიზისთვის, აუცილებელია, მისი როგორც მრავალ ფაქტორიანი პროცესის განხილვა.

ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., „სოციალური სტატისტიკა“, თბ. 2013
2. საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. თბილისი 2017
3. ლობჯანიძე მ. „ახალგაზრდა ქალთა მიგრაცია და მისი გამონევი ფაქტორები საქართველოში“ თბილისი 2009
4. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში“ ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018
5. United Nations department of economic and social affairs -www.un.org 2017.
6. www.nbg.ge
7. www.geostat.ge

ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის თავისებურებები

ელენე ხარაბაძე¹, ემერიტუს პროფესორი;
მუხრან ქამადაძე², ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: საწარმოს უფლება აქვს, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, განახორციელოს ოპერაციები უცხოური ვალუტით. ოპერაციების უცხოური ვალუტით განხორციელებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებზე, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო.

ბასს-ის მიხედვით, როდესაც ფულადი მუხლები უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებისაგან არის წარმოქმნილი და სავალუტო გაცვლითი კურსი შეიცვლება ოპერაციის თარიღსა და საანგარიშსწორებო თარიღს შორის დროის მონაკვეთში, წარმოიქმნება საკურსო სხვაობა. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი მუხლების განაღდებას ან მათი გადაანგარიშების დროს, უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი წარმოიქმნება.

ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“-ს შესაბამისად, წინასწარ გადახდილი ავანსები წარმოადგენენ არაფულად მუხლებს და ისინი საანგარიშო წლის ბოლოს გადაფასებას არ ექვემდებარებიან. არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარდება. საქონლის მიწოდებისა და გადახდის დღისათვის არსებული უცხოური ვალუტით გამოწვეული საკურსო ზარალი გამოსაქვით ხარჯში ასახვას არ ექვემდებარება, თუ გადახდის თარიღი წინ უსწრებს საქონლის მიწოდების მომენტს. როდესაც არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება, მაშინ საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტიც სხვა სრულ შემოსავალში უნდა აღიარდეს, და პირიქით.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ვალუტა, სავალუტო კურსი, უცხოური ქვედანაყოფი, ფინანსური ანგარიშგება, შემოსავლები, ხარჯები, კურსთა შორის სხვაობა, მოგება, ზარალი, თვითღირებულება.

INCOME FROM THE RATE CHANGES AND FEATURES OF EXPENSE ACCOUNTING

Elene kharabadze, professor of Emeritus;
Mukhran Kamadadze, Doctor of business administration.

Abstract. The company have the right to process transactions in foreign currency based on its activities. Making transactions in foreign currency may influence company's profits and losses due to the changes of the currency exchange rate.

According to the IAS when the money accounts are created from the operations made in foreign currency, the exchange rate will be changed during the time between the date of operation and the date of payment will cause exchange rate difference .exchange rate difference, which arise from cash withdrawal or their calculation, must be recognized in profits or loss in the reporting period when it arises.

¹ Elena.Kharabadze@tsu.ge

² mukhranqamadadze@gmail.com

According with IAS 21 “outcomes of currency exchange rate changing” prepaid advances are non-cash accounts and are not objects of evaluation at the end of reporting period. The profits and losses which are connected with no-money accounts will be recognized in equity account. If the payment date is before the delivery date, the differences from currency exchange by the date of Delivery of goods and payments are not accounted as deductive expenses. When the income or loss from non-cash accounts is accounted in other all income, the differences from exchange rate should be also accounted in all income or viseverce.

Key words: foreign currency, currency exchange, foreign subdivision, financial statements, income, expenses, differences, between course, profit, loss, cost.

საწარმომ ეკონომიკურ საქმიანობაში შეიძლება გამოიყენოს უცხოური ვალუტა. საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების უცხოური ვალუტით აღრიცხვა შესაძლოა განახორციელოს ორი გზით: გააჩნდეს უცხოური ქვედანაყოფი, ან სამეურნეო ოპერაციებს აწარმოებდეს უცხოური ვალუტით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გასათვალისწინებელია, რომელი გასაცვლელი სავალუტო კურსი უნდა გამოიყენოს საწარმომ და როგორ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში სავალუტო კურსების ცვლილებებით გამონვეული შედეგები. თითოეული საწარმო, რომელიც უცხოურ ვალუტაში აწარმოებს ოპერაციებს, თუ უცხოურ ქვედანაყოფს განსაზღვრავს თავის სამუშაო ვალუტას. საწარმო, უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულ მუხლებს გადაიან-გარიშებს თავის სამუშაო ვალუტაში და გადაანგარიშების შედეგებს ანგარიშგებაში ნა-რადგენს. ვალუტა არის ფულის ეროვნული ერთეული, გამონაკლისს წარმოადგენს ევრო, რომელიც სუპრანაციონალური გაერთიანების ფულის ერთეულია. ყოველი ვალუტა ხასიათდება განსაზღვრული ელემენტებით, საერთაშორისო ფინანსურ ურთიერთობებში ზოგიერთი ვალუტა იძენს საერთაშორისო ხასიათს.

სავალუტო კურსი (ასევე გაცვლითი კურსი) ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულია, გამოსახული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულებში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროს. სავალუტო კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით, რასაც მცურავი კურსი ეწოდება. ხოლო, მიმდინარე ვაჭრობის დროს დაფიქსირებულ კურსს არსებული სავალუტო კურსი ეწოდება, კურსს, რომლის მიხედვითაც ვაჭრობა ხდება მიმდინარე თარიღით, ხოლო ფულის გადახდა მოხდება მომავალში დადგენილი თარიღით, მიუხედავად იმ მომენტში არსებული კურსისა, ფიუჩერ-სული სავალუტო კურსი ეწოდება.

საქართველოს ფულის ერთეულია „ლარი“, იგი არის საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება. შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ანგარიშსწორება სწარმოებს ეროვნულ ვალუტაში. გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების ტერიტორიები, სადაც ანგარიშსწორება დაიშვება უცხოური ვალუტით.

საქართველოს ტერიტორიაზე დასაშვებია უცხოური ვალუტით საბანკო ოპერაციების განხორციელება (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 24/04). საწარმოს უფლება აქვს, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, განახორციელოს ოპერაციები უცხოური ვალუტით. უცხოური ვალუტა აღნიშნავს ყველა სხვა ვალუტას, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს სამუშაო ვალუტას. ოპერაციების უცხოური ვალუტით განხორციელებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებზე, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება საანგარიშგებო (ლარი) ვალუტით, საანგარიშგებო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის ოპერაციის მოხდენის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, უცხოური ვალუტით

შეფასებული ფულადი მუხლები უნდა შეფასდეს ბალანსის მომზადების თარიღისათვის არსებული საბოლოო სავალუტო კურსით. შედეგად წარმოიქმნება საკურსო სხვაობა.

ბასს-ით, როდესაც ფულადი მუხლები უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებისაგან არის წარმოქმნილი და სავალუტო გაცვლითი კურსი შეიცვლება ოპერაციის თარიღსა და საანგარიშსწორებო თარიღს შორის დროის მონაკვეთში, წარ-მოიქმნება საკურსო სხვაობა. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი მუხლების განაღდებას ან მათი გადაანგარიშების დროს, უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი წარმოიქმნება.

თუ ანგარიშსწორება იმავე საანგარიშგებო პერიოდში მოხდა, როდესაც ოპერაცია განხორციელდა, მაშინ ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება იმავე საანგარიშგებო პერიოდში. მეორეს მხრივ, როდესაც ანგარიშსწორება ხორციელდება რომელიმე მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საკურსო სხვაობა, რომელიც აღიარებულია თითოეულ წინა საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშსწორების პერიოდამდე, განისაზღვრება ამ პერიოდის საკურსო სხვაობის ცვლილებით. როდესაც არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარდება, მაშინ შემოსულობისა და ზარალის შემადგენელი საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტიც პირდაპირ საკუთარ კაპიტალში უნდა აღიარდეს, ხოლო როდესაც არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება, მაშინ შემოსულობისა და ზარალის შემადგენელი საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტიც მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

საქონლის მიწოდებისა და გადახდის დღისათვის არსებული უცხოური ვალუტით გამოწვეული საკურსო ზარალი გამოსაქვით ხარჯში ასახვას არ ექვემდებარება, თუ გადახდის თარიღი წინ უსწრებს საქონლის მიწოდების მომენტს. ასეთ შემთხვევაში კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალით იზრდება შეძენილი საქონლის თვითღირებულება, რადგან საქონლის მიღების მომენტში შეძენილი საქონლისათვის განეული ხარჯი (გადახდილი კომპენსაცია) სრული სიზუსტით არის განსაზღვრული და შესაბამისად, საქონლის მიწოდების დღეს არსებული უცხოური ვალუტის კურსი შეძენილი საქონლის თვითღირებულების განსაზღვრისათვის არარელევანტურია.

დავუშვათ საწარმომ, რომლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ლარი, კლიენტთან გააფორმა ხელშეკრულება საქონლის შეძენაზე მთლიანი ღირებულებით 10000 ევრო, საწარმომ შეძენილი საქონლის ღირებულება 10000 ევრო მომწოდებელ არარეზიდენტ კომპანიას გადაუხადა წინასწარ 2019 წლის 1 თებერვალს (კურსი: 1 EUR = 3.0457ლარი), ხოლო არარეზიდენტმა კომპანიამ საქონლის მოწოდება განახორციელა 2019 წლის 1 მაისს (კურსი: 1 EUR = 3.0300 ლ.), საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს: 1. შეძენილი საქონლის ღირებულების წინასწარ გადახდა, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით ანუ 30457 ლ. (10000 * 3.0457) „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები“-ს ანგარიშის დებეტში და ანგარიშის „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ კრედიტში;

2. საქონლის მიღების თარიღისათვის (1 თებერვალი) უნდა აისახოს მიღებული საქონლის ღირებულება (30457 ლ.) „საქონელი“-ს ანგარიშის დენეტში და „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები“-ს ანგარიშის კრედიტში. მოცემულ შემთხვევაში კურსთაშორის სხვაობის თანხა ჩაირთვება შეძენილი საქონლის თვითღირებულებაში და შეძენილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში ასახვას ექვემდებარება 30457 ლარი. შესაბამისად, კურსთაშორის სხვაობა გამოქვითვებში ჩართვას არ ექვემდებარება.

ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“-ს შესაბამისად, წინასწარ გადახდილი ავანსები წარმოადგენენ არაფულად მუხლებს და ისინი საანგარიშო წლის ბოლოს გადაფასებას არ ექვემდებარებიან. ამასთან, ოპერაციის შესრულების თარიღი არის თარიღი, როდესაც აღიარდება არაფულადი აქტივი, (გადახდილი ავანსი) ან ვალდებულება (მიღებული

ავანსი). ეტაპობრივი გადახდის შემთხვევაში კი, ოპერაციის შესრულების თარიღი განისაზღვრება თითოეული გადახდისათვის. დავუშვათ სანარმომ, რომლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ლარი, კლიენტთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად მან არარეზიდენტი კომპანიისაგან 2019 წლის 20 თებერვალს (კურსი: 1 EUR = 2.9977 ლარი) შეიძინა საქონელი და მისი ღირებულება 10 000 ევრო, მომწოდებელს გადაუხადა მოგვიანებით, 2019 წლის 20 მარტს (კურსი: 1 EUR = 3.0474 ლარი). სანარმომ ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა ასახოს: 2019 წლის 20 თებერვალს საქონლის შეძენა, შეძენის მომენტისათვის არსებული კურსით (29977 ლ.) „საქონელი“-ს ანგარიშის დებეტში და „მონოდებით წარმოქმნილი ვალდებულებების“ ანგარიშის კრედიტში. ანგარიშსწორების მოხდენის თარიღისათვის, ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა ასახოს საქონლის მონოდებით წარმოქმნილი დავალიანების (29977 ლ.) დაფარვა „მონოდებით წარმოქმნილი ვალდებულებების“ ანგარიშის დებეტში, „არასაოპერაციო ზარალის“ ანგარიშის დებეტში ასახება ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან (497 ლ) და ანგარიშის „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ კრედიტში, საქონლის ღირებულების გადახდა, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით (30474 ლ.). მოცემულ შემთხვევაში, შეძენილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში ასახვას ექვემდებარება საქონელი 29977 ლ. (10 000 EUR * 2.9977), ხოლო ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 497 ლ. (=10 000 EUR = 3.0474-10 000 EUR * 2.9977) ექვემდებარება გამოსაქვით ხარჯებში ჩართვას.

იმ შემთხვევაში, როცა საქონლის ღირებულების გადახდა ხდება საქონლის მიწოდების შემდეგ, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი პირდაპირ ექვემდებარება გამოქვითვებში ჩართვას. თუ საქონლის ღირებულების გადახდა ნაწილობრივ ხდება ავანსის სახით, საქონლის მიწოდებამდე, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდა ხდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მაშინ საქონლის მიწოდებამდე გადახდილ თანხაზე გაანგარიშებული საკურსო ზარალი ჩაირთვება შეძენილი საქონლის თვითღირებულებაში, ხოლო საქონლის მიწოდების შემდეგ გადახდილ თანხაზე გაანგარიშებული საკურსო ზარალი ექვემდებარება გამოქვითვებში ჩართვას. დავუშვათ სანარმომ, რომლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ლარი, კლიენტთან გააფორმა ხელშეკრულება საქონლის შეძენაზე, ღირებულებით 100000 ევრო, სანარმომ საქონლის ღირებულების 50% (50000 EUR) გადაიხადა ავანსის სახით, 2019 წლის 1 მარტს, (კურსი: 1 EUR=3.05561ლარი), ხოლო ღირებულების მეორე ნახევარი გადაიხადა საქონლის მიღების შემდეგ, 1 მაისს (კურსი: 1 EUR=3.0300 ლარი). საქონლის მონოდება მოხდა 2019 წლის 5 აპრილს (კურსი: 1 EUR=3.0212 ლარი). აღნიშნული ოპერაცია სანარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა ასახოს: 1. 2019 წლის 1 მარტს, საქონლის ღირებულების 50%-ის ავანსის სახით წინასწარი გადახდა, გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით (EUR = 3.0457), „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები“-ს ანგარიშის დებეტში და ანგარიშის „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ კრედიტში 152780 ლ. (50 000 EUR * 3.0457); 2. 2019 წლის 5 აპრილს უნდა აღრიცხოს საქონლის შეძენა 303840 ლ. (50000*3,0556+50000*3,0212), დ-ტი საქონელი 303840, კ-ტი -მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 152780, კ-ტი - ვალდებულება მიწოდებით 151060 (50 000 EUR = 3.0212). 3. 2019 წლის 1 მაისი (1 EUR=3.0300) დარჩენილი დავალიანების (151060 ლ.) გადახდა ასახება: ანგარიშის „ვალდებულება მიწოდებით“ დებეტში -151060 ლ., (50 000 EUR = 3.0212), ანგარიშის „ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან“ - 440 ლ. დებეტში და ანგარიშის „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ კრედიტში - 151500 ლ. (50 000 EUR = 3.03). მოცემულ შემთხვევაში, შეძენილი საქონლის ღირებულება იქნება 303840 ლარი (50000*3,0556+50000*3,0212), ხოლო 2019 წლის მაისის თვეში საკურსო ზარალის სახით გამოქვითვებში ასახვას დაექვემდებარება 440 ლარი (50000*3,0300-50000*3,0212).

ანალოგიური პრინციპი ვრცელდება საკურსო მოგების საგადასახადო აღრიცხვის კუთხით. თუ სანარმომ, რომლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ლარი, 2019 წლის 1 მარტს კლიენტთან გაა-

ფრომა ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, კლიენტისათვის სამშენებლო ტექნიკის მიწოდება მთლიანი ღირებულებით 10000 ევრო. ხელშეკრულების თანახმად, ღირებულების 50 % ავანსის სახით გადახდილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, ხოლო დარჩენილი 50 % საქონლის მიღების დროს, პირობითად 1 მაისს. 1 მარტს ვალუტის კურსი შეადგენდა - 1 EUR=3.0556. აღნიშნული ოპერაცია სანარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს:

1. 1 მარტი: დ-ტი-უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში 15278, კ-ტი გადავადებული შემოსავალი 15278.

2. 1 მაისი: (კურსი EUR=3.0300): დ-ტი - უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში 15150ლ., (5 000 EUR = 3,0300), დ-ტი - გადავადებული შემოსავალი - 15278 ლ., კ-ტი შემოსავალი რეალიზაციიდან (5 000 EUR = 3,0300; (5 000 EUR = 3,0556) - 30428.

როდესაც არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება, მაშინ საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტიც სხვა სრულ შემოსავალში უნდა აღიარდეს. და პირიქით, როდესაც არაფულად მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება, მაშინ საკურსო სხვაობის ნებისმიერი კომპონენტიც მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ეს არ ეხება ვალუტის კონვერტაციის დროს ბანკის კომერციულ კურსსა და ეროვნული ბანკის ოფიციალურ გაცვლით კურსს შორის არსებული სხვაობით გამონვეულ საკურსო ზარალს, რადგან ასეთი ზარალი უპირობოდ ექვემდებარება პირის გამოქვითვებში პირდაპირ ჩართვას და მათი მიკუთვნება საქონლის თვითღირებულებაზე არ უნდა მოხდეს. ისეთ ფულად მუხლებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები, რომლებიც ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ნეტო ინვესტიციის ნაწილს წარმოადგენს, უნდა აღიარდეს ანგარიშვალდებული სანარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მოგებაში ან ზარალში, ან უცხოური ქვედანაყოფის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, საჭიროებისამებრ. ამგვარი საკურსო სხვაობები თავდაპირველად უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო ნეტო ინვესტიციის გასვლის შემდეგ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ლიტერატურა

1. ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამონვეული შედეგები“;
2. ელენა ხარაბაძე - ფინანსური აღრიცხვა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013 წ.;
3. ელენა ხარაბაძე - ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე) – 2018 წ.;
4. “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი.

აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივაები სხალტბის მუნიციპალიტეტში (მცხეთის მუნიციპალიტეტი)

ავთანდილ ოქროცვარიძე¹, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;
ლალი ოქროცვარიძე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
ჯემალ სოლოღაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნაშრომის მთავარ იდეას წარმოადგენს დასვენების ახალი კერის დაფუძნება, თბილისთან ახლოს, მცხეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ სხალტბაში საოჯახო ტიპის სასტუმროს ამოქმედება-განვითარების მეშვეობით.

მცხეთა ტურისტული პოტენციალის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, რაც განპირობებულია როგორც მისი ისტორიული წარსულით და კულტურული მემკვიდრეობით, ასევე, მისი ულამაზესი ბუნებით, განუმეორებელი ლანდშაფტით, არქიტექტურით, სტუმართმოყვარე ხალხით.

აგროტურიზმი საშუალებას იძლევა, დააკვირდე და გაეცნო ქვეყნის ყოველდღიურ მრავალფეროვან ცხოვრებას, დააგემოვნო ადგილობრივი ტარდციული პროდუქტები, სიღრმისეულად შეიგრძნო ქართული სურნელი და ეროვნული კოლორიტი.

ნაშრომის დედააზრია არამარტო ჩვენი კულტურული სიმდიდრის წარმოჩენა, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, სასურველი ეკონომიკური ეფექტის მიღება, არამედ უფრო მეტიც - სოფლად ტურიზმის განვითარება, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, სოფლად მოსახლეობისა და კადრების დამაგრება, სოფლის მდგომარეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესება, და ბოლოს, მოსახლეობის მიგრაციის შემცირება. საერთოდაც, ქალაქი მაშინ არის ძლიერი, როცა სოფელი დგას მყარად. საქართველოს ისტორიას კი ახსოვს ასეთი წლები.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, საოჯახო სასტუმრო, ტურისტული პოტენციალი

PERSPECTIVES DEVELOPMENT OF AGRITOURISM ON THE EXAMPLE OF SKHALTBA (MTSKHETA MUNICIPALITY)

Avtandil Okrotsvaridze, Doctor of Economical Sciences; **Lali Okrotsvaridze**; Doctor of Social Sciences; **Jemal Sologashvili**, Doctor of Physical and Mathematical Sciences
Caucasus International University

Abstract: The main idea of this work is the creation of a new vacation area, near Tbilisi by the involvement and development of hotel of family type in the historical village Skhaltba of Mtskheta municipality. It is known that Mtskheta, by its tourism potential is one of the outstanding corners of Georgia, owing to its historical past, by its cultural heritage, and its fine nature, also the landscape, architecture and the hospitable people.

To watch everyday life of people of other country, to taste local food, simply to inhale smells and feel national peculiarities - all this is possible by means of an agritour today.

¹ m.mchedlishvili@agrni.edu.ge

Implementation of the given idea will be reflected: on development of agritourism in villages, growth of prosperity in population, on keeping of locals and a personnel in their residence, on improvement of living conditions of villagers, reducing level of migration of residents of the village to the city. By the similar ways are reached in the advanced countries the identical desire to live in the cities or in villages, and generally, a city is strong in case of strong village. Our history remembers such years. In the end, the main essence of this work consists not only in promoting of our cultural heritage, in assisting the development of agritourism, in receiving desirable economic effect, but in more than that.

Keywords: agrotourism, family hotel, tourism potential

Introduction. Travel is one of the perspective directions of modern economic development of Georgia. The resurgence of tourism can create rural opportunities in the field of cultural holidays and historic heritage. The present work is dedicated to the idea of tourism development in rural areas (Parliament of Georgia, 2010).

The priority aspect of this work is the idea of establishing a family type hotel in the village of Skhaltba, near the capital, about 1100 m above sea level. The village of Skhaltba is a rare recreational zone with its geographical location, landscape, historical monuments, possible hiking and adventures. Hence the implementation of the idea of family stories here has a great perspective on the resurgence of agrotourism the more tourists will be able to feed the new family and healthy products. In turn, tourism development will enhance the infrastructure of the village.

Accelerated way of the modern life makes a great influence on mental and physical condition of the human beings, therefore periodically they need to have a rest in the country in a quiet atmosphere and along with it to be engaged in something important and interesting. The main idea of this work is the creation of a new vacation area, near Tbilisi by the involvement and development of hotel of family type in the historical village Skhaltba of Mtskheta municipality.

Research results and discussion

It is known that Mtskheta, by its tourism potential is one of the outstanding corners of Georgia, owing to its historical past, by its cultural heritage, and its fine nature, also the landscape, architecture and the hospitable people. All this is of particular interest for the foreign tourists considering proximity of our village (about 7 km) to historical and cultural monuments of Mtskheta. It is especially important to note that near Skhaltba are located such historical places as Jvari and Svetitskhoveli cathedrals, Samtavro and Shiomghvime Monasteries which are the main sights for tourists.

Ancient Mtskheta was inhabited in a Bronze Age in the III th millennium B.C., in 326 of AD the Christianity was proclaimed the state religion of entire Georgia by the king's residence located in Mtskheta. The old city lies at the confluence of the rivers Mtkvari and Aragvi. The rare blend of cultural values had ruled in this part of the world since the Bronze Age until prosperous Christian era over the unique eclectic lifestyle creating the mood of the town which is as old as the history of Georgia. Mtskheta is the most religious city of Georgia as it has been the shrine of pagan idols since times immemorial and it is where Christianity in Georgia takes its origin. These religious monuments had strategic function These religious monuments had strategic meaning, on the one hand - protection against enemies, and from the other hand – the fastest method of the notification about danger - by means of use of light rays.

It is important to note that in Skhaltba there is a water system constructed with the help of ceramic pipes in the times of the Queen Tamar, which supplied with drinking water the monastery Shiomghvime and also villages Skhaltba and Mukhrani. The construction of water system was complete in 1202 under the supervision of Anton Chkondideli. This object is in need of reconstruction nowadays. From the observation deck of Skhaltba opens

magnificent panorama on Shiomghvime and the gorge of the r. Mtkvari, from where are visible historical fortress Dzegvi-Tsikhedidis Kheoba and other sights, one of them is the ancient Sarkineti.


Family hotels are not novelty to Georgia, in Mtskheta, in particular, are functioning about 10 family hotels which completely meet the requirements of tourists, but it is necessary to consider the fact that Skhaltba is 500 m higher above sea level in comparison with Mtskheta, therefore the hotel in Skhaltba will have some benefits before other hotels (Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, 2018).

These arguments cause the prospect of functioning of a family hotel in Skhaltba, So the establishment of hotel in the two-storeyed house which is in a private property of the authors of this article has a huge resource in the future.

It must be noted, that there is practically no family hotel in our village and it is only at the initial stage of development. Also the shortest path to Mtskheta and to Shiomghvime monastery passes through our village, that will make this place more attractive for the tourists. In its turn, it will promote the prospect of reconstruction of the historical water pipe system in Skhaltba, (which according to the characteristic of Ivane Javakhishvili” as a drinking water the wellhead has high taste qualities and doesn’t exist elsewhere”. The water pipe system was constructed with the help of 7 mm ceramic pipes, with water handling capacity 1 liter/second), the question of which is put before the Ministry of Culture and Development of Sport of Georgia and to the mayor’s office of Mtskheta municipality (Material culture of Shota Rustaveli era, 1938).


On the initiative and participation of authors of this article, geophysical prospecting works on establishment of contours of water pipes of the ancient water system are already carried out in Skhaltba. Researches on assessment of current water supplies and geophysical research works were conducted under the supervision of N. Glonti, with the assistance of research associates of Mikhail Nodia institute of geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University.

Skhaltba is a small village, our house is located in the best place – on the hill, from where opens the most beautiful view. In our village there are churches of Kviratskhoveli and of St. Giorgi, they are surrounded with centenary trees, which are irresistible sights for the tourists (Ministry of Culture and Protection of Monuments, 2016).



Geographical map of the vicinities of Skhaltba

Owing to the Georgian traditional hospitality, this group of authors have an experience in receiving different groups of people on a visit, assisting them with their accommodation, showing the sights and offering hospitality. But these activities did not have a character of business. Thanks to the experience received in the past, there came an idea of creation of family hotel, which will be a successful business. The success of the embodiment of the idea will depend on successful business management in hotel which includes: creation of hotel infrastructure, spreading information about hotel and the corresponding advertizing, involvement of visitors, their provision by the corresponding convenient conditions and services – offering interesting tours with the help of a professional guide, regulation of financial questions in accordance with the legislation, supplying with food of local production and also ensure their accommodation and passing a good time in pleasant and comfortable environment.



Shiomghvime Monastery



Church of Kviratskhovle in Skhaltba

At this stage the intention of the authors is to open a hotel of family type in the two-storeyed private house, in the village Skhaltba of Mtskheta municipality. The house is located on the hill, on the most beautiful place. The place is cozy, with a fixed water supply and with the operating sewer system. According to financing it is planned to open three identical hotel rooms. In the hotel there will be three separate rooms with the general kitchen and dining room, a bathroom, a toilet, a big, light drawing room and a verandah. There is a big well-kempt yard with a green grass and water. For the visitors is especially attractive a cozy arbor which stands separately in the yard, where together with the adults can have a rest the children. The yard is decorated with national ornaments that will interest tourists.

The benefit of the hotel is also the existence of a farm in near proximity, which is in the same ownership. There the visitors will have an opportunity to have a look at cows, small and big cattle, other domestic animals and the egg laying hens. Availability of such farm will allow to provide vacationers with fresh, environmentally pure local products. If they wish, the visitors can milk the cows and ride horses.

Mtskheta and in particular, our village Skhaltba, has undoubtedly the prospect of development as it as a historical region has a characteristic architecture, Mtskheta ethnographic museum, the Svetitskhoveli monastic complex with the beautiful landscape, and etc. It is important to mention the fact that together with the development of infrastructure the number of tourists increases every year. The trip from Tbilisi for tourists takes 30 min. The development of infrastructure in Skhaltba, along with it, will turn it into modern village with comfortable living conditions (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2018).

For the time being hotel business in Skhaltba will be seasonal, because there is not access to the natural gas. So, there are problems with heating in winter and the village road is in poor condition. These circumstances create for tourists obstacles, especially during the trip. Owing to all this, the work of hotel business is seasonal. But in summer the climate in Skhaltba and the beauty of nature is fantastic. In the nearest future is planned the renewal of the road paving and its improvement. The end of restoration works of water system of times of the Queen Tamar (a historical source) is planned in two years. All this will increase a scale of our activities and will give the chance to work both in summer, and in winter. In the conditions of transition of business from seasonal on year-round, we plan to offer tourists a complete packet of servicing. Respectively, we will have a possibility to give a job to several more people. Business will develop and income will raise.

At the current time hotel business in Skhaltba is seasonal, because there is not access to the natural gas. So, there are problems with heating in winter and the village road is in poor condition. These circumstances create for tourists obstacles, especially during the trip. Owing to all this, the work of hotel business is seasonal. But in summer the climate in Skhaltba and the beauty of nature is fantastic. In the nearest future is planned the renewal of the road paving and its improvement. The end of restoration works of water system of times of the Queen Tamar (a historical source) is planned in two years. All this will increase a scale of our activities and will give the chance to work both in summer, and in winter. In the conditions of transition of business from seasonal on year-round, we plan to offer tourists a complete packet of servicing .

Both foreign, and local tourists/vacationers will be consumers of products offered by hotel "Skhaltba". Traditional architectural monuments and the historical past, the incomparable nature, the oldest chapels, invaluable icons, historical artifacts, local folklore will be offered to them. They will have an opportunity to taste local, ecologically clean products.

It is assumed that the vacationers will be both adults, and children, teenagers, students and elderly people, as climate of village Skhaltba is like of in any other mountain resorts. In XXI century the demand for the comfortable and modern conditions from the vacationers constantly increases. Therefore our goal is to offer comfortable housing conditions for vacationers with due order and the favorable atmosphere in our hotel. Today demand for comfortable hotels with the high service level is very high. Considering conditions of our hotel we plan to attract as low, so high-budget consumer. In the future we plan to develop interesting routes of excursions on survey of the unique invaluable icons and artifacts which are stored in the oldest chapels, monasteries and churches (Mtskheta, Jvari, Svetitskhoveli, Shiomghvime, etc.), we plan also holding sporting and entertaining events of a different type. In case of availability of a complete packet of servicing, we also plan to cooperate with travel agencies, with the purpose of holding tours for local and foreign tourists (Okrotsvaridze A., Okrotsvaridze L.,2011).

The "Skhaltba" hotel will be interesting to tourists and the fact that from here it is possible to perform one-day walking tours, and if wished also on so called mountain bicycles . Considering the fact that the center of Skhaltba is located at the height of 900 m above sea level, and the forest area located in the south of the village at the height nearly 1050 m above sea level, living in Skhaltba gives an unusual opportunity to plan and operate one-day walking tours and by so-called mountain bicycles (Mtskheta municipality, 2018).

Walking tours can be operated:

1. Skhaltba - Shiomghvime - Ioann baptist church- Skhaltba
2. Skhaltba - Shiomghvime - Kaloubani church- Skhaltba
3. Skhaltba - Shiomghvime-Tsikhedidi-Sameba- Skhaltba

Tours by mountain bicycles:

4. Skhaltba - Mtskheta - Kaloubani church -Shiomghvime - Skhaltba ;
5. Skhaltba -Tsitsamuri- Jvari- Saguramo-Zedazeni- Skhaltba;
6. Skhaltba – Shato-mukhrani-Agdgomliaantkari-Phrezeti-Tsilkani- Skhaltba;
7. Skhaltba - Mtskheta –Armazi-Dzegvi-Tsikhedidi-Nichbisi-Didgori- Skhaltba.

The separate routes provided here (the length of routes and hypsometric difference) will be of great interest to fans of cycling as each planned tour consists of boldly various pieces of roads: rises, descents, the route, so such tours represent an excellent possibility of maintaining a healthy lifestyle.

Along routes tourists have an opportunity to visit historical monuments and to enjoy magnificent views st. Mtskheta, Svetitskhoveli, Samtavro, Antiochia, Jvari Monastery, Kaloubani church, Shiomghvime Monastery, John the Baptist's Church, Zedazeni, Ilia Chavchavadze house-museum,"Shatto Mukhrani" - the palace of prince Mukhrani, church of Holy mother in Tsilkani, the Armazi gorge, Tsikhedidi gorge, the Tsitsishvili palace in Nichbisi, Didgori's memorial and many other sights.

The tourist can get wonderful pleasure from visiting of these unique places where are constructed these magnificent monasteries and churches by seemingly incredible efforts of the Georgian ancestors.

From the point of view of competitiveness in village Skhaltba there is no similar family hotel which is an important precondition for functioning and development of the hotel business. There are practically no competitors. As for the seasonality, it will be overcome along with the development of infrastructure, as the ample snow cover in winter will allow vacationers to spend a splendid time in the New Year, including extreme elements (Sologashvili J., Okrotsvaridze L, 2018).

Conclusions and recommendations

To watch everyday life of people of other country, to taste local food, simply to inhale smells and feel national peculiarities - all this is possible by means of an agritour today.

Implementation of the given idea will be reflected: on development of agritourism in villages, growth of prosperity in population, on keeping of locals and a personnel in their residence, on improvement of living conditions of villagers, reducing level of migration of residents of the village to the city. By the similar ways are reached in the advanced countries the identical desire to live in the cities or in villages, and generally, a city is strong in case of strong village, as well in the development of agritourism in Georgia. Our history remembers such years. In the end, the main essence of this work consists not only in promoting of our cultural heritage, in assisting the development of agritourism, in receiving desirable economic effect, but in more than that.

BIBLIOGRAPHY

1. Material culture of Shota Rustaveli era (1938), edited under I. Javakhishvili supervision, publishing house Techniques and work, Tbilisi.
2. Ministry of Culture and Protection of Monuments (2016) <http://mcs.gov.ge>
3. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (2018) <http://www.economy.ge>
4. Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (2018). <http://www.mrdi.gov.ge>
5. Mtskheta municipality (2018). <https://ka.wikipedia.org>
6. National service of statistics (2018)://www.geostats.ge
7. **Okrotsvaridze A., Okrotsvaridze L.** (2011). Management of tourism and hospitality, Tbilisi, 256 p.
8. Parliament of Georgia (2010). [Http://www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
9. **Sologashvili J., Okrotsvaridze L.** (2018). Tourism development prospects in Mtskheta municipality. ISSN 1512 – 4649. International Precise and Review Scientific-Practical Magazine: Akhali Ekonomisti. #2-3; pp. 23-27.

ავტორთა სტილი დაცულია
The authors Style Retained

გამომცემლობა «კალმოსანი»
Publishing house «Kalmosani»

2019
Georgia, Tbilisi

The online Version of The Book is Aviable on the Website:
<https://conference.bntu.nier.ge>

